

გურამ მაჭარაშვილი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი
მდგომარეობა საქართველოში

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0159, საქართველო
2025 წელი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებთ, ნატი გელოვანის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი : _____ (ზვიად გაბისონია)

რეცენზენტები: _____

თარიღი: ____/____/____

რეზიუმე

საქართველოში მისო საფინანსო სექტორის დინამიკურად განვითარებად და სტრუქტურულად მნიშვნელოვან კომპონენტია. იგი განსაკუთრებული აქტიურობით იმ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ფუნქციონირებს, სადაც კომერციული ბანკების მომსახურება ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის. მისოს ძირითად მისიად მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის, აგრეთვე მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, განსაკუთრებით კი სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით მოწყვლადი ჯგუფებისათვის, ფინანსური რესურსების სწრაფი და მოქნილი ფორმით მიწოდება სახელდება. ამ ინსტიტუტის არსებობა ქვეყნის ფინანსურ ინკლუზიას, ეკონომიკური აქტივობის ზრდას, თვითდასაქმებისა და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას უწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში როგორც სოციალურ სტაბილურობაზე, ასევე ეკონომიკის მდგრადობაზე პოზიტიურად აისახება.

საქართველოში მისოს განვითარება როგორც ფინანსური ბაზრის დივერსიფიკაციის აუცილებლობას, ისე რეგიონებში მოსახლეობისათვის საბანკო მომსახურების შეზღუდულ ხელმისაწვდომობას უკავშირდება. მისი როლი განსაკუთრებით ფერმერული მეურნეობის, მომსახურებისა და მცირე წარმოების სექტორებში არის მნიშვნელოვანი, სადაც ხშირად მცირე მოცულობის, მოკლევადიანი სესხების სწრაფად მოპოვება ხდება საჭირო.

საქართველოში მისოს საქმიანობა მკაფიო სამართლებრივ ჩარჩოს ეფუძნება, რომლის ცენტრალურ ელემენტს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს. აღნიშნული კანონი ინსტიტუციურ სტატუსს, ფუნქციონირების პირობებსა და უფლებამოსილებებს განსაზღვრავს. კანონთან ერთად, მნიშვნელოვან როლს რეგულაციის კონკრეტული წესებისა და მოთხოვნების დაზუსტების მიზნით გამოცემული სებ-ის ნორმატიული აქტები და დადგენილებები ასრულებს.

აღნიშნული სამართლებრივი წყაროები მისოს რეგისტრაციისა და ლიცენზირების პროცესში მკაცრ კრიტერიუმებს აწესებს, რათა ბაზარზე მხოლოდ ფინანსურად სანდო და გამჭვირვალე ინსტიტუტებმა იფუნქციონირონ. მათ შორის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები არის გათვალისწინებული. განსაკუთრებული ყურადღება ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის წესებს ექცევა, რაც სებ-ის მიერ ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიან მონიტორინგს უწყობს ხელს.

გარდა ამისა, სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მექანიზმებს, რომლებიც როგორც სესხის გამჭვირვალე პირობების უზრუნველყოფისაკენ, ისე გადამხდელთა უფლებების დაცვისაკენ არის მიმართული. ეს რეგულაციები პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტების დამკვიდრებას, ფინანსური დისციპლინის ამაღლებასა და სოციალური რისკების შემცირებას უწყობს ხელს. მისოს სამართლებრივი სტატუსის ანალიზი არსებული ნორმატიური ჩარჩოს შიდა ლოგიკის, ორგანიზებულობისა და პრაქტიკული ეფექტების შესწავლას მოიცავს. ყურადღება მისოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების, მისი

უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების, ზედამხედველობის მექანიზმების, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ეფექტიანი გარანტიებისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფი ინსტრუმენტების განსაზღვრაზე არის გამახვილებული.

განსაკუთრებული ყურადღება რეგულაციური ჩარჩოს ეფექტიანობის შეფასებას ექცევა – რამდენად უზრუნველყოფს არსებული ნორმატიული სისტემა მისოს გამჭვირვალობას, ფინანსურ სტაბილურობასა და სოციალური დანიშნულების შესრულებას. ანალიზის პროცესში შესწავლილია როგორც კანონმდებლობის პირდაპირი მოქმედება პრაქტიკაში, ისე მისი შესაძლო ხარვეზები და პრობლემური ასპექტები, რაც შეიძლება როგორც მომხმარებელთა უფლებებზე, ასევე მთლიანად ფინანსური ბაზრის მდგრადობაზე ნეგატიურად აისახოს.

ერთ-ერთი მთავარი აქცენტი ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს საერთაშორისო გამოცდილებასთან შედარებაზე კეთდება. ამ მიზნით მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციებისა და სტანდარტების განხილვა ხდება აუცილებელი. ასევე გათვალისწინებულია აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრაქტიკა, სადაც მიკროსაფინანსო სექტორის სამართლებრივი რეგულაციები სხვადასხვა ეტაპზეა განვითარებული. აღნიშნული შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს ქართული მოდელის ძლიერი და სუსტი მხარეები და დასაბუთდეს სფეროები, სადაც კანონმდებლობის დახვეწა და საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრაცია მნიშვნელოვანი იქნება. აღნიშნული გარემოება სამართლებრივი ნორმების აღწერასა და დოგმატურ ინტერპრეტაციას სცილდება და ნორმატიურ ანალიზს ემპირიულ მონაცემებთან აქტიურად აერთიანებს. ასეთი კომბინირებული მიდგომა ქართულ სამართლებრივ მეცნიერებაში იშვიათია და იმით არის გამორჩეული, რომ იურიდიული რეგულაციების შესწავლა არა მხოლოდ თეორიულ-დოქტრინული ანალიზის ჭრილში, არამედ პრაქტიკული მონაცემების საფუძველზეც ხორციელდება. კერძოდ, ემპირიული კომპონენტის ფარგლებში სტატისტიკური და ეკონომეტრიკული ინსტრუმენტები გამოიყენება, რაც საშუალებას იძლევა მისოს რეგულაციების გავლენა როგორც სექტორის ფინანსურ მდგრადობაზე, ასევე განვითარების ტენდენციებზე და საბაზრო კონკურენციის ხარისხზე ობიექტურად შეფასდეს.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განხილულია მისოს როლი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში. მისი განვითარება სახელმწიფოს მხარდაჭერასა და ისტორიულ გამოცდილებას ეფუძნება. მიკროდაფინანსება მცირე მეწარმეობის გაძლიერებას, სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებასა და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას უწყობს ხელს. მეორე თავში გაანალიზებულია მისო, როგორც ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი სუბიექტი. მის მიერ განხორციელებული საკრედიტო, სოციალური და საგანმანათლებლო ფუნქცია. ფინანსური ჩართულობის გაზრდა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერა. მისოს მიერ ფინანსური შუამავლის

როლის შესრულება, საბანკო სისტემის ხარვეზების შევსება და ეკონომიკურ სტაბილურობაზე პოზიტიური მოქმედების უზრუნველყოფა. სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი მისოს სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას – რეგისტრაციას, ლიცენზირებასა და ზედამხედველობას მოიცავს. გაანალიზებულია მომხმარებლის უფლებებისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვის ვალდებულება. განხილულია რისკების მართვა და მისოს საქმიანობის პრინციპები. სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავი მისოს სასესხო და ფინანსურ მომსახურების რეგულირებას ეძღვნება. განსაზღვრულია სესხის ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვები მომხმარებლის ინტერესების დასაცავად. გაანალიზებულია საინვესტიციო, სადაზღვევო და გადახდის სერვისები, ზედამხედველობითი კონტროლის მექანიზმები.

Abstract

In Georgia, microfinance organization (MFO) constitute a dynamically evolving and structurally significant component of the financial sector. They demonstrate heightened activity within socio-economic contexts where access to commercial banking services is not uniformly available to all segments of the population. The primary mission of microfinance organizations (MFO) is defined as the provision of financial resources in a rapid and flexible manner to small and medium-sized enterprises, as well as to broader segments of the population, particularly groups that are socially and economically vulnerable. The existence of these institutions contributes to financial inclusion, the growth of economic activity, the promotion of self-employment, and the development of small businesses, which ultimately has a positive impact on both social stability and the sustainability of the economy.

The development of microfinance organizations (MFO) in Georgia is associated both with the necessity to diversify the financial market and with the limited accessibility of banking services for the population in regional areas. Its role is particularly significant in the agricultural, service, and small-scale manufacturing sectors, where there is often a need for the rapid provision of small, short-term loans.

The activities of microfinance organizations (MFO) in Georgia are based on a clear legal framework, the central element of which is the Law of Georgia “On Microfinance Organizations.” This law defines their institutional status, operating conditions, and powers. Alongside the law, normative acts and regulations issued by the National Bank of Georgia play a significant role in specifying the concrete rules and requirements for regulation.

These legal sources establish strict criteria for the registration and licensing of MFO, ensuring that only financially reliable and transparent institutions operate in the market. Among these are minimum capital requirements. Particular attention is paid to financial reporting and auditing rules, which enable the National Bank of Georgia to effectively monitor the activities of the institutions.

Furthermore, the legal framework includes mechanisms for protecting the interests of consumers, aimed both at ensuring transparent loan conditions and safeguarding the rights of borrowers. These regulations facilitate the establishment of responsible lending standards, the enhancement of financial discipline, and the mitigation of social risks. The analysis of the legal status of MFO encompasses the examination of the internal logic, organization, and practical effects of the existing normative framework. Attention is focused on the legal foundations of their activities, their powers and obligations, supervisory mechanisms, effective guarantees for the protection of consumer interests, and instruments ensuring financial sustainability. Particular attention is paid to assessing the effectiveness of the regulatory framework – specifically, how well the existing normative system ensures the transparency, financial stability, and social purpose of MFO. The analysis examines both the direct application of legislation in practice and its potential shortcomings and problematic aspects, which may negatively affect consumer rights as well as the overall sustainability of the financial market.

One of the main focuses is on comparing the national legal framework with international experience. To this end, it is essential to consider the recommendations and standards of the World Bank, the International Monetary Fund, and other reputable international institutions. This comparative analysis enables the identification of the strengths and weaknesses of the Georgian model and substantiates the areas where legislative refinement and the integration of international experience would be particularly important. This circumstance goes beyond merely describing legal norms and dogmatic interpretation, actively integrating normative analysis with empirical data. Such a combined approach is rare in Georgian legal scholarship and is distinguished by the fact that the study of legal regulations is conducted not only from a theoretical-dogmatic perspective but also based on practical data. Specifically, within the empirical component, statistical and econometric tools are employed, which allow for an objective assessment of the impact of microfinance regulations on both the financial sustainability of the sector and its development trends and market competition quality.

In the first chapter of the dissertation, the role of microfinance in private law relations is examined. Its development is based on state support and historical experience. Microfinance contributes to the strengthening of small entrepreneurship, the realization of social responsibility, and the promotion of economic stability. The second chapter analyzes microfinance as an important entity within the financial system. It examines the credit, social, and educational functions it performs, its role in increasing financial inclusion, and supporting small businesses. The chapter also highlights microfinance's function as a financial intermediary, addressing gaps in the banking system and contributing positively to economic stability. The third chapter of the dissertation addresses the legal status of microfinance organizations, including their registration, licensing, and supervision. It analyzes the obligations to protect consumer rights and comply with international standards. The chapter also discusses risk management and the principles guiding the operations of microfinance organizations. The fourth chapter of the dissertation is devoted to the regulation of microfinance lending and financial services. It defines the rights and obligations of the parties to a loan agreement, as well as legal restrictions established to protect consumer interests. The chapter also analyzes investment, insurance, and payment services, along with supervisory control mechanisms.

შინაარსი

შესავალი.....	13
ლიტერატურის მიმოხილვა.....	19
თავი I. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების როლი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში: სამართლებრივი სტატუსის, ფინანსური ჩართულობის ინსტრუმენტებისა და დინამიკის ანალიზი	22
1.1 ფინანსური ინსტიტუტების ცნება და სახეები	22
1.1.1 მიკროდაფინანსების განვითარება: სახელმწიფო მხარდაჭერის როლი, ისტორია და პერსპექტივები	22
1.1.2 მიკროდაფინანსება როგორც ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურება ეკონომიკური ჩართულობისათვის.....	24
1.1.3 მიკროდაკრედიტების როლი მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობაში	26
1.1.4 ფინანსური სტაბილურობის გზები: მიკროდანიშნულებისა და მიკროდაზღვევის როლი მცირე ბიზნესისა და ოჯახების გაძლიერებაში. 28	
1.2 მიკროდაფინანსების მიზნები და ამოცანები.....	30
1.2.1 მიკროდაფინანსება როგორც ეკონომიკური გაძლიერების ინსტრუმენტი – შესაძლებლობები და გამოწვევები.....	30
1.2.2 მიკროდაფინანსებისა და მიკროსაფინანსო ბაზრის ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები	32
1.2.3 მიკროდაფინანსება როგორც სოციალური პასუხისმგებლობის განმახორციელებელი ფინანსური ინსტრუმენტი	35
1.2.4 მიკროდაფინანსება სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პასუხისმგებლიანი ბიზნესის კონტექსტში.....	38
1.3 მიკროდაფინანსების გენეზისი და საკრედიტო სამომხმარებლო კოოპერატივების ინსტიტუციური საფუძვლები	39
1.3.1 მიკროდაფინანსების ისტორიული განვითარება: საკრედიტო სამომხმარებლო კოოპერატივების წარმოშობის ეტაპები	39
1.3.2 მიკროდაფინანსების ისტორიული განვითარების ეტაპები– ბანგლადეშის ექსპერიმენტიდან კომერციულ ინსტიტუტებამდე.....	41
1.3.3 ევროპული კოოპერატიული მოძრაობის ისტორიული განვითარების ეტაპები	43
1.3.4 კოოპერატიული იდეების გავრცელება ჩრდილოეთ ამერიკაში.....	45
1.3.5 კოოპერატივების ევოლუცია საქართველოში და საკრედიტო კავშირების მსოფლიო საბჭოს (WOCCU) გავლენა.....	46

თავი II. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არსი და ფუნქციონირება.....	48
2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ცნება	48
2.1.1 ტერმინის დეფინიცია	48
2.1.2 ძირითადი მიზანი	53
2.1.3 მახასიათებლები	56
2.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციები	61
2.2.1 საკრედიტო ფუნქციები.....	61
2.2.2 ფინანსური ჩართულობის გაზრდა	65
2.2.3 სოციალური ფუნქცია	69
2.2.4 საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ფუნქცია	74
2.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ადგილი ფინანსურ სისტემაში	76
2.3.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, როგორც ფინანსური შუამავლები	76
2.3.2 ალტერნატიული საფინანსო ინსტიტუტების როლი.....	80
2.3.3 ფინანსური ჩართულობის გაფართოება.....	85
2.3.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გავლენა ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობაზე	87
2.3.5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ურთიერთობა საბანკო სისტემასთან	89
თავი III. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი, რეგულირება და რისკების მართვა.....	92
3.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი საფუძვლები და რეგულირების სისტემა	92
3.1.1 საკანონმდებლო ჩარჩო	92
3.1.2 რეგისტრაცია და ლიცენზირება.....	94
3.1.3 ზედამხედველობა და კონტროლის მექანიზმები	97
3.1.4 შუღლუძვები და სპეციალური მოთხოვნები	103
3.1.5 მომხმარებლის უფლებების დაცვა	106
3.1.6 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.....	109
3.2 რისკების მართვა	110
3.2.1 სტრატეგიული რისკი	110
3.2.2 საკრედიტო რისკი.....	112
3.2.3 ფინანსური რისკი.....	115

3.2.4 ტექნოლოგიური და საოპერაციო რისკი.....	120
3.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის სპეციფიკა	125
3.3.1 იურიდიული პირის სტატუსი	125
3.3.2 ლიცენზირებული საქმიანობა	128
3.3.3 მონიტორინგი და ფინანსური მაჩვენებლების მდგრადობა	131
3.3.4 განსხვავებები საბანკო სისტემასთან შედარებით	135
3.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი პრინციპები	137
3.4.1 გამჭვირვალობის პრინციპი	137
3.4.2 პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპი	139
3.4.3 მომხმარებლის ინტერესების პრიორიტეტულობა.....	142
3.4.4 ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის პრინციპი	144
3.4.5 სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი	147
3.4.6 თანამშრომელთა პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპი	149
თავი IV. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო და სხვა ფინანსური მომსახურების სამართლებრივი რეგულირება	152
4.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, როგორც სესხის ხელშეკრულების მხარე.....	152
4.1.1 სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბაზა	152
4.1.2 სესხის ხელშეკრულების განსაკუთრებული ტიპები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში.....	156
4.1.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა.....	158
4.1.4 მიკროსესხები მცირე ბიზნესისათვის	159
4.2 სესხის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები და საკანონმდებლო შეზღუდვები	161
4.2.1 სესხის ხელშეკრულების მხარეების უფლება-მოვალეობები.....	161
4.2.1.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის უფლებები.....	161
4.2.1.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვალდებულებები	163
4.2.1.3 მსესხებლის უფლებები.....	165
4.2.1.4 მსესხებლის ვალდებულებები	166
4.2.2 საკანონმდებლო შეზღუდვები.....	169
4.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სხვა ფინანსური პროდუქტების რეგულირება	171

4.3.1 საინვესტიციო პროდუქტების სამართლებრივი ჩარჩო	171
4.3.2 გადახდისა და გადარიცხვის სერვისები	173
4.3.3 დაზღვევა და სხვა ფინანსური პროდუქტები	175
4.3.4 ზედამხედველობა და კონტროლი სხვა ფინანსურ პროდუქტებზე	177
დასკვნა	179
ბიბლიოგრაფია	189

გამოყენებული აბრევიატურები

ქართულენოვანი აბრევიატურები:

ა.შ.	ასე შემდეგ
აბზ.	აბზაცი
ე.ი.	ესე იგი
ემპ	ერთობილივი შიდა პროდუქტი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
მაგ.	მაგალითად
მთარგ.	მთარგმნელი
მდგ.	მდგომარეობით
მით.	მითითებულია
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
ნაწ.	ნაწილი
ჟურ.	ჟურნალი
რედ.	რედაქტორი/რედაქცია
სებ	საქართველოს ეროვნული ბანკი
სს	სააქციო საზოგადოება
სხვ.	სხვა
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
ტ.	ტომი
შდრ.	შეადარე

Art.	Artikel	მუხლი
B.	Band	ტომი
CGAP	Consultative Group to Assist the Poor	ღარიბთა დახმარების საკონსულტაციო ჯგუფი
IMF	International Monetary Fund	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
Nr.	Nummer/-n	ნომერი
Rn.	Randnummer/-n	გვერდითი ველი/ნომერი
вып.	Выпуск	გამოცემა
гл.	Глава	თავი
к.	Книга	წიგნი
М.	Москва	მოსკოვი
отв.	Ответственный	პასუხისმგებელი
пер.	Перевод	თარგმანი
ред.	Редактор	რედაქტორი
ст.	Статья	სტატია
т.	Том	ტომი
ч.	Часть	ნაწილი

შესავალი

„ფინანსურ რესურსებზე წვდომა ნიშნავს წვდომას განვითარებისა და დამოუკიდებლობის შესაძლებლობებზე“.
მ. იუნუსი, ნობელის პრემიის ლაურეატი (2006)

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა. თანამედროვე პირობებში მისო ფინანსურ ჩართულობასა და მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიკასა და სიღარიბის დაძლევის მექანიზმებზე პირდაპირ აისახება. აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა იმითაც არის განპირობებული, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში მისოს რეგულირება განიხილება როგორც მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობი ინსტრუმენტი, თუმცა ამავე დროს იგი მუდმივ შეფასებასა და ადაპტაციას საჭიროებს ქვეყნის სპეციფიკური რეალობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მისოს სამართლებრივი მდგომარეობის თეორიული და პრაქტიკული შესწავლა როგორც აკადემიური კვლევის, ისე ფინანსური პოლიტიკის დამუშავების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი, საჭირო და დროული ამოცანაა. გლობალიზაციის პირობებში, ფინანსური ბაზრები და ის საშუალებები, რომლებსაც ფინანსური სისტემები ფლობენ, ეკონომიკური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. ამ ეტაპზე ისინი ქართულ ეკონომიკაში ჯერ კიდევ სუსტად არიან წარმოდგენილნი. ფინანსური ინსტიტუტების როლისა და ადგილის დასაბუთება მეცნიერული გადაწყვეტილებების გაზრდის შესაძლებლობას იძლევა.

ფინანსურ სექტორში მიმდინარე გლობალური და ადგილობრივი ტრანსფორმაციები მოქნილ და მოქნილად რეგულირებად ფინანსურ ინსტიტუტებზე, მათ შორის მისო-ზე მოთხოვნას ზრდის. საქართველოში ეს სეგმენტი ბოლო ათწლეულის განმავლობაში, განსაკუთრებით ეკონომიკურად მოწყვლადი ფენების – მცირე მეწარმეების, ფერმერების და დაბალი შემოსავლის მქონე პირების – ფინანსური მომსახურების თვალსაზრისით, სწრაფად განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ მისომ

ფინანსური ჩართულობის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, აღნიშნულ საქმიანობას სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით მრავალი წინააღმდეგობა ახლავს. მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ხელშეკრულებების ნაკლებად გამჭვირვალე პირობები, სესხის გადახდის პრობლემები და სესხებლების არასათანადო დაცვა როგორც ფინანსური სტაბილურობის, ისე მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რისკებს ქმნის. ამავე დროს, სებ-ის მიერ განხორციელებული რეფორმები, მათ შორის მისოს საქმიანობის ლიცენზირების გაუქმება 2021 წლიდან, აღნიშნული ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსსა და სახელმწიფო ზედამხედველობის აუცილებლობაზე ახალ დისკუსიებს ავლენს. აქედან გამომდინარე, მისოს სამართლებრივი მდგომარეობის სიღრმისეული, კომპლექსური ანალიზი და შეფასება როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის მიზანი თანამედროვე ეკონომიკური ზრდის საინვესტიციო მოდელში ფინანსური ინსტიტუტების განვითარების და ფუნქციონირების კონცეფციის შექმნაა. საქართველოში მოქმედი მისოს სამართლებრივი სტატუსის, რეგულირების მექანიზმებისა და ზედამხედველობის პრაქტიკის კომპლექსური ანალიზი, არსებული სამართლებრივი გარემოს ეფექტიანობის შეფასება და მისი გაუმჯობესების მიმართულებების შემუშავება. სადისერტაციო ნაშრომის მიზანი – სამართლებრივი გარემოს გაანალიზება, საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობის დადგენა და რეფორმის რეკომენდაციების შემუშავება – ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის სრულყოფასა და სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

მიზნიდან გამომდინარე, დასახულია შემდეგი ამოცანების განხორციელება: ეკონომიკური ზრდის პირობებისა და ფაქტორების სისტემაში ფინანსური ინსტიტუტების ანალიზის კონცეპტუალური საფუძვლების შემუშავება; ფინანსური ინსტიტუტების შინაარსის,

სტრუქტურის, ფუნქციებისა და საინვესტიციო რესურსების ფორმირებაზე მათი ზემოქმედების მექანიზმის თეორიულ-მეთოდოლოგიური დასაბუთება; მიკროსაფინანსო ორგანიზაციების როლისა და ფუნქციების განსაზღვრა საქართველოს ფინანსურ სექტორში; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი სტატუსის, რეგულირების პრინციპებისა და ლიცენზირების რეჟიმის ანალიზი; მისოზე ზედამხედველობის განხორციელების პრაქტიკის შესწავლა და არსებული მარეგულირებელი მექანიზმების შეფასება; საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზება მისოს სამართლებრივი რეგულირების კუთხით და მისი შედარება საქართველოს მოდელთან; მისოს საქმიანობის დადებითი და უარყოფითი ეფექტების გამოვლენა, განსაკუთრებით მომხმარებლის უფლებების დაცვისა და ფინანსური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით; სამართლებრივი ჩარჩოს ხარვეზების იდენტიფიცირება და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება მისოს სამართლებრივი და ინსტიტუციური განვითარებისათვის.

კვლევის ობიექტი და საგანი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს მისოს მიმდინარე სამართლებრივი, ეკონომიკური და ინსტიტუციური პროცესები საქართველოში, მათ შორის მისოს საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება, ლიცენზირების სისტემა, ზედამხედველობის მექანიზმები და მათი განვითარება ფინანსური სისტემის ფარგლებში. კვლევის საგანი არის მისოს სამართლებრივი სტატუსი, რეგულირებისა და ზედამხედველობის არსებული მექანიზმები, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული მათი უფლებამოსილებები და შეზღუდვები ფინანსურ ბაზარზე. ეკონომიკურ-სამართლებრივი ინტეგრირებული მიდგომით კვლევის საგანია მისოს სამართლებრივი გარემო და მისი გავლენა ორგანიზაციების ფინანსურ სტაბილურობასა და სოციალური მისიის შესრულებაზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის კონტექსტში. ინსტიტუციური განვითარების ხაზით კვლევის საგანია მისოს ინსტიტუციური განვითარების სამართლებრივი საფუძვლები,

მარეგულირებელი ჩარჩო და ფინანსური სექტორის სხვა აქტორებთან მათი ურთიერთქმედება.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია. მოცემული კვლევა შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას ეფუძნება, რაც როგორც ხარისხობრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდებს მოიცავს. კვლევის მიზანია მისოს სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი საქართველოში, არსებული პრაქტიკის შეფასება და სამართლებრივი რისკებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება. დოკუმენტური ანალიზი – შეგროვდა და გაანალიზდა მისოს მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის: „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სებ-ის რეგულაციები და ბრძანებები, სხვა ნორმატიული აქტები. საექსპერტო ანგარიშები და კვლევები – გამოყენებულ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დოკუმენტები. სასამართლო პრაქტიკა – გაანალიზდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი-სებ-ისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე გაკეთდა მისოს რაოდენობის, საბაზრო წილის, ფინანსური მაჩვენებლების, მომხმარებელთა სტატისტიკური ანალიზი. შედარებითი ანალიზი- უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გამოკვეთის მიზნით მოხდა საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარება.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია მისოს სამართლებრივი ბუნების ავტორისეული ინტერპრეტაცია. იგი ფუნქციური დანიშნულების, სამოქმედო მოდელისა და ეკონომიკური გავლენის ანალიზს ეფუძნება; იდენტიფიცირებულია მისოს სამართლებრივი რეგულირების არსებული ხარვეზები და გამოწვევები, მათ შორის სამართლებრივი არაერთმნიშვნელოვნება, ზედამხედველობის შეზღუდული ინსტრუმენტები და მომხმარებლის ინტერესების დაცვის სუსტი მექანიზმები; შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია

საერთაშორისო პრაქტიკის ის ასპექტები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას საქართველოს მარეგულირებელი სისტემის გაუმჯობესების მიზნით; შემოთავაზებულია მისოს სამართლებრივი რეფორმის რეკომენდაციები, რაც როგორც საკანონმდებლო ცვლილებებს, ისე ინსტიტუციური ზედამხედველობის მოდერნიზების ინიციატივებს მოიცავს; შემუშავებულია მისოს შეფასების სამართლებრივ-ფუნქციური მოდელი, რომელიც ფინანსურ სტაბილურობასა და სოციალურ ეფექტიანობაზე გავლენას ითვალისწინებს.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია მისოს სამართლებრივი მდგომარეობის ინტეგრირებული ანალიზი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თავისებურებებს, სექტორის რეგულირების პრაქტიკულ შედეგებსა და საერთაშორისო სამართლებრივ ტენდენციებს ითვალისწინებს. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე ვლინდება შემდეგში: მისოს სამართლებრივი ბუნების დეტალური დეფინიცია – სადისერტაციო ნაშრომში განისაზღვრება მისოს სამართლებრივი სტატუსი როგორც ჰიბრიდული ტიპის სუბიექტისა, რომელიც როგორც კომერციულ, ისე სოციალურ ფუნქციებს აერთიანებს. სამართლებრივი იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციისთვის წარმოდგენილია ახალი მიდგომა. პრაქტიკული საქმიანობისა და სამართლებრივი რეგულაციის თანხვედრის ანალიზი – სადისერტაციო ნაშრომში პირველად არის განხორციელებული კომპარატიული ანალიზი იმ განსხვავებას შორის, რასაც მისოს სამართლებრივი რეგულაცია კანონით და რეალურ საქმიანობას შორის ადგენს. სამართლებრივი რისკების თეორიული მოდელირება – სადისერტაციო ნაშრომში მისოს სამართლებრივი რისკების შეფასების მოდელი არის შემუშავებული, რომელიც ფინანსურ სტაბილურობას, მომხმარებლის უფლებების დაცვასა და ხელშეკრულებების გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ მაჩვენებლებს ეყრდნობა. ინოვაციური რეგულატორული მოდელის კონცეფცია – სადისერტაციო ნაშრომში შემუშავებულია გრძელვადიანი სამართლებრივი მოდელი, რომელიც მაღალი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პირობებში

მინიმალურ რეგულაციას ითვალისწინებს. ეს უკანასკნელი კი მიკროსაფინანსო სექტორის მდგრადობასა და საზოგადოების ნდობას აძლიერებს. მიკროსაფინანსო კანონმდებლობის შერწყმის მეთოდოლოგიური მიდგომა საბანკო და მომხმარებლის დაცვის სამართალთან – წარმოდგენილია ავტორისეული ხედვა იმაზე, როგორ შეიძლება მიკროსაფინანსო რეგულაციები ინტეგრირდეს უფრო ფართო ფინანსურ სამართლებრივ სტრუქტურაში ისე, რომ ბაზრის თავისუფლებასა და მომხმარებლის უფლებებს შორის დაცული იყოს ბალანსი.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი თავფურცლის, აბსტრაქტის (ქართულ და ინგლისურ ენაზე), გამოყენებული აბრევიატურების ნუსხის, ლიტერატურის მიმოხილვის, შესავლის, 4 თავის, 13 ქვეთავისა და ქვერაგრაფების, აგრეთვე დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან შედგება. სადისერტაციო ნაშრომი სულ კომპიუტერზე ნაბეჭდ A-4 ფორმატის 168 გვერდზე არის შესრულებული.

ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მნიშვნელოვანი იყო როგორც ქართული, ისე უცხოურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ფართო სპექტრის გამოყენება. ქართულ წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ნაშრომებს, რომლებიც დეტალურად ეროვნული სამართლის ნორმების ანალიზს, მისოს რეგულირებისა და საბანკო სამართლის სფეროს სამართლებრივ საფუძვლებს მოიცავს. უცხოურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა გლობალურ კონტექსტში ქართული პრაქტიკის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალები საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორში კვლევის ღრმა ანალიზის, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის, ასევე ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების შესაბამისობისათვის რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას ქმნის.

1. **ზვიად გაბისონიას სახელმძღვანელო „საბანკო სამართალი“**, თბილისი, იურისტების სამყარო, 2017, საბანკო სამართლის სფეროში ქართულ ენაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური აკადემიური ნაშრომია. იგი საბანკო სამართლის ძირითადი ინსტიტუტებისა და ნორმების სისტემურ და შედარებით ანალიზს ისახავს მიზნად. ავტორი იყენებს შედარებით-სამართლებრივ მეთოდს, რათა გააანალიზოს ქართული საბანკო კანონმდებლობა და იგი სხვა ქვეყნების პრაქტიკასთან შეადაროს. ნაშრომი საბანკო სამართლის დარგში ღრმა ანალიზისა და პრაქტიკული რეკომენდაციების გასაკეთებლად არა მხოლოდ იურისტებისათვის, არამედ ამ საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის მნიშვნელოვანი რესურსია.

2. **შენგელია რ., შენგელია ე., სახელმძღვანელო „საბანკო სამართლის საფუძვლები“** გამომცემლობა „სამართალი“, 2014, საბანკო სამართლის დარგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აკადემიურ წყაროდ მიიჩნევა, ვინაიდან იგი როგორც საბანკო ინსტიტუტების ორგანიზაციისა და

ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს, ასევე სამართლებრივი რეგულაციების პრაქტიკულ შედეგებს აშუქებს. ნაშრომის ტექსტი როგორც ეროვნული კანონმდებლობის ნორმებს, ისე სამართლებრივი დოქტრინის ზოგად პრინციპებს ეყრდნობა, რაც საბანკო სამართლის სფეროზე საშუალებას ღრმა და მრავალმხრივი წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

3. ცაავა გ., საბანკო საქმე, გამომცემლობა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2005, საბანკო საქმიანობის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს ანალიზებს. იგი როგორც როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რესურსია. ნაშრომი საბანკო სისტემის სტრუქტურას, ბანკის ფუნქციებს, საკრედიტო პოლიტიკას, ანგარიშგების მეთოდებსა და ფინანსური რისკების მართვას მოიცავს. ავტორი დეტალურად განიხილავს საბანკო ინსტიტუტების როლს, მათ შორის კომერციული ბანკების, სპეციალიზებული ფინანსური ინსტიტუტების და ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ეკონომიკურ ბაზარზე.

4. Christen R. P., Lauer K., Lyman T. R., Rosenberg R., /CGAP /Microfinance Consensus Guidelines: A guide to regulation and supervision of microfinance /April 2011, მიკროსაფინანსო სექტორის რეგულირების და ზედამხედველობის სფეროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტია. ნაშრომში დახასიათებულია როგორც პრუდენციული, ისე არაპრუდენციული რეგულაციები, ხაზი აქვს გასმული მისოს საქმიანობის სპეციფიკასა და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის საჭიროებას, რომელმაც დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობას უნდა შეუწყოს ხელი.

5. Lascelles, D. (2012) Microfinance – A Risky Business. A Time for Strong Leadership. Center for Financial Inclusion, მნიშვნელოვანი ანალიზია მიკროსაფინანსო სექტორის რისკების მართვისა და მმართველობის საკითხებზე. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მისო არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც სოციალური ინიციატივები, არამედ როგორც ფინანსური

ინსტიტუტები, რომლებიც მყარ მმართველობასა და რისკების ეფექტიან მართვას საჭიროებენ.

6. Литлфилд Э., Розенберг Р., Микрофинансы и малоимущие: разрушаем стены между микрофинансированием и формальными финансами, 2004, ნაშრომი მისოს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისა და პრაქტიკის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო გზამკვლევაა. ნაშრომი კონკრეტულად განსაზღვრავს, როგორ უნდა აწარმოონ ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშისა და სხვა ფინანსური დოკუმენტების შედგენა მისო-ებმა. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანგარიშგების სემინტირებას, კრედიტების პორტფელის მართვას, აქტივების ხარისხს და რისკების ეფექტიან მენეჯმენტს მრავალფუნქციურ ორგანიზაციებში.

თავი I. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების როლი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში: სამართლებრივი სტატუსის, ფინანსური ჩართულობის ინსტრუმენტებისა და დინამიკის ანალიზი

1.1 ფინანსური ინსტიტუტების ცნება და სახეები

1.1.1 მიკროდაფინანსების განვითარება: სახელმწიფო მხარდაჭერის როლი, ისტორია და პერსპექტივები

მისოს როლი სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია, რაც კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურასა და რეგულირების მოდელზე არის დამოკიდებული. განსხვავება განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებსა და პოსტსაბჭოურ სივრცეს შორის არის თვალშისაცემი. ევროპული გამოცდილება აჩვენებს, რომ მისო ძირითადად სპეციალიზებული ინსტიტუტების სახით არსებობს და კონკრეტული სექტორების მომსახურებაზე, მაგალითად, აგრარული წარმოების, ტურიზმისა თუ ინოვაციური მცირე ბიზნესის დაფინანსებაზე არის მიმართული. მისი მთავარი მიზანი ბაზრის იმ სეგმენტისათვის ხელმისაწვდომი და შედარებით იაფი საკრედიტო რესურსის უზრუნველყოფაა, რომელსაც საბანკო მომსახურებაზე წვდომა აქვს შეზღუდული. შედეგად, მისო ევროკავშირში არამხოლოდ სოციალური მხარდაჭერის, არამედ ეკონომიკის სტრატეგიული სექტორების განვითარების ინსტრუმენტადაც გვევლინება. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში კი მისო ხშირად უფრო ფართო სოციალურ ფუნქციას ასრულებს და მიზნად აქვს ფინანსური რესურსების მიწოდება მოსახლეობის იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც ბანკებისათვის მაღალი რისკის მატარებლად მიიჩნევიან. ეს განსხვავება ხაზს უსვამს იმას, რომ მისოს როლი და დატვირთვა დიდწილად რეგულაციური პოლიტიკითა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ეტაპით განისაზღვრება.¹

¹ Microfinance in Germany and Europa, <http://tk.eversjung.de/www/downloads/microfinance_in_germany_and_europe.pdf>, ნანახია: გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბ., 2017, 133.

მიკროდაფინანსების განვითარების ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული მთავრობის მიერ მიღებულ ზომებთან ქვეყანაში კერძო მეწარმეობის, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად. წლების განმავლობაში შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რამაც ეკონომიკის ამ სექტორის როლისა და რეგულირების გასაზრდელად შიდა მიკროდაფინანსების განვითარებას ერთგვარი იმპულსი მისცა.² ამასთან, მიკროდაფინანსება, გავიდა რა მიკროკრედიტების ფარგლებიდან, დღეს უკვე ფინანსური მომსახურების ფართო სპექტრს–დაგროვებას, მიკროდაზღვევას, მიკროლიზინგს, ფულად გზავნილებსა და გადახდებს–მოიცავს.³ მისო მომსახურების ახალ ინოვაციურ ტექნოლოგიებს, როგორცაა დისტანციური მომსახურება მობილური კავშირის მეშვეობით, ელექტრონული ბანკინგი და ა.შ. წარმატებით ახორციელებს. მისოს შემდგომი განვითარებისათვის დიდი პოტენციალი არსებობს. მოსახლეობის თვითდასაქმებისა და საშუალო ფენის ჩამოყალიბების უზრუნველყოფაში მას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.⁴ ამასთან, ამ პოტენციალის განსახორციელებლად ადამიანური რესურსების შესაბამისი ბაზის შექმნა–ამ სფეროში კვალიფიციური პერსონალის ტრენინგი, მათი მომზადება და გადამზადება არის აუცილებელი.

ამჟამად, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, ფინანსური სისტემის განვითარების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად სწორედ სრულფასოვანი მისოს შექმნა სახელდება. მან ფინანსურ მომსახურებაზე უფრო მეტი ხელმისაწვდომობა, მიკროსაფინანსო ინსტრუმენტების გაზრდა, ასევე მათი მეთოდოლოგიისა და მექანიზმების გაუმჯობესება უნდა უზრუნველყოს.⁵ სრულფასოვანი მისოს სექტორის ჩამოყალიბების

² Beradze R., Khulordava T., (Reviewer), Ebanoidze V., Access to Finance for SMEs: Alternative Sources of Finance in Georgia, 2021, 22.

³ Bateman M. Why doesn't microfinance work? The destructive rise of local neoliberalism. London –New York: Zed Books, 2010, 65.

⁴ Lahaye, E., Rizvanolli, R., Current Trends in Cross Border Funding for Microfinance. Washington: CGAP Brief 2012, 34.

⁵ Microfinance activities and the Core Principles for Effective Banking Supervision// Basel Committee on Banking Supervision. Bank for international settlements. – 2010, 37.

უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იმის მიღწევას, რომ ფინანსური მომსახურების საჭიროების მქონე ყველა პირმა, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა, შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობისა, მასზე მდგრადი და ეკონომიკურად მომგებიანი პირობებით წვდომა შეძლოს.⁶ ხშირად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არა აქვთ მკვეთრად გამოხატული, მოგებაზე ორიენტირებული ფინანსურ ინსტიტუტუს ფორმა და ხშირად ისინი არაკომერციული იურიდიული პირის ფორმითაც კი იქმნებიან.⁷ მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი სარგებლობს მისოს მომსახურებით, რომელსაც თითქმის 30 წლიანი ისტორია გააჩნია და გავრცელებულია როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.⁸ დღესდღეობით, მიკროდაფინანსება სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდია. საქართველოში მიკროფინანსირება დაახლოებით ოცი წლის წინ გაჩნდა, თუმცა ფინანსური ბაზრის ამ სეგმენტის მიმართ ინტერესი შედარებით მოგვიანებით დაიწყო. ლოკალურ დონეზე მისოს სამართლებრივი სტატუსი ზოგიერთ ქვეყნებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე ცალკე მიღებული სპეციალური კანონით განისაზღვრება.⁹ ამჟამად, საქართველოს მიკროსაფინანსო ბაზარი ფორმირებისა და რეგულირების საწყის ეტაპზეა.

1.1.2 მიკროდაფინანსება როგორც ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურება ეკონომიკური ჩართულობისათვის

მიკროდაფინანსება–არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც მიკრობიზნესის შექმნისა და განვითარების მიზნით იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა

⁶ Odell K. Measuring the Impact of Micro finance: Taking another Look. Grameen Foundation Publication Series, Washington DC. – 2010,52.

⁷ გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბ., 2017, 133.

⁸ ხომერიკი თ., მცირე ბიზნესის დაფინანსება, ჟურ. საქართველოს ეკონომიკა, e-ISSN 1512-2980, N5, 2004, 45.

⁹ მაჭარაშვილი გ., მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურ. სამართლის მაცნე, 2022, N5 (7), 132.

სესხების (კრედიტების) გაცემა ხდება. მიკროდაფინანსება არის ფინანსური მომსახურება. იგი ძირითადად მიმართულია მეწარმეთა ჯგუფზე, რომლებიც საბანკო კრედიტის მიღებაში ნაწილობრივ შეზღუდულნი არიან ან მასზე წვდომა საერთოდ არ აქვთ. ასეთი შეზღუდვის ბუნება შემოსავლების დონეზე და ამ ჯგუფის წარმომადგენლების ქონებრივ სტატუსთან არის დაკავშირებული.¹⁰

მიკროდაფინანსება შემდეგი პროცესების განვითარებას უწყობს ხელს: აქტუალური საჭიროებების დაკმაყოფილება და ფინანსურად ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსების რისკების დაცვა; მცირე და საოჯახო მეწარმეობის გაფართოება; ეკონომიკურ საქმიანობაში ქალების მონაწილეობის გაფართოებით გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა; ადგილობრივი წარმოების პოტენციალში ინვესტირება; სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირება, სოციალური და ადამიანური რესურსების განვითარების გაძლიერება; მცირე რესურსების მქონე პირების რეალური ეკონომიკის პროცესებში ჩართვა; ფინანსური ბაზრების ახალი სეგმენტების ფორმირება.¹¹

მიკროდაფინანსება, პირველ ყოვლისა, სამეწარმეო პოტენციალის მქონე მოსახლეობის ფენების დაცვაზე არის მიმართული. მეორე რიგში, მის ამოცანად მცირე შემოსავლიანი მეწარმეების დაცვა სახელდება. პირველ ჯგუფში შედიან უმუშევრები. მათ შორის პრიორიტეტით სარგებლობენ ქალები, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, ახალგაზრდები. მეორე ჯგუფში იურიდიული პირის შექმნის გარეშე მოქმედი ინდივიდუალური მეწარმეები და მიკროსაწარმოები შედიან. მისოს განვითარება საზოგადოების სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტიცაა, რადგან იგი საშუალებას აძლევს საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე

¹⁰ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის საქმიანობის ზედამხედველობის, რეგულირების და აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესები, 2018<<https://nbg.gov.ge/media/news/mikrosapinanso-organizatsiebisatvis-sakmianobis-zedamkhedvelobis-regulirebis-da-aktivebis-k> [17.03.2025.]

¹¹ Daniel C. Hardy, Paul Holden, Microfinance Institutions and Public Policy. IMF Working Paper, –September 2002, 23.

პირებს აწარმოონ დამოუკიდებელი ბიზნეს-საქმიანობა და მიიღონ სათანადო შემოსავალი.¹²

ამასთან ერთად, მიკროსაფინანსო მომსახურების მომხმარებლებად მიიჩნევიან დამწყები მეწარმეები, პატარა ქალაქებისა და სასოფლო დასახლებების მაცხოვრებლები. აღნიშნული პირები ფინანსური რესურსების მოძიებასთან დაკავშირებით განიცდიან მნიშვნელოვან სირთულეებს შემდეგი მიზეზების გამო: საბანკო კრედიტის მიღებისათვის ოფიციალური შემოსავლის დადასტურების შესაძლებლობის არარსებობა; კრედიტის მიღებისათვის გირავნობის უზრუნველყოფის არარსებობა; მოთხოვნილი სესხის ოდენობის სიმცირე და, შესაბამისად, სერვისის მისაწოდებლად ბანკების მზაობის არარსებობა; მიკროკრედიტის გამცემი ბანკებისაგან გეოგრაფიული დისტანცირება; მოსახლეობის მოცემული ჯგუფების მიკროდაკრედიტებისათვის აპრობირებული საბანკო მიკროსაკრედიტო პროდუქტების და სპეციალისტების არარსებობა.¹³

მიკროდაფინანსების როლი თანამედროვე ბაზარზე საფინანსო მომსახურების დასადასტურებლად მსოფლიო ბანკის შეფასებით: მსოფლიოში არსებობს 10 ათასზე მეტი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელიც განვითარებადი ქვეყნების 500 მილიონზე მეტ ღარიბ მოსახლეობას ემსახურება. მოცემული ორგანიზაციების ბრუნვაში არსებული სახსრები 2,5 მილიარდ აშშ დოლარად არის შეფასებული.¹⁴

1.1.3 მიკროდაკრედიტების როლი მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობაში

მიკროდაკრედიტების სისტემის განვითარება და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ქსელის გაფართოება საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის მთავარი ასპექტია. ჩვენს ქვეყანაში მისოს მუშაობის

¹² ხომერიკი თ., მცირე ბიზნესის დაფინანსება, ჟურ. საქართველოს ეკონომიკა, e-ISSN 1512-2980, N5, 2004, 47.

¹³ Trew A. Finance and Growth: A Critical Survey. - University of St. Andrew, Center for Dynamic Macroeconomic Analysis Working Paper CDMA 05/07, 2005, 8.

¹⁴ Lindsay J., Microfinance/J., Lindsay//SPEA. – 2010, 3-5.

გამოცდილება აჩვენებს, რომ მიკროდაკრედიტება მოსახლეობის მხრიდან, განსაკუთრებით კი, სოფლის მოსახლეობაში პოზიტიურად არის შეფასებული და დადებითი შედეგები აქვს.¹⁵ მსესხებლების – სოფლის მოსახლეობის მენტალობა შესამჩნევად შეიცვალა. ისინი საბაზრო ურთიერთობების პირობებში ცხოვრებას ეგუებიან და სარჩოს მიღებაზე დამოკიდებულებაც თანდათანობით ქრება. გაცილებით აქტიურად დაიწყო მეწარმეობისა და საოჯახო ბიზნესის განვითარება, შესაბამისად, ოჯახების ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა, მატერიალური მდგომარეობის კრიზისული პერიოდი დაიძლია. ასე, მიკროკრედიტების დახმარებით სოფლის მოსახლეობა შინაურ ცხოველებს, ფრინველებს, ბოსტნეულსა და ბაღჩეულ კულტურებს უვლის. გარდა ამისა, ორგანიზებას უკეთებს სამკერვალო, პურ-ფუნთუშეულის, საკონდრიტრო ნაწარმის, ავტოტექნიკის რემონტს, ეწევა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას, ხდება მრეწველობის აღორძინება და ა.შ. გამოცდილება აჩვენებს, რომ თითოეული მიკროკრედიტი საშუალოდ 2-დან 4-მდე უმუშევრის დასაქმებას უწყობს ხელს.¹⁶

მიკროდაფინანსების განმარტება და მასშტაბები დროთა განმავლობაში შეიცვალა. ამჟამად აღნიშნული ტერმინი ფინანსურ მომსახურებასთან მიმართებაში გამოიყენება. მიკროდაფინანსება ფინანსურად დაბალი შემოსავლის მქონე კლიენტებზე არის მიმართული. იგი კრედიტის, სესხის, დანაზოგის, დაზღვევისა და ფულადი გზავნილების მომსახურებას მოიცავს.¹⁷ მისომ შეიძლება სოციალურ თანამშრომლობად წოდებული სხვა მომსახურება განახორციელოს. ეს უკანასკნელი ჯგუფების

¹⁵ საზოგადოება და ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის მიმოხილვა (2010-2014), www.nbg.gov.ge [23.04.2025.]

¹⁶ The principles of microfinance and microcredit [ელექტრონული რესურსი] – ხელმისაწვდომია: <http://www.microfinanceinfo.com/the-definition-of-microfinance/> [23.04.2025.]

¹⁷ Weber, R., Musshoff, O., Petrick, M., How flexible repayment schedules affect credit risk in microfinance. Paper presented at the International Agricultural Risk, Finance and Insurance Conference (IARFIC), Vancouver, Canada, June 16–18, 2013, 23.

ფორმირებით, ლიდერული უნარ-ჩვევებითა და ერთობლივი სწავლების გზით ადამიანური და სოციალური კაპიტალის შექმნაზე არის მიმართული.¹⁸

მიკროდაკრედიტება მიკროსაფინანსო მომსახურების ძირითადი ტიპია. იგი როგორც მოქმედი, ასევე ახალი საწარმოების დაფინანსებას ისახავს მიზნად. მიკროსაკრედიტო საქმიანობა მცირე ბიზნესის მფლობელებისათვის სესხის მიღების წვდომაზე არის მიმართული. მიკროდაფინანსება მეწარმეებს საშუალებას აძლევს გამარტივებული დოკუმენტაციითა და პროცედურით მიიღონ სათანადო სახსრები, თანაც ყოველივე ეს ხორციელდება ძალიან მოკლე დროში და ხელმისაწვდომი რეჟიმით; იგი არ საჭიროებს გარანტიების ძვირ მეთოდებს და გირავნობის მძიმე პირობებს.¹⁹

1.1.4 ფინანსური სტაბილურობის გზები: მიკროდანაზოგებისა და მიკროდაზღვევის როლი მცირე ბიზნესისა და ოჯახების გაძლიერებაში

ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი პირებისათვის მიკროდანაზოგები შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე დაკრედიტება. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მისო უფრო მეტ ყურადღებას სესხებზე ამახვილებდა, ვიდრე დანაზოგებზე, ბოლო მონაცემები მიუთითებს, რომ დაბალშემოსავლიანი პირების უმრავლესობა დანაზოგს აკეთებს მაშინაც კი, თუნდაც ასეთი დანაზოგი ფინანსურ საშუალებას არ წარმოადგენდეს. ჩვეულებრივ, დანაზოგი არალიკვიდური სახსრების სახით, როგორცაა შინაური ცხოველები, მარცვლეული და საიუველირო ნაკეთობები, კეთდება. ღარიბთა დახმარების საკონსულტაციო ჯგუფი²⁰ აღიარებს, რომ დაბალშემოსავლიან ოჯახებს შორის დანაზოგზე მოთხოვნა უფრო მაღალია, ვიდრე მოთხოვნა სესხზე და ხშირად სწორედ

¹⁸ Pistelli M. “Defining responsible financial performance: how to think about social performance”, MicroBanking Bulletin, June, 2011, 23.

¹⁹ ხომერიკი თ., მცირე ბიზნესის დაფინანსება, ჟურ. საქართველოს ეკონომიკა, e-ISSN 1512-2980, N5, 2004, 42.

²⁰ CGAP — Consultative Group to Assist the Poor—ღარიბთა დახმარების საკონსულტაციო ჯგუფი, <https://www.devex.com/organizations/consultative-group-to-assist-the-poor-cgap-1711> [12.03.2025.]

ფინანსური მომსახურების არარსებობა მათ ხელმისაწვდომობას დანაზოგის უფრო უსაფრთხო და ლიკვიდური ფორმების მიმართ ზღუდავს. მიკროდანაზოგები არის მიკროდეპოზიტები, რომლებიც დაბალშემოსავლიან პირებს საშუალებას აძლევს თანხა უსაფრთხო ადგილას განათავსონ. დანაზოგის ხელმისაწვდომობა იცავს ასეთ საოჯახო მეურნეობებს, იყენენ ნაკლებად მოწყვლადები გარე ფაქტორებისაგან. ამ მიზნით განხორციელებული დანაზოგი დაკრედიტების პრაქტიკისაგან განსხვავებულია. ეს უკანასკნელი სესხის გამცემ ორგანიზაციაში გირაოს სახით გარკვეულ უზრუნველყოფას მოითხოვს.²¹

მიკროდაზღვევა მიკროსაფინანსო სექტორში მომსახურების უახლესი ტიპია. იგი მოსახლეობის მოწყვლადობის შესამცირებლად ეფექტიანი ინსტრუმენტია. მიკროდაზღვევაზე მოთხოვნა მოსახლეობის დაბალშემოსავლიან და მასთან მიახლოებული მოსახლეობის კატეგორიას შორის, რომელთათვისაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა სასიცოცხლოდ აუცილებელია.²²

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები განსაკუთრებით დაინტერესებულები არიან დაზღვევაში, რომელიც მათ, შესაბამისად, ცუდი მოსავლიანობის შემთხვევაში დაიცავს. ფართო ინტერესის მიუხედავად, მსგავს მომსახურებას მხოლოდ ზოგიერთი მისო ახორციელებს. ამჟამად დაკრედიტების ზოგიერთი ჯგუფის პროგრამას სავალდებულო დაზღვევის სქემები გააჩნია, რომელთა მიზანიც გაუთვალისწინებელი სიტუაციების შემცირებაა. სავარაუდოა, რომ აღნიშნული სერვისი ჯეროვან განვითარებას გააგრძელებს, რათა სამომავლოდ დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის რაც

²¹ The principles of microfinance and microcredit [ელექტრონული რესურსი]. – ხელმისაწვდომია:<http://www.microfinanceinfo.com/the-definition-of-microfinance/> [23.04.2025.]

²² Social Funds: microfinance [ელექტრონული რესურსი]/The World Bank. – ხელმისაწვდომია:<http://web.worldbank.org/website/external/topics/extsocialpropestion/extsf/0contentMDK:20617496-menuPK:1561930-pagePK:148956-piPK:216618-theSitePK:396378.00.html> [25.05.2025.]

შეიძლება უფრო დიდი აუდიტორია დაფაროს.²³ მიკროდაფინანსება მცირე ბიზნესს აძლევს შესაძლებლობას, წარმატებით მოერგოს საგარეო გარემოს ცვლად პირობებს და გადაჭრას თავისი საქმიანობისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ამოცანები – როგორცაა საბრუნავი კაპიტალის შევსება, ძირითადი აქტივების ფორმირება, საკრედიტო ისტორიის შექმნა, რაც მომავალში ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს და სხვ.

1.2 მიკროდაფინანსების მიზნები და ამოცანები

1.2.1 მიკროდაფინანსება როგორც ეკონომიკური გაძლიერების ინსტრუმენტი – შესაძლებლობები და გამოწვევები

ამჟამად მიკროდაფინანსების ძირითად მიზნებად სიღარიბის დონის შემცირება, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაში საზოგადოების ყველაზე ნაკლებად დაცული წევრების (ქალების, ღარიბების და ა.შ.) მონაწილეობის შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ახალი სამუშაო ადგილებისა და ბიზნესის მიმართულებების შექმნა, ეკონომიკის გარკვეულ სექტორებში შრომისუნარიანი ფიზიკური პირების ჩართულობის სტიმულირება განიხილება. მცირე ბიზნესისათვის მიკროდაფინანსება ასევე მაღალდინამიკური და ეფექტიანი დაკრედიტების სისტემის შექმნას უზრუნველყოფს. ყოველივე ეს საქონლისა და მომსახურების წარმოება-განაწილების დამატებითი წახალისებისათვის არის საჭირო. მიკროდაფინანსება დამწყებ მეწარმეებს ასევე სარგებლის მიღებასა და კაპიტალის დაროვნებაში ეხმარება.²⁴

მისო მომსახურებას უწყევს მეწარმეებს. აღნიშნული მომსახურება ავსებს კომერციული ბანკების მომსახურებას, რაც მთლიანად ქვეყნის ფინანსურ სისტემას აძლიერებს. კომერციული ბანკების მიერ დაწესებული

²³ McKee, K., Voting the Double Bottom Line: Active Governance by Microfinance Equity Investors. CGAP Focus Note No.79. May 2012, 12.

²⁴ Consultative Group to Assist the Poor (CGAP). 2006. Key principles of microfinance, at: <http://www.cgap.org>

პირობები მეწარმეებისათვის ხშირად გადაუჭრელია. არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მჭიდროდ ურთიერთთანამშრომლობენ საბანკო სექტორთან.²⁵ მისო მცირე ზომის ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებს, რომელიც გარკვეული სარგებლისა და რისკის დაბალი ხარისხის თვალსაზრისით კომერციული ბანკებისათვის, არ არის მიმზიდველი.

მიკროდაფინანსება მოსახლეობას საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისაკენ უბიძგებს, რაც არა მხოლოდ ბიუჯეტის სოციალურ ვალდებულებებს ამცირებს, არამედ ასევე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი და ფინანსური ბაზრის სუბიექტებისაგან საგადასახადო შემოსავლების გაზრდას უწყობს ხელს.²⁶ მიკროდაფინანსების პროგრამებისა და ინსტიტუტების განვითარება მოსახლეობის საშუალო კლასის ჩამოყალიბების, დამწყები მეწარმეობის განვითარებისა და უკვე არსებული მიკროსაწარმოთა შემდგომი ზრდისათვის მნიშვნელოვანია. თუმცა, გარდა აღნიშნულისა, მიკროფინანსებაზე საზოგადოების მოსაზრება რადიკალურად შეიცვალა. მიკროფინანსებას მილიარდობით დონორული ფულის „შთანთქმში ადანაშაულებენ“, თუმცა ამ თანხების დაბანდების მიუხედავად, სიღარიბის დონის გაუმჯობესებაზე ძალიან მცირე შედეგი ჩანს.^{27, 28} კრედიტის სოციალური ფუნქციებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: სიღარიბის შემცირება და სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა; ფინანსური მომსახურების ბაზარზე განვითარებული მიკროდაკრედიტების სეგმენტის არსებობა ზრდის მოქალაქეების შესაძლებლობებს სამეწარმეო კაპიტალის რეალიზებაში, თვითდასაქმებაში და მისთ.; მიკროდაკრედიტება

²⁵ ზომერიკი თ., მცირე ბიზნესის დაფინანსება, ჟურ. საქართველოს ეკონომიკა, e-ISSN 1512-2980, N5, 2004, 44.

²⁶ Bateman M. Why doesn't microfinance work? The destructive rise of local neoliberalism. London –New York: Zed Books, 2010, 80.

²⁷ Drake, B. (2009) Small Change. In: The Boston Globe 20.9.2009, under http://www.boston.com/bostonglobe/ideas/articles/2009/09/20/small_change_does_micro lending_actually_fight_poverty/ [23.06.2025].

²⁸ Harford, T. (2009) Perhaps microfinance isn't such a big deal after all. In: Financial Times 5.12.2009, under <http://www.ft.com/cms/s/0/ae4211e8-dee7-11deadff-00144feab49a.html>. [23.06.2025].

ასევე შეიძლება ბიზნესისა და საქმიანი ურთიერთობების დეკრიმინალიზაციის საშუალებად იქნეს მიჩნეული: როგორც უცხოური პრაქტიკა აჩვენებს, მიკროსაფინანსო ინსტიტუტების განვითარების პირობებში მცირდება „არაფორმალური დაკრედიტების“ სექტორი და საქმიანობის გამჭვირვალობა ფართოვდება.²⁹

მიკროდაკრედიტების ეკონომიკურ ფუნქციებს მიეკუთვნება შემდეგი: ფინანსური მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდით შესაძლებელია ფინანსურად დამოუკიდებელი, თავისუფალი დაფინანსების მქონე ლოკალური ორგანიზაციების შექმნა – ფართო მნიშვნელობით, ეს მცირე ბიზნესის მდგრადობას აამაღლებს და მცირე მეწარმეობის სექტორის გაფართოებას შეუწყობს ხელს; მიკროდაფინანსება, მისი ადეკვატური გავრცელების პირობებში, ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკურ ბაზარზე არსებული ფინანსური მომსახურებების ხარისხის საერთო გაზრდას განაპირობებს და ფინანსური სისტემის განვითარების დადებით ვექტორს უზრუნველყოფს; გააძლიერებს და გააფართოებს მთელ ფინანსურ სისტემას, როგორც მთლიანობაში, ისე მის ცალკეულ სეგმენტებს, მაგ., საბანკო დაკრედიტებას, გააფართოებს ფინანსურ ბაზრებს და მათ რენტაბელობას გაზრდის; მიკროდაკრედიტება შეიძლება ასევე განიხილებოდეს როგორც საწყისი საკრედიტო ისტორიის ფორმირების მექანიზმი; მიკროდაკრედიტება მიიჩნევა ბიზნესის ერთ-ერთ მიმართულებად, რომელსაც დამფუძნებლებისათვის შემოსავლის მოტანა შეუძლია.³⁰

1.2.2 მიკროდაფინანსებისა და მიკროსაფინანსო ბაზრის ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები

მიკროდაკრედიტება მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩევა:

- მიკროკრედიტებთან თავისუფალი წვდომა;

²⁹ Statistics of Microfinance: Bank of the Lao. PDR, GIZ, German Federal Ministry for Economic. 2012, 43.

³⁰ Armendáriz de Aghion, B., Morduch, J., The economics of microfinance, 2nd ed. Cambridge, London: The MIT Press, 2010, 56.

- ნაკლებუზრუნველყოფილი ფიზიკური პირებისათვის, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის მიკროკრედიტების მიცემა, რომლებსაც მიკროკრედიტების მიზნობრივი გამოყენებისა და დროული დაბრუნებისათვის სათანადო პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

პირველი მიკროკრედიტის წარმატებული და დროული დაფარვა შემდგომი და უფრო დიდი ოდენობის მიკროკრედიტზე წვდომას უზრუნველყოფს. ჯგუფური გარანტიის სისტემა, ე.ი. კრედიტის დაფარვაზე ჯგუფი არის პასუხისმგებელი. მსესხებლებისა და ჯგუფის წევრების პროფესიული ზრდის პერსპექტივები.

მოსახლეობის მოზიდვის მასშტაბები და სიცოცხლისუნარიანობა ორი ძირითადი მახასიათებელია, რომელიც მისოს საქმიანობის შეფასებისას უნდა იქნეს განხილული. მოსახლეობის მოზიდვა ფინანსურ მომსახურებებსა და კომერციულ დაფინანსებაზე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ახასიათებს. სიცოცხლისუნარიანობა, როგორც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხარისხიანი ფინანსური მომსახურების საკვანძო ფაქტორი, წარმოადგენს აუცილებელ პირობას, რომ უფრო მეტმა ნაკლებადუზრუნველყოფილმა მოქალაქემ ისარგებლოს აღნიშნული სიკეთით. ტერმინი „სიცოცხლისუნარიანობა“ ორ ასპექტს – ფინანსურსა და ინსტიტუციურ მდგრადობას აერთიანებს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიკროდაფინანსების პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი საბოლოოდ წარმატებას ვერ აღწევს. ანალიზი ადასტურებს, რომ მიკრომსესხებლების წარუმატებლობის მიზეზები ძირითადად მასშტაბების ეფექტებისა და შევიწროების ეფექტების გამო ვლინდება.³¹

როგორც ცნობილია, მიკროდაკრედიტების გამოყენების ყველაზე გავრცელებული სცენარები ძირითადად ვაჭრობას, მეცხოველეობას ან მარცვლეულის წარმოებასა და გარკვეული მომსახურებების გაწევას მოიცავს.

³¹ Statistics of Microfinance: Bank of the Lao. PDR, GIZ, German Federal Ministry for Economic. – 2012, 68.

სამრეწველო წარმოებაზე საუბარიც კი ზედმეტია, ვინაიდან თუნდაც ყველაზე მარტივი წარმოება მნიშვნელოვნად უფრო მეტ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს, ვიდრე ამას მიკროკრედიტის ოდენობა უზრუნველყოფს. როდესაც მისოს კლიენტი, რომელიც მიკროდაკრედიტების ფარგლებში იღებს დაფინანსებას, იწყებს ეკონომიკურ საქმიანობას ზემოთ აღწერილ რომელიმე მიმართულებით, ბუნებრივია, რომ იგი შედის კონკურენციაში იმ ეკონომიკურ სუბიექტებთან, რომლებიც აღნიშნულ სექტორში უკვე მოქმედებენ. შედეგად, ახალი ბიზნესის გაჩენა ახალ სუბიექტზე მომხმარებლის ნაკადის გადანაწილებასა და არსებულ საწარმოებთან შედარებით გაყიდვების გარკვეული ნაწილის გადატანას იწვევს, რაც, თავის მხრივ, ბაზრის სტრუქტურასა და კონკურენციულ გარემოზე გავლენას ახდენს. მსგავს სიტუაციაში ე.წ. „გამოდევნის ეფექტი“ წარმოიშობა.³² ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქონლისა და მომსახურების ხარისხი დაახლოებით ერთსა და იმავე დონეზეა, ხოლო მათზე მოთხოვნა უკვე ჩამოყალიბებულია. ეს კი ნიშნავს, რომ ფასის მიმართ მოთხოვნა დაბალი ელასტიურობით გამოირჩევა. ასეთ პირობებში, როდესაც ახალი აქტორები გაყიდვებს და, შესაბამისად, შემოსავალს ამცირებენ, ბუნებრივია, რომ ეს უკანასკნელნი მომხმარებლების მოზიდვის მიზნით ფასებს შეამცირებენ. ფასების აღნიშნული შემცირება საბაზრო წონასწორობაზე ვლინდება.

თანამედროვე მსოფლიოში ბოლო წლების განმავლობაში მიკროსაფინანსო ბაზარზე განსაკუთრებული პოზიტიური დინამიკა შეინიშნება. მიკროსაფინანსო ინდუსტრია მთელ მსოფლიოში გაფართოვდა და 10-დან 15 ათასამდე ორგანიზაციას მოიცავს. ისინი დაახლოებით 80 მილიონ დაბალშემოსავლიან მოქალაქეს უწყვეტ მომსახურებას.³³ ამ სექტორში ბაზრის საშუალო წლიური ზრდა კვლავ ორნიშნა რიცხვებით

³² Daley-Harris S. State of the Microcredit Summit Campaign Report: material of Microcredit Summit Campaign. International Labor Organization. – 2003, 83.

³³ Social Funds: microfinance [ელექტრონული რესურსი]/The World Bank. – ხელმისაწვდომია: <http://web.worldbank.org/website/external/topics/extsocialpropestion/extsf/0contentMDK:20617496-menuPK:1561930-pagePK:148956-piPK:216618-theSitePK:396378.00.html> [25.05.2025.]

განისაზღვრება. CGAP-ის გათვლებით, ამ სექტორის მასშტაბები კიდევ უფრო დიდია: ალტერნატიულ საფინანსო ორგანიზაციებში გახსნილია დაახლოებით 750 მილიონი ანგარიში (სადეპოზიტო და საკრედიტო). CGAP-ში ადასტურებენ, რომ ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითადი კლიენტები ღარიბი და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები არიან.³⁴

მისოს განვითარება განსაკუთრებით აქტუალურია სასოფლო დასახლებებში, სადაც მეორე დონის ბანკების ფილიალები არ არსებობს. გარდა ამისა, მიკროდაკრედიტების განვითარება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსურ მდგრადობასა და ეფექტიან საქმიანობაზე პირდაპირ არის დამოკიდებული. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიკროსაფინანსო ბაზარი მკვეთრად შეიცვალა. ეს ცვლილებები შეეხო როგორც კლიენტებს, ასევე პროდუქტებსა და პრაქტიკას. მიკროსესხებზე, როგორც უკიდურესი სიღარიბის შემცირების ინსტრუმენტზე ორიენტირებული მიდგომიდან, მიკროსაფინანსო სისტემაზე გადასვლამ, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური სერვისებიდან გარიყული ჯგუფების ფართო სპექტრის დაფარვას – მათ შორის მცირე მეწარმეებსა და დაუცველ შინამეურნეობებს – მიკროსაფინანსო სფეროში არსებითი ტრანსფორმაცია გამოიწვია. შედეგად, მიკროსაფინანსო სისტემა მხოლოდ სოციალური დახმარების მექანიზმიდან ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გადაიქცა.

1.2.3 მიკროდაფინანსება როგორც სოციალური პასუხისმგებლობის განმახორციელებელი ფინანსური ინსტრუმენტი

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მიკროდაფინანსება სოციალური მეწარმეობის თვალსაჩინო მაგალითია – ის სოციალურ მისიასა და კომერციული შედეგის მიღწევის შესაძლებლობას აერთიანებს. ეს, უპირველესად, დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობას ეხება, რომელიც მცირემოსახლეობიან ქალაქებსა და სასოფლო დასახლებებში ცხოვრობენ,

³⁴ Christen R. P., Lauer K., Lyman T. R., Rosenberg R./CGAP/Microfinance Consensus Guidelines: A guide to regulation and supervision of microfinance/April 2020, 35.

აგრეთვე მიკრობიზნესის ხელმძღვანელებს, რომლებსაც აღნიშნული სერვისების გამოყენებით პიროვნული განვითარების, ბიზნესის გაფართოებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობა გააჩნიათ.³⁵

მიკროდაფინანსების ნიშა უნიკალურია. სინამდვილეში, ტრადიციული დაკრედიტების ტექნოლოგიები არ აძლევს ბანკებს შესაძლებლობას, ეფექტიანად და მასშტაბურად იმუშაონ ზემოაღნიშნულ კლიენტთა კატეგორიებთან. პირიქით, არაფორმალური მევახშეები, რომლებიც კომერციული მოგების მიღწევას ცდილობენ, სოციალურ ეფექტს ვერ აღწევენ. როდესაც ისინი სესხს აძლევენ აღნიშნული ჯგუფების კლიენტებს მხოლოდ კომერციული მოგების მიზნით, როგორც წესი, მევახშეები მათ სესხის გზით მიღებულ შემოსავალს თითქმის მთლიანად ართმევენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მევახშეები მსესხებლებს განვითარების საშუალებას არ უტოვებენ.³⁶

მისო როგორც სოციალური საწარმო, თავის კლიენტებს სოციალურ ქსელში აერთიანებს. მათ ნდობა, ურთიერთდახმარება და პასუხისმგებლობა აკავშირებთ. მიკროდაფინანსების მოდელი ითვალისწინებს სპეციალურად შემუშავებული პროცედურების გამოყენებას მსესხებლის რისკების შეფასებისათვის, ხოლო სესხების გაცემისა და მათი დაბრუნების უზრუნველსაყოფად საკუთარი ტექნოლოგიები არის ჩამოყალიბებული. გარდა ამისა, მოქმედებს კლიენტების ტიპების მიხედვით დიფერენცირებული საპროცენტო განაკვეთის სისტემა, რომელიც მსესხებლებს საშუალებას აძლევს, ვალის დაფარვის შემდეგ დარჩენილი შემოსავლის ნაწილი საკუთარი განვითარებისკენ მიმართონ. კლიენტებთან მუშაობისას პერსონალიზებული მიდგომა გამოიყენება.³⁷

³⁵ The principles of microfinance and micro credit [ელექტრონული რესურსი]. – ხელმისაწვდომია: <http://www.microfinanceinfo.com/the-definition-of-microfinance/> [21.03.2025]

³⁶ Statistics of Microfinance: Bank of the Lao. PDR, GIZ, German Federal Ministry for Economic, 2012, 56.

³⁷ Giovanni Calvi Parisetti and Evrim Kirimkan/Risk Management Graduation Model for Microfinance Institutions (MFIs)/July 2015, 65.

მიკროდაფინანსების სოციალური ზემოქმედების მექანიზმია: პიროვნული ცვლილებების გზით ბიზნესის გაძლიერება და შინამეურნეობის ეკონომიკური მდგრადობის გაზრდა. მიკროდაფინანსების კონცეფციაში ჩადებულია იდეა, რომ ადამიანებისათვის, რომლებიც სამეწარმეო პოტენციალს ფლობენ, თუნდაც უმნიშვნელო მოცულობის ფინანსური რესურსების მიღებაზე აქამდე გარკვეული მიზეზებით სასესხო კაპიტალთან წვდომა არ ჰქონიათ, მათი თვითშეფასების ზრდას, საკუთარ ძალებში დარწმუნებას, ცოდნისა და სოციალური კაპიტალის გაფართოებას იწვევს, პიროვნულ დონეზე განხორციელებული ცვლილებები ბიზნესში იწვევს ცვლილებას: იზრდება ბრუნვა, ჩნდება მოგება, ფართოვდება აქტივები და, ბუნებრივია, იზრდება შემოსავალი და, როგორც წესი, შინამეურნეობების მატერიალური ბაზა მყარდება და სოციალური დაძაბულობა მცირდება.³⁸ მიკროდაფინანსებაში სოციალური ზემოქმედება ცხადყოფს, რომ მისოს საქმიანობა კლიენტების სოციალურ სტატუსზე გავლენას ახდენს.

მიკროდაფინანსების პროგრამაში ჩართვით ადამიანს არა მხოლოდ თავისი ფინანსური პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა, არამედ პროფესიული კონსულტაციების მიღების, ასევე საფინანსო საკითხებში განათლების ამაღლებისა და ნაცნობების წრის გაფართოების შესაძლებლობა ეძლევა. სესხის მეშვეობით სავალ პრობლემების გადაჭრისა და ვალდებულებების შესრულების შემდეგ, იზრდება თვითშეფასება და ჩნდება თავდაჯერება, რომ მომავალშიც ფინანსური პრობლემების გადაჭრა შესაძლებელი იქნება – მით უმეტეს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კლიენტებთან გრძელვადიან თანამშრომლობაზე არიან მიზანმიმართულნი.³⁹

³⁸ Schreiner M., Aspects of outreach: A framework for a discussion of the social benefits of microfinance, in Journal of International Development, 2021, Vol. 14, 12.

³⁹ Литлфилд Э., Розенберг Р., Микрофинансы и малоимущие: разрушаем стены между микрофинансированием и формальными финансами, жур. Финансы и Развитие, №2 (июнь, 2004), 12.

1.2.4 მიკროდაფინანსება სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პასუხისმგებლიანი ბიზნესის კონტექსტში

მიკროსაფინანსო პროგრამებში მონაწილეობა ბიზნესის სტაბილურობის ზრდასა და წარმოების მოცულობების, ასევე აქტივების გაფართოებას უწყობს ხელს. მიკროსაფინანსების ზემოქმედება შემდეგი გზით ხორციელდება: ეკონომიკურად გააზრებული სესხის გამოყენების შემთხვევაში ბიზნესის მდგრადობა და სიცოცხლისუნარიანობა იზრდება; დაფინანსების სტაბილური წყაროების გაჩენისთანავე საწარმოო პროცესები უმჯობესდება; ჩნდება დაგეგმარების შესაძლებლობა; ბიზნესის აქტივები ფართოვდება და წარმოების ტექნოლოგიები უმჯობესდება.⁴⁰ რამდენიმე მიკროსესხის ციკლის გავლის შემდეგ მსხვილ კაპიტალზე წვდომა უფრო იზრდება; საწარმოო რესურსების მრავალფეროვნება ფართოვდება; უმჯობესდება ტექნოლოგიები; იზრდება წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი; იზრდება წარმოების მოცულობა და იქმნება ახალი სამუშაო ადგილები; რისკების, თვითღირებულებისა და პროდუქციისა თუ მომსახურების ფასების შემცირების ხარჯზე ჩნდება ბიზნესის ზრდის შესაძლებლობა, რაც მეწარმის შემოსავლებს ზრდის.

მცირე მეწარმის ბიზნესი და მისი შინამეურნეობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავად ოჯახის უფროსია ჩართული წარმოებაში, არამედ ხშირად სხვა წევრებიც მონაწილეობენ, ხოლო ოჯახის ქონება ხშირად ბიზნესის საჭიროებისათვის გამოიყენება. სასოფლო-სამეურნეო ფირმებისათვის შესაბამისი საკრედიტო პროდუქტების არარსებობა ერთ-ერთ მიზეზია იმისა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ფერმერული მეურნეობის კლიენტების წილი კვლავ დაბალია.⁴¹ ასევე, მისოს წვდომა რეგიონებში, სადაც ძირითადად ხდება

⁴⁰ Lascelles D., Microfinance – A Risky Business. A Time for Strong Leadership. Center for Financial Inclusion, 2012, 23.

⁴¹ Christen, R.P., Pearce, D. (2005) Managing risks and designing products for agricultural microfinance: Features of an emerging model. CGAP Occasional Paper, No. 11. Llanto, G.M. (2007), "Overcoming obstacles to agricultural microfinance: looking at broader issues", Asian Journal of Agriculture and Development 4(2):23–39.

ფერმერული მეურნეობის წარმოება, შეზღუდულია საოპერაციო ხარჯების ზრდის გამო, რაც ურბანულ რეგიონებთან შედარებით მეტია. მიზეზი დიდი მანძილები და მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვეა, რაც ბანკებისათვის სესხების მიძღვრებასთან მისვლასა და მათ მონიტორინგზე დროისა და საწვავზე დანახარჯების გაზრდას იწვევს.⁴² გადასახდელი თანხის შემოწმების ხარჯები მიკროსაფინანსო სექტორში ერთ-ერთ უმთავრეს საოპერაციო ხარჯად ითვლება.⁴³ შინამეურნეობის ხელმძღვანელების შემოსავლების ზრდა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, აუცილებელი ნივთების შეძენისა და სხვა საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა. მატერიალური ბაზისა და შემოსავლების გაფართოებასთან ერთად ჩნდება რესურსი ჯანმრთელობის, სპორტის, განათლების მიღებაზე დანახარჯისათვის, ასევე სულიერ და კულტურულ ფასეულობებთან წვდომისათვის.⁴⁴ ყველა ეს ფაქტორი როგორც მეწარმის, ისე მისი ოჯახის წევრების ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს და ისინი ახალ სოციალურ დონეზე გადაჰყავს.

1.3 მიკროდაფინანსების გენეზისი და საკრედიტო სამომხმარებლო კოოპერატივების ინსტიტუციური საფუძვლები

1.3.1 მიკროდაფინანსების ისტორიული განვითარება: საკრედიტო სამომხმარებლო კოოპერატივების წარმოშობის ეტაპები

მიკროდაფინანსების ისტორია 1700-იანი წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც ჯონათან სვიფტმა საბანკო სისტემის გაუმჯობესება გადაწყვიტა რათა, რომ მას ღარიბთა კეთილდღეობისათვის უფრო აქტიურად შეეწყობო ხელი. მან დააარსა ირლანდიური საკრედიტო ფონდი და საზოგადოების

⁴² Armendáriz de Aghion, B., Morduch, J. (2010) The economics of microfinance, 2nd ed. Cambridge, London: The MIT Press. Caudill, S.B., Gropper, D.M., Hartaska, V. (2009) Which microfinance institutions are becoming more cost effective with time? Evidence from a mixture model. *Journal of Money, Credit and Banking* 41(4):651–672.

⁴³ Shankar, S. (2007) Transaction costs in group microcredit in India. *Management Decision* 45(8):1331–1342.

⁴⁴ Черчилль К., Франкевич Ш., Ключ к успешному микрофинансированию, Искусство управления для достижения лучших результатов, Женева, 2006, 47.

ყველაზე გაჭირვებულ ფენებზე, რომლებსაც ბანკები მომსახურების გაწევაზე უარს ეუბნებოდნენ, მცირე და მოკლევადიან სესხებს გასცემდა. სვიფტი იმედოვნებდა, რომ ამ გზით სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებდა. ამ იდეის განხორციელებას მრავალი წელი დასჭირდა, თუმცა უკვე XIX საუკუნის ბოლოს ირლანდიური საკრედიტო ფონდი ფართოდ გავრცელდა: მას 300-ზე მეტი ბანკი ჰქონდა და ირლანდიის მოსახლეობის 20%-ს ემსახურებოდა.⁴⁵

დროთა განმავლობაში საბანკო სისტემამ, რომელიც როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში მცხოვრები ღარიბი მოსახლეობის მხარდაჭერას ისახავდა მიზნად, მთელ ევროპაში დაიწყო განვითარება. ფრიდრიხ ვილჰელმ რაიფვაიზენი წერდა, რომ მევახშეები ატყუებდნენ გაღარიბებულ ფერმერებს და არსებული საკრედიტო სისტემა ხალხის კეთილდღეობას ხელს ვერ უწყობდა. მსესხებლები მუდმივი ვალების გამო ხშირად რთულ მდგომარეობაში ექცეოდნენ, რაც მათ ეკონომიკურ წინსვლას ხელს უშლიდა.⁴⁶ ამ სიტუაციის შეცვლის მიზნით, რაიფვაიზენმა პირველი სასოფლო კოოპერატიული საკრედიტო ბანკი დააარსა, რომელიც ჩვეულებრივი ბანკისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მისი მფლობელები თავადვე კავშირის წევრები იყვნენ. ისინი გონივრული პროცენტით გასცემდნენ სესხებს. საკრედიტო კავშირების იდეამ სწრაფად დაიწყო განვითარება და უკვე მე-19 საუკუნის ბოლოს მიკროსესხები მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მოგვიანებით მსგავსი საკრედიტო სისტემები ლათინურ ამერიკაშიც ჩამოყალიბდა, თუმცა იქ მათი მფლობელები არა კავშირის წევრები, არამედ – სახელმწიფო ან კერძო ბანკების დამფუძნებლები იყვნენ, რის გამოც ეს სისტემები ისეთი ეფექტიანი არ აღმოჩნდა, როგორც ევროპაში.⁴⁷

⁴⁵ Мхитарян А., Анализ развития микрофинансовых организаций и выявление их социально-экономической значимости, Европейский университет, сборник научных трудов, 2021, №12(01), 84.

⁴⁶ Raiffeisen, Friedrich Wilhelm (author). The credit unions (Die Darlehnskassen-Vereine) / Friedrich Wilhelm (author) Raiffeisen, Konrad (translator) Engelmann. – Neuwied on the Rhine, Germany: The Raiffeisen Printing & Publishing Company, 1970, 23.

⁴⁷ Lindsay J. Microfinance / J. Lindsay / SPEA, 2010, 3–5.

1950-იან წლებში, ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით, მთავრობის სუბსიდიების მეშვეობით ფერმერებისათვის საკრედიტო ფონდები შეიქმნა, თუმცა რესურსების არასწორი განაწილების გამო, ამ ფონდებმა დიდხანს ვერ იარსება. ხშირად კრედიტები არასწორად ნაწილდებოდა, ფონდების მიერ შეთავაზებული საპროცენტო განაკვეთები ბაზართან შედარებით დაბალი იყო, სესხები იშვიათად ბრუნდებოდა უკან, რის გამოც საბანკო კაპიტალი სწრაფად იწურებოდა და სუბსიდირებული ფონდი სწრაფად იცლებოდა. ამ მიზეზების გამო, ფერმერული მეურნეობის სფეროში მიკროკრედიტების ფორმაში შემატებისათვის საკმარისი სახსრები აღარ არსებობდა, რაც ასეთი ფონდის სტაბილური სიცოცხლისუნარიანობისათვის თავისთავად აუცილებელი იყო.⁴⁸

1.3.2 მიკროდაფინანსების ისტორიული განვითარების ეტაპები– ბანგლადეშის ექსპერიმენტიდან კომერციულ ინსტიტუტებამდე

1970-იან წლებში მიკროსაკრედიტო სფეროს სწრაფი განვითარება დაიწყო. ბანგლადეშში, პროფესორ მუჰამედ იუნუსის კვლევის საფუძველზე, ექსპერიმენტული არაკომერციული საკრედიტო პროგრამა „გრამინ ბანკი“ შეიქმნა, რის შედეგადაც სოფლის მოსახლეობას მნიშვნელოვანი სესხები მიეცა. სხვა ბანკებსაც შესთავაზეს მსგავსი მიკროსაფინანსო მექანიზმი, თუმცა მაღალი რისკის გამო მათ ეს ვერ მიიღეს. დღეს „გრამინ ბანკი“ მსოფლიოს უდიდესი მისოა და 4 მლნ. მსესხებელი ჰყავს.⁴⁹

1990-იანი წლებისთვის მსესხებლებმა სესხების დაფარვის ტემპის გაზრდა შეძლეს, რამაც საფინანსო ინსტიტუტების მდგრადობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. ამავე პერიოდს ემთხვევა ტერმინ „მიკროდაფინანსების“ შემოტანა, რომელმაც ტერმინი „მიკროდაკრედიტება“ შეცვალა. ახალი ინსტიტუტები, სესხების გაცემასთან ერთად, ღარიბ მოსახლეობას სხვა ფინანსურ სერვისებსაც სთავაზობდნენ: სადეპოზიტო

⁴⁸ Исследование системы регулирования микрофинансовых институтов в странах-участницах ЕАЭС и за рубежом / Под ред. д. э. н. И.Н.Рыковой. Научный доклад. Москва: Научно-исследовательский финансовый институт, 2016, 16.

⁴⁹ <https://grameenbank.org.bd/about/introduction> [12.03.2025.]

ანგარიშს, დაზღვევას, ფულის გადარიცხვასა და სხვ. მიკროდაფინანსებასთან დაკავშირებული ბანკები თანდათან უფრო კომერციულები ხდებოდა.⁵⁰

პირველი კომერციული მიკროსაფინანსო ინსტიტუტი 1992 წელს ბოლივიაში დაარსდა. უკვე 2010 წლისთვის შეინიშნებოდა ტენდენცია, როცა მიკროდაფინანსება ქველმოქმედებიდან ეტაპობრივად კომერციულ დონეზე გადადიოდა. მიკროდაფინანსების ფართომასშტაბიანი განვითარება კომერციული პრინციპების საფუძველზე შედარებით მოგვიანებით დაიწყო და ძირითადად დიდ და საშუალო ქალაქებშია კონცენტრირებული.⁵¹ ფინანსური მომსახურების გაწევის პირველი ძალისხმევა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის სესხების მიზნობრივ გამოყენებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. 1950–1970 წლებში სახელმწიფო უწყებები და დონორი ორგანიზაციები სუბსიდირებულ აგროსესხებს გასცემდნენ მცირე და ნაკლებადუზრუნველყოფილ ფერმერებზე იმ იმედით, რომ ამით მათი მწარმოებლურობა და შემოსავლის დონე გაიზრებოდა.⁵²

1980–1990 წლებში მიკროსესხები ძირითადად დაბალშემოსავლიანი მეწარმეებისთვის აქტივების შესაძენად და დაგროვებისათვის, შემოსავლისა და ოჯახის კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად გაიცემოდა. მსესხებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქალები იყვნენ, რომლებისთვისაც მიკროსაკრედიტო სისტემა განსაკუთრებით ეფექტიანი ინსტრუმენტი აღმოჩნდა.⁵³ მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზე პირდაპირი კრედიტები სუბსიდირების პირობით

⁵⁰ Robinson, M. S., *The Microfinance Revolution: Sustainable Finance for the Poor*. World Bank, 2001, 36.

<<https://documents.worldbank.org/curated/en/226941468049448875/pdf/232500v10REPLA18082134524501PUBLIC1.pdf>>, [11.03.2025.]

⁵¹ Гвоздева М. Тренды мирового рынка микрофинансирования // ИА «Займ.ком». [ელექტრონული რესურსი], 2016. ხელმისაწვდომია: <https://zaim.com/articles/luchshiy-opyt/trendy-mirovogo-rynka-mikrofinansirovani-ya/> [20.05.2025].

⁵² Захкин А.А. Микрофинансирование на рынке финансовых услуг: история вопроса и мировой опыт / Захкин А.А. // *Банковские услуги*, 2013. № 2, 12.

⁵³ Robinson, Marguerite S., *MicroFinance Revolution: Sustainable Finance for Poor—the World Bank* Washington Dc.: 2001, 32.

გაიცემოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პირველადი პროგრამები თავიანთი ბუნებით ინოვაციური იყო, ხანგრძლივობით და მიზნობრიობით გამოყენების მასშტაბებში შეზღუდულად ფუნქციონირებდა.⁵⁴

ისეთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმატება, როგორებიც იყო „გრამინ ბანკი“⁵⁵ ბანდლადეშში და „რაკიატ ინდონეზია“,⁵⁶ გახდა იმის დასტური, რომ დაბალშემოსავლანი მოსახლეობისათვის ფინანსური მომსახურება შესაძლოა სინამდვილეში სიღარიბის შემცირების ინსტრუმენტი გახდეს. ეს გამოცდილება იმის წყალობით გახდა წარმატებული, რომ დამფუძნებლებმა შეძლეს, პირველ ყოვლისა, ხალხის საჭიროებების გაგება, მეორე რიგში, მოსახლეობას ჯეროვანი და ხარისხიანი ფინანსური მომსახურება გაუწიეს, მესამე რიგში, შეიმუშავეს სწორი მეთოდოლოგია.

1.3.3 ევროპული კოოპერატიული მოძრაობის ისტორიული განვითარების ეტაპები

კოოპერაციის ცნება გავრცელდა XIX საუკუნის შუა წლებიდან, როდესაც კოოპერაციის იდეამ და კოოპერატიული ორგანიზაციების ფორმებმა ევროპულ ქვეყნებში დიდი პოპულარობა მოიპოვა. მის ფუძემდებლად მიიჩნევიან რობერტ ოუენი,⁵⁷ შარლ ფურიე,⁵⁸ ლუი ბლანი.⁵⁹ მათ ახსნეს კოოპერაციის, როგორც სამეურნეო ფორმის, ეკონომიკური უპირატესობა და მას მომავლის ორგანიზაციად მიიჩნევდნენ, რომელიც

⁵⁴ Yunus M., Banker to the Poor: Micro-Lending and the Battle Against World Poverty. Public Affairs, 1999, 21.

⁵⁵ http://microsave.org/research_paper/grameen-ii-the-first-five-years-2001-2005 [21.04.2025.]

⁵⁶ <https://applied-research.ru/ru/article/view?id=10945> [21.04.2025.]

⁵⁷ ოუენი რობერტ - (1771-1858), ინგლისელი სოციალ - უტოპისტი, უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი 3 ტომად / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, თბილისი, ფანტაზია, 2006, 189.

⁵⁸ ფურიე ფრანსუა მარი შარლ - (1772-1837), ფრანგული უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელი, უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი 3 ტომად / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, თბილისი, ფანტაზია, 2006, 232.

⁵⁹ ბლანი ლუი (1811-1882), ფრანგი უტოპისტი-სოციალისტი, ისტორიკოსი, უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი 3 ტომად / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, თბილისი, ფანტაზია, 2006, 62.

წინააღმდეგობებსა და კაპიტალისტური სამყაროს კონკურენციის ხარვეზებს იქნებოდა მოკლებული.

ფინანსური კოოპერატივის იდეა, რომელიც მხოლოდ თავის მენაბრეებს მოემსახურებოდა, მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეს ფრიდრიხ რაიფვაიზენს ეკუთვნის. ბავარიის პატარა ქალაქის ყოფილმა მერმა, 1849 წელს თავისი ოლქის მოსახლეობისათვის პირველ ფინანსურ კოოპერატივს გაუკეთა ორგანიზება.⁶⁰ ადამიანებს დანაზოგის განთავსებისა და ერთმანეთისათვის სესხის სახით გადაცემის შესაძლებლობა მიეცათ. 1864 წელს მან „ჰედდესფორდის კეთილდღეობის საზოგადოება“ დააარსა. დღეს რაიფვაიზენის მოძრაობა 900 ათას კოოპერატივს მოიცავს, დაახლოებით 500 მლნ. მეპაიით, რომლებიც მსოფლიოს თითქმის 100 ქვეყანაში ახორციელებენ საქმიანობას.⁶¹

იმავედროულად 1894 წელს ინგლისში ქალაქ როჩდეილის მკერავებმა სამომხმარებლო კოოპერატივი დააარსეს, რომელთა წევრებსაც საქონლის შექმნა „სამართლიან ფასად“ შეეძლოთ. როჩდეილის კოოპერატივის მსგავსად მომდევნო ათწლეულში შეიქმნა და განვითარდა ათეულობით მსგავსი კოოპერატივი და შემდგომ 1864 წელს ისინი გაერთიანდნენ ე.წ. „კოოპერაციულ საბითუმო საზოგადოება“-ში, რამაც ათასობით წევრ მომხმარებელს მისცა საშუალება, კიდევ უფრო შემცირებინათ ხარჯები მათთვის საჭირო პროდუქტებსა და საქონელზე და ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო გაეადვილებინათ.⁶²

ინგლისელების გამოცდილება გერმანელმა ჰერმან შულცემ გადმოიტანა, რომელმაც 1850 წელს „სასესხო სალარო“ დააარსა. შულცე-დელიჩის მოძრაობამ ფართო გავრცელება ჰპოვა და 1859 წლისათვის უკვე 183 კოოპერატივი, ხოლო 1913 წლისათვის – 3599 კოოპერატივი არსებობდა.

⁶⁰ Егоров В. Г., Современная кредитная кооперация как механизм социальной стабильности и функционирования рыночной экономики, дайджест финансы, кредитная кооперация, 2011, №12 (204), 40.

⁶¹ Statistics of Microfinance: Bank of the Lao. PDR, GIZ, German Federal Ministry for Economic, 2012, 59.

⁶² დეისაძე ე., კოოპერაციული თანამშრომლობის ფორმების განვითარების ისტორიული გამოცდილება, ეკონომიკური პროფილი, N2, 2020, 35.

რაიფფაიზენმა და შულცე-დელიჩმა კოოპერატიული მოძრაობის ფორმირებაში, კოოპერატიული ფილოსოფიისა და მოძრაობის პრინციპების შემუშავებასა და გავრცელებაში უდიდესი როლი შეასრულა.⁶³ აღნიშნულმა პრინციპებმა დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა და მთელი კოოპერატიული მოძრაობის ძირითად იდეოლოგიად ფორმულირდა.

1.3.4 კოოპერატიული იდეების გავრცელება ჩრდილოეთ ამერიკაში

ჩრდილოეთ ამერიკაში საკრედიტო სამომხმარებლო კოოპერატივების ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთ პირველ მაგალითს „სახალხო სალაროს“ დაარსება წარმოადგენს, რომელიც 1900 წელს კანადის ქალაქ ლევისში ალფონს დეჟარდენმა ჩამოაყალიბა. დეჟარდენის ინიციატივამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან მან დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეობას ფინანსური რესურსების კოლექტიური დაგროვებისა და მათზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა შესთავაზა, რაც იმ დროის ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენდა.⁶⁴

1906 წელს კანადის მთავრობამ „სახალხო სალაროს შესახებ“ კანონი მიიღო, რომელმაც ამ მოძრაობას სამართლებრივი ბაზა შეუქმნა და მისი შემდგომი განვითარება უზრუნველყო. აღნიშნული სამართლებრივი რეგულაცია საკრედიტო კავშირების სტაბილურ და მასშტაბურ საქმიანობას დაედო საფუძვლად, რითაც ცხოვრებაში კოოპერაციული ფინანსური ინსტიტუტების საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ინტეგრაცია მოხერხდა. დღეს დეჟარდენის მიერ დაწყებული მოძრაობა კვებეკის ერთ-ერთ წამყვან ფინანსურ ინსტიტუტად არის ფორმირებული, რომელიც არამხოლოდ რეგიონული, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მისი საერთაშორისო განყოფილება კოოპერატიული იდეის

⁶³ Тотомианц В. Ф., Апостолы кооперации Г. Шульце-Делич и Ф. Райффайзен. Москва, «Польза» В. Антик и К°, 1914, 48.

⁶⁴ Barboza G., and Trejos S., Micro Credit in Chiapas, Mexico: Poverty Reduction Through Group Lending', Journal of Business Ethics, 2009, 88(2), 283–299.

პოპულარიზაციასა და მისი პრაქტიკული მოდელის გავრცელებაში აქტიურად არის ჩართული. ორგანიზაცია მხარს უჭერს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 25 ქვეყანაში საკრედიტო კავშირების გაძლიერებას, რითაც გლობალურ დონეზე ფინანსური ჩართულობის ზრდასა და საზოგადოების ეკონომიკური რესურსების გამჭვირვალე მობილიზებას უწყობს ხელს.⁶⁵

1.3.5 კოოპერატივების ევოლუცია საქართველოში და საკრედიტო კავშირების მსოფლიო საბჭოს (WOCCU) გავლენა

საქართველოში კოოპერატივების ფორმირება მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და მას აქტიურად უჭერდნენ მხარს ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგი მესხი და სხვები. 1869 წელს, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ერთ-ერთი პირველი კოოპერატივი სახელწოდებით „მომჭირნეობა.“ ილიას სიტყვებით, „კოოპერაცია არის გააფთრებული სვავებისგან მშრომელი კაცის დაცვის ერთადერთი საშუალება.“⁶⁶ ილიას ღრმად ესმოდა, რომ კოოპერაციული მოძრაობა მხოლოდ ეკონომიკური ინსტრუმენტი კი არ იყო, არამედ განსაკუთრებული თავდაცვითი მექანიზმი იმ საწარმოთა და სოციალური ჯგუფებისათვის, რომლებიც თავისუფალი ბაზრის პირობებში სუსტდებოდნენ და ძლიერ კორპორატიულ კაპიტალთან დამოუკიდებელ დაპირისპირებას ვერ ახერხებდნენ. მისი აზრით, კოოპერაცია არა მხოლოდ ეკონომიკურ თვითგადარჩენას, არამედ სოლიდარობისა და საერთო ინტერესების დაცვასაც ემსახურებოდა. ილიას ხედვა ფაქტობრივად სოციალურ სამართლიანობას, ეკონომიკურ მდგრადობასა და ეროვნული განვითარების იდეას აერთიანებდა, რაც კოოპერაციას საქართველოს სოციალური და ეკონომიკური პროგრესის ერთ-ერთ ძირითად ბერკეტად აქცევდა. მთელ მსოფლიოში მუშაობის ახალი მეთოდებით და ადგილობრივ

⁶⁵ Lamoureux M., Alphonse Desjardins and the Birth of the Credit Union Movement. Lévis: Desjardins Movement, 1994, 32.

⁶⁶ ჭავჭავაძე ი., პუბლიცისტური წერილი „კონტრიბუცია“, გაზეთი „ივერია“, 1876 წ., თხზულებანი, ტ. 2, 1953, 67.

პირობებთან ადაპტირებული და ინოვაციური მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გამოჩნდა. საქართველოში 2006 წლიდან დღემდე 30-ზე მეტი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იქნა რეგისტრირებული. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში ფუნქციონირებს.⁶⁷ 2021 წლის 09 მარტის თვის მონაცემებით რეგისტრირებულია 34 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელთა მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი, მათ შორის დაბანდება 975 871 314 ლარს შეადგენს.⁶⁸

საკრედიტო კავშირების მსოფლიო საბჭო (WOCCU),⁶⁹ რომლის შტაბ-ბინაც ქალაქ მედისონში (ვისკონსინის შტატი, აშშ) მდებარეობს, შეიქმნა 1971 წელს, როგორც საკრედიტო კავშირებისა და საფინანსო ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაცია. WOCCU- ში მსოფლიოს 21 ქვეყნის ორგანიზაცია შედის. WOCCU-ის წევრები არიან საკრედიტო კავშირების რეგიონული და ნაციონალური ასოციაციები, რომლებიც 43 ათასზე მეტ საკრედიტო კავშირს წარმოადგენენ, აერთიანებენ 136 მლნ. მეპაიეს მთელი მსოფლიოდან.⁷⁰

⁶⁷ <https://nbg.gov.ge/page/sakartveloshi-registrirebuli-arasabanko-datsesebulebebi> [23.04.2025.]

⁶⁸ მაჭარაშვილი გ., მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურ. სამართლის მაცნე, 2022, N5 (7), 133.

⁶⁹ საკრედიტო კავშირების მსოფლიო საბჭო (World Council of Credit Unions – WOCCU) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა. იგი აერთიანებს საკრედიტო კავშირებსა და მათ ასოციაციებს მთელ მსოფლიოში. საბჭოს ძირითადი მიზნებია: გლობალურ დონეზე საკრედიტო კავშირების განვითარების მხარდაჭერა; ფინანსური ჩართულობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის; ტრენინგებისა და ტექნიკური დახმარების გაწევა წევრი ორგანიზაციებისთვის; საკრედიტო კავშირების ინტერესების დაცვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, მთავრობებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან. საბჭო საკრედიტო კავშირების ყველაზე დიდ და ყველაზე ავტორიტეტულ გლობალურ გაერთიანებად ითვლება.

⁷⁰ World Council of Credit Unions (WOCCU), Statistical Report, Washington, D.C., 2023, 10.

თავი II. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არსი და ფუნქციონირება

2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ცნება

2.1.1 ტერმინის დეფინიცია

მისო თანამედროვე ფინანსური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად გვევლინება, რომლის მთავარი დანიშნულება იმ პირებისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა, რომლებსაც ტრადიციული საბანკო სერვისებით სარგებლობა სხვადასხვა მიზეზის გამო შეზღუდული აქვთ. მისი არსი არა მხოლოდ მცირე მოცულობის სესხების გაცემას, არამედ ფინანსური ჩართულობის პროცესის ხელშეწყობას მოიცავს, რაც ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებისათვის ერთ-ერთ აუცილებელი წინაპირობაა. მისო შპს-ს ან სს-ის სახით დაფუძნებული იურიდიულ პირია. მისი საქმიანობა იწყება სებ-ის მიერ გაცემული რეგისტრაციის შემდეგ და მიმდინარეობს სწორედ სებ-ის ზედამხედველობით, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. მიკროსაფინანსო სექტორის ორგანიზებისა და ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს 2006 წლის 18 ივლისს მიღებული კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. ამასთან, მნიშვნელოვნად ითვლება საბანკო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, რომელთა ძირითად პრინციპებსაც კონკრეტული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წესდებები ასახავს.⁷¹

ტრადიციული ბანკების საქმიანობის სპეციფიკა ხშირად მაღალი სტანდარტების მქონე საკრედიტო პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, სადაც უზრუნველყოფის არსებობას, საკრედიტო ისტორიის სისუფთავესა და ფინანსურ მდგრადობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.⁷² აღნიშნული პირობები კი მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მიუღწეველია,

⁷¹ შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014, 214.

⁷² Armendáriz, B., & Morduch, J., *The Economics of Microfinance*. MIT Press, 2010, 23.

განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური უთანასწორობა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელია. სწორედ ასეთ გარემოში ჩნდება მისოს საჭიროება და იკვეთება მისი მნიშვნელობა.

მისოს განსაზღვრება საერთაშორისო პრაქტიკაშიც მრავალფეროვანია, თუმცა მისი ძირითადი ელემენტები საერთოა: მცირე მოცულობის სესხების მიწოდება, დაბალი შემოსავლის მქონე პირების მხარდაჭერა და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ხელშეწყობა. მათი საქმიანობის სპეციფიკა იმაში გამოიხატება, რომ ისინი არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ ფუნქციასაც ასრულებენ.⁷³ მაგალითად, მისოს მიერ გაცემული მცირე სესხი საოჯახო ბიზნესისათვის საწყისი კაპიტალი შეიძლება გახდეს, რომელიც შემდგომში როგორც ოჯახის კეთილდღეობას, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს. სწორედ ამ მიზნის გათვალისწინებით, ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, 2016 წელს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა სპეციალური სახელმძღვანელო მიიღო. აღნიშნული დოკუმენტი ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის პრინციპებს ეფუძნება და იმ ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის გასაკონტროლებლად და გასაძლიერებლად არის მიმართული, რომლებიც ეკონომიკურად მოწყვლადი ფენისათვის ფინანსურ რესურსებზე წვდომას უზრუნველყოფენ.⁷⁴ შედეგად, საერთაშორისო დონეზე კიდევ უფრო გამყარდა ხედვა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების, არამედ სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენენ.⁷⁵

⁷³ Robinson, M. S., *The Microfinance Revolution: Sustainable Finance for the Poor*, Washington, DC: World Bank, 2001, 21.

⁷⁴ Basel Committee on Banking Supervision: *Range of practice in the regulation and supervision of institutions relevant to financial inclusion*, Basel, January, 2015, 23.

⁷⁵ Basel Committee on Banking Supervision, *Guidance on the application of the Core Principles for Effective Banking Supervision to the regulation and supervision of institutions relevant to financial inclusion*, 27 September 2016. *Guidance on the Application of the Core Principles for Effective*

ამასთან, მისოს განსაზღვრება როგორც ფინანსურ, ასევე სამართლებრივ განზომილებას უნდა მოიცავდეს.⁷⁶ სამართლებრივად, ისინი რეგისტრირებული არიან იურიდიული პირის სტატუსით. მათი საქმიანობა როგორც კომერციული ბანკების, ასევე არასაბანკო ტიპის სხვა ფინანსური დაწესებულებების საქმიანობისაგან განსხვავებულია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შპს-ის ან სს-ის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით.⁷⁷ საქართველოს უზენაესი კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.⁷⁸ ქართული პრაქტიკისათვის მისო ნაკლებად იგივდება არაკომერციულ სუბიექტთან, რომლის მთავარი მიზანი არა მოგების მიღება, არამედ ეკონომიკის მიზნობრივი სეგმენტის საშეღავათო პირობებით ფინანსური მხარდაჭერაა.⁷⁹

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ მისო მხოლოდ სესხის გამცემ სტრუქტურებს არ წარმოადგენს. ის უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკურ პლატფორმას ქმნის. ფინანსურ დახმარებას ხშირად საკონსულტაციო მომსახურება, ფინანსური განათლების ხელშეწყობა და მომხმარებლის ეკონომიკური უნარების გაძლიერება ახლავს თან. ასეთად, მისოს ცნება

Banking Supervision to the Regulation and Supervision of Institutions Relevant to Financial Inclusion, www.bis.org/bebs/publ/d383.htm,

⁷⁶ Armendáriz, B., & Morduch, J., *The Economics of Microfinance*, MIT Press, 2010, 27.

⁷⁷ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის 3.1 მუხლი <<https://matsne.gov.ge/document/view/24328?publication=24>>, [10.03.2025]

⁷⁸ საქართველოს კონსტიტუციის 68.1 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>>, [24.03.2025.]

⁷⁹ გოთუა ლ., საქართველოში არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების რეგულირების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N3, 2022, 24-47.

როგორც ფინანსურ ინსტრუმენტებს, ისე სოციალურ პასუხისმგებლობას აერთიანებს, რაც მათ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.⁸⁰

მნიშვნელოვანი ელემენტია მისოს მიზნობრივი ჯგუფი. ტრადიციულად, ის მცირე მეწარმეებზე, საოჯახო ბიზნესებზე, აგრარული სექტორის წარმომადგენლებზე და იმ მოქალაქეებზე არის ორიენტირებული, რომელთაც სტაბილური შემოსავალი ან საბანკო გამოცდილება არ გააჩნიათ. მისოს საქმიანობა მიმართულია ფინანსური შესაძლებლობების გაზრდისაკენ იმ პირებისათვის, რომლებიც საბანკო სექტორის მაღალი მოთხოვნების გამო ეკონომიკური აქტივობის სრულფასოვან მონაწილედ ვერ გვევლინებიან.⁸¹

მნიშვნელოვანია, აღინშნოს მისოს ფუნქციური თავისებურებები. პირველ რიგში, ეს მცირე მოცულობის სესხების მიწოდება არის, თუმცა ამასთან ერთად, ხშირად გვხვდება დანაზოგების მართვა (ზოგიერთ ქვეყანაში), ფულადი გზავნილების მომსახურება და ფინანსური დაგეგმვის კონსულტაციები. შესაბამისად, მისოს განსაზღვრება მხოლოდ საკრედიტო აქტივობით არ უნდა შემოიფარგლოს, ვინაიდან მისი საქმიანობა ბევრად უფრო ფართო სეგმენტს მოიცავს.⁸²

მისოს განსაზღვრისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ის ფინანსური ჩართულობის ინსტრუმენტი არის. ეკონომიკის მდგრადი განვითარება მოსახლეობის დიდი ნაწილის ფინანსური სისტემიდან გარიყვის პირობებში შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, მისო ეკონომიკურად სუსტ ფენებსა და ფინანსურ ბაზარს შორის ხიდს აგებს, რაც მის დეფინიციას

⁸⁰ López-Penabad, C., et al., Microfinance Institutions and Corporate Social Responsibility: A Scientometric Study. Published in: Future Business Journal (Springer Open), 2024, 32.

⁸¹ World Bank, Experiences of Microfinance Institutions Serving Very Low-Income Clients. Washington, DC., 2023, 9.

⁸² Microfinance Index 2023. Washington, DC: 60 Decibels, 2023, ხელმისაწვდომია: <<https://60decibels.com/wp-content/uploads/2023/09/60-Decibels-Microfinance-Index-Report-2023-5.pdf>>, [10.06.2025.]

კიდევ უფრო ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტით ამრავალფეროვნებს.⁸³

მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა ერთ-ერთი ძირითადი სოციალური და ეკონომიკური პრობლემაა, რომელიც როგორც საზოგადოების, ისე სახელმწიფოს მთლიან საქმიანობას შეეხება. ამ საკითხის გადაწყვეტას როგორც ეკონომიკური ზრდისა და კრიზისის, ასევე ეკონომიკურ და პოლიტიკური რისკების გაზრდის პერიოდში მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხის აქტუალობა არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ მეცნიერული და თეორიული თვალსაზრისითაც დასტურდება. ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნულ თემაზე სამეცნიერო სფეროში არაერთი ნაშრომი და სტატია გამოქვეყნდა; სამეცნიერო სექტორში რამდენიმე კვლევა ჩატარდა.⁸⁴

გაგრძელება პროგრამა საკრედიტო-საგარანტიო სქემა, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მეწარმეებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, სახელმწიფოს მიერ კომერციული ბანკების ან/და მისოს მიერ გაცემული სესხების ნაწილობრივი უზრუნველყოფის გზით. განხორციელდება მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მიკრო და მცირე მეწარმეების ფინანსურ მხარდაჭერას მიკროგრანტების საშუალებით. პროგრამა დაფარავს საქართველოს მთლიან ტერიტორიას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოებისა და სერვისების დივერსიფიკაციას, თანამედროვე ბიზნესპრაქტიკების გავრცელებასა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.⁸⁵

⁸³ Center for Financial Inclusion, Seizing the Moment: Financial Inclusion in the Post-COVID-19 Era, 2024, <<https://www.centerforfinancialinclusion.org/wp-content/uploads/2024/02/fi2020-synthesis-report-seizing-the-moment.pdf>>, [23.04.2025.]

⁸⁴ United Nations. (2023). Global Sustainable Development Report 2023: Times of Crisis, Times of Change – Science for Accelerating Transformations to Sustainable Development. New York: United Nations. United Nations. (2024). The Sustainable Development Goals Report 2024. New York: United Nations.

⁸⁵ ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია, 130-131, www.gov.ge/files/428_85680_321942_khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf [28.03.2025.].

2.1.2 ძირითადი მიზანი

მისოს არსებობისა და განვითარების საფუძველი მისი მთავარი მისიის გარშემო ყალიბდება. ეს მისია უმთავრესად იმ ადამიანებისა და ბიზნეს-სუბიექტებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას უკავშირდება, რომლებსაც ტრადიციულ საბანკო სისტემაში სესხის ან სხვა მომსახურების მიღება შეუძლიათ ან საკმაოდ რთულია. მისოს ძირითადი მიზანი ისეთი ფინანსური სივრცის შექმნაა, სადაც ეკონომიკურად სუსტი ფენებიც შეძლებენ ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას და საკუთარი რესურსებისა და შესაძლებლობების რეალიზებას უზრუნველყოფენ.⁸⁶ მთავარი მიზანი ფინანსური ჩართულობის გაზრდა არის. ამ ტერმინით ფინანსურ სისტემაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა აღინიშნება, რაც განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი. როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ფინანსურ სერვისებზე წვდომას არის მოკლებული, ეკონომიკა სრულფასოვნად ვერ ვითარდება, ვინაიდან ადამიანური და მატერიალური რესურსების პოტენციალის უგულვებელყოფას აქვს ადგილი. მისო სწორედ ამ სიცარიელის შევსებას ცდილობს, რათა ეკონომიკის ზრდის პროცესში მონაწილეობა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს.⁸⁷

მეორე მნიშვნელოვანი მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერაა. როგორც ცნობილია, მცირე ბიზნესი ეკონომიკური სისტემის საფუძველია, ვინაიდან ის სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან ნაწილს ქმნის, რეგიონული ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს და ინოვაციურ საქმიანობას ახალისებს. თუმცა მცირე მეწარმეები ბანკების მიერ დაწესებულ მოთხოვნებს, მაგალითად, უზრუნველყოფის არსებობას, საკრედიტო ისტორიის სისუფთავეს ან მაღალი შემოსავლის დადასტურებას ხშირად ვერ აკმაყოფილებენ. მისო სწორედ ასეთ სუბიექტებს სთავაზობს ფინანსურ

⁸⁶ Cull, R., Demirgüç-Kunt, A., & Morduch, J., Banking the Poor: Measuring Banking Access in Microfinance Institutions. *Journal of Economic Perspectives*, 2021, 38.

⁸⁷ World Bank. (2022). *Global Findex Database 2021: Financial Inclusion, Digital Payments, and Resilience in the Age of COVID-19*, Washington, DC: World Bank.

რესურსებს, რითაც მათი ბიზნესის დაწყებას ან გაფართოებას უწყობენ ხელს.⁸⁸

მისოს მიზანი მხოლოდ ეკონომიკურ კატეგორიას არ მოიცავს – მას მნიშვნელოვანი სოციალური განზომილებაც გააჩნია. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სიღარიბის დაძლევისა და უთანასწორობის შემცირებისათვის პირობებს ქმნის. მცირე სესხის მიღება შესაძლებელია საოჯახო ბიზნესის დაწყების საფუძვლად იქცეს, რაც შემდგომში ოჯახის შემოსავლის ზრდას, ბავშვების განათლებაზე დახარჯული თანხის მატებას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ, მისოს მიზანი მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლებით არ შემოიფარგლება – ის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს ემსახურება.⁸⁹

მისოს მიზანი განსაკუთრებით რეგიონული განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. ფინანსურ ბაზარზე საბანკო მომსახურება ძირითადად დიდ ქალაქებშია კონცენტრირებული, ხოლო რეგიონის მოსახლეობა მსგავს სერვისებს ხშირად მოკლებულია. მისო ხშირად სწორედ ასეთ გეოგრაფიულ სივრცეში ფუნქციონირებს, რითაც ავსებს საბანკო სისტემის ხარვეზებს და ამასთან, რეგიონების ეკონომიკურ პოტენციალს აძლიერებს. ეს განსაკუთრებით აგრარულ სექტორში არის თვალსაჩინო, სადაც მცირე მოცულობის სესხი მეურნეობის გაძლიერებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოებაში ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს.⁹⁰

მისოს მიზანი ფინანსური განათლების გაძლიერებასაც უკავშირდება. ბევრი მომხმარებელი, რომელიც სესხს პირველად იღებს, ფინანსური ვალდებულებების მართვის შესახებ ხშირად საკმარის ცოდნას არ ფლობს. ასეთ შემთხვევაში მისო კლიენტებს არა მხოლოდ სესხით, არამედ

⁸⁸ OECD, Financing SMEs and Entrepreneurs 2018: An OECD Scoreboard. Paris: OECD Publishing, 2018, 21.

⁸⁹ Yunus, M., Creating a World Without Poverty: Social Business and the Future of Capitalism. New York: Public Affairs, 2007, 12.

⁹⁰ Food and Agriculture Organization (FAO), The Role of Microfinance in Agricultural Development. Rome: FAO, 2016, 43.

საკონსულტაციო მომსახურებითაც ეხმარება, რათა მათ ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენება შეძლონ. ეს მიზანი გრძელვადიან პერსპექტივაში მოსახლეობის ფინანსურ კულტურას უწყობს ხელს და პასუხისმგებლიანი მომხმარებლის პროფილს აყალიბებს.⁹¹ მისოს მიზნების განსაზღვრისას ფინანსურ სისტემაში მათი ინტეგრაციული როლი არის აღსანიშნავი. ის არ ცვლის საბანკო სექტორს, არამედ ქმნის დამატებით მექანიზმს, რომელიც არსებულ ფინანსურ ინფრასტრუქტურას ავსებს. პრაქტიკაში ხშირად ხდება ისე, რომ მისოთი დაწყებული ურთიერთობა მომხმარებელს ბანკებთან თანამშრომლობისაკენ უხსნის გზას. ამ თვალსაზრისით, მათი მიზანი არა მხოლოდ დამოუკიდებელი ფინანსური სერვისების შეთავაზება, არამედ ფინანსურ სისტემაში მომხმარებლის ინტეგრაციის ხელშეწყობა არის.⁹²

მთავარი მიზანი ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მხარდაჭერას უკავშირდება. მცირე სესხების მიწოდება ეკონომიკური აქტივობის ზრდას იწვევს, რაც საბოლოოდ ქვეყნის მშპ-ის ზრდაზე, შიდა მოხმარების ზრდასა და დასაქმების დონის ამაღლებაზე აისახება. მისოს საქმიანობა ეკონომიკის დივერსიფიკაციასაც უწყობს ხელს, ვინაიდან ის მცირე საწარმოებსა და სხვადასხვა სექტორს განვითარების შესაძლებლობას აძლევს, რაც ეკონომიკური კრიზისებისადმი მოწყვლადობას ამცირებს.⁹³

მისოს ძირითადი მიზანი არა მხოლოდ ფინანსური სერვისების მიწოდება, არამედ უფრო ფართო სოციალური და ეკონომიკური პროცესების გაძლიერებაა. მისი მისია ფინანსური ჩართულობის გაფართოებას, მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას, სიღარიბის დაძლევას, რეგიონული განვითარების მხარდაჭერასა და ფინანსური განათლების ხელშეწყობას აერთიანებს. ამით ის მდგრად და თანასწორ გარემოს ქმნის, სადაც

⁹¹ Попкова Л.А., Защита прав участников финансового рынка как новая функция Банка России//Банковское право. 2014. N 2, 61 - 67.

⁹² Ledgerwood, J., Earne, J., & Nelson, C., The New Microfinance Handbook: A Financial Market System Perspective. Washington, DC: The World Bank, 2013, 23.

⁹³ Khandker S. R., Khalily, B., & Samad, H. A. (2013). The Impact of Microfinance on Poverty Reduction: Evidence from Bangladesh. World Bank Policy Research Working Paper No. 6300. Washington, DC: World Bank.

ფინანსური შესაძლებლობები ყველასათვის ხელმისაწვდომია, ხოლო ეკონომიკური განვითარება – უფრო ინკლუზიური.

2.1.3 მახასიათებლები

მისოს არსი და ეფექტიანობა დიდწილად მათ მახასიათებლებზე არის დამოკიდებული. აღნიშნული მახასიათებლები ფინანსურ ბაზარზე მის უნიკალურობას განსაზღვრავს. ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მცირე მოცულობის სესხების მიწოდება არის. მისო, როგორც საბანკო ინსტიტუტი დიდ კრედიტებს არ გასცემს, ვინაიდან მისი მიზნობრივი აუდიტორია მცირე შემოსავლების მქონე ინდივიდებს და მცირე ბიზნესებს მოიცავს. მისო დიდი ღირებულების პროექტების განხორციელებაში არ მონაწილეობს. ამიტომაცაა, რომ კრედიტების გაცემის წესსა და პირობებს თვითონვე ადგენს, გაითვალისწინება მსესხებლის ინტერესებიც.⁹⁴ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მისოს მიერ ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200 000 (ორასი ათას) ლარს.⁹⁵

მცირე მოცულობის სესხები ძირითადად ყოველდღიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ბიზნესის მცირე სტარტისათვის ან რეგიონული განვითარებისთვის არის განკუთვნილი, რაც ფინანსურ ჩართულობასა და ეკონომიკურ აქტივობას უწყობს ხელს. მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელი დაბალშემოსავლიან მომხმარებელზე ორიენტაციაა. მისო სარგებლობს იმ პოტენციალით, რომელიც ბანკებისათვის ხშირად მიუწვდომელია. ამ კონტექსტში მისოს საქმიანობა არც მხოლოდ კომერციულია და არც მხოლოდ სოციალური – ის ჰიბრიდულ

⁹⁴ შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2014, 215.

⁹⁵ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის 5.2 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/24328?publication=24>>, [12.03.2025.]

მოდელად წარმოგვიდგება, რომელიც ერთდროულად ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებს პასუხობს.⁹⁶

მისოს კიდევ ერთი მახასიათებელი ფინანსური ჩართულობის ხელშეწყობაა. ის ქმნის პლატფორმას, სადაც მომხმარებელს არა მხოლოდ შესხის მიღება, არამედ ფინანსური ინსტრუმენტების სწორი გამოყენება შეუძლია. ხშირ შემთხვევაში მისო საკონსულტაციო სერვისებს, ფინანსური პასუხისმგებლობის შესახებ ინსტრუქციებს სთავაზობს. ეს მომხმარებლის უნარების განვითარებას უწყობს ხელს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მის ფინანსურ მდგრადობას ზრდის.⁹⁷

მნიშვნელოვანი გამოწვევა მიკროსაფინანსო სფეროში არის მისი კავშირი არაფორმალურ ეკონომიკასთან, ვინაიდან მისოს კლიენტები ხშირად განიხილებიან როგორც პირები, რომლებსაც ფორმალურ საფინანსო სტრუქტურებზე წვდომა არ აქვთ. ფრანგი მეცნიერის მ. ლელარის აზრით, მისოს ჩამოყალიბება არაფორმალური ფინანსების სიცოცხლისუნარიანობას გამოხატავს.⁹⁸

ტერმინი „სიცოცხლისუნარიანობა“ თეორიულად მდგრადობის ორ ასპექტს – ფინანსურ მდგრადობასა და ინსტიტუციურ მდგრადობას მოიცავს. ფინანსური მდგრადობა უკავშირდება მისოს უნარს, იმოქმედოს დანაკარგების გარეშე დონორული გრანტებისა ან სუბსიდიების მიუხედავად. ისტორია გვიჩვენებს, რომ ყველაზე წარმატებული მისო თვითკმარი ხდება.⁹⁹ მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მიკროსაბანკო

⁹⁶ Begum, A. (2023). Financial inclusion strategies for poverty reduction and economic development. *World Journal of Advanced Research and Reviews*, 12(2), 1-9.

⁹⁷ Karlan, D., Morduch, J. (2010). Access to Finance. *Handbook of Development Economics*, Vol. 5., 17.

⁹⁸ Лелар М., Развитие неформальных финансовых систем и его влияние на финансовые системы Сер. 2. Экономика: РЖ/РАНИНИОН М., 2004, 136.

⁹⁹ მსგავსი თვითკმარი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებია, მაგალითად, BancoSol (ბოლივია) – ერთ-ერთი პირველი მიკროსაფინანსო ბანკი მსოფლიოში, რომელმაც სრული ფინანსური თვითკმარობა მოიპოვა და კომერციულ ბანკად ტრანსფორმირდა; Bank Rakyat Indonesia (BRI) – Unit Desa – ინდონეზიის წარმატებული სამეურნეო მიკროსაფინანსო ქსელი, რომელიც წლების განმავლობაში ფინანსურად მომგებიანია; Grameen Bank (ბანგლადეში) – მართალია, თავდაპირველად სუბსიდიების გზით ფუნქციონირებდა, თუმცა 1990-იანი წლებიდან ოპერაციული და ფინანსური თვითკმარობა მოიპოვა; FINCA და ACCION-ის ქსელში შემავალი ზოგიერთი შვილობილი ინსტიტუტი, რომლებიც ფინანსურად მდგრადები არიან. რაც შეეხება საქართველოს მაგალითზე, აქ პირველ თვითკმარ ორგანიზაციად ხშირად

ბიულეტენში მოცემულია ფინანსურად თვითკმარი 66 მისოს ნუსხა და აღნიშნულია, რომ აქტივების საშუალო მომგებიანობა 5,7 პროცენტის ფარგლებშია.¹⁰⁰

ზოგიერთი მისო, ვიდრე ტრადიციული კომერციული ბანკები, უფრო მაღალ ფინანსურ შედეგებს უზრუნველყოფს, რაც დროული სესხების დაფარვითა და მაღალი პროცენტული განაკვეთებით არის განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ მდგრადობა კლიენტების დიდი რაოდენობით დაფარვის ერთ-ერთი წინაპირობაა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დაფარვის სიღრმე მიკროდაფინანსების სექტორის „მარკეტიზაციის“ შედეგად შეიძლება დაზარალებს.¹⁰¹

განსაკუთრებულად აღსანიშნავია რეგიონული ხელმისაწვდომობა. საბანკო სერვისები ხშირად დიდ ქალაქებში არის კონცენტრირებული. მისო კი ხშირად რეგიონებში ოპერირებს, ავსებს საბანკო მომსახურების სიცარიელებს და ფინანსური სერვისებისათვის ხელმისაწვდომ გარემოს ქმნის. ეს მახასიათებელი რეგიონული ეკონომიკის სტაბილურობისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან მცირე ბიზნესებსა და აგრარულ სექტორს ადგილობრივი ფინანსური მხარდაჭერა ესაჭიროება.¹⁰²

მისოს მახასიათებლებს შორის ფინანსური ეფექტიანობისა და სოციალური პასუხისმგებლობის კომბინაცია უნდა აღინიშნოს. მისი სესხები მცირეა, თუმცა სოციალური მიზნებით არის განსაზღვრული, რაც მას განვითარების სფეროში უნიკალურ ინსტრუმენტად აქცევს. დღეის მდგომარეობით მისოს საქმიანობას ყველა ქვეყნისათვის გააჩნია მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის ფუნქცია,

ასახელებენ „კრედო ბანკის“ წინამორბედს (Credo MFO) და „მაგალობლიშვილის ფონდის“ მიერ დაფუძნებულ Crystal-ს, რომლებიც საერთაშორისო დონორების მხარდაჭერის შემდეგ ეტაპობრივად ფინანსურად მდგრადები გახდნენ და უკვე კომერციული ბანკის ლიცენზიაც მოიპოვეს.

¹⁰⁰ <<https://openknowledge.worldbank.org/>>, [12.05.2025.]

¹⁰¹ <<https://openknowledge.worldbank.org/entities/publication/212e5289-a3d7-524b-95ca-32a83172d0d3>> [17.04.2025]

¹⁰² World Bank (2020). Microfinance and Rural Development: Impact and Policy Recommendations. Washington, DC: World Bank.

როგორებიცაა: სიღარიბის შემცირება ქვეყნის დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ეკონომიკურ პროცესებში ჩართვის გზით; ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მცირე და მიკრო ბიზნესის სუბიექტებისათვის –financial inclusion.¹⁰³

მდგრადი და პროგრესული განვითარების მიღწევა ზუსტი მიზნების ჩამოყალიბების, განვითარებული სტრატეგიისა და განსაზღვრული სემინტის სუბიექტების საკმარისად მოქნილი დაფარვის სტანდარტის გარეშე შეუძლებელია, მაგ., დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის სხვადასხვა მომსახურების გაწევის პროცესი მუდმივად როგორც სოციალური, ისე კომერციული მიზნების გადაწყვეტას მოითხოვს. ერთი მხრივ, მისო მისწრაფის, შეამციროს სიღარიბის დონე, ხოლო მეორე-ცდილობს მიიღოს მოგება, რაც დამატებითი კაპიტალის მოზიდვასა და უფრო მეტი ადამიანისათვის მომსახურების მიწოდებას შეუწყოს ხელი. ეს დუალიზმი მიზნების მუდმივ კონფლიქტს იწვევს.

მისოს ექსპერტი, მარკ შრაინერი ამ საკითხს ასე აფასებს: გავრცელებული ორი მიდგომა – სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა და თვითდაფინანსებადობის მიღწევა – დაფარვის არსს სრულად არ ასახავს. მისი წინადადებით, დაფარვის საკითხის ანალიზისათვის უფრო რთული მოდელი არის საჭირო, რომელიც დაფარვის ექვს სხვადასხვა ასპექტზე ფოკუსირდება. ეს მიდგომა ეხმარება მისოს განისაზღვროს, რომელი ასპექტები არის მისთვის და მისი კლიენტებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული.¹⁰⁴

კლიენტთან მჭიდრო ურთიერთობა მნიშვნელოვანია. მისო ახორციელებს სესხის გაცემას და მისი დაბრუნების კონტროლს უფრო პიროვნულ დონეზე, რაც კლიენტის მიერ ვალდებულებების ეფექტიან შესრულებას უზრუნველყოფს. ხშირად სესხები ჯგუფური ან სოციალური

¹⁰³ მაჭარაშვილი გ., მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურ. სამართლის მაცნე, 2022, N5 (7), 131.

¹⁰⁴ Schreiner, M., 2002, "Aspects of outreach: A framework for a discussion of the social benefits of microfinance," in *Journal of International Development*, Vol. 14, 9.

კონტროლის სისტემის მეშვეობით არის გაცემული, რაც ორგანიზაციისათვის დამატებით გარანტიას იძლევა და კლიენტის პასუხისმგებლობას ზრდის. მისოს მახასიათებლებს შორის განიხილება გადახდის მოქნილობა. ისინი ხშირად სხვადასხვა ვადებს, განვადებებსა და პირობებს სთავაზობენ, რომლებიც კონკრეტული კლიენტის შესაძლებლობებთან არის ადაპტირებული. ასეთი მოქნილობა ქმნის უსაფრთხო ფინანსურ გარემოს, სადაც კლიენტი გადაჭარბებულ ფინანსურ წნეხს არ განიცდის და ფინანსური სისტემის ნაწილი ხდება.

თავისთავად მისო, როცა იგი საკუთარი სახსრების სესხების გაცემას მოიცავს, ცხადია, პრუდენციულ რეგულირებას არ მოითხოვს, თუმცა პრუდენციული რეგულირების საჭიროება ჩნდება, როდესაც იგი კრედიტებს ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოზიდული ფინანსური წყაროებიდან გასცემს.¹⁰⁵ სამართლებრივი ანალიზის ჭრილში, საქართველოს პრაქტიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ინტერესს მისოს ე.წ. პრუდენციული მართვის მოდელი იწვევს. აღნიშნული მოდელი იმგვარი რეგულატორული მექანიზმების შექმნას და გამოყენებას გულისხმობს, რომლებიც ფინანსური სექტორის მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფისაკენ არის მიმართული.

პრუდენციული რეგულირების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოსა და ზედამხედველ ორგანოებს (საქართველოს შემთხვევაში – სებ-ი) საკრედიტო და საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაზე მკაფიო წესების დაწესების უფლებამოსილება და ვალდებულება გააჩნიათ. ამ წესების მიზანი, ერთი მხრივ, იმ რისკების დაგროვების თავიდან აცილებაა, რომლებიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შიდა საქმიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, მთელ ფინანსურ სისტემასა და ეკონომიკაზე მათი ზემოქმედების შემცირებას უკავშირდება. გარდა ამისა, პრუდენციული მართვა განიხილება როგორც გლობალური სტანდარტი, რომელიც

¹⁰⁵ Чирков А.В., Особенности правового регулирования микрофинансовой деятельности микрофинансовых организации, Монография, 2018, 81.

ფინანსური ბაზრების სტაბილურობის შენარჩუნებაზე არის მიმართული. იგი უზრუნველყოფს, რომ კონკრეტული საკრედიტო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და საქმიანობა ფართომასშტაბიან ეკონომიკურ საფრთხეში არ გადაიზარდოს. შესაბამისად, პრუდენციული რეგულირების დანერგვა მიკროსაფინანსო სექტორში არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო დონეზეც სისტემურ-ეკონომიკური რისკების შემცირებაში და მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.¹⁰⁶

პრუდენციული რეგულირება გულისხმობს, რომ მისი საფინანსო რისკებს სათანადოდ მართავს, საკმარის კაპიტალს ინარჩუნებს და ანგარიშგებას რეგულარულად ახორციელებს. ამასთან, აღნიშნული რეგულირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია მომხმარებლის უფლებების დაცვაა.¹⁰⁷ პრუდენციული სტანდარტების შემუშავება იმაზე არის მიმართული, რომ საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობა უსაფრთხო, გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს. ეს როგორც მომხმარებლის ინფორმირების პროცესს კრედიტის პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, ასევე გრძელვადიან ფინანსურ რისკებთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვას მოიცავს.¹⁰⁸

2.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციები

2.2.1 საკრედიტო ფუნქციები

მისოს ერთ-ერთი უმთავრესი და ძირითადი ფუნქცია საკრედიტო ფუნქციაა, რომელიც ფინანსური მომსახურების მთავარი მიმართულებაა.

¹⁰⁶ პრუდენციული რეგულირება აწესებს სტანდარტებს, რომლებიც ავალდებულებს საფინანსო ორგანიზაციებს, ეფექტიანად მართონ რისკები და უზრუნველყონ საკმარისი კაპიტალის ქონა. მაჭარაშვილი გ., მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურ. სამართლის მაცნე, 2022, N5(7), 132.

¹⁰⁷ Давиденко Д.В., Пруденциальное регулирование банковской деятельности как правовой метод обеспечения стабильности денежного обращения//Банковское право, 2013, N 6, 60 - 67.

¹⁰⁸ Чирков А.В., Особенности правового регулирования микрофинансовой деятельности микрофинансовых организации, Монография, 2018, 54.

საკრედიტო ფუნქცია გულისხმობს მცირე მოცულობის სესხების გაცემას ინდივიდებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, რომელთაც ტრადიციული საბანკო სერვისებზე წვდომა შეზღუდული აქვთ. მისო არა მხოლოდ ფინანსური რესურსის მიწოდებას, არამედ ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვას ისახავს მიზნად. მისი საქმიანობა ფინანსური ჩართულობის ზრდასთან არის დაკავშირებული. ეს უკანასკნელი კი მცირე მეწარმეობის განვითარების, საოჯახო ბიზნესის დაფინანსების აუცილებელი წინაპირობაა და რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებასთან არის დაკავშირებული.¹⁰⁹

უკანასკნელი წლებში მიკროდაფინანსების განვითარების მიხედვით მოსახლეობის ფინანსური მომსახურებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით ბევრმა ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მიკროფინანსების სექტორმა საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვა და მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგები დააფიქსირა. ამის დასტურია გაეროს მიერ 2005 წლის „მიკროკრედიტებისა და სამეწარმეო ინიციატივების განვითარების საერთაშორისო წლად“ გამოცხადება, ასევე 2006 წელს ბანგლადეშის „სოციალური ბანკირისთვის“ მუჰამედ იუნუსისათვის ნობელის მშვიდობის პრემიის მიანიჭება.

ნობელის კომიტეტმა აღნიშნა: „მყარი მშვიდობა ვერ დადგება მანამდე, სანამ ფართო მოსახლეობის დიდი ჯგუფები არ იპოვიან გზებს სიღარიბისგან თავის დასაღწევად. მიკროკრედიტება სწორედ ერთ-ერთ ასეთ გზად მიიჩნევა.“ მუჰამედ იუნუსის მიერ დაარსებული „გრამინ ბანკი“ კლასიკური, ეფექტიანი მიკროდაფინანსების ეტალონი გახდა. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიკროდაფინანსების ეროვნულ ლიდერებს ფართო ცნობადობა მიეცა, მათ შორის:

1. Banco Solidario,¹¹⁰

¹⁰⁹ Всемирный банк. (2020). Микрофинансирование и сельское развитие: влияние и рекомендации по политике. Вашингтон, DC: Всемирный банк.

¹¹⁰ Banco Solidario დაარსდა 1996 წელს – როგორც პირველი მიკროკრედიტზე სპეციალიზებული ბანკი ლათინურ ამერიკაში, კერძოდ, ეკვადორში, 100 %-იანი კერძო

2. Compartamos,¹¹¹

3. Enterprise Development Group.¹¹²

საკრედიტო ფუნქცია სესხების გაცემის პროცესის სრულ სპექტრს მოიცავს, რომელიც მოთხოვნის შეფასებით, მიმართვის გადახედვით და კლიენტის ფინანსური მდგომარეობის ანალიზით იწყება. მისო საბანკო სექტორისაგან განსხვავებულია, ვინაიდან ის მსესხებლისაგან მაღალი ოდენობის უზრუნველყოფას, გრძელვადიან საკრედიტო ისტორიას ან მაღალ შემოსავალს არ მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური საკრედიტო პროდუქტები საბანკო პროდუქტებთან შედარებით რამდენიმე უპირატესობით გამოირჩევა – მოქნილი საპროცენტო განაკვეთი, ნაკლებად მკაცრი მოთხოვნები კრედიტის დაბრუნების გარანტიებზე, გამარტივებული პროცედურა და შემდგომი სესხის მიღების შესაძლებლობა ლოიალურ პირობებში, თანხებზე სწრაფი წვდომა. ჯგუფური დაკრედიტებისას ჯგუფი თავად აწარმოებს კლიენტების შემოწმებას და განსაზღვრავს, ვინ შეიძლება შედიოდეს ჯგუფში; ჯგუფის წევრები აფასებენ ერთმანეთის ბიზნესს და სესხის დაბრუნების შესაძლებლობებს; დაკრედიტება მცირე, თანდათანობით მზარდი სესხების სერიებით ხორციელდება; სესხები ჯგუფის სხვა წევრებით არის გარანტირებული; თუ ჯგუფის რომელიმე წევრმა სესხის დაფარვის გრაფიკი დაარღვია ან ვერ გადაიხადა სესხი, მთელი ჯგუფი კარგავს შესაძლებლობას მიიღოს შემდეგი სესხი, სანამ ვალდებულებას არ დაფარავს. ფერმერული მეურნეობის სფეროში მომუშავე ზოგიერთი მისო ჯგუფურ მოდელებს იყენებს, სადაც სესხი მთლიანად

კაპიტალით. 2013 წელს Banco Solidario-სა და UniBanco-ს შერწყმის შედეგად Banco Solidario S.A. ჩამოყალიბდა. <<https://www.bio-invest.be/en/investments/banco-solidario>>, [12.03.2025.].

¹¹¹ Compartamos 1990 წელს დაარსდა როგორც არაკომერციული იურიდიული პირი, რომლის მთავარი მიზანი ღარიბი და სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური მხარდაჭერა იყო. 2000 წლიდან ორგანიზაცია კომერციულ მოგებაზე ორიენტირებულ მოდელზე გადავიდა როგორც “sociedad financiera de objeto limitado” (SOFOL); 2006 წელს მოიპოვა სრული საბანკო ლიცენზია და ბანკად გარდაიქმნა. <<https://www.devex.com/organizations/compartamos-banco-48583>>, [12.03.2025.].

¹¹² დაარსდა 2001 წელს ქალთა ბიზნესის მხარდასაჭერად, მცირე ბიზნესის სესხების (50 000-150 000 აშშ დოლარი) შესათავაზებლად. <<https://microtracker.org/profile/ecdc-enterprise-development-group-arlington-va/>>,[12.03.2025.].

ჯგუფს მიეცემა, ხოლო ჯგუფი ინდივიდუალურ წევრებს თანხას თანმიმდევრულად გადასცემს.¹¹³

მისოს საკრედიტო ფუნქცია მცირე მეწარმეობის მხარდაჭერისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მცირე ბიზნესი ეკონომიკის საძირკველს წარმოადგენს, ვინაიდან ის ქმნის სამუშაო ადგილებს, ზრდის შიდა მოხმარებასა და ინოვაციურ საქმიანობას ავითარებს. თუმცა ასეთი სუბიექტები ხშირად კომერციული ბანკების მიერ დაწესებულ მკაცრ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ. მისო იძლევა ფინანსურ მხარდაჭერას, რაც საშუალებას აძლევს მცირე მეწარმეებს დაიწყონ ან გააფართოონ ბიზნესი, შეიძინონ აუცილებელი სამეურნეო ინვენტარი, დაფარონ საოპერაციო ხარჯები და განავითარონ ბაზარი. ამით ისინი არა მხოლოდ ეკონომიკურ აქტივობას უწყობენ ხელს, არამედ სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას უშლიან ხელს.¹¹⁴

საკრედიტო ფუნქციას თან ახლავს სესხების გრძელვადიანი ეფექტი ეკონომიკურ სისტემაზე. მცირე მოცულობის სესხები, რომლებიც მისოს მეშვეობით ხორციელდება, არა მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის ფინანსურ განვითარებას უწყობს ხელს, არამედ მთელ სოციალურ-ეკონომიკურ ქსელს აძლიერებს. საოჯახო ბიზნესის გაძლიერება

¹¹³ აღნიშნული მეთოდოლოგია ძირითადად ისეთ ქვეყნებში არის დამკვიდრებული, სადაც მოსახლეობის ძალიან მაღალი სიმჭიდროვეა და სიღარიბე საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ეხება. ამასთან, მას ხშირად თან ახლავს განათლების დაბალი დონე და უწიგნურობის მაღალი მაჩვენებელი, რაც მოსახლეობის ეკონომიკურ აქტიურობას (მაგალითად, ბანგლადეში, ტაილანდი და სხვა ქვეყნებში) მასობრივად ზღუდავს. ასეთ პირობებში მიკროსაფინანსო მოდელი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შემსუბუქებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად იქცა. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში ვითარება არსებითად განსხვავებულია. მოსახლეობის სიმჭიდროვე შედარებით დაბალია, განათლების დონე – უფრო მაღალი, ხოლო ეკონომიკური გარემო – განსხვავებული. ამიტომ აღნიშნული მიდგომა პირდაპირი გამოყენების თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას არ იძენს, თუმცა მისი ცალკეული ელემენტები ფინანსური ჩართულობის ზრდის პროცესში დამხმარე კომპონენტებად შეიძლება იქცეს.

¹¹⁴ Гвоздева М. Тренды мирового рынка микрофинансирования // ИА «Займ.ком». [Электронный ресурс], 2016. ხელმისაწვდომია: <<https://zaim.com/articles/luchshiy-opyt-trendy-mirovogo-rynka-mikrofinansirovani-ya/>>, [16.04.2025.]

შემოსავლის ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას, განათლებისა და ჯანდაცვის გაღრმავებულ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს.¹¹⁵

მისოს საკრედიტო ფუნქცია ასევე გადახდის მოქნილობისა და სესხის პირობების ადაპტაციით გამოირჩევა. ასეთი მიდგომა იმისათვის არის აუცილებელი, რომ სესხის აღება დამატებითი ფინანსური სიძნელე არ გახდეს, ხოლო კლიენტმა ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება შეძლოს.¹¹⁶ გარდა ამისა, საკრედიტო ფუნქცია მისოში საკონსულტაციო ელემენტით არის გაჯერებული. ორგანიზაციები ხშირად კლიენტებს ფინანსური დაგეგმვის, ბიუჯეტირებისა და ბიზნეს-გეგმების მომზადებას სთავაზობენ. ასეთი მიდგომა სესხის ეფექტიან გამოყენებას უზრუნველყოფს, ზრდის კლიენტის ფინანსურ ცოდნასა და პასუხისმგებლიანი სესხების აღების კულტურას ქმნის.¹¹⁷

მისოს საკრედიტო ფუნქცია არა მხოლოდ ფინანსური ოპერაცია, არამედ სოციალური და ეკონომიკური ინსტრუმენტიცაა, რომელიც მცირე მეწარმეობის განვითარებას, სიღარიბის შემცირებას, ფინანსურ ჩართულობასა და ეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცებას უწყობს ხელს. მცირე მოცულობის სესხები, გადახდის მოქნილობა, სოციალური პასუხისმგებლობა და საკონსულტაციო მხარდაჭერა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციურ მთლიანობას ქმნის, რაც მათ თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში განსაკუთრებულ და არსებით როლს ანიჭებს.

2.2.2 ფინანსური ჩართულობის გაზრდა

ფინანსური ჩართულობის ფუნქცია მისოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. იგი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მცირე

¹¹⁵ Захкин А.А., Микрофинансирование на рынке финансовых услуг: история вопроса и мировой опыт/ Захкин А.А. // Банковские услуги, 2013. № 2, 8-14.

¹¹⁶ Моисеев С.Р., Концепция повышения доступности розничных финансовых услуг и развития микрофинансирования в Российской Федерации на период 2012–2016 гг. Национальная ассоциация участников микрофинансового рынка, 2012, 23.

¹¹⁷ Abrar A., and Javaid A.Y., Commercialization and Mission Drift – A CrossCountry Evidence on Transformation of Microfinance Industry, International Journal of Trade, Economics and Finance, 5(1), 2014, 122–125.

სესხების გაცემა. ფინანსურ სისტემაში აღნიშნული ფუნქცია მოსახლეობის იმ ნაწილის რთავს აქტიურად, რომელსაც ტრადიციული საბანკო მომსახურებაზე წვდომა ან მთლიანად შეზღუდული აქვს, ან აღნიშნული მომსახურება არასათანადო პირობებით აქვს შეთავაზებული. ფინანსური ჩართულობის გაზრდა მისოს მთავარი სოციალური და ეკონომიკური მიზანია, ვინაიდან იგი მოწყვლადი ფენების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მცირე ბიზნესების განვითარებასა და საზოგადოების საერთო ფინანსური კულტურის გაძლიერებას უწყობს ხელს.¹¹⁸

მისოს ფუნქციონირების მთავარი ჯგუფი დაბალშემოსავლიანი პირები, მცირე მეწარმეები, აგრარული სექტორის წარმომადგენლები და მოსახლეობის ის სექტორია, რომელსაც სტაბილური შემოსავალი ან საკმარისი საკრედიტო ისტორია არ გააჩნია. ამ ჯგუფების ჩართვა ფინანსურ სისტემაში უზრუნველყოფს მათ საშუალებას, ეკონომიკურ საქმიანობაში უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა, ბიზნესისათვის საჭირო რესურსები შეიძინონ, მცირე საწარმოები განავითარონ და საკუთარი ოჯახის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყონ. რიგი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მიკროსაწარმოების განვითარების მომსახურებები ისეთ დაწესებულებათა მიერ უნდა მიეწოდებოდეს, რომლებიც ფინანსურ მომსახურებებს უშუალოდ არ აწვდიან.¹¹⁹ პრაქტიკა აჩვენებს, რომ თუ მისო აღნიშნულ მომსახურებებს უზრუნველყოფს, იგი სხვა საქმიანობისაგან გამიჯნული უნდა იყოს. უფრო მეტიც, მიკროპროდუქტების განვითარების მომსახურებების მიღება ან მოთხოვნა ფინანსური მომსახურებების მისაღებად საფუძველი არ უნდა იყოს. ეს მომსახურება ფინანსური ანგარიშსწორების საფუძველზე უნდა მიეწოდოს, რაც დაბალშემოსავლიანი

¹¹⁸ Armendáriz de Aghion, B., and Morduch J., *The Economics of Microfinance*, MIT Press, Cambridge, 2005, 56/

¹¹⁹ Charles Waterfield, Ann Duval. *CARE Savings and Credit Sourcebook*; Mayada M. Baydas, Douglas H. Graham, Liza Valenzuela – *Commercial Banks in Microfinance*; Robinson, Marguerite S. “Microfinance Revolution; Левицкий Дж., «Новые механизмы финансирования малых и микропредприятий»; Лелар М. Развитие неформальных финансовых систем и его влияние на финансовые системы.

მომხმარებლებისათვის ყოველთვის შესაძლებელი არ არის.¹²⁰ როგორც წესი, ამ პრობლემის გადაჭრისათვის მისო მსგავსი მომსახურებისა და ხარჯების სუბსიდირებისათვის დონორულ ფონდებს მიმართავს.

ფინანსური ჩართულობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მომხმარებელზე მორგებული პროდუქტების შეთავაზებაა. მისო სპეციალურად ადაპტირებულ სესხის პროდუქტებს, სხვადასხვა ვადითა და საპროცენტო განაკვეთით ქმნის, რომლებიც კლიენტის ფინანსურ შესაძლებლობებს ითვალისწინებს. აღნიშნული მიდგომა როგორც ორგანიზაციის, ისე მომხმარებლისათვის არასასურველ რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს. გარდა ამისა, მორგებული პროდუქტები ფინანსურ სისტემაში მომხმარებლის სწრაფ ადაპტაციას უწყობს ხელს. ეს კი ფინანსური ჩართულობის აუცილებელი წინაპირობაა.¹²¹

ფინანსური ჩართულობის ფუნქცია მისოში ფინანსური განათლებისა და საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზებასაც გულისხმობს. სესხის აღებას ხშირად თან სდევს პასუხისმგებლობა, რომლის მართვაც ფინანსურად დაუძლურებული ჯგუფებისათვის ხშირად რთულია. როცა სესხებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, დაბალი ფინანსური განათლების პირობებში, მოსახლეობისათვის საკუთარი ფინანსების მართვა რთულად დასაგეგმი აღმოჩნდა. შედეგად, ხშირად ჭარბვალიანობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები მოსახლეობისთვის პრობლემად იქცა. განსაკუთრებით გამწვავდა ეს პრობლემა მაშინ, როცა ბაზარზე ე.წ. ონლაინსესხების გამცემი კომპანიები გამოჩნდა.¹²²

მისო კლიენტებისათვის ფინანსური დაგეგმვის, ბიუჯეტირებისა და რესურსების ეფექტიან გამოყენებას უზრუნველყოფს. ეს მიდგომა ქმნის

¹²⁰ Мухаммад Юнус Алан Жоли, Создавая мир без бедности. Социальный бизнес и будущее капитализма. НП «НАУМИР», 2010, 312.

¹²¹ Панаедова Г.И., Панаедов Г.И., Микрофинансирование в глобальном мире: международный опыт// Финансы и кредит, 2007, № 24 (264). 3–10.

¹²² განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, 29.12.2016, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/138531>.

პირობებს, სადაც მომხმარებელი არა მხოლოდ ფინანსურ რესურსებს იღებს, არამედ მათ რაციონალურად გამოყენებას სწავლობს. ეს უკანასკნელი კი ვალის დროული დაბრუნების ალბათობასა და სტაბილური ფინანსური მომავლის შექმნას ზრდის.¹²³

გარდა ამისა, ფინანსური ჩართულობა სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას უზრუნველყოფს. როდესაც მისო სთავაზობს სესხებსა და სხვა ფინანსურ პროდუქტებს მოსახლეობის სუსტი ფენებისათვის, ის საშუალებას აძლევს ადამიანებს ფინანსურად დამოუკიდებელი გახდნენ, მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ ბაზრებზე, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და გაზარდონ შემოსავალი. შედეგად, ფინანსური ჩართულობა სიღარიბის შემცირებას, სოციალური უთანასწორობის შემცირებასა და ეკონომიკური ზრდის სტაბილურობას პირდაპირ უკავშირდება.¹²⁴

მისოსთვის ფინანსური ჩართულობის ზრდა ეკონომიკური მდგრადობისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებთან არის დაკავშირებული. მისი საქმიანობა არა მხოლოდ ფინანსური მოგების მიღებაზე, არამედ საზოგადოების მოწყვლადი ფენების მხარდაჭერაზე არის მიმართული. ეს პრინციპი ფინანსურ სისტემაში მისოს უნიკალურ პოზიციას ქმნის, სადაც ის როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ ფუნქციას ასრულებს, ეკონომიკური ჩართულობის ზრდასა და ფინანსური სისტემის ინკლუზიურობის გაძლიერებას უწყობს ხელს.¹²⁵

ფინანსური ჩართულობის ფუნქცია მისოში მრავალ მიმართულებას – ადაპტირებულ ფინანსურ პროდუქტებს, სესხის ეფექტიან მართვას, ფინანსური განათლების უზრუნველყოფას, სოციალურ და ეკონომიკურ

¹²³ Истории успеха: Банкир Мухаммад Юнус, удостоенный Нобелевской премии «за поспание» священных заветов банковского дела // Обществ. объединение «Единство», 2016. [ელექტრონული რესურსი]. ხელმისაწვდომია: <<http://edinstvo-gomel.by/index.php/2013-07-24-19-18-28/934-2014-06-11-07-51-34.html/>>, [12.03.2025.]

¹²⁴ Вишневский А.А., Современное банковское право: банковско-клиентские отношения: Сравнительно-правовые очерки, М.: Статут, 2013, 349.

¹²⁵ Allet M., Hudon M., (2015) Green microfinance: Characteristics of microfinance institutions involved in environmental management. J Bus Ethics 126:395–414. <<https://doi.org/10.1007/s10551-013-1942-5>>, [19.03.2025.]

ინტეგრაციასა და რეგიონული ხელმისაწვდომობის გაფართოებას აერთიანებს. ეს ფუნქცია არის საფუძველი, რომელიც ეკონომიკურ პროცესებში მოწყვლადი ფენების აქტიურ ჩართულობას, მათ ფინანსურ დამოუკიდებლობასა და საზოგადოების მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს.

2.2.3 სოციალური ფუნქცია

მისოს სოციალური ფუნქცია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ასპექტია. აღნიშნული ფუნქცია საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერასთან და სიღარიბის შემცირებასთან არის კავშირში. სოციალური ფუნქცია მხოლოდ ფინანსური სერვისებით არ შემოიფარგლება. იგი სოციალური თანასწორობის გაძლიერებას, ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებასა და მოწყვლადი ფენების ეკონომიკურ ჩართულობას ისახავს მიზნად.¹²⁶ სოციალური ფუნქციის განხორციელება რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს. პირველ რიგში, მისო დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მხარდაჭერისათვის არის განკუთვნილი. ასეთი პირები ხშირ შემთხვევაში საბანკო სესხების აღებას ვერ ახერხებენ და შესაბამისად, საკუთარი რესურსების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა არ აქვთ.

მეორე მიმართულება სოციალური უსაფრთხოების მექანიზმების შექმნასთან არის დაკავშირებული. მცირე სესხები, რომლებიც მისოს მეშვეობით იხარჯება, ხშირად არა მხოლოდ ფინანსური, არამედ სოციალური მხარდაჭერის ფორმაა. მაგ., საოჯახო ბიზნესის დაფინანსება ოჯახის წევრებს ეკონომიკური საქმიანობის უნარების, განათლებისათვის საჭირო რესურსებისა და სოციალური სტაბილურობის შენარჩუნების საშუალებას აძლევს.¹²⁷ მისოს სოციალური საქმიანობა, გარდა ფინანსური

¹²⁶ Beisland LA, Djan KO, Mersland R, Randøy T (2021) Measuring social performance in social enterprises: A global study of microfinance institutions. *J Bus Ethics* 171:51-71. <<https://doi.org/10.1007/s10551-019-04417-z>>, [23.03.2025.]

¹²⁷ Mohiuddin M, Mazumder MNH, Al Mamun A, Su Z (2020) Evolution of social microenterprises from rural to the urban area: A study on income-generating micro-entrepreneurs in an urban context. *Strateg Chang* 29(4): 435-446. <<https://doi.org/10.1002/jsc.2355>>, [18.04.2025.]

მხარდაჭერისა, ასევე საკონსულტაციო მომსახურებას, ფინანსური განათლების გაძლიერებას და პასუხისმგებლიანი ფინანსური ქცევის წარმოჩენას გულისხმობს. მისოს საქმიანობა პირდაპირ მოწყვლადი ფენების შემოსავლის ზრდაზე, ოჯახის ცხოვრების დონეზე, ბავშვების განათლებაზე, ჯანდაცვაზე და საერთო კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას. ფინანსური რესურსების სწორად გამოყენება სოციალური კაპიტალის გაძლიერებას, სამოქალაქო აქტივობის ზრდასა და მოსახლეობის თვითორგანიზების უნარის განვითარებას იწვევს.¹²⁸

მისოს სოციალური ფუნქცია ფინანსური ჩართულობისა და ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის კომპონენტს მოიაზრებს. ფინანსურად მოწყვლადი პირების ჩართვა ფინანსურ სისტემაში არა მხოლოდ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობას უზრუნველყოფს, არამედ ფინანსურად დამოუკიდებელ მოქალაქეებად განვითარების საშუალებას ქმნის. აღნიშნული პროცესი პასუხისმგებლიანი სესხის აღების კულტურის ჩამოყალიბებას, კლიენტების ფინანსური უნარების განვითარებასა და გრძელვადიან ეკონომიკურ სტაბილურობას უწყობს ხელს.¹²⁹

მუჰამედ იუნუსი, წიგნის „ღარიბების ბანკირის“¹³⁰ ავტორი, მისოს ფუნქციონირების სამი ზონას გამოყოფს: პირველი – „მწვანე ზონა“,

¹²⁸ Postelnicu L, Hermes N (2018) Microfinance performance and social capital: a cross-country analysis. *J Bus Ethics* 153:427–445. <<https://doi.org/10.1007/s10551-016-3326-0>>, [25.04.2025.]

¹²⁹ Gutiérrez-Nieto B., Serrano-Cinca C., & Mar-Molinero C., Social efficiency in microfinance institutions, *Journal of the Operational Research Society*, 2009, 60 (19).

¹³⁰ „ღარიბების ბანკირი“ (Banker to the Poor) Grameen Bank-ის შექმნასა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარებაში ავტორის გამოცდილებას აღწერს. ნაშრომის მთავარი იდეები შემდეგი სახით არის ფორმულირებული: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრედიტი– იუნუსმა დაამტკიცა, რომ მცირე სესხები ღარიბებისათვის შეიძლება იყოს ეფექტიანი, მათ საკუთარი ბიზნესისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების საშუალება მისცეს; გენდერული ინკლუზია– ეკონომიკური დამოუკიდებლობის დახმარების მიზნით საბანკო სესხების უმეტესი ნაწილი ქალებს მიეცა; სამუშაო ალტერნატივა ღარიბებისთვის– მცირე კრედიტების მეშვეობით ოჯახებმა შემოსავლის წყაროს შექმნა და საგარეო დახმარებაზე დამოკიდებულების შემცირება შეძლეს; კომუნალური პასუხისმგებლობა– სესხები გაიცემოდა ჯგუფების მიხედვით, სადაც სესხის დაბრუნება გუნდის წევრებისგან პასუხისმგებლობის უზრუნველყოფას გულისხმობდა; ინოვაციური ბანკინგის მოდელი–Grameen Bank განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ბანკებისგან – ფოკუსი იყო ადამიანებზე, არა აქტივებზე, ხოლო პროცედურები მარტივი და ადამიანზე

ახასიათებს მისოს, რომელიც ეწევა სწორ საქმიანობას, მათი განაკვეთი მოზიდული რესურსების ღირებულებას 10%-ით აღემატება; მეორე – „ყვითელი ზონა“, სადაც პროცენტული განაკვეთის 10-15%-ს აღემატება, რაც მისოს საქმიანობის ნორმებს შეესაბამება; მესამე – „წითელი ზონა“, სადაც საპროცენტო განაკვეთი 15%-ზე მეტია. ასეთ მისოებს „საკრედიტო ზვიგენებს“¹³¹ უწოდებენ. ყველაზე ხშირად მიკროდაფინანსების ბაზრის დაბადება სწორედ „წითელი ზონიდან“ იწყება და შემდეგ თანდათანობით ხდება მისი ჯანმრთელი ფუნქციონირების ზონაში გადასვლა. თუმცა, ზოგჯერ ჯანმრთელი ზონაც უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთებს გულისხმობს, ვიდრე ეს კლასიკური საკრედიტო ორგანიზაციების შემთხვევაშია, ვინაიდან რესურსების გაიაფების, ეფექტიანობის გაზრდისა და ხარჯების შემცირების პირობებში რისკების შედარებით მაღალი დონე პრობლემად რჩება.

ღარიბთა დახმარების გაწევის საკონსულტაციო ჯგუფმა (CGAP)¹³² საპროცენტო განაკვეთების ფორმირების თემას მისოს ბაზარზე სპეციალური გამოცემა მიუძღვნა. მისოს საპროცენტო განაკვეთები ხშირად მწვავე დისკუსიების, დაურწმუნებლობისა და მსჯელობის საგანი გამხდარა. პირველ ჯერზე მიკროდაფინანსების პროცესზე უნებლიედ შეიძლება გაჩნდეს შეკითხვა, როგორ შეუძლიათ ორგანიზაციებს, რომლებიც ღარიბთა

ორიენტირებული იყო. ნაშრომი აჩვენებს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ცვლილების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობის დასახმარებლად.

¹³¹ ეს ტერმინი ფინანსურ სფეროში არსებული სესხების მკვეთრი დეფიციტის ან საკრედიტო რესურსების შეზღუდვის აღწერის მიზნით გამოიყენება. „საკრედიტო ზვიგენის“ მთავარი მახასიათებლებია: ბანკების საკრედიტო საქმიანობის შემცირება – ბანკები რისკების თავიდან ასაცილებლად სულ უფრო ნაკლებ სესხებს გასცემენ; კრედიტის წვდომაზე შესაძლებლობის შემცირება – როგორც კომპანიებს, ასევე ცალკეულ ინდივიდებს ფინანსური რესურსის მიღება ურთულდებათ; ეკონომიკური სტაგნაცია ან ნელი ტემპით ზრდა – „საკრედიტო ზვიგენი“ ხშირად საინვესტიციო, საწარმოო და სამომხმარებლო აქტივობის შემცირებას იწვევს; ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა – შეიძლება სესხების აღების პრობლემები, ვალუტის კურსის რყევები ან სხვა ფინანსური სირთულეები მოჰყვეს. ამის მკაფიო მაგალითი იყო 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რა დროსაც ბანკებმა სესხების გაცემის მოცულობა საგრძნობლად შეამცირეს, რამაც საწარმოებისა და მოსახლეობისათვის ფინანსური ხელმისაწვდომობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია.

¹³² CGAP — Consultative Group to Assist the Poor- ღარიბთა დახმარების გაწევის საკონსულტაციო ჯგუფი.

დახმარების გაწევაზე არიან ორიენტირებულნი, ასეთი მაღალი სასესხო განაკვეთები ჰქონდეთ დაწესებული? სინამდვილეში აღმოჩნდება, რომ მათ ეს შეუძლიათ და ეფექტური განაკვეთების პოლიტიკა, ხელოვნური შემცირების პოლიტიკისაგან განსხვავებით ბაზარზე დადებითად მოქმედებს.

ღარიბთა დახმარების საკონსულტაციო ჯგუფის (CGAP) წევრის დევიდ პორტიუსის¹³³ აზრით, ბაზრის განვითარება შეიძლება ოთხ ფაზად დავყოთ. პირველი ფაზა – პიონერი – ბაზრის გაჩენის ეტაპია, როდესაც სერვისის რამდენიმე მიმწოდებელს ახალი პროდუქტი შემოაქვს. მეორე ფაზა – ზრდის დასაწყისი – წარმატება იწვევს სხვა ორგანიზაციების მოზიდვასა და სტიმულირებას მოქმედებაში; მოცულობები იზრდება, შესამჩნევია ზრდა. მესამე ფაზა – კონსოლიდაცია – ზრდა იწყებს შენელებას, ფასები იკლებს, რაც ბაზარზე ახალ მომხმარებლებს შესვლის შესაძლებლობას აძლევს, ხოლო მაღალი დანახარჯების მქონე მოთამაშეები ბაზარს ტოვებენ. მეოთხე ფაზა – სიმწიფე – ბაზრის გასუფთავება მაღალი დანახარჯების მქონე და სტაბილური სტრუქტურის არმქონე კომპანიებისაგან, ფიქსირდება მუდმივი მოთამაშეების რაოდენობა და ეფექტიანობის გაუმჯობესების დონეზე კონკურენციის არსებობა.¹³⁴

ავტორი, აღწერს რა საბაზრო განვითარების ბუნებრივ პროცესს, აღნიშნავს, რომ ბევრ შემთხვევაში კონკურენცია, რომელიც ზრდის ფაზაში იწყება და სიმწიფის ფაზაში სრულდება, საპროცენტო განაკვეთების უმტკივნეულოდ შემცირების სტიმულია. თუმცა იმავე კვლევაში, მიკროდაფინანსების ბაზრის მაგალითზე, ავტორი ამტკიცებს, რომ უფრო განვითარებული ბაზარი ყოველთვის დაბალი საპროცენტო განაკვეთებით არ გამოირჩევა. ავტორმა საპროცენტო განაკვეთების შემცირების მეორე ბუნებრივ ვარიანტი შემოგვთავაზა – ბაზარზე მსხვილი მოთამაშეების

¹³³ დევიდ პორტიუსი (David Porteous) – ცნობილი ექსპერტი ფინანსური ინკლუზიისა და მიკროფინანსების სფეროში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბაზრის განვითარების ფაზების მოდელის შექმნაში, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე მიკროსაფინანსო ბაზრების ევოლუციას აღწერს. <https://bfa.global.com/bio/david-porteous/>

¹³⁴ Competition and Microcredit Interest Rates, (February, 2006)

არსებობა, რომელთა მიზანიც განაკვეთების შემცირება იქნება და ამისთვის ყველა საჭირო რესურსი ექნებათ.

ქვეყნის მეორე პროგრამამ შესაძლებელია ბაზრიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის მისოს გამოდევნა გამოიწვიოს, მაგრამ რამდენადაც მიკროდაფინანსების ბაზარი უმეტესად ოლიგოპოლიურია, ბაზრის „ლომის წილი“ დიდ მოთამაშეებზე მოდის, ამიტომაც შეთავაზების მოცულობაზე ეს უმნიშვნელოდ უნდა აისახოს.¹³⁵

ბაზარზე შეზღუდვების არსებობა მოთამაშეებს ყოველთვის ეფექტიანობის გაზრდისაკენ არ ახალისებს. ვნახოთ, როგორ რეაგირებს მისო შეზღუდვებზე, რომლებიც დევიდ პორტიუსის ნაშრომშია შემოთავაზებული. ბაზრის სუბიექტების მცირე ნაწილი დანახარჯების შემცირებასა და ეფექტიანობის გაზრდას შეეცდება, ხოლო უფრო დიდი ნაწილი ღარიბი მოსახლეობის მომსახურებას მიატოვებს და ყურადღებას მდიდარ კლიენტებზე გადაიტანს. ზოგიერთი მისო ბაზარს დატოვებს და, სავარაუდოდ, ჩრდილოვან ბიზნეს-საქმიანობაში გადაინაცვლებს. ხოლო ზოგიერთს გამჭვირვალობის შემცირებით და დამატებითი მოსაკრებლების, საკომისიოებისა და შენატანების გზით დანახარჯების დაფარვის შესაძლებლობა გაუჩნდება.¹³⁶

ამგვარად, შეზღუდვების დაწესებამ და მისოს რეაქციამ ამ შეზღუდვებზე შესაძლოა ღარიბ მოსახლეობას ზიანი მიაყენოს: პირველი, შემცირდება მისოს მომსახურების შემოთავაზება; მეორე, ბაზარზე გამჭვირვალობის არარსებობის გამო, მიკროდაფინანსების ობიექტებს ბაზარზე ადაპტირება გაუჭირდებათ. ძირითადი დასკვნა ასეთია: საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ბუნებრივ ხასიათს უნდა ატარებდეს და მანამდე, სანამ განაკვეთების შემცირება მიკროსაფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო კალათიდან მცირე სესხების გაქრობას არ გამოიწვევს, ეფექტი ამ პროცესიდან პოზიტიური იქნება. ბუნებრივ დონეზე საპროცენტო

¹³⁵ Assefa, E., Hermes, N., Meesters A., Competition and the Performance of Microfinance Institutions. Applied Financial Economics, 23(9), 2013, 767–782.

¹³⁶ Porteous D., Making financial markets work for the poor, 2004, 42.

განაკვეთების შემცირებას დანახარჯების კლება ახლავს თან, მისოს ეფექტიანობის ზრდა და მიკროდაფინანსების მისიის შესრულება სწორი მიმართულებაა.¹³⁷

2.2.4 საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ფუნქცია

მისოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც მნიშვნელოვნად აძლიერებს მათ ეფექტიანობასა და გავლენას, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ფუნქციაა. აღნიშნული ფუნქცია დამატებით სოციალურ და მენეჯერულ მიზნებს ასრულებს, რაც მომხმარებლისათვის ფინანსურ სისტემაში სრული პოტენციალით ჩართულობის საშუალებას ქმნის. საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობა პირდაპირ მომხმარებლის ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის განვითარების პროცესს უკავშირდება, რაც სესხების ეფექტიან გამოყენებასა და კლიენტის ფინანსურ მდგრადობას მნიშვნელოვნად ზრდის.¹³⁸ პირველ რიგში, საგანმანათლებლო ფუნქცია ფინანსური ცოდნის გაზრდას მოიცავს. მისოს ბევრი მომხმარებელი ფინანსური რესურსების მართვის, ვალების და სესხის ეფექტური გამოყენების შესახებ აუცილებელ ცოდნას არ ფლობს. სწორედ ამიტომ, მისო ხშირად კლიენტებს ტრენინგებს, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს სთავაზობს, სადაც სესხის სწორად გამოყენების, ბიუჯეტირებისა და ფინანსური დაგეგმვის ძირითადი პრინციპები სათანადოდ არის ახსნილი. ეს მიდგომა პასუხისმგებლიანი ფინანსური ქცევის განვითარებისათვის ქმნის საფუძველს, ზრდის კლიენტის უნარს მართოს საკუთარი ფინანსური რესურსები და რისკების შესამცირებელი გზები იცოდეს.¹³⁹

¹³⁷ Porteous D., Making financial markets work for the poor, 2004, 42.

¹³⁸ Anglin AH, Short JC, Ketchen DJ Jr, Allison TH, McKenny AF (2020) Third-party signals in crowd-funded microfinance: The role of microfinance institutions. *Entrep Theory Pract* 44 (4): 623–644. <<https://doi.org/10.1177/1042258719839709>>, [21.04.2025.]

¹³⁹ Hermes N., Lensink R., and Meesters A., Outreach and efficiency of microfinance institutions, *World Development*, 2011, 39(6), 938–948.

მეორე ასპექტი ბიზნეს-საკონსულტაციო მხარდაჭერაა. მისო, რომელიც მუშაობს მცირე მეწარმეებთან, არა მხოლოდ ფინანსურ რესურსს, არამედ ბიზნესის მართვაში გრძელვადიან დახმარებას სთავაზობს. საკონსულტაციო სერვისები ბიზნეს-გეგმების მომზადებას, ფინანსური ანალიზის ჩატარებას, საბიუჯეტო დაგეგმვას, პროდუქციის მარკეტინგსა და მომხმარებელთა ბაზრის კვლევას მოიცავს. ასეთი მხარდაჭერა მცირე ბიზნესის გაზრდას ხელს უწყობს, ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას ქმნის და სესხის დროული დაბრუნების ალბათობას ამაღლებს.¹⁴⁰

გარდა ამისა, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ფუნქცია სოციალური ინკლუზიისა და ფინანსური ჩართულობის გაძლიერებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. კლიენტების განათლება ფინანსურ საკითხებში მათ შესაძლებლობას ზრდის, საბანკო და არასაბანკო ფინანსურ სერვისებში მიიღონ მონაწილეობა, ეკონომიკურ გამოწვევებს გაუმკლავდნენ და ფინანსურად დამოუკიდებელ ინდივიდებად განვითარდნენ. კლიენტების განათლება – თვალსაჩინო ადგილებში განთავსებული განცხადებები მისოს თანამშრომლებისათვის ქრთამისა და საჩუქრების მიღების დაუშვებლობის შესახებ, საჩივრებისა და მიმართვების მკაფიო არხები მენეჯმენტთან, ასევე კლიენტების ინფორმირება მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ – ხელს უწყობს თაღლითობის შემთხვევების გამოვლენასა და პრევენციას, როგორც თანამშრომლების, ასევე თვითონ კლიენტების მხრიდან.¹⁴¹ შედეგად, მისოს საქმიანობა არა მხოლოდ ფინანსურ სარგებელს იძლევა, არამედ საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ მდგრადობას ზრდის.

ამერიკელი მკვლევარი შრაინერი, რომელიც მიკროსაფინანსო და სიღარიბის შეფასების ინსტრუმენტებზე მუშაობით არის ცნობილი,

¹⁴⁰ Цуциев М. Микрофинансирование – средство борьбы с бедностью и резерв экономического роста. Жур., «Бюджет», 2007. №3, 12.

¹⁴¹ Reinhard H. Schmidt. Microfinance, Commercialization and Ethics. Poverty & Public Policy, 2016, Vol. 2, No. 1, 6.

აღნიშნავს, რომ მიკროდაფინანსების სოციალური სარგებელი ყველა ექვს ასპექტზე – ფასეულობაზე, ღირებულებაზე, სიღრმეზე, დაფარვის არეალზე, ხანგრძლივობაზე და მოცულობაზე – თუმცა ყველაზე მეტად მაინც ხანგრძლივობაზე არის დამოკიდებული.¹⁴²

საკონსულტაციო ფუნქციის მნიშვნელოვანი მხარე რეგიონული მხარდაჭერაა. ბევრ რეგიონში მოსახლეობას ხარისხიან ფინანსურ და ბიზნეს-კონსულტაციებზე წვდომა არ აქვს. მისოს ტრენინგები, სემინარები და პირადი კონსულტაციები ამ სიცარიელებს ავსებენ, რაც ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, მცირე მეწარმეობის გაძლიერებასა და რეგიონული შემოსავლების ზრდას უწყობს ხელს.

საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ფუნქცია მისოს სტრატეგიული ინსტრუმენტია. ის კლიენტის ფინანსურ ცოდნას აძლიერებს, გადაწყვეტილებების მიღების უნარს ზრდის, ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას, სოციალური თანასწორობისა და ეკონომიკური სტაბილურობის გაძლიერებას უწყობს ხელს. შედეგად, მისოს საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ფუნქცია ეკონომიკური, სოციალური და საგანმანათლებლო მიზნების გამაერთიანებელი მნიშვნელოვანი ელემენტია.¹⁴³

2.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ადგილი ფინანსურ სისტემაში

2.3.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, როგორც ფინანსური შუამავლები

მისო, როგორც ფინანსური შუამავალი, თანამედროვე ფინანსურ სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ის ბანკებსა და მომხმარებლებს შორის დამატებით რგოლად ფუნქციონირებს. შუამავლის ფუნქცია ეფუძნება ძირითადი პრინციპს, რომ ის იმ ნიშას ავსებს, რომელსაც კომერციული

¹⁴² Schreiner, M., 2002, "Aspects of outreach: A framework for a discussion of the social benefits of microfinance," in *Journal of International Development*, Vol. 14, 12.

¹⁴³ Микрокредит в странах с переходной экономикой. [ელექტრონული რესურსი]: Программа развития местной экономики и занятости. ხელმისაწვდომია: <http://www.rmcenter.ru/> [10.03.2025].

ბანკები ნაკლებად ემსახურებიან. ამ მიდგომის საფუძველია ის, რომ საბანკო სისტემა დაბალშემოსავლიანი, მცირე ბიზნესისა და ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის სერვისებს ხშირად არ უზრუნველყოფს, რის გამოც მათი ფინანსური ჩართულობა შეზღუდული რჩება. მისო ამ მიმართულებით სრულფასოვან ფინანსურ ქსელს ქმნიან, რაც ეკონომიკური აქტივობის გაზრდასა და სტაბილურობას უზრუნველყოფს.¹⁴⁴

ფინანსური შუამავლის ფუნქციის შესრულებისას მისო უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების ეფექტიან გადანაწილებას მცირე სუბიექტებზე. ის დაფინანსებას მსხვილი საფინანსო ორგანიზაციებისაგან ან საერთაშორისო დონორისაგან და სწორედ მცირე მოცულობის სესხების მეშვეობით აწვდის იმ პირებს, ვისთვისაც ტრადიციული საბანკო მომსახურება მიუწვდომელია. შედეგად, ფინანსური რესურსები უფრო მიზნობრივად და ეფექტიანად აღწევს ეკონომიკის მოწყვლად ფენებამდე, რაც მათი ეკონომიკური მდგრადობისა და თვითორგანიზების შესაძლებლობას ზრდის.¹⁴⁵

მიკროდაფინანსების თეორიაში აღნიშნული კატეგორიებიდან ყველაზე სრულად ფინანსური შუამავლობის მომსახურებები არის განვითარებული, რომლებიც შეიძლება ხუთ სახეობად იქნას დაყოფილი: მიკროსესხები; მიკროდანაზოგი; მიკროდაზღვევა; მიკროლიზინგი; ფულადი გზავნილები. მომსახურების ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიები რამდენად მასშტაბურად იქნება მოცული მისოს მხრიდან, მიკროდაფინანსებაში მიღებულ მიდგომაზე არის დამოკიდებული.

ლიტერატურაში დიდი დისკუსიები მიმდინარეობს იმის თაობაზე, უნდა იყოს თუ არა მისო მინიმალისტური – ანუ სთავაზობდეს მხოლოდ ფინანსურ შუამავლობას, თუ ყოვლისმომცველი – როგორც ფინანსურ შუამავლობას, ასევე სხვა მომსახურებასაც სთავაზობდეს. პრაქტიკაში ბევრი

¹⁴⁴ Cull R., D.-K. Asli and Morduch J., Microfinance Meets the Market, Journal of Economic Perspectives, 2009, 23 (1), 167–192.

¹⁴⁵ D’Espallier, B., Guerin I., and Mersland R., Focus on Women in Microfinance Institutions, Journal of Development Studies, 2013, 49 (5), 589–608.

მისო გარკვეული მოცულობით სოციალური შუამავლობის მომსახურებასაც უზრუნველყოფს. მინიმალისტური (narrow) მიდგომა – მისო უნდა იყოს მხოლოდ ფინანსური შუამავალი: სესხებს აძლევს, თანხებს იბრუნებს, ბაზრის წესების შესაბამისად ოპერირებს. ამ მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ ორგანიზაციის ძირითადი ფუნქცია ფინანსურ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფაა, ხოლო სოციალური ან სხვა მომსახურება ბაზარზე ეფექტიანობასა და ორგანიზაციის ფინანსურ სიძლიერეს იწვევს. სრული (comprehensive) მიდგომა – მისო არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ სოციალურ, საგანმანათლებლო ან ბიზნეს კონსულტაციებს უნდა სთავაზობდეს. მაგალითად, ორგანიზაცია მომხმარებლებს ფინანსურ განათლებაში, ჯანმრთელობის დაზღვევაში ან მცირე ბიზნესის მართვაში უწევს დახმარებას. ამ მიდგომის მხარდამჭერები მიუთითებენ, რომ სოციალური მხარდაჭერა სესხების დაბრუნების ეფექტიანობასა და მდგრადობას ზრდის, ხოლო მომხმარებლების კეთილდღეობა მთლიან ბაზარზე აისახება. ლიტერატურაში ეს დისკუსია ხშირად იკვეთება ისეთი ავტორების მხრიდან, როგორებიც არიან არმენდარიზი და მორდუჩი,¹⁴⁶ ლეჯერუდი,¹⁴⁷ რობინსონი¹⁴⁸ – ისინი მისოს ფუნქციების მასშტაბზე, ფინანსური

¹⁴⁶ Beatriz Armendáriz & Jonathan Morduch (2010) – The Economics of Microfinance. ნაშრომი განიხილავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ეკონომიკურ ასპექტებს, ყურადღებას ამახვილებს ფინანსური მომსახურების ფორმებზე, მინიმალისტურ და კრედიტ-პლუს მიდგომებზე. ავტორები განმარტავენ სესხების მიწოდების სტრუქტურას, რისკებსა და სოციალური გავლენას ღარიბ მოსახლეობაზე, აჩვენებენ, როგორ შეიძლება მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მდგრადი განვითარების მიზნებს შეუწყოს ხელი.

¹⁴⁷ Joanna Ledgerwood (1999) – Microfinance Handbook: An Institutional and Financial Perspective. აღნიშნული ნაშრომი დეტალურად იკვლევს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ინსტიტუციურ და ფინანსურ ასპექტებს. ხაზგასმულია ორგანიზაციის სტრუქტურა, მართვის პროცედურები, ფინანსური დაგეგმვა და მომხმარებლებისთვის სერვისების მიწოდების სტრატეგიები. ნაშრომი არის პრაქტიკული სახელმძღვანელო მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ეფექტიანი მართვისთვის.

¹⁴⁸ Marguerite S. Robinson (2001) – The Microfinance Revolution: Sustainable Finance for the Poor. ნაშრომი განიხილავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ევოლუციას და მისი ეფექტიანობის ზრდას ღარიბ მოსახლეობის ეკონომიკურ ინტეგრაციაში. ავტორი ასახავს მდგრად ფინანსურ მოდელს, ორგანიზაციების რისკებსა და სოციალური გავლენის სტრატეგიებს. ნაშრომი აერთიანებს თეორიას, პრაქტიკულ მაგალითებსა და გაკვეთილებს წარმატებული მიკროსაფინანსო პროგრამების შესახებ.

მდგრადობისა და სოციალური გავლენის შორის ბალანსის შესახებ მსჯელობენ.

გარდა ფინანსური რესურსების გადანაწილებისა, მისო სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას უზრუნველყოფს. ის უბრალოდ ფინანსური ინსტიტუტი არ არის; მისი საქმიანობა ფინანსური ჩართულობის გარემოს ქმნის, სადაც მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ჯგუფები ფინანსური შესაძლებლობებით სარგებლობენ, პასუხისმგებლიანი სესხების აღების პრინციპებს სწავლობენ და მცირე ბიზნესის შესაძლებლობებს ავითარებენ. ამ თვალსაზრისით მისო ასრულებს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ ფუნქციას, რაც მას ფინანსურ სისტემაში, საბანკო სექტორისაგან განსხვავებით, უნიკალურ როლს ანიჭებს.

მისოს ფინანსური შუამავლის ფუნქცია სპეციალიზებულ პროდუქტებს აერთიანებს, რომლებიც კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებზე არის გათვლილი. მისო უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების ადაპტირებას კლიენტის შესაძლებლობებთან, რაც სესხის დროული დაბრუნების ალბათობას ზრდის და ამასთანავე ეკონომიკური აქტივობის სტაბილურობას აძლიერებს. საინტერესოა, რომ მისო ხშირად იყენებს ინოვაციურ მეთოდებს სესხების გაცემისა და მენეჯმენტის პროცესში, რაც მის შუამავლური როლის ეფექტიანობას ამაღლებს. მათ შორის არის სოციალური უზრუნველყოფის სისტემები, ჯგუფური სესხები, გადახდის მოქნილი გრაფიკები, ონლაინ პლატფორმები და ფინანსური განათლების გაძლიერება. ამ გზით იგი სესხების უსაფრთხო მიღებას, რესურსების მიზნობრივ გადანაწილებასა და კლიენტების ფინანსური პასუხისმგებლობის ზრდას უზრუნველყოფს.

ამერიკელ მკვლევართა ჯგუფმა,¹⁴⁹ რომელმაც მიკროსაფინანსო სისტემაში კომერციული ბანკების როლი გამოიკვლია, ბანკების, როგორც

¹⁴⁹ ჯონათან მორდუხის (ნიუ-იორკის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკისა და ეკონომიკის პროფესორი), ხელმძღვანელობით.

შდრ.: "[A Dollar is a Dollar is Not a Dollar: Unmasking the Social and Moral Meanings of Money - Los Angeles Review of Books](#)". Los Angeles Review of Books, 2017;

ფინანსური შუამავლების ოთხი ტიპი გამოყო: მრავალპროფილური კერძო კომერციული ბანკები – ჩვეულებრივ, ეროვნული დონის ბანკები, რომლებიც ფართო ქსელის მეშვეობით მრავალფეროვან ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებებს სთავაზობენ; სახელმწიფო ბანკები – მსხვილი ბანკები, რომლებიც სახელმწიფოს პრიორიტეტებთან შესაბამისად მომსახურების ფართო სპექტრს უზრუნველყოფენ. ჩვეულებრივ მოქმედებენ, როგორც სახელმწიფო ტრანსფერებისა და გადახდების არხი და დიდი რაოდენობით დეპოზიტარებს ემსახურებიან. მათი საქმიანობა ხშირად მთავრობის პრიორიტეტებით რეგულირდება. ფინანსური კომპანიები და სპეციალიზებული ბანკები – მცირე საფინანსო ინსტიტუტები, ძირითადად რეგიონული მნიშვნელობის, რომლებიც კონკრეტულ სექტორებზე სპეციალიზდებიან. ეს მრავალფეროვანი ინსტიტუციური ფორმები მიკროსაფინანსო სექტორის სტრუქტურულ სირთულესა და დინამიკას ასახავენ. მისოს საინვესტიციო სტრატეგიები – მისო სხვადასხვა ტიპის ინვესტიციებს მათი საქმიანობის ბუნებიდან და არსებული თუ პოტენციური რისკებიდან გამომდინარე ეყრდნობა. მაგალითად, მცირე და ახალი ორგანიზაციები დონორების გრანტებსა და ტექნიკურ დახმარებას შესაძლოა უფრო მეტად დაეყრდნონ, ხოლო მსხვილი, სტაბილური მისოები – შიდა ან გარე კერძო კაპიტალს, სახელმწიფო ფონდებს ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წვლილს.

2.3.2 ალტერნატიული საფინანსო ინსტიტუტების როლი

ალტერნატიული საფინანსო ინსტიტუტები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისო, თანამედროვე ფინანსურ სისტემაში

["The Financial Diaries: How American Families Cope in a World of Uncertainty, by Jonathan Morduch and Rachel Schneider"](#). Times Higher Education (THE), 2017;
Schneider, Jonathan Morduch and Rachel. ["The Power of Predictable Paychecks"](#). The Atlantic, 2017;
["The Closer You Look, the Worse It Seems \(SSIR\)"](#), 2017;
Cohen, Patricia (2017-05-31). ["Steady Jobs, With Pay and Hours That Are Anything But"](#). The New York Times. [ISSN 0362-4331](#), 2017.

მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვინაიდან ისინი საბანკო სექტორისათვის კონკურენციას ქმნიან და მის ხარვეზებს ასწორებენ. ნაკლებადმომგებიანობის მიზეზით კომერციული ბანკები დაბალშემოსავლიან მოსახლეობას ან მცირე მეწარმეებს საჭიროების შემთხვევაში ფინანსური მომსახურებით ვერ უზრუნველყოფენ. ალტერნატიული ინსტიტუტების მომსახურება კონკრეტული ჯგუფების საჭიროებებზე მეტად მორგებულია. ამგვარი კონკურენცია არა მხოლოდ ზრდის საბანკო სექტორის ეფექტიანობას, არამედ ფინანსურ სისტემას უფრო ინკლუზიური და მდგრადი მიმართულების თვალსაზრისით განავითარებს.¹⁵⁰

ალტერნატიული საფინანსო ინსტიტუტები მოქნილ პროდუქტებს სთავაზობენ. ისინი მცირე მეწარმეებსა და დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებელზე არიან ადაპტირებული. განსხვავებული ვადებით გასცემენ მცირე მოცულობის სესხებს, კლიენტის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ინდივიდუალურ საპროცენტო განაკვეთებსა და გადახდის გრაფიკებს ადგენენ. ასეთი მიდგომა სესხის დროული დაბრუნების ალბათობას ზრდის, კლიენტის პასუხისმგებლობას ამაღლებს და ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას უზრუნველყოფს.¹⁵¹ გარდა ამისა, მოქნილი პროდუქტები მცირე ბიზნესის სტაბილურ განვითარებას უწყობს ხელს, ვინაიდან სესხის პირობები ბაზრის რეალობასა და ბიზნესის სპეციფიკაზე არის მორგებული, რაც ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაციისათვის ფრიად მნიშვნელოვანია.

ალტერნატიული საფინანსო ინსტიტუტები ფინანსური სისტემის მრავალფეროვნების ზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ისინი საბანკო ინსტიტუტების ტრადიციული პროდუქტებისაგან განსხვავებულ დამატებით ფინანსურ სერვისებს ქმნიან. აღნიშნული თვალსაზრისით

¹⁵⁰ Shen, Y., Shen, M., Xu, Z., & Bai, Y., Bank concentration, competition, and financial inclusion. *Journal of International Money and Finance*, 2009, 28(4), 541–558. <<https://doi.org/10.1016/j.jimonfin.2009.01.002>>, [12.03.2025.]

¹⁵¹ Hameed, A., et al., Social capital and loan credit terms: does it matter in microfinance contract? 2021, 32.

ფინანსური ბაზარი უფრო დინამიკური, კონკურენტული და ინკლუზიური ხდება. მრავალფეროვნება ფინანსურ სისტემაში მხოლოდ კომერციული ხასიათის არ არის; ის ფინანსური ჩართულობის შესაძლებლობებს ზრდის, სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებს ფინანსური სერვისების მიღების საშუალებას აძლევს და ამავდროულად ეკონომიკურ შოკებთან მიმართებაში სისტემის წინააღმდეგობას აძლიერებს. გარდა ამისა, ალტერნატიული საფინანსო ინსტიტუტების როლი ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებაში ინოვაციურ მიდგომებს გულისხმობს. სწრაფი, ეფექტიანი და ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ისინი თანამედროვე ტექნოლოგიებს, ონლაინ პლატფორმებს, მობილურ აპლიკაციებსა და ჯგუფური სესხის მოდელებს იყენებენ.¹⁵² ინოვაციური მიდგომები ზრდის სისტემის მოქნილობას, ზრდის კლიენტთა რაოდენობას, განსაკუთრებით რეგიონულ და სასოფლო დასახლებებში, და ამავე დროს, საბანკო სექტორში კონკურენტუნარიანობას აძლიერებს.¹⁵³

გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებისას ბევრი სპეციალისტი ტექნოლოგიების ბაზრის მიმართ ინტერესის დაკარგვას პროგნოზირებდა, თუმცა ეს წინასწარმეტყველებები არ გამართლდა. FinTech¹⁵⁴ ნიშნავს ტექნოლოგიების გამოყენებას, რომლებიც ფინანსურ

¹⁵² Hameed, A., et al., Social capital and loan credit terms: does it matter in microfinance contract? 2021, 47.

¹⁵³ Glushchenko, M., Hodasevich, N., & Kaufman, N., Innovative financial technologies as a factor of competitiveness in the banking. SHS Web of Conferences, 2019, 69, Article 00043.

¹⁵⁴ FinTech – Financial technology / ფინანსური ტექნოლოგიები – ეს ტერმინი გულისხმობს ინოვაციურ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ფინანსურ სექტორში გამოიყენება მომსახურებების ეფექტიანობის გასაზრდელად, ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის და ახალი პროდუქტების შექმნისათვის. ფინანსური ტექნოლოგიები მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა: მობილური და ონლაინ ბანკინგი – მომხმარებლებს შეუძლიათ ანგარიშების მართვა, გადარიცხვები და გადახდები ნებისმიერი მოწყობილობით; პერონსალიზებული ფინანსური სერვისები – ალგორითმები და AI ტექნოლოგიები ანალიტიკისა და რჩევების მიცემისათვის; ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტები – ტრანზაქციების უსაფრთხო, სწრაფი და გამჭვირვალე განხორციელება; პეიმენტსისტემები და ელექტრონული საფულეები – სწრაფი გადახდები ონლაინ მაღაზიებსა და აპლიკაციებში; საბანკო ანალიტიკა და რისკების მართვა – მონაცემთა ანალიზი სესხების შეფასებისა და ფინანსური გადაწყვეტილებების მხარდაჭერისათვის.

სერვისებს უფრო ეფექტიანს ხდის. ტერმინი FinTech ჩვეულებრივ ფინანსური სფეროს უახლეს ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული და სტარტაპების აღსანიშნავად გამოიყენება. ფინანსური სერვისების ტექნოლოგიური პროექტები, მიუხედავად იმ სირთულეებისა, რაც რეგულირების პროცესში ამ სფეროში მომუშავე კომპანიებს ექმნებათ, სტარტაპებისათვის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ (და, შესაბამისად, მოთხოვნად) მიმართულებად რჩება.

FinTech-ის ბაზაზე ორი ძირითადი ტიპის პროდუქტი განიხილება: პირველი, უკვე დიდი ხანია არსებობს ბაზარზე ფინანსური სერვისებისათვის და პროგრამულ უზრუნველყოფასა და მომსახურებას უზრუნველყოფს, ანუ B2B¹⁵⁵ (business-to-business) მოდელს ეფუძნება; მეორე კი, რომელიც ბოლო დროს განსაკუთრებით აქტიურად ვითარდება, ორიენტირებულია საბოლოო მომხმარებელზე და B2C (business-to-consumer) ბაზარს ფარავს. მისი ამბიციური მიზანი – ტრადიციული ფინანსური მომსახურების მომწოდებლებს მასობრივ მომხმარებელზე წვდომის თვალსაზრისით კონკურენციის გაწევია. შეიძლება ითქვას, რომ FinTech მობილური ბანკინგის სფეროში ერთგვარი რევოლუციაა. ასეთი პროექტების სპეციალიზაციის სპექტრი ონლაინ და მობილურ აპლიკაციებს, სავაჭრო პლატფორმებს, ვალუტის გაცვლას, პირადი ფინანსების მართვას მოიცავს. თანამედროვე აპლიკაციების პერსონალიზებული შეთავაზებები, მარტივი და

FinTech-ის მთავარი უპირატესობაა ფინანსური ინკლუზიურობის გაზრდა, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ტრადიციული ბანკის სერვისები შეზღუდულია.

¹⁵⁵ B2B – Business to business – ბიზნესი ბიზნესისთვის – ეს არის ბიზნესის მოდელი, რომელშიც ერთ-ერთი კომპანია სხვა კომპანიას პროდუქტებს ან სერვისებს სთავაზობს. B2B განსხვავდება B2C (Business-to-Consumer) მარკეტინგისაგან, ვინაიდან აქ ძირითადი მომხმარებელი სხვა ბიზნესი, არა ინდივიდუალური მომხმარებელი ხდება. B2B-ის ძირითადი მახასიათებლებია: გრძელვადიანი გაყიდვების ციკლი; დიდი ოდენობის ტრანზაქციები – B2B ტრანზაქციები ხშირად დიდი მოცულობის საქონელს ან მომსახურებას მოიცავს; სპეციფიკური საჭიროებები – პროდუქტები ან სერვისები კონკრეტული ბიზნესის პროცესებსა და მოთხოვნებზე არის მორგებული; კორპორატიული ურთიერთობები – B2B ურთიერთობები ნდობასა და სტრატეგიულ პარტნიორობებზე არის დაფუძნებული. B2B – Business to business-ის მაგალითებია: მწარმოებელი კომპანია, რომელიც ყიდის ნაწილებს ავტომობილების წარმოების კომპანიას; IT კომპანია, რომელიც სერვერს ან პროგრამულ უზრუნველყოფას აწვდის სხვა ბიზნესს; სადისტრიბუციო კომპანიის საქმიანობა. B2B-ის მთავარი უპირატესობა სტაბილურ და გრძელვადიან კლიენტებთან ურთიერთობები არის, რაც კომპანიის ფინანსურ სიძლიერესა და პროგნოზირებადობას უზრუნველყოფს.

მოსახერხებელი დიზაინი, ასევე ფინანსური ინტერნეტ და მობილური აპლიკაციები ყოველდღიურად ჩნდება და გეომეტრიული პროგრესიით მრავლდება. FinTech უკვე აღარ არის მხოლოდ სტარტაპების სფერო – ზოგიერთი კომპანია, მაგალითად Lending Club (სესხების პლატფორმა), ფართოდ ცნობილი გახდა, სხვები კი ისეთ გიგანტურ კომპანიებში ინტეგრირდა, როგორცაა Apple, Google და Samsung. თითოეული FinTech-კომპანია ვიწრო სპეციალიზაციის მქონე ფინანსური სერვისების აპლიკაციებს აწვდიდა ან ამჟამად აწვდის, რომლებიც ხშირად უფრო ეფექტიანია და ტრადიციული კომპანიების მომსახურებასთან შედარებით ნაკლებ დანახარჯთან არის დაკავშირებული.

ამ სტრატეგიის ფარგლებში, ისეთი პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების შერჩევა არის საჭირო, რომლებიც ფინანსური ორგანიზაციის ბიზნეს-კრიტერიუმებს შეესაბამება; პროდუქტიული თანამშრომლობა მომწოდებლებთან, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას სწრაფად და ეფექტიანად შესთავაზოს ბაზარს ინტეგრირებული გადაწყვეტილებები. ამასთან, მნიშვნელოვანია კომპანიის იმ საქმიანობაზე ფოკუსირება, რაც საუკეთესოდ გამოსდის, მაგალითად, საინვესტიციო სტრატეგიის განსაზღვრა, საკრედიტო რისკის შეფასება, კონტრაქტების რისკების მართვა, ფინანსური ოპერაციების შესრულება და რეგულირება.¹⁵⁶

ალტერნატიული საფინანსო ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფაშიც. მათი მიზნობრივი სეგმენტები ხშირად არიან ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფები, როგორცაა დაბალშემოსავლიანი ოჯახები, მცირე მეწარმეები, ფერმერული მეურნეობის წარმომადგენლები ან აგრარული კოოპერატივები. სერვისების მიწოდებით ეს ინსტიტუტები არა მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ, არამედ ზრდიან კლიენტების ეკონომიკურ

¹⁵⁶ Treacy W.F., Credit Risk Rating Systems at Large US Banks/W.F.Treacy, M. Carey//Journal of Banking and Finance, 2020, № 24, 169.

დამოუკიდებლობას, ავითარებენ ფინანსური განათლებისა და პასუხისმგებლიანი ფინანსური ქცევის უნარებს, პოზიტიურ სოციალურ ეფექტს ქმნიან.¹⁵⁷

ალტერნატიული საფინანსო ინსტიტუტები საბანკო სექტორში კონკურენციას ქმნიან, მის ხარვეზებს ავსებენ, კონკრეტულ სემინტზე მორგებულ მოქნილ პროდუქტებს სთავაზობენ, ფინანსური სისტემის მრავალფეროვნებასა და განვითარებას ზრდიან, სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტებს უზრუნველყოფენ. ფინანსურ ბაზარზე მათი როლი უნიკალურია, ვინაიდან ისინი ფინანსურ მომსახურებას იმ ჯგუფებს უწევენ, რომელთა ინტერესებსაც კომერციული ბანკები ხშირად ვერ აფასებენ ან ვერ ემსახურებიან. ყოველივე ამით კი ისინი ინკლუზიურ, მდგრად და ფუნქციურ ფინანსურ გარემოს ქმნიან.

2.3.3 ფინანსური ჩართულობის გაფართოება

მისო ფინანსურ სისტემას განსაკუთრებულად ეფექტიან და „გაფართოებულ ფორმატში“ აქცევს, ვინაიდან ისინი ტრადიციული საბანკო სისტემისათვის მაღალი რისკის მატარებელ მოსახლეობას მოიცავს. საბანკო სექტორი ხშირად დაბალშემოსავლიანი ინდივიდებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენლების დაფინანსებისაგან თავს იკავებს. ამ გარემოებას ბანკი მაღალშემოსავლიანი უზრუნველყოფის, სტაბილური შემოსავლების ან ხანგრძლივი საკრედიტო ისტორიის არარსებობით ხსნის. მისოს საშუალებით აღნიშნული სივრცე შევსებულია, ფინანსურ რესურსებზე წვდომა უზრუნველყოფილია და შექმნილია საშუალება, რომ ეკონომიკურ პროცესებში მოწყვლადი ჯგუფები აქტიურად ჩაერთონ.

ფინანსური ჩართულობის გაფართოება სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერებას გულისხმობს. მიკროსაფინანსო სესხები და ფინანსური პროდუქტები ინდივიდებს ან მცირე ბიზნესებს არა

¹⁵⁷ Rahman, A., & Luo, J., The Development Impact of Microfinance on Women and Children, World Development, 2011, 39 (6), 1023–1036.

მხოლოდ ფინანსურ სარგებელს აძლევს, არამედ მათ სოციალურ აქტივობაში ჩართვას უწყობს ხელს. მცირე ბიზნესში ან აგრარულ წარმოებაში მონაწილე ოჯახის წევრები ახალ უნარებს, ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილებას და ფინანსური რესურსების მართვის შესახებ ცოდნას იძენენ. შედეგად, ფინანსური ჩართულობა პირდაპირ სოციალური სტაბილურობის ზრდას, სოციალურ კაპიტალსა და პასუხისმგებლიან ფინანსურ ქცევას უკავშირდება, რაც გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტს ქმნის.

მისო ფინანსური სერვისების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას აფართოებს. ფინანსური ჩართულობის გაფართოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი დაბალშემოსავლიანი ჯგუფებისა და მცირე მეწარმეების საჭიროებებთან ადაპტირებული და მოქნილი პროდუქტების შეთავაზებაა. მისო თავიანთ კლიენტებს სესხის განსხვავებულ ვადებს, ინდივიდუალურ საპროცენტო განაკვეთებს, მცირე მოცულობის კრედიტებსა და გადახდის მოქნილ გრაფიკს სთავაზობს. ამ მიდგომით ფინანსური რესურსები ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ხდება. ყოველივე ზემოაღნიშნული კი სესხის დროული დაბრუნების ალბათობასა და კლიენტის ფინანსურ სტაბილურობას ზრდის.

ფინანსური ჩართულობის გაფართოება ფინანსური განათლებისა და საკონსულტაციო მხარდაჭერის ელემენტებსაც მოიცავს. მისო ფინანსური დაგეგმვის, ბიუჯეტირებისა და ვალის მართვის საკითხებზე კლიენტებს ტრენინგებს, სემინარებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს სთავაზობს. გრძელვადიან პერსპექტივაში, ფინანსური ჩართულობის გაფართოება სიღარიბის შემცირებას, მცირე ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკური აქტივობის სტაბილიზაციას უწყობს ხელს. როდესაც მოსახლეობის მოწყვლადი ფენა სესხს იღებს, წარმოების გაფართოების, საჭირო რესურსების შეძენის, სამუშაო ადგილების შექმნისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობა ექმნება. ფინანსური ჩართულობა ინდივიდუალურ, საოჯახო, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ვრცელდება,

რის შედეგადაც ეკონომიკის მდგრადობა და სოციალური თანასწორობა იზრდება.

მისოს როლი ფინანსური ჩართულობის გაფართოების პროცესში სტრატეგიული და მრავალფეროვანია. ისინი მაღალი რისკის ჯგუფებისათვის ფინანსურ რესურსებზე წვდომას უზრუნველყოფენ, სერვისების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას აფართოებენ, მოქნილ პროდუქტებს სთავაზობენ და ფინანსური განათლებისა და საკონსულტაციო მხარდაჭერის კომპონენტს უზრუნველყოფენ. ამით მისო ფინანსურ ჩართულობას არა მხოლოდ ზრდის, არამედ სოციალური, ეკონომიკური და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფ გარემოსაც ქმნის, რაც თანამედროვე ფინანსურ სისტემაში მის განსაკუთრებულ როლს განსაზღვრავს.

2.3.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გავლენა ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობაზე

მისო ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვინაიდან მისი საქმიანობა უშუალოდ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან არის დაკავშირებული. მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სექტორია. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს, ემპ-ისა და მშპ-ის ზრდას უზრუნველყოფს. მისოს სესხები და ფინანსური პროდუქტები მცირე ბიზნესს საქმიანობის დაწყების ან გაფართოების, მასალისა და ტექნიკის აუცილებელი რესურსების შექმნის, ახალი სამუშაო ძალის დასაქმებისა და ადგილობრივი ბაზრის განვითარების საშუალებას აძლევს.¹⁵⁸ შედეგად, მისოს საქმიანობა რეალურ სექტორს პირდაპირ აძლიერებს და ხელს უწყობს ეკონომიკური აქტივობის დივერსიფიკაციას. ფინანსური რესურსების მიწოდების გარდა, მისოს საქმიანობა სამუშაო ადგილების შექმნის უზრუნველყოფას უწყობს ხელს. თითოეული მცირე საწარმო, რომელიც მიკროსაფინანსო სესხით

¹⁵⁸ Imai, K. S., Gaiha R., Thapa, G., & Annim S. K., Microfinance and Poverty—A Macro Perspective. World Development, 2012, 40(8), 1675–1689.

სარგებლობს, წარმოებისათვის, მომსახურებისათვის ან ლოგისტიკისათვის ხშირად დამატებით კადრებს საჭიროებს. სამუშაო ადგილების შექმნა არა მხოლოდ ოჯახის შემოსავალს ზრდის, არამედ ადგილობრივ ეკონომიკას განამტკიცებს, ცხოვრების დონეს აუმჯობესებს და შიდა მოხმარებას ზრდის. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სიჭარბე ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობას განაპირობებს, ვინაიდან ისინი ერთი რომელიმე კონკრეტული სექტორის ან მსხვილი საწარმოს შედეგებზე ნაკლებად არიან დამოკიდებული.¹⁵⁹

მისოს საქმიანობა ასევე ეკონომიკური მრავალფეროვნებისა და მდგრადობის გაძლიერებას უწყობს ხელს. ეკონომიკის სტაბილურობა არა მხოლოდ მსხვილი საწარმოების ეფექტიანობაზე, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესის მრავალფეროვნებაზე არის დამოკიდებული, რაც ეკონომიკური რისკების გადანაწილებას უზრუნველყოფს. მისო სხვადასხვა სექტორებში, მაგალითად, ფერმერული მეურნეობა, მომსახურება, მცირე წარმოება და საცალო ვაჭრობა, უზრუნველყოფენ სესხებს, რაც ეკონომიკური ბაზრის დივერსიფიკაციას ზრდის. მრავალფეროვანი ეკონომიკა შოკებს, როგორცაა ფინანსური კრიზისი ან გლობალური ბაზრის ცვლილებები, უკეთ უმკლავდება და ამგვარად ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობას განაპირობებს.¹⁶⁰

ფინანსური ინსტრუმენტებისა და სერვისების მიწოდების შედეგად მისო ადგილობრივ ბაზარს და მის საჭიროებებს უკეთ ერგება. სესხის მოქნილი პირობები, გადახდის ინდივიდუალურად მორგებული გრაფიკები და ფინანსური კონსულტაციები მცირე ბიზნესის წარმატების ალბათობას და, შესაბამისად, ეკონომიკური აქტივობის ხარისხს ზრდის. მომხმარებელთა ფინანსური თვითორგანიზება და პასუხისმგებლიანი სესხების აღების კულტურა, რომელიც ვითარდება მისოს ჩარევით, ეკონომიკური

¹⁵⁹ Todaro M. P., & Smith S. C., *Economic Development* (13th ed.). Pearson, 2021, 39.

¹⁶⁰ International Monetary Fund, *Sustaining Long-Run Growth and Macroeconomic Stability in Low-Income Countries: The Role of Structural Transformation and Diversification*. Policy Papers, No. 038, IMF, 2014, 28.

სტაბილურობის შენარჩუნებას და ფინანსური სისტემის მდგრადობას უწყობს ხელს.

მისოს გავლენა ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობაზე მხოლოდ მცირე ბიზნესის მხარდაჭერით არ შემოიფარგლება. ის ასევე ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარებისათვის აუცილებელ ფინანსურ ჩართულობასა და ეკონომიკურ ინკლუზიას ზრდის. ფინანსურ სისტემაში მოსახლეობის უფრო ფართო ფენების ჩართვა ხელს უწყობს ინვესტიციებს და ამით კრიზისულ სიტუაციებში ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.¹⁶¹

მისო მრავალი ეკონომიკური სტიმულატორის ფუნქციას ასრულებს. ის რეალურ სექტორს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერით აძლიერებს, ქმნის სამუშაო ადგილებს, ზრდის შიდა მოხმარებას, ავსებს საბანკო სექტორის სიცარიელებს და ამავედროულად ეკონომიკური მრავალფეროვნების და ფინანსური სტაბილურობის პრინციპებს განამტკიცებს. მისი საქმიანობა მდგრადი, ინკლუზიური და კონკურენტული ეკონომიკისათვის ქმნის საფუძველს, რაც მათ ეროვნულ დონეზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.¹⁶²

2.3.5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ურთიერთობა საბანკო სისტემასთან

მისოს ურთიერთობა საბანკო სისტემასთან ფინანსური ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მისო საბანკო სექტორის პირდაპირი კონკურენტებად არ უნდა განიხილებოდეს. პირიქით, ისინი დამატებით, კომპლემენტარულ როლს ასრულებენ, იმ სეგმენტს ავსებენ, რომელსაც საბანკო ინსტიტუტები ნაკლებად ემსახურებიან და ფინანსური რესურსების უფრო სრულფასოვან გადანაწილებას უზრუნველყოფენ. მისოს საქმიანობა ხშირად ბანკებისა და

¹⁶¹ Meyer J., Investing in Microfinance: An Analysis of Financial and Social Returns, University of Zurich: PhD thesis, 2013, 78.

¹⁶² The principles of microfinance and microcredit [ელექტრონული რესურსი]. – ხელმისაწვდომია: <http://www.microfinanceinfo.com/the-definition-of-microfinance/> [23.04.2025.]

ფინანსური სისტემის სტაბილურობის გაძლიერებას ემსახურება, ვინაიდან ისინი მოსახლეობისა და მცირე ბიზნესის ფინანსურ ჩართულობას აუმჯობესებენ, რაც საბოლოოდ საბანკო სექტორის ბაზრის პოტენციალს აძლიერებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად მისოს სატრანზიტო ფუნქცია განიხილება. ხშირად კლიენტები, რომლებიც მიკროსაფინანსო სექტორში იწყებენ საქმიანობას, შემდგომში საბანკო სექტორში გადადიან. ეს აჩვენებს, რომ მისო ე.წ. „ფინანსურ საგანმანათლებლო ხიდს“ ქმნის, სადაც კლიენტები პასუხისმგებლიანი სესხის აღებისა და ფინანსური რესურსების მართვის პრინციპებს ეუფლებიან.¹⁶³ მათი პირველი გამოცდილება ფინანსურ სერვისებთან მისოში იმ ცოდნასა და გამოცდილებას უზრუნველყოფს, რაც საბანკო პროდუქტების ეფექტიანი გამოყენებისათვის აუცილებელია. შედეგად, მიკროსაფინანსო სექტორი კლიენტის რისკების შემცირებას უწყობს ხელს, ფინანსურ კულტურას ზრდის და სისტემაში გრძელვადიან ინკლუზიას უზრუნველყოფს.¹⁶⁴

მიკროდაფინანსებასა და ტრადიციულ დაკრედიტებას შორის არსებითი განსხვავება არის ის, რომ მისო კლიენტებს იმის მიუხედავად ემსახურება, აქვთ თუ არა მათ სამეწარმეო გამოცდილების წარსული, უზრუნველყოფა ან საკრედიტო ისტორია. ტაქსონომია წარმოადგენს თავისებურ ცნებას მიკროდაფინანსებაში, რომელიც სხვადასხვა ასპექტებს აერთიანებს. ესენია: დაკრედიტება, დანაზოგი, დაზღვევა, ლიზინგი, ფულადი გზავნილები და გადახდები, რაც საბაზისო ფინანსური უზრუნველყოფის კონცეფციას – LISTeC¹⁶⁵ – leasing, insurance, savings, transfers

¹⁶³ Ledgerwood J., Earne J., & Nelson, C., (Eds.), *The New Microfinance Handbook: A Financial Market System Perspective*. Washington, DC: World Bank, 2013, 19.

¹⁶⁴ Armendáriz B., & Morduch J., *The Economics of Microfinance*. 2nd ed. Cambridge, MA: MIT Press, 2010, 37.

¹⁶⁵ LISTeC - აბრევიატურა: ლიზინგი, დაზღვევა, დეპოზიტი, ტრანსფერი და დაკრედიტება-ლიზინგი უზრუნველყოფს აქტივების გამოყენებას შემენის გარეშე; დაზღვევა ამცირებს რისკებს და ფინანსურ დანაკარგებს; დეპოზიტი ქმნის დანაზოგების კულტურას და საბანკო რესურსს; ტრანსფერი აადვილებს ფულადი სახსრების გადაადგილებას; დაკრედიტება კი ზრდის ინვესტიციებსა და მოხმარებას. ერთობლივად ისინი ფინანსური სისტემის ძირითადი ტაქსონომიის ელემენტებს წარმოადგენენ.

and crediting ასახავს. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მიკროდაფინანსება მხოლოდ მიკროსესხების გაცემას გულისხმობდა, დღეს ეს ტერმინი ბევრად უფრო ფართო მომსახურებათა სპექტრს აღნიშნავს.

მისოს და საბანკო სისტემის ინტეგრაციის სხვა ასპექტი ტექნოლოგიური და ინფორმაციული თანამშრომლობაა. თანამედროვე ფინანსურ გარემოში, მისო ხშირად იყენებს საბანკო პლატფორმებს, გადახდის სისტემებს და ფინანსურ პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც მომსახურების სისწრაფეს, სიზუსტეს და უსაფრთხოებას ზრდის. ბანკების მხარდაჭერა ამ პროცესში მისოს სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო კლიენტებს აძლევს სწრაფ და საიმედო მომსახურებას უზრუნველყოფს.¹⁶⁶

საინტერესოა, რომ მისო საბანკო სექტორში ხშირად ინოვაციურ როლს ასრულებს. შედეგად, თანამშრომლობა მთლიანად ფინანსური სისტემის ინოვაციურ განვითარებას უწყობს ხელს, ზრდის კონკურენტუნარიანობას და კლიენტთა მომსახურების სტანდარტებს აუმჯობესებს. მისო საბანკო სისტემასთან ურთიერთობაში არა კონკურენტად, არამედ სტრატეგიულ პარტნიორად განიხილება, რომელიც ფინანსური ბაზრის სრულფასოვან, მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას უზრუნველყოფს. მისი საქმიანობა მიკროსაფინანსო სექტორიდან საბანკო სექტორში კლიენტის ტრანზიციურ განვითარებას უწყობს ხელს, ფინანსური ჩართულობის ხარისხს, სტაბილიზაციასა და სისტემის მდგრადობას განამტკიცებს.

¹⁶⁶ Ledgerwood J., & White V., Transforming Microfinance Institutions: Providing Full Financial Services to the Poor. Washington, DC: World Bank, 2006, 27.

თავი III. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი, რეგულირება და რისკების მართვა

3.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი საფუძვლები და რეგულირების სისტემა

3.1.1 საკანონმდებლო ჩარჩო

თანამედროვე ფინანსურ სისტემაში მისოს საქმიანობა მკაფიო სამართლებრივ საფუძვლებზეა აგებული. აღნიშნული საფუძვლები მისი ოპერირების სამართლებრივ ჩარჩოს, უფლებებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავენ. სამართლებრივი რეგულირება მისოს საქმიანობის სამართლებრივ ფორმალიზაციას, მსესხებლების უფლებების დაცვას, ფინანსური სისტემის სტაბილურობასა და ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობას უზრუნველყოფს. მისოს ფუნქციონირების სამართლებრივი ჩარჩოს მოწესრიგება, პირველ ყოვლისა, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით არის განმტკიცებული. აღნიშნული ნორმატიული აქტის მიზანია საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება და მათი განვითარებისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნა.¹⁶⁷ მისო საქართველოში მოქმედებს როგორც იურიდიული პირი. იგი შეიძლება დაფუძნდეს შპს-ის ან სს-ის ფორმით და სებ-ის მიერ რეგისტრირდება. მის საქმიანობაზე ზედამხედველობასაც სებ-ი ახორციელებს. სებ-ი დღეს ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს.¹⁶⁸ მისოს სავალდებულოდ უნდა ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის წესებით მოქმედებს. მისი იდენტიფიცირება განსაკუთრებული აღნიშვნით ხდება – დასახელებაში ნებადართულია ტერმინი „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“ ან „მისო“. თუ ორგანიზაცია

¹⁶⁷ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/24328?publication=24>>, [11.03.2025.]

¹⁶⁸ ცაავა გ., საბანკო საქმე, გამომცემლობა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2005, 113.

არღვევს კანონმდებლობას, სეზ-ი უფლებამოსილია მიმართოს სანქციებს, რაც სისტემის სტაბილურობასა და საფინანსო ბაზარზე გამჭვირვალობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.¹⁶⁹

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მისო-ები უფლებამოსილი არიან გასცენ სხვადასხვა სახის მიკროსესხები, მათ შორის სამომხმარებლო, იპოთეკური და ჯგუფური სესხები, ასევე გამოუშვან საკრედიტო ბარათები. მათ შეუძლიათ ინვესტირება სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში, ფულადი გზავნილების შესრულება, სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება და საკონსულტაციო მომსახურება. ნებადართულია სესხების მიღება, ქონების იჯარით გაცემა, გადახდის ინიცირების სერვისები და შეზღუდული აქციების ფლობა. მისოს ნებადართული აქვს სხვადასხვა ფინანსური ოპერაციების განხორციელება, მათ შორის მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, დერივატივები, ვალუტის გაცვლა და ფასიანი ქაღალდების გამოშვება. ასევე, მას შეუძლია ვირტუალური აქტივების მომსახურება – კონვერტაცია, გადაცემა და შენახვა. საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სეზ-ის რეგისტრაციის შემდეგ, რომელიც წესებსა და დამატებით მოთხოვნებს ადგენს. სადაზღვევო აგენტის ფუნქცია სპეციალური ზედამხედველობის წესით ხორციელდება. მნიშვნელოვანია, რომ მისოს აკრძალული აქვს დეპოზიტების მიღება. ამგვარად, მისი საქმიანობა სეზ-ის მიერ მკაცრად რეგულირდება, რაც მომხმარებელთა დაცვასა და სისტემის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

საკანონმდებლო ჩარჩოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე კლიენტთა უფლებების დაცვა და ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. მისო ვალდებულია სესხის პირობების, საპროცენტო განაკვეთებისა და დამატებითი ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს. მსგავსი რეგულაცია ფინანსური გადაწყვეტილებების უფრო

¹⁶⁹ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 3, <<https://matsne.gov.ge/document/view/24328?publication=24>>, [11.03.2025.]

პასუხისმგებლიან მიღებას, სესხის გადახდის პრობლემებისაგან კლიენტების დაცვას და ფინანსური სისტემის სტაბილურობას განამტკიცებს. სამართლებრივი საფუძვლები და რეგულირების სისტემა შექმნილია იმისათვის, რომ მისო ზუსტი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში საქმიანობდეს, რომელიც მისი რეგისტრაციის წესს, საქმიანობის სფეროს, ლიცენზირების მოთხოვნებსა და საქმიანობის შეზღუდვებს განსაზღვრავს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონი, კანონქვემდებარე ნორმატიული და სხვა მარეგულირებელი აქტები უსაფრთხო, ეფექტიან და მდგრად მიკროსაფინანსო სექტორის უზრუნველყოფ სტრუქტურას ქმნის, ზრდის ფინანსური ბაზრის სანდოობასა და ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობას უწყობს ხელს.

3.1.2 რეგისტრაცია და ლიცენზირება

მისოს სამართლებრივი რეგულირება მკაცრ და პრინციპულ წესებს ეფუძნება. აღნიშნული წესები მისი საქმიანობის რეგისტრაციისა და ლიცენზირების პროცედურებს განსაზღვრავს. რეგისტრაცია და ლიცენზირება სექტორის სტრუქტურული განვითარების აუცილებელი ელემენტია, ვინაიდან აღნიშნული პროცესი მისოს სამართლებრივ იდენტიფიკაციას, ოპერირების წესების მკაფიო დიფერენცირებასა და ფინანსური სისტემის უსაფრთხოების შენარჩუნებას უზრუნველყოფს. სამართლებრივი ჩარჩო აღიარებს, რომ მისო, მიუხედავად მცირე მოცულობის სესხებისა, ფინანსურ აქტორად განიხილება, რომლის საქმიანობა შესაძლოა მაღალი რისკის მაჩვენებლებს უკავშირდებოდეს. სწორედ ამიტომ, რეგისტრაცია და ლიცენზირება მისი საქმიანობის კონტროლსა და პასუხისმგებლობას უზრუნველყოფს.

მისოს რეგისტრაცია სამართლებრივი სტატუსის მისაღებად პირველი ნაბიჯია. ორგანიზაცია რეგისტრირდება შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, რომელიც მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, კაპიტალის შესაბამისობას, მენეჯმენტის კვალიფიკაციასა და

ორგანიზაციულ სტრუქტურას ამოწმებს. რეგისტრაცია მისოს იურიდიულ ცნობადობას და გრძელვადიან სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს. რეგისტრირებული ორგანიზაცია იღებს იურიდიულ სტატუსს, რაც აძლევს საშუალებას გახსნას საბანკო ანგარიშები, დაიბრუნოს სესხები, მონაწილეობა მიიღოს ფინანსურ ბაზარზე და მიმართოს ფინანსური აქტივობების განხორციელებას კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. რეგისტრაციის პროცესი აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენას, კომპანიის აქციონერთა და მენეჯმენტის სანდოობის შემოწმებას, კაპიტალის სტრუქტურის შეფასებასა და სხვ. კრიტერიუმებს მოიცავს, რაც სექტორში სანდო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს. სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას აუცილებელია სადამფუძნებლო შეთანხმების შედგენა¹⁷⁰, რომელიც სამეწარმეო საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე პირველი ეტაპია. აღნიშნული შეთანხმება განსაზღვრავს ძირითადი პრინციპებსა და წესებს, რის საფუძველზეც საზოგადოება საქმიანობას ანახორციელებს. დოკუმენტის მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენისა და კანონით განსაზღვრული სხვა პროცედურების გავლის შემდეგ ჩნდება სრულფასოვანი სამეწარმეო საზოგადოება, რომელსაც საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი უფლებამოსილება ენიჭება. შესაბამისად, სადამფუძნებლო შეთანხმება არა მხოლოდ ფორმალური მოთხოვნაა, არამედ ორგანიზაციის სამართლებრივი, ეკონომიკური და ფუნქციური არსებობისთვის იძლევა საფუძველს, რაც საზოგადოებას სტაბილური და კანონმდებლობის შესაბამისად ოპერირების საშუალებას აძლევს.¹⁷¹ მნიშვნელობა არ ენიჭება სადამფუძნებლო დოკუმენტში დეტალურად არის თუ არა საქმიანობა გათვალისწინებული. მოქმედი კანონმდებლობით, სამოქალაქო სამართლის მიზნებიდან გამომდინარე, იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც

¹⁷⁰ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 4.1 მუხლი, <https://matsne.gov.ge/document/view/5230186?publication=12>, [21,03.2025]

¹⁷¹ გიგუაშვილი გ., ჯუღელი გ., განმარტებები საქართველოს კანონზე „მეწარმეთა შესახებ“ (2022 წლის თებერვლის მდგომარეობით), თბილისი, 2022, 20.

პირდაპირ (თვისობრივად) არ უკავშირდება ადამიანს.¹⁷² შესაბამისად, ნებისმიერ იურიდიულ პირს კანონით მინიჭებული აქვს სრული თავისუფლება მონაწილეობა მიიღოს სასესიო ურთიერთობებში. მათ შეუძლიათ როგორც სესხის გაცემაში მიიღონ მონაწილეობა, ისე სესხის აღებაში იყვნენ აქტიური მხარე, მათთვის ამ პროცესში მონაწილეობის უფლება შეზღუდული არ არის.

სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული მისო, უფლებამოსილია კანონის მიერ განსაზღვრული წესით შეცვალოს საქმიანობის სფერო და სეზ-ს საბანკო საქმიანობის ან მიკრობანკის ლიცენზიის მისაღებად მიმართოს. ლიცენზიის მიღებამდე ორგანიზაცია მოქმედი კანონმდებლობით რეგულირებულ მიკროსაფინანსო საქმიანობას უწყვეტად ახორციელებს. სეზ-ს შეუძლია, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გააუქმოს მისოს რეგისტრაცია, ხოლო უფლებამონაცვლედ კომერციული ბანკი ან მიკრობანკი გამოცხადდეს, რაც ახალი ფორმატით საქმიანობის შეუფერხებელ გაგრძელებას უზრუნველყოფს. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მისო არსებული რეგულაციების ფარგლებში განაგრძობს საქმიანობას. ამ პროცედურის მეშვეობით სეზ-ი ფინანსური სისტემის სტაბილურობასა და მომხმარებლის დაცვას უზრუნველყოფს, ხოლო მისოს საბანკო სფეროში საქმიანობის გაფართოების, უფრო მრავალფეროვანი ფინანსური ოპერაციების შესრულების და ბაზარზე კუნკურენტუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობა ეძლევათ.¹⁷³ ლიცენზია ფინანსური სერვისების მიწოდებისათვის ოფიციალური უფლებაა, რომელიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებსაც აკისრებს.¹⁷⁴ ლიცენზირების პროცესი ორგანიზაციის

¹⁷² კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 165.

¹⁷³ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის 10² მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/24328>>, [10.02.2025.]

¹⁷⁴ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე ლიცენზიით დაკისრებული ვალდებულება რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს. ორგანიზაციამ საკმარისი კაპიტალისა და აქტივების ხარისხის შენარჩუნებით ფინანსური სტაბილურობა უნდა უზრუნველყოს. სესხის გაცემის პირობები და პროცენტული განაკვეთები გამჭვირვალე და კანონთან შესაბამისობაში უნდა იყოს. ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დაცვა, სანდო

ფინანსური სტაბილურობის შეფასებას, საკრედიტო პოლიტიკის ანალიზს, პროცენტულ განაკვეთებთან დაკავშირებულ შეზღუდვებს და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისობას ითვალისწინებს. სახელმწიფო ლიცენზირების მეშვეობით უზრუნველყოფს, რომ მისო ეთიკურ, გამჭვირვალე და უსაფრთხო რეჟიმში საქმიანობდეს, ხოლო კლიენტები არასათანადო ფინანსური რისკებისაგან იყვნენ დაცული.

პოლიტიკა ზოგადად განიმარტება, როგორც სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საქმეები, საქმიანობის სფერო, რომლის „ბირთვიც“ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და გამოყენებაა. პოლიტიკას განიხილავენ, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის განსაკუთრებულ, სპეციფიურ ფორმას. ამერიკელი პოლიტოლოგის რობერტ დალის აზრით, პოლიტიკა ადამიანურ ურთიერთობათა ისეთი წყობაა, რომელიც დიდწილად მოიცავს კონტროლს, ძალაუფლებას, გავლენასა და ავტორიტეტს.¹⁷⁵ პოლიტიკური იდეები საუკუნეებს უძლებს და ახალი ფორმით ბრუნდება საზოგადოებაში. ამ იდეებს ხშირად უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ყველაზე ძლევამოსილ შეიარაღებულ ძალებსა და მსოფლიო რელიგიებს. პოლიტიკა არ არსებობს იდეების გარეშე, რადგან ადამიანები სწორედ იდეების გარშემო ირაზმებიან თავიანთი მიზნების მისაღწევად. ყველაზე მოკლევადიანი პოლიტიკური ამოცანაც კი იდეების მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულ ნაკრებს საჭიროებს.¹⁷⁶

3.1.3 ზედამხედველობა და კონტროლის მექანიზმები

მისოს საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება არა მხოლოდ რეგისტრაციისა და ლიცენზირების პროცედურებს, არამედ

ანგარიშგების წარმოება აუცილებელია. კლიენტთა ინტერესების დაცვის მიზნით, ვალდებულია ეთიკის ნორმები არასათანადო სერვისებისა და პროცენტებისაგან დაცვის, პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაიცვას. მარეგულირებელთან თანამშრომლობა, საჭირო ინფორმაციის მიწოდება და მითითებების შესრულება აუცილებელია.

¹⁷⁵ <https://gfsis.org/ge/files/my-world/1/politika.pdf> [16.04.2025]

¹⁷⁶ Clausewitz C. A book on war and military strategy, published by Routledge, 2013, 12.

ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმებს მოიცავს, რომლებიც სექტორის სტაბილურობას, გამჭვირვალობას და ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ. ზედამხედველობა სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომლის მიზანია დაიცვას კლიენტების ინტერესები, უზრუნველყოს ფინანსური ბაზრის მდგრადობა და სისტემური რისკები თავიდან აიცილოს. სებ-ს სრული უფლებამოსილება აქვს მინიჭებული, ზედამხედველობა გაუწიოს ქვეყნის ფინანსურ სექტორს. ზედამხედველობა მოიცავს კომერციულ ბანკებს, მიკრობანკებს, საბანკო ჯგუფებს, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს, მისო-ებს, ბროკერებსა და რეგისტრატორებს, საფონდო ბირჟას, ცენტრალურ და სპეციალიზებულ დეპოზიტარებს, აქტივების მმართველ კომპანიებს, საპენსიო ფონდებს, საინვესტიციო ფონდებს, სეკიურიტიზაციის ერთეულებს, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს, საგადახდო სისტემებს, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსა და სესხის გამცემ სუბიექტებს. ასევე, სებ-ი ზედამხედველობას უწევს ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერებს. ყველა საქმიანობა რეგულირდება კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე სტაბილურობის, გამჭვირვალობისა და ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.¹⁷⁷

ზედამხედველობის პროცესი მისოს საქმიანობაზე მკაცრ სამართლებრივ ნორმებს ეფუძნება. მისო ვალდებულია სესხების მოცულობაზე, საპროცენტო განაკვეთებზე, დამატებით ხარჯებზე, ასევე კლიენტთა დაცვის ღონისძიებებზე დეტალური ინფორმაცია რეგულარულად წარადგინოს. ზედამხედველობის მიზანი ფინანსური სტაბილურობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. საბანკო ჯგუფის საქმიანობის ზედამხედველობის ძირითადი მიზანი საფინანსო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფა და ჯგუფში შემავალი კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ჯანსაღი ფუნქციონირების მხარდაჭერაა. სებ-ი

¹⁷⁷ საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 48.1 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/101044?publication=63>>, [23.03.2025.]

ამ პროცესში ვალდებულია შეამოწმოს საბანკო ჯგუფი, როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და სხვა ფინანსური მასალების აუდიტი ინდივიდუალურად ან კონსოლიდირებულად აწარმოოს. სეზ-ს ჯგუფის წევრების, სამეთვალყურეო საბჭოს, მენეჯმენტისა და თანამშრომლების მონაცემებზე სრული წვდომა აქვს. ასევე, სეზ-ი აფასებს რისკების პროფილს, შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობას და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს ინფორმაციას კონფიდენციალური მონაცემების ჩათვლით.¹⁷⁸ მისოს საქმიანობა სესხების გაცემას, საკრედიტო რისკების მართვასა და ფინანსური რესურსების გადანაწილებას მოიცავს, რაც ბუნებრივად შეიცავს რისკებს. კონტროლის მექანიზმები საშუალებას აძლევს სახელმწიფო ორგანოებს გამოავლინონ არარეგულარული პრაქტიკა, მოახდინონ რისკების შეფასება და განახორციელონ კორექტირების ღონისძიებები. შედეგად, ზედამხედველობა არა მხოლოდ კლიენტების უფლებებს იცავს, არამედ ფინანსური სისტემის მდგრადობასა და უსაფრთხოებას ზრდის.¹⁷⁹

მისოს ზედამხედველობა რეგულარულ და არარეგულარულ მონიტორინგად იყოფა. რეგულარული მონიტორინგი მოიცავს პერიოდულ ანგარიშების გადახედვას, ფინანსური მდგომარეობის ანალიზს, სესხების კოეფიციენტების შეფასებას და საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისობას კანონთან. არარეგულარული მონიტორინგი გამოიყენება კონკრეტული რისკის ან დარღვევის გამოჩენის შემთხვევაში, რაც შესაძლოა მოიცავდეს შემოწმებებს, აუდიტს ან სხვა ფინანსური ქცევის შეფასებას. ასეთი მონიტორინგი უზრუნველყოფს აქტიურ ზედამხედველობას და ადრეული ეტაპის რეაგირებას პრობლემურ სიტუაციებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული მისოს საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების

¹⁷⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49¹ მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/101044?publication=63>>, [23.03.2025.]

¹⁷⁹ საქართველოს ეროვნული ბანკის რეფორმები და ზედამხედველობის სტრატეგია, 2017-2021, 2021, 10-11

წესის შესაბამისად, სებ-ი მისოს ზედამხედველობასა და რეგულირებას მათთვის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების დადგენით და მათი შესრულების კონტროლის განხორციელებით ახორციელებს.¹⁸⁰ კონტროლის მექანიზმები ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების უზრუნველყოფას, საკრედიტო პოლიტიკის შეზღუდვებს, კლიენტთა დაცვის ზომებს, პროცენტული განაკვეთების ლიმიტებსა და ფინანსური აქტივობის რეგულარულ შემოწმებას გულისხმობს. სახელმწიფო ორგანოები პასუხისმგებლები არიან მონაცემთა სისწრაფის, სანდოობის და კონტროლის ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე. მისოს საქმიანობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება სესხების უსაფრთხოებას, კლიენტთა დაცვის მექანიზმების არსებობას, ფინანსური რესურსების მიზნობრივ გამოყენებასა და ორგანიზაციული სტრუქტურის სამართლებრივ შესაბამისობას ეთმობა.

ბანკების ზედამხედველობის სფეროს მისოს საქმიანობის რეგულირების დოკუმენტში ბაზელის კომიტეტის მიერ მიკროსაფინანსო სექტორში რისკების კლასიფიკაცია ბანკების რისკების ანალოგიით არის შემოთავაზებული. კერძოდ, განხილულია საკრედიტო, საოპერაციო, საბაზრო რისკები, ცალკეა განხილულია ლიკვიდურობის რისკი. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი არის ფორუმი საბანკო ზედამხედველობის საკითხებში რეგულარული თანამშრომლობისათვის. მისი მიზანია მსოფლიო მასშტაბით გააძლიეროს ზედამხედველობის საკითხები და საბანკო ზედამხედველობის ხარისხი. კომიტეტის ამოცანაა ინფორმაციის გაცვლის ეროვნული საზედამხედველო საკითხების, მიდგომების და ტექნიკის შემუშავება, რათა ხელი შეუწყოს პრობლემათა საერთო გაგებას.¹⁸¹

¹⁸⁰ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №143/04 2018 წლის 5 ივლისი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 1,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4245660?publication=0> , [21.04.2025.]

¹⁸¹ ჭელიძე ი., საკრედიტო რისკების შეფასების თანამედროვე მეთოდები, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 19.

ზედამხედველობა და კონტროლი ასევე სადამსჯელო და საკანონმდებლო მექანიზმებს მოიცავს, რომლებიც სამართალდარღვევების გამოვლენის შემთხვევაში გამოიყენება. ეს ჯარიმებს, ლიცენზიის შეჩერებას ან გაუქმებას, ადმინისტრაციულ სანქციებს, ან ორგანიზაციის საქმიანობის შეზღუდვას შეიძლება მოიცავდეს. მსგავსი მექანიზმები მისოს პასუხისმგებლიანობას განამტკიცებს, ზრდის საბაზრო წესრიგს და ფინანსური სისტემის მდგრადი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ სამართლებრივი სტაბილურობის გარემოს ქმნის. კონსოლიდირებული ზედამხედველობა–ზედამხედველობის პროცესია, რომელიც გულისხმობს საბანკო სექტორის სტაბილურობის და საბანკო ჯგუფში შემავალი კომერციული ბანკის (კომერციული ბანკების) ზედამხედველობის პროცესის ხელშეწყობის მიზნით საბანკო ჯგუფის ნებისმიერი წევრისთვის ინდივიდუალურად ან/და საბანკო ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად (გაერთიანებულად) საზედამხედველო მოთხოვნების დაწესებას და საზედამხედველო უფლებამოსილებების/ქმედებების განხორციელებას.¹⁸²

ჩერჩილი კ. და ფრანკვეიჩი შ. მიკროდაფინანსებაში რისკების შემდეგ კლასიფიკაციასა და განსაზღვრებებს გვთავაზობენ. სოციალური მისიის რისკი – იმის ალბათობა, რომ ორგანიზაცია თავის სამიზნე კლიენტების მდგომარეობას ვერ გაუმჯობესებს; კომერციული მისიის რისკი – იმის ალბათობა, რომ ორგანიზაცია მომავალში მუშაობის გასაგრძელებლად საკმარისი ფინანსური რესურსების მიღებას ვერ შეძლებს; დამოკიდებულების რისკი – იმის ალბათობა, რომ ორგანიზაცია დამოუკიდებლად ფეხზე დადგომას ვერ შეძლებს და სპონსორების იმედად ყოფნა მოუწევს; სტრატეგიული რისკი – არამომგებიან გადაწყვეტილებებით გამოწვეული ფასის შემცირების ალბათობა; რეპუტაციული რისკი – საზოგადოების ნეგატიური განწყობების გამო ფასის შემცირების ალბათობა;

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/GAU%20Research%20Books%20and%20Documents/Irakli%20Chelidze%20-%20PhD%20Thesis.pdf>, [12.03.2025.]

¹⁸² საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 2.34 მუხლი, <https://matsne.gov.ge/document/view/101044?publication=63>, [23.03.2025.]

საკადრო რისკი – იმის ალბათობა, რომ თანამშრომლები დაავადდებიან, გარდაიცვლებიან, დატოვებენ ორგანიზაციას ან უბრალოდ მოტივაციას დაკარგავენ; აქტივებისა და ვალდებულებების რისკი – მისოს ლიკვიდურობის რისკი ხშირად ბალანსის ანგარიშის მუხლების ვადების შეუსაბამობის შედეგად წარმოიშობა, რაც ნიშნავს, რომ აქტივებისა და ვალდებულებების გადახდის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. ასეთ ვითარებაში ორგანიზაციას შეიძლება მოკლევადიანი ვალდებულებების დროულად დაფარვა გაუჭირდეს, მიუხედავად იმისა, რომ ჯამურად აქტივები ვალდებულებებს აჭარბებს; საპროცენტო განაკეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებით გამოწვეული შემოსავლებისა და ხარჯების არასტაბილურობის ალბათობა; ვალუტის კურსის რისკი – ვალუტის ღირებულების ცვლილებით გამოწვეული ზარალის ალბათობა; ლიკვიდურობის რისკი – ფულადი საშუალებების არასაკმარისი ხელმისაწვდომობით გამოწვეული ზარალის ალბათობა; არაეფექტიანობის რისკი – იმის ალბათობა, რომ ორგანიზაცია ერთეული შედეგის მისაღებად გაწეულ ხარჯებს არაეფექტიანად მართავს; სისტემების მთლიანობის რისკი – იმის ალბათობა, რომ სისტემაში შემავალი ან გამავალი ინფორმაციის ხარისხი დაბალი იქნება; მაკროეკონომიკური რისკი – ეკონომიკური ვითარების ცვლილებების მიმართ ორგანიზაციის მოწყვლადობა; ფიზიკური გარემოს რისკი – ორგანიზაციის მოწყვლადობა გარემოსადმი შოკების მიმართ; პოლიტიკური რისკი – ალბათობა, რომ გავლენიანი საზოგადოებრივი ლიდერები ან დაინტერესებული პირები ორგანიზაციაზე ზეწოლას მოახდენენ; დემოგრაფიული რისკი – ალბათობა, რომ სოციალური და კულტურული პირობები ორგანიზაციის საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება; რეგულირების რისკი – იმის ალბათობა, რომ საკანონმდებლო აქტები ნეგატიურად იმოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობაზე; კონკურენციის რისკი – იმის ალბათობა, რომ კლიენტების გადინება ან ბაზრის წილის დაკარგვა სხვა ორგანიზაციების საქმიანობის გამო მოხდება; თაღლითობის რისკი – იმის ალბათობა, რომ თანამშრომლები მოატყუებენ

ორგანიზაციას ან დაამახინჯებენ ფაქტებს მატერიალური გამდიდრების მიზნით; უსაფრთხოების რისკი – ქურდობის, ხანძრის ან ვანდალიზმის რისკი; საკრედიტო რისკი – იმის ალბათობა, რომ სესხები არ დაბრუნდება.¹⁸³

3.1.4 შეზღუდვები და სპეციალური მოთხოვნები

მისოს სამართლებრივი რეგულირება მკაცრ შეზღუდვებთან და სპეციალურ მოთხოვნებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული შეზღუდვები და სპეციალური მოთხოვნები სექტორის სენსიტიურობითა და მაღალი რისკების წარმოქმნის პოტენციალით არის განპირობებული. ამ ინსტიტუტების საქმიანობა მცირე მოცულობის კრედიტების გაცემას, ფინანსური რესურსების განაწილებას მოწყვლადი ჯგუფებისათვის და მცირე ბიზნესის მხარდაჭერას მოიცავს, რაც მკაფიო სამართლებრივი ჩარჩოს საჭიროებას ქმნის.¹⁸⁴ შეზღუდვები და სპეციალური მოთხოვნები ფინანსური ბაზრის მდგრადობას, კლიენტთა უფლებების დაცვას და მიკროსაფინანსო სექტორის ეთიკურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ.

ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნებია, რომელიც ორგანიზაციის ფინანსურ ძლიერებასა და დანაკარგების დაძლევის შესაძლებლობას განსაზღვრავს. მისოს სესხების გაცემისა და ოპერირების დასაფინანსებლად საკმარისი ფინანსური რესურსები უნდა ჰქონდეს. მისოს რეგისტრაციისა და შემდგომი საქმიანობის ერთ-ერთი ფუნდამენტური წინაპირობა კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილებაა. კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ მისოს განადგებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა არანაკლებ 1 000 000 ლარი უნდა იყოს, რაც მის ფინანსურ მდგრადობასა და საიმედოობას უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანი პირობაა ისიც, რომ კაპიტალი მხოლოდ ფულადი ფორმით უნდა იყოს შევსებული და შემდგომში გაზრდილი, რაც

¹⁸³ Черчилль К., Франкевич Ш., Ключ к успешному микрофинансированию: Искусство управления для достижения лучших результатов, Женева, 2006, 56.

¹⁸⁴ Christen R. P., Lyman T. R., & Rosenberg, R., Microfinance Consensus Guidelines: Guiding Principles on Regulation and Supervision of Microfinance. Washington, DC: CGAP/World Bank, 2003,12.

არამონეტარული აქტივების გამოყენებას გამორიცხავს და ამცირებს რისკებს. ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება, საქმიანობის განმავლობაში მუდმივად შეინარჩუნოს აღნიშნული მინიმალური ზღვარი, რითაც იძლევა გარანტიას, რომ იგი მიმდინარე ვალდებულებების შესრულებას შეძლებს. გარდა ამისა, სებ-ს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, დამატებით განსაზღვროს ზედამხედველო კაპიტალის ოდენობა და მისი ფორმირების წესი, რაც კონტროლის ხარისხს გააუმჯობესებს და, შესაბამისად, სექტორის ფინანსურ სტაბილურობას გაზრდის. აღნიშნული რეგულაციები მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებისათვის უსაფრთხო სამართლებრივ ჩარჩოს ქმნის.¹⁸⁵

სესხების მოცულობისა და საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტია. კანონმდებლობის შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის ოდენობას, საკომისიო გასამრჯელოს და მომსახურების გადასახდელს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.¹⁸⁶ რაც შეეხება სესხების მოცულობის შეზღუდვას, აღნიშნული საკითხიც კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. მისოს მიერ ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200 000 (ორასი ათას) ლარს.¹⁸⁷ აღნიშნული შეზღუდვები სესხის მიმღებთათვის უსაფრთხო გარემოს ქმნიან და პასუხისმგებლიანი ფინანსური ქცევის ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს.

მისო კლიენტთა დაცვის მიმართულებით სხვა, სპეციალური მოთხოვნების წინაშე დგას. ის ვალდებულია მიაწოდოს სრული ინფორმაცია სესხის პირობების, პროცენტების, დამატებითი საკომისიოსა და სხვა ხარჯების შესახებ. ინფორმაციის გამჭვირვალობა აუცილებელია იმისათვის,

¹⁸⁵ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/24328>>, [21.04.2025.]

¹⁸⁶ იქვე, მუხლი 9.3

¹⁸⁷ იქვე, მუხლი 5.2

რომ კლიენტმა შეძლოს პასუხისმგებლიანი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება და სესხის გადახდის შეფერხებები თავიდან აიცილოს. სპეციალური მოთხოვნები ასევე კონფიდენციალობის დაცვას, პირადი მონაცემების უსაფრთხოებასა და ფინანსური განათლების ელემენტების მიწოდებას მოიცავს.¹⁸⁸

მისო მაღალკვალიფიციური მენეჯმენტის, ეფექტიანი მართვის სტრუქტურისა და შიდა კონტროლის სისტემების უზრუნველყოფაზე არის ვალდებული. აღნიშნული მოთხოვნები ფინანსური გადაწყვეტილებების ხარისხს ზრდის, საოპერაციო რისკებს ამცირებს და ფინანსური ბაზრის სტრესულ სიტუაციებში სტაბილურ ოპერირებას უზრუნველყოფს. რეგულირების სისტემაში შეზღუდვები საქმიანობის ტიპებისა და სფეროების მიხედვით შედის. მაგალითად, მისოს ეკრძალება საქმიანობის გაფართოება ისეთ სფეროებში, რომლებიც კანონით ან ლიცენზიით არ არის განსაზღვრული. მისოს სამართლებრივი ჩარჩო მენეჯმენტის ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებს მკაცრად განსაზღვრავს.

დირექტორებსა და ადმინისტრატორებს სხვა ფინანსურ დაწესებულებებში თანამდებობის დაკავება ეკრძალებათ, რათა თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი. ხელმძღვანელებად ვერ ინიშნებიან პირები, რომელთა წარსული საქმიანობა ფინანსურ ინსტიტუტებს ზიანს აყენებდა, აქვთ შეუსრულებელი ვალდებულებები, ან მძიმე ეკონომიკურ დანაშაულებში არიან ნასამართლევნი. აუცილებელია შესაბამისი განათლება და გამოცდილება. ადმინისტრატორებს პირადი ინტერესის შემთხვევაში გადაწყვეტილებებში მონაწილეობა ეკრძალებათ. ასევე, ნასამართლევ ან უკანონო საქმიანობასთან კავშირში მყოფებ პირებს მნიშვნელოვანი წილის ფლობა ეკრძალებათ. ამით სექტორის სანდოობა და სტაბილურობა არის გარანტირებული.¹⁸⁹

¹⁸⁸ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 10.

<<https://matsne.gov.ge/document/view/24328>>, [21.04.2025.]

¹⁸⁹ იქვე, მუხლი 7.

3.1.5 მომხმარებლის უფლებების დაცვა

მისოს საქმიანობაში მომხმარებლის უფლებების დაცვა ერთ-ერთი მთავარი სამართლებრივი პრიორიტეტია. ამის მნიშვნელობა იმით არის განპირობებული, რომ მისოს სექტორი მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ფენებთან ოპერირებს, რომლებსაც ხშირად სუსტი ფინანსური მდგომარეობა აქვთ და მაღალი რისკის წინაშე დგანან. შესაბამისად, კანონმდებლობა და რეგულირების სისტემა მკაფიო მექანიზმებს მოიცავს, რომლებიც კლიენტების დაცვას, სესხების პირობების გამჭვირვალობასა და ფინანსური ურთიერთობების სამართლებრივ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ.

მისო ვალდებულია კლიენტებს სესხის პირობების, საპროცენტო განაკვეთების, საკომისიოს, გადახდის გრაფიკის და დამატებითი ხარჯების შესახებ სრული, ზუსტი და გასაგები ინფორმაცია მიაწოდოს. ინფორმაცია უნდა იყოს არა მხოლოდ წერილობითი, არამედ მომხმარებლისათვის იმგვარად ადაპტირებული, რომ მან პასუხისმგებლიანი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება შეძლოს.¹⁹⁰ გამჭვირვალობა სესხის პირობებში მომხმარებლის უფლებების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. კანონმდებლობა ადგენს მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთებს, საკრედიტო ლიმიტებსა და სესხების გაცემის წესებს, რაც უზრუნველყოფს, რომ კლიენტი ფინანსურად გადატვირთული არ აღმოჩნდეს. საპროცენტო და საკომისიო ლიმიტები მსესხებელს აგრესიული დაკრედიტების პრაქტიკასა და ფინანსური ექსპლუატაციის რისკს თავიდან აცილებს.

ამ წესების დაცვა მისოს სექტორის ეთიკურად და უსაფრთხოდ ფუნქციონირებისათვის აუცილებელია. სებ-ს საფინანსო სექტორში სესხის გამცემი სუბიექტებისათვის სამოქალაქო კოდექსის რამდენიმე მუხლის¹⁹¹

¹⁹⁰ Ellen Gaston (Mission Chief, MCM), Ross Henderson, and Andrew Poprawa (MCM Experts), Georgia, National Bank of Georgia: Strengthen regulation, supervision, and oversight of Micro lending institutions, August 2020, 17.

¹⁹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 276. მოგირავნის დაკმაყოფილება; მუხლი 301. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა; მუხლი 625.4. პროცენტი სესხისათვის; მუხლი 868. საბანკო პრედიტის საპროცენტო განაკვეთები, <<https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=134>>, [11.04.2025.]

გათვალისწინებით, მათ შორის პროცენტის, საკომისიოსა და წინსწრებით დაფარვის საკითხებზე განსხვავებული წესების დადგენა შეუძლია. ბანკი ასევე განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებების დაცვის წესებს სესხის გაცემისა და სახსრების მოზიდვის დროს, უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის მიწოდებას და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას. სებ-ი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტების, წერილობითი მითითებების, დამატებითი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და სანქციების საშუალებით განახორციელოს ზედამხედველობა. ამ გზით მომხმარებლის ინტერესების დაცვის მიზნით მისოს სექტორის ეთიკური და უსაფრთხო ფუნქციონირება არის უზრუნველყოფილი.¹⁹² მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მომხმარებლის უფლებების დასაცავად უპირატესობა შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ სპეციალურ კანონმდებლობას ენიჭება, თუ იგი მომხმარებლის ამ კანონით დადგენილ უფლებებს არ აუარესებს.¹⁹³

კლიენტთა უფლებების დაცვა ასევე პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას მოიცავს. მისო ვალდებულია დაიცვას კლიენტის პერსონალური მონაცემები, მათ შორის ფინანსური ინფორმაცია, საკონტაქტო მონაცემები და შემოსავლების წყაროები. კონფიდენციალურობის დარღვევა შესაძლოა კლიენტის ფინანსური უსაფრთხოებისათვის რისკს წარმოადგენდეს და როგორც ინდივიდს, ისე ორგანიზაციის სანდოობას აყენებდეს ზიანს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები: მონაცემთა დამუშავება უნდა განხორციელდეს კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ, აღიარებული უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტის უფლებები და მისი ღირსება. მონაცემები უნდა შეგროვდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ

¹⁹² საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 64¹ მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/101044?publication=63>>, [23.03.2025.]

¹⁹³ მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 2.3 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/5420598?publication=3>>, [10.03.2025.]

განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისათვის, დაუშვებელია მათი შემდგომი გამოყენება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. ასევე, დამუშავება შეზღუდული უნდა იყოს აუცილებელი მოცულობით, რათა დაკმაყოფილდეს მიზნის მიღწევის პრინციპი. მონაცემები უნდა იყოს ზუსტი, რეალობას შეესაბამებოდეს და საჭიროების შემთხვევაში განახლებული იქნას, ხოლო არასაიმედო ინფორმაცია უნდა გასწორდეს ან წაიშალოს. შენახვა შესაძლოა მხოლოდ მიზნის მიღწევამდე, შემდეგ მონაცემები უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან დეპერსონალიზებული ფორმით დარჩეს, თუ კანონი ან შესაბამისი აქტები ამას ითვალისწინებს. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას უნებართვო დამუშავების, დაკარგვის, დაზიანებისა ან განადგურებისგან, რითაც აღიარებულია მონაცემთა დაცვა დემოკრატიულ საზოგადოებაში.¹⁹⁴

საბანკო ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმებიც მომხმარებლის უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. სახელმწიფო ორგანოები ორგანიზაციების ანგარიშგებას, სესხების სტრუქტურას, საპროცენტო და საკომისიოს დაკრედიტების წესებს რეგულარულად განიხილავენ. მსგავსი ზედამხედველობა ქმნის ფინანსური ბაზრის უსაფრთხო გარემოს, ზრდის მომხმარებლის ნდობასა და სექტორის მდგრად განვითარებას უწყობს ხელს.

კლიენტთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ფინანსური განათლების უზრუნველყოფაა. მისო ვალდებულია სესხების მართვის, დაფინანსების ეფექტიანი გამოყენებისა და ფინანსური პასუხისმგებლობის შესახებ მომხმარებლის ცოდნა უზრუნველყოს. განათლება კლიენტთა ფინანსურ კულტურას ზრდის, გადაუმოწმებელი

¹⁹⁴ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 4.1 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=5>>, [15.04.2025.]

ფინანსური გადაწყვეტილებების გამოყენებას უშლის ხელს და სესხის ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებას უზრუნველყოფს.

3.1.6 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა

საქართველოში მისოს სამართლებრივი რეგულირება არა მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობაზე არის დამყარებული, არამედ გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობა, რაც სექტორის საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას, ფინანსური სტაბილურობის ზრდასა და გლობალური ფინანსური სისტემის სტანდარტების შესრულებას უზრუნველყოფს. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა არა მხოლოდ ფინანსური უსაფრთხოების, არამედ სანდოობის, ინკლუზიურობისა და კლიენტთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. საერთაშორისო პრაქტიკაში მისოს სექტორი ისეთი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პრინციპებით რეგულირდება, როგორცაა CGAP (Consultative Group to Assist the Poor), World Bank და IMF-ის რეკომენდაციები. აღნიშნული სტანდარტები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიცენზირების, ანგარიშგების, კლიენტთა დაცვის, კაპიტალის მოთხოვნების და ზედამხედველობის პრაქტიკას განსაზღვრავენ. საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო სრულად ასახავს ამ პრინციპებს, რაც არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტიზაციაა. საერთაშორისო სტანდარტები გამჭვირვალე, ერთიან და შედარებად ანგარიშგებას ითვალისწინებს. აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები მისოს ანგარიშვალდებულებას აფართოებს. ფინანსური ანგარიშგებისათვის, მათ შორის სესხების სტრუქტურის, საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოსა და რისკების შეფასების შესახებ დეტალური ფორმატები არის განსაზღვრული. სტანდარტიზებული ანგარიშგება, საერთაშორისო და ეროვნული ინვესტორებისათვის, ბანკებისათვის და

სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებისათვის ინფორმაციის მარტივ ანალიზს უზრუნველყოფს.¹⁹⁵

კლიენტთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები ასევე საქართველოს სამართლებრივ ჩარჩოშია ასახული. საერთაშორისო რეკომენდაციები ინფორმირებული თანხმობის პრინციპს, სესხის პირობების გამჭვირვალობას, საკომისიოს ლიმიტებსა და პერსონალური მონაცემების დაცვას უსვამს ხაზს. საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ მისო ვალდებულია კლიენტებს სესხის პირობების, საპროცენტო და დამატებითი ხარჯების შესახებ სრული და გასაგები ინფორმაცია მიაწოდოს. აღნიშნული გარემოება კლიენტის უფლებების დაცვას, ფინანსური კულტურის ზრდასა და სესხის ეფექტიან გამოყენებას უზრუნველყოფს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის კიდევ ერთი კომპონენტი ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმებია. საერთაშორისო პრაქტიკა რეგულარულ და არარეგულარულ მონიტორინგს, ფინანსური რისკების შეფასებას, სადამსჯელო ზომებს დარღვევის შემთხვევაში და ფინანსური ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებას აერთიანებს.¹⁹⁶ სებ-ი მსგავს პრაქტიკას ახორციელებს, ვრცელდება ფინანსური ანგარიშგება, სესხების პირობების მონიტორინგი, საპროცენტო და საკომისიოს კონტროლი, რაც საერთაშორისო სტანდარტების შესრულებას უზრუნველყოფს.

3.2 რისკების მართვა

3.2.1 სტრატეგიული რისკი

რისკების მართვა შეიძლება ექვსეტაპიან პროცედურად იქნეს წარმოდგენილი.¹⁹⁷ პასუხისმგებლობა ორგანიზაციის პოტენციური რისკების

¹⁹⁵ Dalla Pellegrina L., Microfinance and investment: A comparison with bank and informal lending. World Development, 2011, 39 (6): 882–897.

¹⁹⁶ Косиор Э., Вакулюк И.Э., Химикус Е.И., Правовое регулирование деятельности международных финансовых организаций // Современное право, 2016, N 4, 109-112.

¹⁹⁷ A risk management framework for microfinance institutions, GTZ, July 2000, 34.

მართვაზე და შეფასებაზე მის მენეჯმენტს ეკისრება. მენეჯმენტი ადგენს თითოეული ინდიკატორის მისაღებ ზღვარს, რომლის გადაჭარბება რისკების გადაჭარბებულ ზემოქმედებაზე მიუთითებს. მენეჯმენტი ასევე თითოეული ინდიკატორის მონიტორინგისა და ანალიზის სიხშირეს განსაზღვრავს.

რისკების მართვის პროცესში მენეჯმენტს ოთხი ძირითადი სტრატეგიის განსაზღვრა შეუძლია: რისკის მიღება; რისკის გადაცემა; რისკის შემცირება; რისკის თავიდან აცილება. ეს სტრატეგიები როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთმანეთთან კომბინაციით შეიძლება იქნას გამოყენებული. ვინაიდან მისოს ძირითადი საქმიანობა სესხების გაცემაა, ისინი იღებენ საკრედიტო რისკს, თუმცა ამასთანავე რისკის დასაშვებ დონეს ადგენენ.¹⁹⁸ რისკის სხვა მხარეებისათვის გადაცემის მიზნით, მისოს შეუძლია სადაზღვევო ინსტრუმენტები ან ჰეჯირების მექანიზმებით ან მაგალითად, გირაოდ მიღებული საიუველირო ნაკეთობების დაკარგვის რისკის გადაცემა ბანკისათვის, შესაბამისი შენახვის ხელშეკრულების დადების გზით გამოიყენოს.

მისოს რისკების ეფექტიანი მართვისათვის რისკების მართვის გრადაციის მოდელი (Risk Management Graduation Model – RMGM),¹⁹⁹ შესაძლებელია იქნეს გამოყენებული, რომელიც მიკროსაფინანსო რისკების მართვის ინიციატივამ – საერთაშორისო ორგანიზაციების ჯგუფის ერთობლივმა პროექტმა გამოცდილების კონსოლიდაციის მიზნით შეიმუშავა.

სტრატეგიული რისკი მისოს საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებით განპირობებულ ფინანსური დანაკარგებისა და არასასურველი სოციალური შედეგების რისკს მოიცავს. სტრატეგიული რისკის მართვისას მისომ ყურადღება პოლიტიკის შემუშავებაზე და ლიმიტების განსაზღვრაზე, ასევე რისკების მართვისა და მონიტორინგის

¹⁹⁸ Adamu Idama, Asongo A.I. Nyor N., Credit Risk Portfolio Management in Microfinance Banks: Conceptual and Practical Insights, Universal Journal of Applied Science 2(6): 111-119, 2014 DOI: 10.13189/ujas.2014.020602

¹⁹⁹ Giovanni Calvi Parisetti and Evrim Kirimkan, Risk Management Graduation Model for Microfinance Institutions (MFIs), July 2015

მექანიზმების დანერგვაზე უნდა გაამახვილოს. ეს უკანასკნელნი მმართველობით სტრუქტურასა და ინსტიტუციურ სტრატეგიასთან დაკავშირებული რისკების ეფექტიან შემცირებასა და მონიტორინგს უზრუნველყოფენ. არაეფექტიანი მართვის შედეგად მისომ შეიძლება წარუმატებელი ბიზნესგადაწყვეტილებები მიიღოს. სტრატეგიულ რისკში ორ ქვეტიპს – მმართველობით რისკსა და სტრატეგიულ რისკს გამოყოფენ.

მართვის რისკი – ეს არის ფინანსური ზარალისა და არასასურველი სოციალური შედეგების რისკი, რომელიც არასწორი მართვით ან არასრულყოფილი მართვის სტრუქტურით არის გამოწვეული. მართვა არის შეგნებული მიზანმიმართული ზემოქმედება სუბიექტებისა და ორგანოების მხრივ ადამიანებსა და ეკონომიკურ ობიექტებზე, რომელიც ხორციელდება სასურველი შედეგების მიღების მიზნით. მართვას ბიზნესის სფეროში, კერძოდ კომერციულ ორგანიზაციაში, ეწოდება მენეჯმენტი.²⁰⁰

3.2.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი – მისოს რისკების მართვის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, ვინაიდან მისოს ძირითადი საქმიანობა სესხების გაცემას მოიცავს. საკრედიტო რისკი წარმოადგენს მისოს რისკების მართვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს, რადგან ძირითადი საქმიანობა სწორედ სესხების გაცემაზეა დაფუძნებული.²⁰¹ საკრედიტო რისკის ორ ქვეტიპს – სესხის ტრანზაქციურ რისკსა და პორტფელის რისკს გამოყოფენ. სესხის ტრანზაქციური რისკი – ეს არის ფინანსური დანაკარგების ან უარყოფითი სოციალური მაჩვენებლების წარმოშობის რისკი, რომელიც შეიძლება სესხების გაცემის, მონიტორინგისა და ამოღების პოლიტიკის

²⁰⁰ შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები, სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის, თბილისი, უნივერსალი, 2008, 37.

²⁰¹ ჭელიძე ი., საკრედიტო რისკების შეფასების თანამედროვე მეთოდები, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 13.

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/GAU%20Research%20Books%20and%20Documents/Iraki%20Chelidze%20-%20PhD%20Thesis.pdf> [12.03.2025.]

არასრულყოფილებით იყოს გამოწვეული. პორტფელის რისკი – ეს არის ფინანსური დანაკარგების ან უარყოფითი სოციალური მაჩვენებლების წარმოშობის რისკი, რომელიც უკავშირდება მთლიანად სესხის პორტფელის სტრუქტურას უკავშირდება და პორტფელის არასწორი დივერსიფიკაციით არის გამოწვეული.

საკრედიტო რისკის მართვა მოიცავს პრევენციულ ღონისძიებებსა და კონტროლის მექანიზმებს როგორც სესხის გაცემამდე, ასევე გაცემის შემდეგ. პრევენციული ღონისძიებები საკრედიტო პროდუქტების სათანადო დიზაინს, კლიენტების ყურადღებიან შერჩევას, საკრედიტო კომიტეტის ფუნქციონირებას, სესხზე ლიმიტების დადგენას, სესხის პორტფელის დივერსიფიკაციის ლიმიტების განსაზღვრას, დაბალი რისკისადმი ტოლერანტობის მქონე ინსტიტუციური კულტურის მხარდაჭერას და სხვა ღონისძიებებს მოიცავს.²⁰² სესხის გაცემის შემდეგ გატარებული ზომები კონტროლსა და საკრედიტო რისკის მონიტორინგს უკავშირდება. საკრედიტო რისკის შეფასების ეფექტური მეთოდოლოგია დაბალი რეზერვის დონისა და მინიმალური კაპიტალის მოცულობის საწინდარია. ეს თავის მხრივ მეტ მოქნილობას სძენს ბიზნესს და შესაბამისად აისახება მომგებიანობაზე.²⁰³

მსესხებლის საკრედიტო უნარის ხარისხობრივი შეფასების მეთოდიკა ინფორმაციის გამოყენებას ეფუძნება, რომლის რაოდენობრივი მაჩვენებლებით გამოხატვა შეუძლებელია. ასეთი ანალიზის დროს მისო იკვლევს პოტენციური სესხის მიმღების საქმიან რეპუტაციას, რაც მოიცავს მისი მმართველი გუნდის კვალიფიკაციის დონეს, პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას, შესაბამის ეკონომიკურ სექტორში მუშაობის

²⁰² Lascelles, D. (2012) Microfinance – A Risky Business. A Time for Strong Leadership. Center for Financial Inclusion. May 2012, 36.

²⁰³ ჭელიძე ი., საკრედიტო რისკების შეფასების თანამედროვე მეთოდები, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 24.
<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/GAU%20Research%20Books%20and%20Documents/Irakli%20Chelidze%20-%20PhD%20Thesis.pdf> [12.03.2025.]

გამოცდილებას, პერსონალის გადინების მაჩვენებლებს და ასევე წინა კრედიტების სესხების დროულ დაფარვის ისტორიას.²⁰⁴

მსესხებლის ფინანსურ ანალიზში მის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ნაღდი ფულადი ნაკადების მდგომარეობას როგორც წარსული პერიოდების, ისე სამომავლო პროგნოზების მიხედვით იკვლევენ. ამასთან, გამოსათვლელია რამდენიმე კოეფიციენტი, რომლებიც მისოს კლიენტის გადახდისუნარიანობის განსაზღვრის საშუალებას აძლევს. მისო ასევე იყენებს მსესხებლის საკრედიტო უნარიანობის შეფასების ისეთ ხელსაწყოს, როგორც არის „5C“²⁰⁵ (ინგლისური სიტყვების პირველი ასოებიდან წარმოქმნილი მსესხებლის ხუთი მახასიათებელი – ხასიათი, გადახდისუნარიანობა, კაპიტალი, უზრუნველყოფა ან გირაო, პირობები).

მისო მომხმარებლის საკრედიტო უნარიანობის შესაფასებლად როგორც მისი ბიზნესის, ასევე საოჯახო და შინამეურნეობის დონეზე ფინანსურ ანალიზს ატარებს. რაც უფრო დიდია კრედიტი, მით უფრო მეტი ყურადღება არა მხოლოდ დამქირავებლის პიროვნულ თვისებებს, არამედ მისი საკრედიტო უნარიანობის შეფასებას ეთმობა. ჩვეულებრივ, კლიენტები, რომლებიც დადებითი პიროვნული თვისებებით გამოირჩევიან, თუნდაც ბიზნესში წარუმატებლობის შემთხვევაში, სესხების დაფარვისათვის გზას თითქმის ყოველთვის პოულობენ. ხასიათის მნიშვნელობა, როგორც მთავარი თვისება, ახალი მსესხებლების შერჩევისას, გაძლიერდა იმ გარემოებით, რომ ბევრი მიკროწარმოება საკმარის საბუღალტრო მონაცემებს ვერ უზრუნველყოფს, რათა ვალის დაბრუნების შესაძლებლობა დაამტკიცონ. ხასიათის შესაფასებლად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის გადამოწმება შეუძლიათ.²⁰⁶

²⁰⁴ Greuning, H., Bratanovic S. B., Analyzing and Managing Banking Risk: A Framework for Assessing Corporate Governance and Financial Risk. Washington, DC: World Bank, 2020, 27.

²⁰⁵ 5 C – Character, Capacity, Capital, Collateral, Conditions.

²⁰⁶ Armendáriz B., Morduch J., The Economics of Microfinance. MIT Press, 2010, 34.

იმისათვის, რომ სესხების არასწორად გამოყენებისა და საკრედიტო პერსონალის მიერ შესაძლო თაღლითობის რისკი შემცირდეს, რაც თავისთავად სესხების არახელსაყრელ დაბრუნებას უკავშირდება, ამ რისკის თავიდან ასაცილებლად მისო საკრედიტო კომიტეტების ფორმირებას ახდენს. აღნიშნული კომიტეტები რამდენიმე წევრისაგან შედგება და მათ ფუნქციებში სესხების განხილვა, ანალიზი და დამტკიცება შედის.

3.2.3 ფინანსური რისკი

ფინანსური რისკების მეცნიერულად დასაბუთებული მართვა ამ რისკების გაზომვის შესაბამისი მეთოდის გარეშე შეუძლებელია. ფინანსური რისკების არსებული მეთოდები ძირითადად ფიქსირებული შემოსავლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტების თანამედროვე თეორიას, ალბათობის თეორიას, მათემატიკურ სტატისტიკას და შემთხვევითი პროცესების თეორიას ეყრდნობა.²⁰⁷ ფინანსური რისკი – დაფარვის ვადების, ვალუტების, გადაფასების არასწორი მართვის, აგრეთვე მისოს აქტივებისა და ვალდებულებების არასწორი კონცენტრაციის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ზარალისა და უარყოფითი სოციალურ შედეგების რისკია. ფინანსურ რისკი ოთხი ქვეტიპით – ლიკვიდობის რისკი, საბაზრი რისკი (მათ შორის საპროცენტო განაკვეთის რისკი და სავალუტო რისკი), საინვესტიციო პორტფელის რისკი და კაპიტალის ადეკვატურობის რისკი გამოირჩევა.

მისოს მიერ ფინანსური რისკების მართვისათვის მის საბალანსო ანგარიშში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის გაანალიზებაა საჭირო. დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირების მასშტაბით, მისოს აქტივებისა და ვალდებულებების სათანადო მართვა ფინანსური რისკის შეფასებისა და მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი ხდება.²⁰⁸ აქტივებისა და ვალდებულებების ეფექტიანი მართვის შემადგენელია ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს დაშვებულ

²⁰⁷ კასრაძე თ., ფინანსური რისკების მართვა (რიდერი), თბილისი, 2023, 21.

²⁰⁸ Weber, R., Musshoff, O. (2012) Is agricultural microcredit really more risk? Evidence from Tanzania. *Agricultural Finance Review* 72(3), 320.

დონესა და რისკის ლიმიტებს და ფინანსური რისკების იდენტიფიცირების, გაზომვის, მონიტორინგისა და მართვისათვის კონკრეტულ მიზნებსა და პასუხისმგებლობებს ადგენს.²⁰⁹

დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირების ზრდასთან ერთად აქტივებისა და ვალდებულებების მართვის მნიშვნელობაც იზრდება. მისოს წარმოშობის ადრეულ ეტაპზე მისი საქმიანობა გრანტებისა და შეღავათიანი კრედიტების კომბინაციით ფინანსდებოდა, რის გამოც პასივების ზუსტი მართვის აუცილებლობა არ ყოფილა. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ინსტრუმენტები აქტივებისა და პასივების შესაბამისობის სტანდარტული ცხრილები, სხვადასხვა ქვესახეობის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება და დანერგვა და აქტივებისა და პასივების მართვაა.²¹⁰

საბაზრო რისკი – ეს არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივებისა და პასივების ღირებულების ცვლილებით გამოწვეული ფინანსური დანაკარგებისა და უარყოფითი სოციალური შედეგების რისკი. ეს ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებისა და ბაზარზე ვალუტის კურსის მერყეობით არის განპირობებული. საბაზრო რისკი საპროცენტო განაკვეთის რისკად და სავალუტო რისკად იყოფა. საბაზრო რისკი ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი ფინანსური რისკია. საბაზრო რისკი არის ზარალის ანაზღაურება იმ ფაქტორების გამო, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსური ბაზრების მთლიან საქმიანობაზე, რომელშიც მონაწილეობს ინვესტორი. საბაზრო რისკს სისტემურ რისკსაც უწოდებენ.²¹¹

საპროცენტო განაკვეთის რისკი-ეს არის ფინანსური დანაკარგებისა და უარყოფითი სოციალური შედეგების რისკი, რომელიც საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში არახელსაყრელი ცვლილებებით არის გამოწვეული. ეს ცვლილებები შეიძლება გადაფასების სტრუქტურის

²⁰⁹ Basel Committee on Banking Supervision. Principles for the Management of Interest Rate Risk in the Banking Book. Bank for International Settlements (BIS), 2016,12.

²¹⁰ International Monetary Fund (IMF). Asset and Liability Management in Financial Institutions: A Guide. Washington, D.C.: IMF, 2021, 76.

²¹¹ <<https://www.denetim.com/ka/testler/stratejik-risk-yonetimi/piyasa-riski/>>, [21.04.2025.]

შეუსაბამობით ან ძირითად განაკვეთის ცვლილების რისკით, ასევე საბაზრო განაკვეთებსა და მისოს შიგნით კონტროლირებად განაკვეთებს შორის არასრულყოფილი კავშირის გამო იყოს გამოწვეული, რომლებიც ორგანიზაციის საპროცენტო მგრძობიარე აქტივებსა და პასივებს უკავშირდება. სესხის საპროცენტო განაკვეთი ინდივიდუალურად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის - რისკისა და ამონაგების - გათვალისწინებით განისაზღვრება, ხოლო სესხის დაფარვის გრაფიკი, როგორც წესი, ბიზნესის ციკლზეა მორგებული. გარდა ფინანსური მაჩვენებლებისა, სესხის პირობები კომპანიისა და მფლობელების საკრედიტო ისტორიასა და უზრუნველყოფის ხარისხზე არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული.²¹²

მისოს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა – აქტივების და პასივების თანაფარდობის მართვის სისტემაში მნიშვნელოვანი ფუნქციაა, სადაც მისო უზრუნველყოფს დაფარვის ვადების და ფინანსების წყაროების რისკის პროფილის შესაბამისობას იმ კრედიტების ვადებსა და პირობებთან, რომელთა დაფინანსებაც ხდება.²¹³

საფინანსო დაწესებულებებში საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის გავრცელებული მეთოდები მოიცავს: მისოს ცვლადი პროცენტისანი მოკლევადიანი ვალდებულებებისა და ფიქსირებული პროცენტისანი გრძელვადიანი სესხებს შორის არსებული შეუსაბამობის შემცირება შეუძლიათ, თუკი რეფინანსირების გზით მოკლევადიანი სესხების გარკვეულ ნაწილს გრძელვადიანი სესხებით დააფინანსებენ.²¹⁴ რისკების მართვის ასეთი მეთოდი საპროცენტო განაკვეთის რისკსა და ლიკვიდობის რისკს ამცირებს, მაშინაც კი, თუკი მისოს ამ დაფინანსების წყაროებზე ოდნავ მაღალი საპროცენტო განაკვეთის გადახდა მოუწევს.

²¹² <<https://finedu.gov.ge/ge/saprotsento-ganakveti-1>>, [18.04.2025.]

²¹³ Nimal A., Fernando/Managing Microfinance Risks: Some Observations and Suggestions/July, 2008,12.

²¹⁴ UNH – SMDP/Nuts and Bolts of Microfinance – Risk Management/June 2010, 36.

სავალუტო რისკი – ეს არის ფინანსური დანაკარგებისა და უარყოფითი სოციალური შედეგების რისკი, რომელიც ვალუტის კურსების არასახარბიელო ცვლილებით, ძირითადად აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო სტრუქტურაში შეუსაბამობის გამო არის გამოწვეული. აღნიშნული რისკი განსაკუთრებული სიმწვავეით საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ კომპანიებს ემუქრება, ვინაიდან მათ რეგულარული ოპერაციების შესრულება– პროდუქციის შექმნა, მომსახურების გადახდა, ექსპორტი ან იმპორტი უცხოურ ვალუტაში უწევთ. სავალუტო რისკი მათთვის სავალუტო კურსის კლება-განზოგადების შედეგად ფინანსურ შედეგებზე პირდაპირ აისახება, რაც მათ ბიუჯეტსა და მოგების მაჩვენებლებზე ზემოქმედებს. შესაბამისად, ასეთი კომპანიებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეფექტიანი სავალუტო რისკის მართვის სტრატეგიების შემუშავება, რათა დაიცვან საკუთარი აქტივები და გაუთვალისწინებელი ფინანსური ზარალი შეამცირონ.²¹⁵

მისომი სავალუტო რისკი ხშირად მაშინ წარმოიქმნება, როცა ორგანიზაცია იღებს სესხებს ან მოიზიდავს დანაზოგებს ერთ ვალუტაში, მაგალითად, აშშ დოლარში, ხოლო კრედიტებს სხვა ვალუტაში, მაგალითად, ქართულ ლარში გასცემს. ასეთი სიტუაციის დროს, აშშ დოლარის კურსის ზრდისას მისო კურსის გაზრდის გამო დანაკარგს განიცდის, ხოლო კურსის შემცირებისას –კურსის სხვაობით სარგებლობს.²¹⁶

სავალუტო რისკის შესამცირებლად მისო შემდეგ მექანიზმებს იყენებს: ეროვნული ვალუტის კურსის შესაძლო მნიშვნელოვანი გაუფასურების რისკის გამო, მისო უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით საკრედიტო პორტფელის დაფინანსებას უნდა მოერიდოს, თუ იგი უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებების იმავე ვადიანობის აქტივებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას ვერ შეძლებს, როგორც

²¹⁵ Gary Shoup, *Currency Risk Management: A Handbook for Financial Managers, Brokers, and Their Consultants*, 2021, 26.

²¹⁶ Lascelles, D. (2012) *Microfinance – A Risky Business. A Time for Strong Leadership*. Center for Financial Inclusion. May 2012, 29.

სავალუტო განვითარებული ქვეყნების საკრედიტო ორგანიზაციებს ფართო სპექტრის ფინანსურ ინსტრუმენტებზე აქვთ წვდომა, რომლებიც მათ სავალუტო რისკისგან თავის დასაცავად ჰეჯირებას ან დაზღვევას აძლევს. არსებული ინსტრუმენტები სვოპებს, ფორვარდულ გარიგებებს, ფიუჩერსებს, სავალუტო ოფციონებს და სხვა დერივატიულ ინსტრუმენტებს მოიცავს. დერივატიული ინსტრუმენტები, ანუ რისკის მართვის ინსტრუმენტები, სავარაუდო ინდექსზე, ამ შემთხვევაში ვალუტის კურსზე არის დაფუძნებული.²¹⁷

გაცვლის მექანიზმი შემდეგნაირად ხდება: კრედიტორი მისო კრედიტს მყარ ვალუტაში აძლევს; მისო სვოპის პარტნიორთან უცხოურ ვალუტაში არსებული კრედიტის ძირითად თანხას ეროვნულ ვალუტაში არსებული კრედიტის ძირითად თანხაზე ცვლის; კრედიტის ვადის განმავლობაში მისო სვოპის გარიგების პარტნიორს ეროვნული ვალუტით უხდის საპროცენტო გადასახადებს და სანაცვლოდ უცხოურ ვალუტაში კრედიტზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს იღებს; კრედიტის ვადის დასრულებისას მისო სვოპის პარტნიორს უხდის კრედიტის ძირითად თანხას ეროვნულ ვალუტაში და სანაცვლოდ იღებს კრედიტის ძირითად თანხას უცხოურ ვალუტაში, რომელიც კრედიტორს უნდა დაუბრუნოს. ფორვარდული ხელშეკრულების შემთხვევაში, მისო იღებს სესხს მყარ ვალუტაში და ფორვარდულ ხელშეკრულებას მესამე პირებთან ხშირად ცალკე დებს, რათა დააფიქსიროს ვალუტის კურსი სამომავლო პერიოდისათვის, როცა იგი სესხის დასაფარავად მყარ ვალუტას შეიძენს. მნიშვნელოვანია ზუსტი პროცედურებისა და წესების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც მაქსიმალურად დაშვებული რისკის დონესა და მისი შემცირების მეთოდებს განსაზღვრავენ.²¹⁸

²¹⁷ Nimal A., Fernando/Managing Microfinance Risks: Some Observations and Suggestions/July 2023, 86.

²¹⁸ Becker, P.M., Investing in Microfinance. Integrating New Asset Classes into an Asset Allocation Framework Applying Scenario Methodology, Gabler Research, Wiesbaden, 2018, 78.

თანმიმდევრული კრედიტი მყარ ვალუტაში/ეროვნულ ვალუტაში – აშშ დოლარში მიღებული კრედიტი დეპონირდება ბანკში, რომელიც შემდგომში მისოს აძლევს კრედიტს ეროვნულ ვალუტაში. ამასთან, კრედიტისათვის გირავნობის სახით უზრუნველსაყოფად ბანკში დოლარებში განთავსებული დეპოზიტი გამოიყენება.²¹⁹ საქართველოში 200 000 ლარამდე სესხები მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გაიცემა, რაც მიზნად ისახავს სავალუტო რისკების შემცირებას როგორც მსესხებლისათვის, ასევე კრედიტორისათვის.

საინვესტიციო პორტფელის რისკი – ეს არის მისოს საინვესტიციო პორტფელის არასრულყოფილი მართვით გამოწვეული ფინანსური დანაკარგებისა და უარყოფითი სოციალური შედეგების რისკი. ბევრი მისო თავის პოლიტიკაში საინვესტიციოდ დაშვებული სპექტრის ლიმიტებს, ასევე ინვესტიციის თითოეული ტიპის მიხედვით კონცენტრაციის ხარისხს ადგენს.²²⁰

კაპიტალის ადეკვატურობის რისკი – ეს არის ფინანსური დანაკარგებისა და უარყოფითი სოციალური შედეგების რისკი, როდესაც ორგანიზაციის ძირითად კაპიტალს რისკების შთანთქმა არ შეუძლია.²²¹ საწყისი კაპიტალი არის კაპიტალის რეზერვი, რომელიც ბიზნესის სხვა რისკებთან დაკავშირებული ფინანსური დანაკარგების შთანთქმისათვის საკმარისად დიდი უნდა იყოს.

3.2.4 ტექნოლოგიური და საოპერაციო რისკი

ტექნოლოგიური და საოპერაციო რისკი ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმაციის, შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის მუდმივი ცვლილების,

²¹⁹ Weber, R., Musshoff, O., Petrick, M., How flexible repayment schedules affect credit risk in microfinance. Paper presented at the International Agricultural Risk, Finance and Insurance Conference (IARFIC), Vancouver, Canada, June 16–18, 2013, 48.

²²⁰ Dieckmann, R., Microfinance: An emerging investment opportunity – Uniting social investment and financial returns, Deutsche Bank Research, 2017, 18.

²²¹ Standard & Poor's, Microfinance: Taking Root in the Global Capital Markets, New York, June, 2018, 72.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებული ტემპების, კონკურენციის გაძლიერების, სამომხმარებლო ინტერესების დინამიკური ზრდის შედეგად წარმოიშობა.²²² გამოყოფენ რისკის შემდეგ სახეებს: საბანკო, სავალუტო, საკრედიტო, საინვესტიციო და სხვ.²²³

საოპერაციო რისკი – ეს არის მისოს ყოველდღიურ საქმიანობაში ადამიანური შეცდომებითა და დარღვევებით, ასევე სისტემებისა და პროცესების დარღვევებით გამოწვეული ფინანსური დანაკარგებისა და უარყოფითი სოციალური შედეგების რისკი. აღნიშნული რისკი მოიცავს იმის ალბათობას, რომ არაადეკვატური ტექნოლოგიები და საინფორმაციო სისტემები, საოპერაციო პრობლემები, კადრების არაადაქმნაყოფილებელი მდგომარეობა ან ადამიანების უღირსი ქმედება გაუთვალისწინებელ დანაკარგებს გამოიწვევს.²²⁴

მისოში თაღლითობის ყველაზე გავრცელებული სახე ფინანსური სახსრების ქურდობაა.²²⁵ თაღლითური საქმიანობის სხვა ფორმებში შედის

²²² Проблема управления рисками на предприятии, 2017, <<http://arbir.ru/articles/a3902.htm>>, [11.04.2025].

²²³ რისკის არსი, რისკის წარმოშობის მიზეზები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, <https://www.geo/home> [18.05.2025.]

²²⁴ საოპერაციო რისკი კორპორაციული მართვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მის სხვადასხვა ქვეკატეგორიების ანალიზს უნდა დაეთმოს. ერთ-ერთი ასეთი ქვეკატეგორია რეგულარული ჯარიმები არის, რომლებიც უძრავი ქონებით უზრუნველყოფის დაბალი გარანტიებისა და სავალუტო ბაზრებზე გლობალური მანიპულაციების გამო მნიშვნელოვნად იზრდება. აღნიშნული პირობები იწვევს სამართლებრივი სანქციების მკვეთრ მატებას იწვევს, რაც საფინანსო კომპანიებს მძიმე ფინანსურ ტვირთად აწევს და მათ რისკების მართვისა და შესაბამისობის პოლიტიკის გაძლიერებას აიძულებს. ასეთი მიდგომა არა მხოლოდ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას უწყობს ხელს, არამედ ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობისა და რეპუტაციის დაცვის უზრუნველყოფას, რაც საერთაშორისო ფინანსურ სტრუქტურებში საყოველთაოდ აღიარებულ პრაქტიკად ითვლება.

²²⁵ იაპონური კომპანია „ოლიმპუსი“ (Olympus), რომელიც ციფრული კამერების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია, 13-წლიანი ფინანსური თაღლითობის გამო სერიოზულ სკანდალიში აღმოჩნდა. ექვსმა ბანკმა ერთობლივად შეიტანა სარჩელი კომპანიის წინააღმდეგ და 27.9 მლრდ. იენის (დაახლოებით 273 მლნ. აშშ დოლარი) ოდენობის ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. საქმის გამოძიების შედეგად, 2012 წელს იაპონიის სასამართლომ „ოლიმპუსის“ ყოფილ თავმჯდომარესა და ორ აღმასრულებელ დირექტორს, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ კომპანიის ზარალის ათწლეულების განმავლობაში დაფარვაზე (1990 წლიდან მოყოლებული) პატიმრობა შეუფარდა. გარდა ამისა, თავად კომპანიას 700 მლნ. იენის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. ეს შემთხვევა ფართოდ განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური კორპორაციული თაღლითობა იაპონიაში, რომელმაც არა მხოლოდ ფინანსურ სფეროში, არამედ საერთაშორისო ბიზნეს-სამყაროშიც

ფინანსური ანგარიშების გაყალბება, მოსყიდვა და არარსებული კრედიტების გაცემა. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალი ბევრ მომხმარებელთან და დიდი ოდენობის ფულად სახსრებთან მუშაობს, ფილიალის დონეზე კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ტიპის რისკი სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებისას, ხელშეკრულებების დადებისას, კონკრეტული დავალებების შესრულებისას, ლიდერის არჩევისას და სამუშაო ჯგუფების ფორმირებისას განსაკუთრებით აქტუალურია. სათანადო კონტროლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემული რისკები იზრდება, ვინაიდან თაღლითურ ქმედებას სწრაფი გავრცელებადობა ახასიათებს.

პროცესების რისკი – ეს არის ბიზნესის შიდა პროცესების დარღვევის შედეგად, თითოეული საქმიანობის ასპექტის ფარგლებში წარმოშობილი ფინანსური ზარალისა და უარყოფითი სოციალური მაჩვენებლების რისკი.²²⁶ იგი შეიძლება საკრედიტო პროდუქტების პარამეტრების არასწორ დაგეგმვასა და წარუმატებელ შიდა პროექტებს მოიცავდეს.

სისტემური რისკი – ეს არის შიდა სისტემების მუშაობის შეფერხებით გამოწვეული ფინანსური ზარალისა და უარყოფითი სოციალური მაჩვენებლების რისკი. აღნიშნული რისკი ფილიალებს შორის კავშირის, ინფორმაციის მართვის სისტემების, საბანკო საბაზისო სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, სარეზერვო კვების სისტემებისა და სხვა ტექნიკური სისტემების მუშაობის შეფერხებას მოიცავს.²²⁷

გარე რისკები – ეს არის მისოს კონტროლის ფარგლებს გარეთ არსებული მოვლენებიდან გამომდინარე ფინანსური ზარალისა და უარყოფითი სოციალური მაჩვენებლების რისკები.²²⁸ აღნიშნული რისკები

კორპორაციული გამჭვირვალობისა და ეფექტიანი ზედამხედველობის მნიშვნელობა ნათლად წარმოაჩინა.

<<https://www.bloomberg.com/news/articles/2014-04-09/olympus-sued-for-273-million-after-13-year-fraud>>, [17.04.2025.]

²²⁶ Банковские риски: Учебное пособие / Кол. авторов; Под ред. д-ра экон. наук, проф. О.И. Лаврушина и д-ра экон. наук, проф. Н.И. Валенцевой. 2-е изд., стер. М., 2018,72.

²²⁷ Ledgerwood, J., The New Microfinance Handbook: A Financial Market System Perspective, World Bank Publications, Washington D.C.,2020, 21.

²²⁸ Field, E., Pande, R., Papp, J., Rigol, N., Debt structure, entrepreneurship and risk: Evidence from microfinance. Harvard Working Paper, 2011, 89.

მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს, როგორცაა ქარიშხლები, წყალდიდობა, მიწისძვრები, ხანძრები, ასევე სამოქალაქო მღელვარებები, ომები, მარცვები, ტერორისტული აქტები და სხვა მსგავსი მოვლენები.

შესაბამისობის რისკი – ეს არის შიდა და გარე წესების ან კანონების დაუცველობის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ზარალისა და უარყოფითი სოციალური მაჩვენებლების რისკი.²²⁹ აღნიშნული რისკი კანონმდებლობის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მოთხოვნების, საგადასახადო და შრომის კანონმდებლობის, შიდა ეთიკის კოდექსების და სხვა წესების დარღვევას მოიცავს.

საოპერაციო რისკების მართვა – საოპერაციო რისკების სამართავად მისომ ამ რისკების პრევენციის, გამოვლენისა და კორექტირებისათვის სათანადო ღონისძიებები უნდა განახორციელოს. ამ მიზნით, მისო შიდა კონტროლის მექანიზმებს ადგენს და შიდა აუდიტის ორგანიზებას უზრუნველყოფს. რისკების შეფასებისას სხვადასხვა ქვეყნის კორპორაციათა პრაქტიკა განსხვავებულია: ზოგი მათგანი რისკების მართვას მთლიანად ბორდის საქმიანობად მიიჩნევს, მეორე ჯგუფი თვლის, რომ ეს აუდიტის კომპეტენციაა, სხვები კი – რისკების მართვაზე უფლებამოსილ ორგანოდ სპეციალურ კომიტეტებს ასახელებენ. ეს მიუთითებს რისკების მართვის სხვადასხვაგვარ მიდგომებზე, რაც, შეიძლება, ბუნებრივი იყოს, თუმცა რისკების მართვის ხარვეზები ამ განსხვავებული მიდგომების შედეგი არაა, ისინი, ძირითადად, კომპანიების არაეფექტური სარისკო პოლიტიკის გატარების შედეგია.²³⁰

შიდა კონტროლი – ორგანიზაციის შიდა საქმიანობის მიზნების მისაღწევად, აგრეთვე აღნიშნული პოლიტიკისა და პროცედურების შესრულების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად მისოს მიერ დადგენილი შიდა პოლიტიკა და პროცედურებია. შიდა აუდიტი კი წარმოადგენს

²²⁹ ქემელაშვილი ო., ეკონომიკისა და ბიზნესის დეონტოლოგია, თბილისი, 2024, 63.

²³⁰ გვენეტაძე დ., რისკები და მათთან დაკავშირებული კორპორაციული მართვის პრობლემები, სამართლის ჟურნალი, 2017, N2, 146.

პროცესს, რომელიც ორგანიზებულია იმ მიზნით, რომ შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად არის მოწყობილი და ხორციელდება შიდა კონტროლი. საყურადღებოა, რომ მრავალი კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა ფოკუსირდება შიდა კონტროლსა და აუდიტზე, რაც გარკვეულწილად, უკვე დამდგარი შედეგების ანალიზსა და მათზე რეაგირებას გულისხმობს. ეს კი ხშირად დაგვიანებული, ძვირი და ნაკლებად ეფექტიანია. ამიტომ რისკების დროული და ეფექტიანი პრევენციის საჭიროება წარმოიშობა.²³¹

მარტივი და გასაგები პროდუქტები – რაც უკეთესად ესმით მისოს კლიენტებს ორგანიზაციის მოთხოვნები და საკრედიტო პროდუქტების პირობები, თანამშრომლების მხრიდან მათი მოტყუების ან ქრთამის მოთხოვნის რისკი მით უფრო ნაკლებია.²³² ამავდროულად, რაც უფრო მკაფიო და გასაგებია მისოს პროდუქტების პირობები თავად თანამშრომლებისათვის, მით ნაკლებია შეცდომების დაშვების ალბათობა. საკადრო პოლიტიკა გულისხმობს მკაფიოდ განსაზღვრულ და გამჭვირვალე პროცედურებს დასაქმებისა და ანაზღაურების მიმართულებით, რაც როგორც თანამშრომლებისათვის, ისე ორგანიზაციისთვის სამართლიან და პროგნოზირებად გარემოს ქმნის. გარდა ამისა, საკადრო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია შრომის სტიმულირების მექანიზმები, რომლებიც თანამშრომელთა მოტივაციის ზრდასა და მათი ეფექტიანობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. მსგავსი სისტემური მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს ისეთ რისკებს, როგორცაა თაღლითობა, შეცდომები ან ორგანიზაციული პროცესების შეფერხება. შედეგად, საკადრო პოლიტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს კორპორაციული სტაბილურობის, ეფექტურობისა და ნდობის გარემოს

²³¹ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საქართველო, სექტემბერი, 2010, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC/International Finance Corporation) – საკონსულტაციო პროგრამა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, 203, 204.

²³² Solli, J., L. Galindo, A. Rizzi, E. Rhyne and N. van de Walle: What Happens to Microfinance Clients who Default? An Exploratory Study of Microfinance Practices, The Smart Campaign, Washington D.C., January, 2015, 42.

შესაქმნელად.²³³ კლიენტების განათლება – თვალსაჩინო ადგილებში განთავსებული განცხადებები მისოს თანამშრომლებისათვის ქრთამისა და საჩუქრების მიღების დაუშვებლობის შესახებ, საჩივრებისა და მიმართვების მკაფიო არხები მენეჯმენტთან, ასევე კლიენტების ინფორმირება მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ – ხელს უწყობს თაღლითობის შემთხვევების გამოვლენასა და პრევენციას, როგორც თანამშრომლების, ასევე თვითონ კლიენტების მხრიდან.²³⁴ ფულადი სახსრებით ოპერირება – ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის სტანდარტული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროცედურები, წინასწარ დანომრილი საკასო დოკუმენტები, საკასო ლიმიტები, საკრედიტო ხელშეკრულებების სტანდარტული ნიმუშები ორგანიზაციის ფულადი სახსრების ქურდობისა და მითვისების რისკს უშლის ხელს.

3.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის სპეციფიკა

3.3.1 იურიდიული პირის სტატუსი

საქართველოში მისო იურიდიულ პირს წარმოადგენს, საკუთარი უფლებები, ვალდებულებები და სამართლებრივი პასუხისმგებლობა გააჩნია. იურიდიული პირის შესახებ თეორიული მოძღვრება არსებითად კონტინენტურევროპულ, ძირითადად, გერმანული სამართლის მეცნიერებას ეკუთვნის.²³⁵ ინსტიტუციური თვალსაზრისით იურიდიული პირის წარმოშობის თაობაზე გერმანული სამართალმცოდნეობა სამ ძირითად თეორიას იცნობს: ფიქციის თეორია, რეალური კავშირის თეორია და

²³³ არმსტრონგი მ., ტეილორი ს., ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, მთარგ. აბაშიძე ზ., აბდუშელიშვილი ლ., თბილისი, 2020, 54.

²³⁴ Reinhard H. Schmidt. Microfinance, Commercialization and Ethics. Poverty & Public Policy, 2016, Vol. 2, No. 1, 6.

²³⁵ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 224; კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 162; Deiser, The Juristic Person, University of Pennsylvania Law Review and American Law Register, Vol. 57, No. 3, 1908, 36-137; ტერმინის პოსტსაბჭოთა სივრცეში დამკვიდრების, იურიდიული პირის ცნების, როგორც აბსტრაქტულ-სამართლებრივი კატეგორიის შესახებ ამ ქვეყნებში, Knieper/Chanturia/Schramm, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, BWV 2010, S. 85 ff.

მიზნობრივი ქონების თეორია.²³⁶ იურიდიული პირის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისეული განსაზღვრება სრულ თანხვედრაშია კორპორაციული წარმონაქმნის განვითარებულ სამართლებრივ სისტემებში გავრცელებულ დეფინიციასთან.²³⁷

დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა იურიდიული პირის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, რომელიც გულისხმობს მის უნარს, საკუთარი ქონებით იკისროს ვალდებულებები მონაწილეთა ჩართვის გარეშე. აღნიშნული ელემენტი გამომდინარეობს იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონებისაგან და მიანიშნებს, რომ იგი სამოქალაქო ბრუნვაში სრულფასოვანი სუბიექტია. პასუხისმგებლობა-უნარიანობა ქმედუნარიანობის განუყოფელი ნაწილია, რადგან ნებელობითი ქმედება შესაძლოა წარმოშობდეს სავალდებულო საპასუხო ვალდებულებას. შედეგად, იურიდიული პირი თავად პასუხობს კრედიტორების წინაშე, მაშინ როდესაც მისი წევრები პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი რჩებიან.²³⁸

მისოს იურიდიული სტატუსი ფინანსურ ბაზარზე მათ დამოუკიდებელ ყოფნასა და ფუნქციონირებას განსაზღვრავს, აგრეთვე, განსაზღვრავს პასუხისმგებლობის ზღვარს კლიენტების, სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების წინაშე. მისო-სთვის იურიდიული პირის სტატუსი ნიშნავს, რომ მას შეიძლება საკუთარ სახელზე ჰქონდეს აქტივები და ვალდებულებები. ეს სიძლიერე ფინანსური საქმიანობისათვის კრიტიკულია, ვინაიდან მისო სესხების გაცემას, მიღებას, პროცენტების აღებას და სხვა ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებს.

²³⁶ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 224-228; 1997 წლის 26 ივნისის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავების პროცესში ზემოდასახელებული თეორიების განხილვის შესახებ იხ. ზოიძე ბ, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, 213 და მომდევნო. ასევე, ქირია გ., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, 2011, 18-19 და პეპანაშვილი ნ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, წიგნი I, 2014, 213 და მომდევნო.

²³⁷ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, 98; კრიტიკულად: ქირია გ., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, 2011, 19, 22 და მომდევნო.

²³⁸ ბურდული ი., ეგნატაშვილი დ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, 24, 17-18,

დამოუკიდებელი აქტივებისა და ვალდებულებების არსებობა ფინანსურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, ხელს უშლის ინდივიდუალური ქონების აღრევას ბიზნესოპერაციებთან და კლიენტების ნდობას ამაღლებს. მიუხედავად იმისა, რომ მისო იქმნება სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით,²³⁹ მათი საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებები კანონით თითქმის ერთგვაროვნადაა განსაზღვრული. ორგანიზაციული ფორმის არჩევა პარტნიორთა სიმრავლიდანაა განპირობებული.²⁴⁰ იურიდიული პირის სტატუსი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენცირებას განაპირობებს. მისოს ვალდებულებები მხოლოდ ორგანიზაციის აქტივებით და ფინანსური საქმიანობის ფარგლებში არის სავალდებულო, რაც დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს ინდივიდუალური პასუხისმგებლობისაგან იცავს. ეს მისოს კომერციული და სამართლებრივი დამოუკიდებლობის პრინციპს ასახავს, რაც როგორც ორგანიზაციის სტაბილური ფუნქციონირებისათვის, ისე ეროვნული ფინანსური სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია. მისოს სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ლიკვიდაციის საკითხის განხილვას. ლიკვიდაციის წესი, პრუდენციული ზედამხედველობის მოდელიდან გამომდინარე, განსაზღვრულია როგორც კანონის მე-101- მუხლით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 05 აპრილის 59/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის“

²³⁹ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მისო შპს-ს ან სს-ის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით რეგისტრირებული იურიდიული პირია. თუ შპს-ს 50-ზე მეტი დამფუძნებელი ჰყავს, იგი სს-ად უნდა ჩამოყალიბდეს, რაც პარტნიორთა რაოდენობის ზრდასთან და მათ შორის ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საჭიროებასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით შეიძლება შეიქმნას – იქნება ეს შპს თუ სს – მათი საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებები ერთგვაროვნად რეგულირდება. კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უფლებამოსილებებს, ფუნქციებსა და ვალდებულებებს მკაფიოდ განსაზღვრავს, რაც ფინანსურ ბაზარზე მათ გამჭვირვალობასა და თანაბარ პირობებში მოქმედებას უზრუნველყოფს. შედეგად, ფორმალური იურიდიული განსხვავებების მიუხედავად, მათი რეგულაცია არსებითად იდენტურია.

²⁴⁰ შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2014, 216.

საფუძველზე.²⁴¹ იურიდიული სტატუსის მიხედვით, მისო შესაძლოა სამართლებრივი ურთიერთობების ფართო სპექტრში მონაწილეობდეს. იგი უფლებამოსილია კლიენტებთან, ბანკებთან და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებთან დადოს ხელშეკრულებები. ამ სამართლებრივი შესაძლებლობების ფარგლებში, ორგანიზაცია მართავს კრედიტორულ ვალდებულებებს, ქმნის შიდა ფინანსურ პოლიტიკას და ეფექტიანი ოპერირების ხელშესაწყობად სამართლებრივ სტრუქტურას აყალიბებს.²⁴² იურიდიული პირის სტატუსი ასევე განსაზღვრავს ორგანიზაციის სამართლებრივ ფორმას, რომელიც შეიძლება იყოს ეროვნული კანონმდებლობით რეგულირებული კერძო სამეწარმეო ორგანიზაცია ან სხვა ფორმა. სამართლებრივი ფორმის არჩევა მენეჯმენტის უფლებამოსილებებს, ანგარიშვალდებულების სისტემას და ზედამხედველობის მეთოდებს განსაზღვრავს. სამართლებრივი ფორმა ასევე წარმოადგენს ლიცენზირების, რეგისტრაციისა და რეგულირების წინაპირობას, ვინაიდან იურიდიული პირის სტატუსი სახელმწიფოს მიერ კონტროლის განხორციელების საფუძველია.²⁴³ იურიდიული სტატუსი ეფექტიანი, გამჭვირვალე და მდგრადი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის ჯეროვან საფუძველს ქმნის. ამ უკანასკნელს კი ეროვნული ფინანსური სისტემის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

3.3.2 ლიცენზირებული საქმიანობა

მისოს სამართლებრივი სტატუსის მნიშვნელოვანი ნაწილი ლიცენზირებული საქმიანობაა, რომელიც ფინანსურ ბაზარზე ოპერირებისათვის მათ უფლებებს, ვალდებულებებსა და შესაძლებლობებს

²⁴¹ მაჭარაშვილი გ., მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურ. სამართლის მაცნე, 2022, N5 (7), 140.

²⁴² Christen Robert P., & Rosenberg, Richard, The Rush to Regulate: Legal Framework for Microfinance. CGAP Occasional Paper No. 4, Washington, D.C.: CGAP 2001, 23.

²⁴³ CGAP, Guiding Principles on Regulation and Supervision of Microfinance. Washington, D.C.: Consultative Group to Assist the Poor 2003, 22.

განსაზღვრავს. საქართველოს კანონმდებლობით, მისო, რომელიც სს-ის ფორმით ფუნქციონირებს, უფლებამოსილია სებ-ს საბანკო ან მიკრობანკის ლიცენზიის მისაღებად მიმართოს. გადაწყვეტილების მიღებამდე ის განაგრძობს მიკროსაფინანსო საქმიანობას არსებული წესით. თუ სებ-ი გასცემს ლიცენზიას, ორგანიზაცია კომერციულ ბანკად ან მიკრობანკად გარდაიქმნება, ხოლო მისოდ რეგისტრაცია გაუქმდება. ამგვარად, ახალ სუბიექტს გადაეცემა ყველა უფლება და ვალდებულება. უარის შემთხვევაში კი მისო აგრძელებს საქმიანობას იგივე სამართლებრივი რეჟიმის შესაბამისად. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს ფინანსური ბაზრის სტაბილურობას და სამართლებრივ თანმიმდევრულობას.²⁴⁴ ლიცენზია სახელმწიფო მიერ მიცემული ოფიციალური უფლებაა, რომელიც კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ორგანიზაციას სესხების გაცემის, კაპიტალის მართვისა და სხვა ფინანსური ოპერაციების განხორციელების საშუალებას აძლევს. ლიცენზირებული საქმიანობა სექტორის სტაბილურობას, გამჭვირვალობასა და კლიენტთა დაცვის ეფექტიან მექანიზმებს უზრუნველყოფს.

სახელმწიფო რეგულირება საქმიანობის ან ქმედების ლიცენზირებით ან ნებართვით ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად. რეგულირება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი გაცემით რეალურად საფრთხის შემცირება ან ინტერესების უზრუნველყოფა არის შესაძლებელი. ძირითადი პრინციპებია: ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. საქმიანობა, რომელიც არ უკავშირდება მნიშვნელოვან რისკს, თავისუფლდება ან ნაწილობრივ რეგულირდება. უცხო ქვეყნის ლიცენზია ან ნებართვა საერთაშორისო ხელშეკრულების ან კანონით შეიძლება

²⁴⁴ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის 10² მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/24328>>, [21.04.2025.]

აღიარებული იყოს და იმავე სამართლებრივ ეფექტს ატარებდეს, რაც საქართველოს კანონით გაცემული დოკუმენტია.²⁴⁵

ლიცენზირებული საქმიანობის საფუძველი პასუხისმგებლობის პრინციპია. ლიცენზიის არსებობა ნიშნავს, რომ მისო ვალდებულია დაიცვას კანონით განსაზღვრული სტანდარტები, რათა კლიენტთა უფლებების დაცვა, ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება და საქმიანობის გამჭვირვალობა იქნეს უზრუნველყოფილი. ორგანიზაციები ვალდებული არიან რეგულარულად წარადგინონ ფინანსური ანგარიშები, დეტალური ინფორმაცია სესხების მოცულობაზე, საპროცენტო განაკვეთებზე, საკომისიოებზე და რისკების მართვის პოლიტიკაზე. რეგულარული ანგარიშგება სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მხრიდან დარღვევების შემთხვევაში რეაგირების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. სებ-ს მისოზე ფართო ზედამხედველობითი – რეგისტრაციისა და მისი გაუქმების, შემოწმებისა და რეგულირების, კაპიტალის წარმომავლობის კონტროლის, ადმინისტრატორებისა და წილის მფლობელთა შესაფერისობის განსაზღვრის უფლებები აქვს მინიჭებული ასევე უფლებამოსილია შეზღუდოს ოპერაციები, მოითხოვოს დამატებითი კაპიტალი, დააწესოს სანქციები და განსაზღვროს ლიკვიდაციის წესი.²⁴⁶

ლიცენზია უფლებას აძლევს, ჰქონდეთ სამართლებრივი ურთიერთობები კლიენტებთან, ბანკებთან, სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან, რაც მომსახურების ხარისხისა და სანდოობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ლიცენზია ემნის სამართლებრივ ბაზას, რომელიც სესხების გაცემის წესებს, შემოსავლის აღების მეთოდებს, პროცენტებისა და საკომისიოს მართვის პოლიტიკას, კლიენტებთან ანგარიშსწორების პროცესის ორგანიზებასა და სხვა ფინანსურ ოპერაციებს

²⁴⁵ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, <https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=118> [12.03.2025.]

²⁴⁶ საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/document/view/101044?publication=63>, [23.03.2025.]

განსაზღვრავს. ეს საქმიანობის გამჭვირვალობას, სამართლებრივ დაცვას და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

3.3.3 მონიტორინგი და ფინანსური მაჩვენებლების მდგრადობა

მისოს სამართლებრივი სტატუსის მთავარ ელემენტი ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულებაა, რაც მათ გამჭვირვალე და პასუხისმგებლიან საქმიანობას უზრუნველყოფს. ეს მექანიზმები ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში კლიენტთა უფლებების დასაცავად, ფინანსური სტაბილურობის გასამდიერებლად არის შექმნილი. ზედამხედველობის პროცესი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მისოს საქმიანობის მონიტორინგს გულისხმობს, რაც ფინანსური ანგარიშების შემოწმებას, სესხების პოლიტიკის ანალიზს, კლიენტებთან ურთიერთობის შეფასებასა და ფინანსური რისკების მართვის პროცესების კონტროლს მოიცავს. სახელმწიფო ზედამხედველობა უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციებმა დაიცვან კანონი, რეგულაციების მოთხოვნებს ასრულებდნენ და კლიენტთა უფლებები არ დაარღვიონ.

ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა საქმიანობის გამჭვირვალობას ზრდის, ინვესტორთა ნდობის გაძლიერებას უწყობს ხელს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და რეგულირების მექანიზმების ოპტიმიზაციისათვის მონაცემებს აყალიბებს. ინვესტორებისათვის საინვესტიციო თვალსაზრისით მიმზიდველი კომპანიების მოძიება ამჟამად საკმაოდ რთული ამოცანაა, ვინაიდან მსოფლიო საფონდო ბაზარზე ბევრი ორგანიზაცია არის არის წარმოდგენილი. თითოეული მათგანის ხარისხიანი საინვესტიციო ანალიზის ჩატარებას კი წლები დასჭირდება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. სკრინინგი შემდგომი დეტალური შესწავლისათვის პოტენციური საინვესტიციო ობიექტების რაოდენობის შემცირების საშუალებას იძლევა. სხვა სიტყვებით, სკრინინგი თავისებური ფილტრია, რომელიც გამორიცხავს კომპანიებს, თუკი ისინი გარკვეულ ფინანსურ

პარამეტრებს არ აკმაყოფილებენ. უნდა გვესმოდეს, რომ ყოველი ინვესტორი ინდივიდუალური სკრინინგის კრიტერიუმებს იყენებს, რომლებიც მისი პირადი მოტივაციით არის შერჩეული.

დღესდღეობით სკრინინგის ორ ყველაზე პოპულარულ სტრატეგიას გამოყოფენ: პირველი – ეს არის ბენჯამინ გრეჰემის სკრინინგი, რომელიც ერთ-ერთი საინვესტიციო ანალიზის ფუძემდებელი იყო. გრეჰემმა შემოიტანა მნიშვნელოვანი პრინციპი – „უსაფრთხოების ზღვარი“ (Margin of Safety), რაც ნიშნავს, რომ ინვესტორი ყოველთვის უნდა ეძებდეს აქციებს, რომლებიც მათი რეალური ღირებულების შედარებით დაბალ ფასად იყიდება. გრეჰემის ფილოსოფია დღესაც აქტუალურია. ინვესტორები კვლავ ეძებენ კომპანიებს, რომლებიც ბაზრის მიერ არასწორადაა შეფასებული და საუკეთესო შესაძლებლობების გამოსავლენად საფუძვლიან ანალიზს იყენებენ. ეს მეთოდი არა მხოლოდ ფინანსურ წარმატებას უწყობს ხელს, არამედ ინვესტორებს ზედმეტი რისკებისაგან იცავს.²⁴⁷

1980-იან წლებში ოპენჰაიმერის²⁴⁸ კვლევებმა აჩვენა, რომ გრეჰემის სტრატეგია ბაზრის საშუალოზე მაღალ შემოსავლებს ნამდვილად უზრუნველყოფდა. თუმცა, უფრო თანამედროვე სამეცნიერო კვლევები მიუთითებს, რომ თანამედროვე ბაზრის პირობებში ეს სტრატეგია იმდენად ეფექტიანი აღარ არის.

მეორე სტრატეგია არის უორენ ბაფეტის²⁴⁹ სკრინინგი, რომელიც მეტ ფინანსურ მაჩვენებელს ითვალისწინებს. ბაფეტის სკრინინგის მიზანი

²⁴⁷<https://investman.us/blog/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98> [12.04.2025.]

²⁴⁸ Oppenheimer H. R., Ben Graham's Net Current Asset Values: A Performance Update, Financial Analysts Journal, 1986, 42 (6), 40–47.

²⁴⁹ ბაფეტის სკრინინგის არსი – ეს არის პროცესი, რომლის საშუალებითაც უორენ ბაფეტი კომპანიებს ინვესტირებისათვის კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით ირჩევს. სკრინინგი კომპანიების ფინანსურ, ოპერაციულ და ბიზნესმოდელის შეფასებას გულისხმობს, რათა მათი მაღალი ღირებულება, სტაბილური ზრდის პოტენციალი და ძლიერი კონკურენტული უპირატესობა იქნეს გამოვლენილი. ბაფეტის მიდგომა ბენჯამინ გრეჰემის მიერ პოპულარიზებულ ღირებულების ინვესტირების (Value Investing) კონცეფციაზე არის დაფუძნებული. ღირებულების ინვესტირება გულისხმობს კომპანიების შეფასებას მათი შიდა ღირებულების (intrinsic value) მიხედვით, იმის ნაცვლად, რომ

არასწორად შეფასებული მცირე კომპანიების მოძიება არის, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზრდის პერსპექტივა გააჩნიათ და ფინანსურადაც მდგრადები არიან.

სკრინინგის სახეებია: უარყოფითი სკრინინგი – ობიექტები, რომლებიც თავიანთი ფინანსური კრიტერიუმებით ვერ ეწყობიან, პოტენციური სამიზნე კომპანიების ნუსხიდან არიან ამოღებული. ამ სახეს უწოდებენ ასევე გაფილტვრას. პოზიტიური სკრინინგი (Best In Class) – ნუსხაში ემატება ისეთი ობიექტები, რომლებიც ინვესტორის მიერ დასახულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ნორმატიული სკრინინგი (Norm-Based Screening) – აქ ხდება მხოლოდ იმ ორგანიზაციების გადარჩევა, რომელთა საქმიანობა საერთაშორისო ეკონომიკურ, სოციოლოგიურ და გარემოსდაცვით ნორმებს შეესაბამება. Eurosif²⁵⁰-ის მონაცემებით, სწორედ ნორმატიული სკრინინგი არის ყველაზე მეტად გავრცელებული.

მისოს მიერ მიღწეული სოციალური ეფექტის სრულად ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში შეუძლებელია, ვინაიდან კეთილდღეობა მხოლოდ ერთ მაჩვენებელში არ გამოიხატება. მცირე სამეწარმეო სუბიექტები,

გადაწყვეტილება იმ დროის ბაზრის ფასებზე ყოფილიყო დაფუძნებული. ბაფეტი ეძებს კომპანიებს, რომელთა აქციები ბაზარზე შიდა ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად არის შეფასებული, რაც ინვესტორს მომავალი მომგებიანი პოზიციების შექმნის საშუალებას აძლევს. სკრინინგის დროს ბაფეტი ითვალისწინებს სხვადასხვა კრიტერიუმს, მათ შორის: სტაბილური და მაღალი მოგება – ფინანსური მაჩვენებლები, როგორცაა სარფიანობა და მოგების ზრდა; ძლიერი ბრენდი და კონკურენტული უპირატესობა – კომპანიები, რომლებიც მდგრად ბიზნესმოდელსა და ბაზრის ლიდერობას ფლობენ; მმართველობის ხარისხი – კომპანიების ხელმძღვანელობა, რომელიც რეალურად ზრდის ბიზნესის ღირებულებას და რესურსებს ეფექტიანად მართავს; მნიშვნელოვანი შიდა ღირებულება – კომპანიები, რომელთა რეალური ღირებულება საბაზრო ფასს ბევრად აღემატება. ბაფეტის სკრინინგი სანვესტიციო ფილტრაციის პროცესია, რომელიც ინვესტორს სტაბილური, მდგრადი და მაღალი ღირებულების კომპანიების გამოვლენაში ეხმარება, სადაც ინვესტიციამ დიდ რისკთან შედარებით, შეიძლება გრძელვადიანი მომგებიანობა მოიტანოს.

²⁵⁰ Eurosif – European Sustainable Investment Forum არის პანევროპული ორგანიზაცია, რომლის მიზანია მდგრადი და პასუხისმგებლიანი ინვესტიციების პოპულარიზაცია ევროპაში. იგი აერთიანებს ფინანსურ ინსტიტუტებს, აქტივების მენეჯმენტ კომპანიებს, კვლევით ცენტრებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რათა შექმნას ინვესტირების ისეთი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვით (Environmental), სოციალურ (Social) და მმართველობით (Governance) ფაქტორებს, ანუ ESG პრინციპებს. Eurosif ახორციელებს კვლევებს, ავითარებს სტანდარტებს და მონაწილეობს პოლიტიკის ფორმირებაში, რათა ინვესტორებმა მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც არა მხოლოდ ფინანსურ მოგებას, არამედ გრძელვადიან პოზიტიურ გავლენასაც უზრუნველყოფს გარემოსა და საზოგადოებაზე მთელ ევროპაში.

რომლებიც მისოს პროგრამებს იყენებენ, საკუთარ კეთილდღეობას თავიანთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით ზრდიან. მისოში მცირე სამეწარმეო სუბიექტების შემოსავლის მხოლოდ ერთი ნაწილი ხვდება, რომლის მოცულობა სესხის პირობებზე და არა მცირე მეწარმის სუბიექტის მოგებაზე არის დამოკიდებული.

ზედამხედველობა მოიცავს იურიდიული, ფინანსური და ოპერაციული მონიტორინგის მექანიზმებს. იურიდიული მონიტორინგი უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაცია ოპერირებს კანონით განსაზღვრულ ჩარჩოში, მართავს ლიცენზირებულ საქმიანობას, და აგებს ანგარიშს სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებაზე. ფინანსური მონიტორინგი მოიცავს კაპიტალის საკმარისობის, სესხების მოცულობის, პროცენტების და საკომისიოს კონტროლს, რისკების შეფასებას და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას. ოპერაციული ზედამხედველობა კი აღჭურვილია შიდა კონტროლის, მენეჯმენტის, ანგარიშგების სისტემებისა და კლიენტებთან ურთიერთობის ეფექტურობის შემოწმებით.

ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები (financial soundness indicators – FSI) თავდაპირველად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამების ფარგლებში გამოიყენებოდა. შემდგომში, შეთავაზებული მაჩვენებლების ნაკრები აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკისა და სხვა ინსტიტუტების პრაქტიკაში. დღეს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლებს 140 სახელმწიფო ითვალისწინებს და აქვეყნებს, შესაბამისად.²⁵¹

ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები შემდეგი მიზნებისთვის გამოიყენება: ფინანსური სექტორის შოკების შემთხვევაში მოწყვლადობის შეფასებისათვის; არაფინანსური სექტორების მდგომარეობის შეფასებისათვის; საკრედიტო, ლიკვიდობისა და საბაზრო რისკით

²⁵¹ ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლებს აქვეყნებს საქართველოც, IMF Financial Soundness Indicators, ასევე ეროვნული ბანკის ოფიციალური ინფორმაცია: nbg.gov.ge – [Financial Soundness Indicators \(FSI\)](#).

განპირობებული ფინანსური სექტორის მოწყვლადი წერტილების მონიტორინგი; ფინანსური სექტორის შესაძლებლობის შეფასება ზარალის დაფარვის მიზნით, მაგალითად, საკუთარი კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლების განსაზღვრა.

მაჩვენებლების ნაკრები მიკროსაფინანსო საბანკო სექტორის, მისი კონტრაქტების, საოჯახო მეურნეობებისა და კორპორაციების მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების ჯგუფი 12 ძირითად და 28 დამატებით ინდიკატორს მოიცავს.²⁵² ძირითადი მაჩვენებლები უშუალოდ მიკროსაფინანსო საბანკო სექტორს, ხოლო დამატებითი მაჩვენებლები, როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკის სხვა სექტორებისა და საბაზრო სემენტების ფუნქციონირებას ეხება. ფინანსური მდგრადობის რაოდენობრივი ინდიკატორების აღნიშნული ნუსხა მუდმივად ფართოვდება.

3.3.4 განსხვავებები საბანკო სისტემასთან შედარებით

მისოს სამართლებრივი სტატუსის განხილვისას მნიშვნელოვანია მათი საბანკო სისტემასთან არსებითი განსხვავებები გავითვალისწინოთ, რომლებიც მათი ოპერირების სპეციფიკას, უფლებამოსილებებს, რეგულირების მოთხოვნებსა და ფინანსური სექტორის როლს განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ მისოც და ბანკებიც ფინანსურ სექტორში ფუნქციონირებენ და ორივე სესხებსა და ფინანსურ მომსახურებას სთავაზობს, მათ შორის საფუძვლიანი სამართლებრივი, ორგანიზაციული და ოპერაციული განსხვავებები არსებობს. მისო არასაბანკო იურიდიული ფორმაა. ისინი მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული

²⁵² ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოს მიერ ასათვლელი და IMF-ის ბაზაში გამოქვეყნებული FSI-ები – მე-12 ძირითადი და მე-6 დამატებითი მაჩვენებლის ერთობლიობაა, ანუ ჯამში 28-ის ნაცვლად 18 ინდიკატორი. მათ შორის შედის როგორც საბანკო სექტორის მაჩვენებლები, ასევე ბაზარზე ოპერირებული ინსტიტუტების და ფინანსური ბაზრების ნაწილობრივი მიმოხილვა.

პირები, რომლებიც სეზ-ის მიერ არიან რეგისტრირებული მხოლოდ კონკრეტული, მიკროსაფინანსო სერვისების მიწოდების სფეროში. აღნიშნული განასხვავებს მას კომერციული ბანკისაგან, რომლებსაც საბანკო ლიცენზია გააჩნიათ, დეპოზიტების მიღებას, ანგარიშსწორებას, სესხების დიდ მოცულობებს მოიცავს და სხვა მრავალმხრივ ფინანსურ ოპერაციას ახორციელებს. მისოს არ აქვს უფლება მოიპოვოს ან განკარგოს დეპოზიტები, რაც მათი სამართლებრივი სტატუსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეზღუდვაა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ეკრძალება დეპოზიტების მიღება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისაგან.²⁵³

კაპიტალის მოთხოვნები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ბანკები ვალდებული არიან მნიშვნელოვან საბაზისო კაპიტალს ფლობდნენ. მისო შედარებით დაბალი კაპიტალის პირობებში ფუნქციონირებს, რაც მათ მიზნობრივ სეგმენტს – მცირე მოცულობის სესხებს და დაბალშემოსავლიანი მომხმარებლის მომსახურებას ეხმარება. ამასთან, კაპიტალის დაბალი ზღვარი არ ნიშნავს, რომ რეგულირება ნაკლებად მკაცრია; პირიქით, ფინანსური სტაბილურობის დაცვიდან გამომდინარე ზედამხედველობა და რეგულირების ჩარჩო სესხების მოცულობასა და საპროცენტო განაკვეთებს მკაცრად განსაზღვრავს.

მისოს რეგულირებული საქმიანობის სპეციფიკა საბანკო სექტორისაგან განსხვავებულია. ის სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში ოპერირებს, რომელიც მის უფლებამოსილებებს, შეზღუდვებსა და კლიენტთა დაცვის სტანდარტებს განსაზღვრავს. მაგალითად, მისო ძირითადად მცირე სესხების გაცემას უზრუნველყოფს. აღნიშნული სესხები სოციალურად მოწყვლად ჯგუფებზე არის მიმართული. მისო საბანკო სექტორის დამატებით ფუნქციას – ფინანსური ჩართულობის გაზრდასა და სიღარიბის დამლევის მხარდაჭერას ახორციელებს. საბანკო სისტემის

²⁵³ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის 4.3 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/24328?publication=24>>, [11.03.2025.]

ძირითადი ფუნქცია ფინანსური ბაზრის ნორმალური ფუნქციონირება, მსხვილი კრედიტების გაცემა, დეპოზიტების მართვა და ინვესტიციების განხორციელებაა, რაც მისოს მიზნებისა და სემენტებისაგან განსხვავდება.

ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების სისტემა რეგულირების ხარისხითა და ინსტრუმენტებითაც განსხვავებულია. ბანკები სებ-ისა და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით რეგულირდება, რაც კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებას, ლიკვიდობის მონიტორინგსა და სხვა რთულ ფინანსურ ინსტრუმენტებს მოიცავს. მისოს ზედამხედველობა უფრო მეტად სესხების მიღებისა და გაცემის პროცედურებზე, კლიენტთა უფლებების დაცვაზე და ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობაზე არის ფოკუსირებული.

საბანკო სისტემისაგან განსხვავება როგორც სამართლებრივ სტატუსში, ისე საოპერაციო და ფუნქციურ სპეციფიკებში გამოიხატება. მისო დამატებითი ფინანსური რგოლია, სარგებლობს განსაკუთრებული უფლებამოსილებებით, თუმცა შეზღუდვებისა და რეგულაციების შესაბამისად მოქმედებს. ისინი ბანკების პირდაპირი კონკურენტები არ არიან, არამედ საბანკო სექტორის მომსახურების ორმხრივ და სოციალურ ხარვეზებს კომპლემენტარულად ავსებენ, ამასთანავე ფინანსური სისტემის სტაბილურობასა და საზოგადოების სოციალურ ჩართულობას უზრუნველყოფენ.

3.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი პრინციპები

3.4.1 გამჭვირვალობის პრინციპი

მისოს სამართლებრივი სტატუსისა და ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი გამჭვირვალობის პრინციპია. იგი ორგანიზაციის საქმიანობის სანდოობას, კლიენტთა დაცვის ეფექტიანობასა და ეროვნული ფინანსური სისტემის სტაბილურობას უზრუნველყოფს. გამჭვირვალობა გულისხმობს, რომ მისო თავის ოპერაციებზე, ფინანსურ

პოლიტიკაზე, სესხების პირობებზე, საპროცენტო განაკვეთებსა და საკომისიოებზე, აგრეთვე, შიდა კონტროლის მექანიზმებზე სრულყოფილად, სწორად და ხელმისაწვდომად გასცემს ინფორმაციას.²⁵⁴

გამჭვირვალობის პრინციპი უმთავრესად კლიენტთა ინტერესების დაცვისაკენ არის მიმართული. მისო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მომხმარებლებს სესხის პირობების, რისკების, დაფარვის ვადებისა და ფინანსური პროდუქტების სხვა ელემენტების შესახებ სრული და უყუარარი ინფორმაცია ჰქონდეს. ინფორმაციის გამჭვირვალობა კლიენტთა ნდობას ზრდის, პასუხისმგებლიანი ფინანსური ქცევის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და სესხების არათანაბარ პირობებში მიღების შემთხვევებს თავიდან აცილებს.

გამჭვირვალობა ასევე ფინანსური ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. სახელმწიფო ორგანოებსა და მარეგულირებელ უწყებებს შეუძლიათ მისოს საქმიანობა სრულყოფილად აკონტროლონ, როდესაც არსებობს დეტალური, ზუსტი და დროული ინფორმაცია ფინანსურ ოპერაციებზე. გამჭვირვალედ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავლებს, ხარჯებს, კაპიტალის მდგომარეობასა და სესხების ნაშთს მოიცავს. რეგულარული ანგარიშგება მიკროსაფინანსო სექტორის სტაბილურობის გაზრდას ემსახურება, ამცირებს რისკებსა და უზრუნველყოფს სახელმწიფოს შესაძლებლობას, მიიღოს დროული გადაწყვეტილებები მიკროსაფინანსო ბაზრის მართვისათვის. შიდა პოლიტიკებისა და კონტროლის გამჭვირვალობაც ამ პრინციპის ნაწილია. მისო სესხების გაცემის პოლიტიკის, რისკების მართვის მეთოდების, საკომისიოსა და საპროცენტო სისტემის ამსახველი შიდა პროცედურების შექმნაზე არის ვალდებული. აღნიშნული პროცესების გამჭვირვალობა

²⁵⁴ ეროვნულმა ბანკმა ფინანსური ორგანიზაციებისთვის გამჭვირვალობის ახალი მოთხოვნები შეიმუშავა, 2022 წლის 18 ოქტომბერი, <<https://nbg.gov.ge/media/news/erovnulma-bankma-pinansuri-organizatsiebtvis-gamchvirvalobis-akhali-motkhovnebi-sheimushava>>,[14.03.2025.]

მენეჯმენტს ოპერაციების ეფექტიანად მართვაში ეხმარება, ასევე ზედამხედველობის ორგანოებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს. გამჭვირვალობა ორგანიზაციის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკმაყოფილებას უწყობს ხელს. გამჭვირვალობა ორგანიზაციას კანონის, კლიენტთა დაცვის სტანდარტების შესრულებასა და ანგარიშვალდებულებების უზრუნველყოფას ავალდებულებს. გამჭვირვალობა ორგანიზაციის ეფექტიანობას ზრდის, აძლიერებს მის რეპუტაციას, ინვესტორთა ნდობის მოპოვებას და ფინანსური ბაზრის მდგრად განვითარებას უწყობს ხელს. გამჭვირვალობა სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებას განამტკიცებს. მისო ხშირად მოწყვლად ჯგუფებთან და დაბალშემოსავლიან მომხმარებლებთან ოპერირებს, სადაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სოციალური ეფექტიანობის ხარისხზე პირდაპირ აისახება. ინფორმაციის სრული წარმოდგენა ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების შესახებ მომხმარებლების უფლებების დაცვას უზრუნველყოფს, სიღარიბის შემცირებას, ფინანსური ჩართულობის გაზრდასა და სოციალური თანასწორობის გაძლიერებას განაპირობებს. გამჭვირვალობის პრინციპი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითადი პრინციპები და მოვალეობების ფუნდამენტური ელემენტია. იგი კლიენტთა ინფორმირებულობას, ფინანსურ ანგარიშვალდებულებას, შიდა კონტროლის პროცესების გამჭვირვალობას, სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებასა და სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფას აერთიანებს. აღნიშნული პრინციპის დაცვა მისოს ეფექტიანობას, ნდობასა და სტაბილურობას ზრდის და ეროვნული ფინანსური სისტემის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს.

3.4.2 პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპი

მისოს სამართლებრივი სტატუსისა და საქმიანობის არსებითი კომპონენტი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპია. აღნიშნული

პრინციპი მომხმარებლის ინტერესების დაცვას, ფინანსური რისკების შემცირებასა და მთლიანად ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ კრედიტის გაცემის პროცესში მისო ვალდებულია არა მხოლოდ საკუთარი კომერციული ინტერესებით იხელმძღვანელოს, არამედ ყურადღება მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე, ვალის მომსახურების შესაძლებლობაზე და კრედიტის სოციალურ შედეგებზე გაამახვილოს.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტება კლიენტის ფინანსური მდგომარეობის სათანადო შეფასებას ეფუძნება. მისომ სესხის გაცემამდე მსესხებლის შემოსავლებზე, არსებულ ვალდებულებებზე, ოჯახურ მდგომარეობასა და სხვა იმ გარემოებებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ გადახდისუნარიანობაზე, დეტალური ინფორმაცია უნდა შეაგროვოს. ასეთი შეფასება ზედმეტი დავალიანების დაგროვებას უშლის ხელს, დავალიანების გადაუხდელობის რისკს ამცირებს და მომხმარებელს შესაძლო ფინანსური კრიზისისგან იცავს.²⁵⁵

ამასთან, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპი ინფორმაციის სრულყოფილად და მკაფიოდ მიწოდებას გულისხმობს. მომხმარებელმა სესხის ყველა პირობა– საპროცენტო განაკვეთი, საკომისიოები, ჯარიმები, ვადები და ვალდებულებების შესრულების შესაძლო შედეგები უნდა იცოდეს. გამჭვირვალე ინფორმაციის მიწოდება იმისათვის არის აუცილებელი, რომ მომხმარებელმა შეგნებულად მიიღოს გადაწყვეტილება და უარყოფითი ფინანსური შედეგები თავიდან აიცილოს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლიანობის პრინციპს ენიჭება. პასუხისმგებლიანი დაკრედიტება გულისხმობს, რომ მისო მომხმარებლის დაბალი ფინანსური განათლებით ან სავალალო მდგომარეობით არ სარგებლობს. ის ვალდებულია, არ დააწესოს არასამართლიანი პირობები, რომლებიც კლიენტისათვის შეუფერებელ

²⁵⁵ Robert Cull (World Bank), Jonathan Morduch (New York University), *Microfinance and Economic Development*, 2017, 34.

ფინანსურ ტვირთს ქმნის. აღნიშნული სტანდარტი განსაკუთრებით იმ ქვეყნებში არის მნიშვნელოვანი, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკონომიკურად მოწყვლადია და ფინანსური სერვისებისადმი მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება.²⁵⁶

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპი ასევე უკავშირდება სესხის შემდგომ მონიტორინგს. მისომ პასუხისმგებლობა მხოლოდ სესხის გაცემით არ უნდა შეწყვიტოს. საჭიროა მსესხებლის მდგომარეობის პერიოდული შეფასება, საჭიროების შემთხვევაში – გადახდის გრაფიკის გადახედვა ან რესტრუქტურისაცია. ეს მომხმარებლისათვის ფინანსური ტვირთისა და არასასურველი სოციალური შედეგების რისკის შემცირებას უწყობს ხელს. სახელმწიფო და მარეგულირებელი ორგანოები პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპის დაცვის მიზნით ნორმატიულ-იურიდიულ ჩარჩოს ქმნიან. მისოსთვის დადგენილია შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებულ ჯგუფზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობა 200 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. ეს რეგულაცია საკრედიტო რისკების შემცირებას, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას და მომხმარებელთა გადაჭარბებული ვალის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად.

გარდა იურიდიული ვალდებულებებისა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილიცაა. მისო, რომელიც მცირე მეწარმეებსა და დაბალშემოსავლიან მოსახლეობას ემსახურება, სოციალური თანასწორობისა და ფინანსური ჩართულობის პროცესებზე პირდაპირ ზემოქმედებს. ამიტომაც,

²⁵⁶ აღნიშნული სტანდარტის მნიშვნელობა განსაკუთრებით განვითარებად და გარდამავალ ეკონომიკებში არის თვალსაჩინო, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ფინანსურად მოწყვლადი და ეკონომიკური რისკების მიმართ უფრო დაუცველია. ასეთ გარემოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან პასუხისმგებლიანი დაკრედიტების, გამჭვირვალობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების დაცვა უზრუნველყოფს, რომ ფინანსური სერვისები მოსახლეობის ფართო ფენებისათვის მეტად მისაწვდომი და უსაფრთხო გახდეს. სტანდარტის დაცვა არა მხოლოდ ფინანსური სტაბილურობის გაძლიერებას, არამედ სიღარიბის შემცირებას, სოციალური ჩართულობის ზრდასა და ეკონომიკური განვითარების მდგრად პროცესებს უწყობს ხელს.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპის დაცვა არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ სოციალური ვალდებულებაცაა.

3.4.3 მომხმარებლის ინტერესების პრიორიტეტულობა

ფინანსური სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებად მომხმარებლის ინტერესების დაცვა და მისი პრიორიტეტად ქცევა განიხილება. მისოს საქმიანობაში აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებულ როლს თამაშობს, ვინაიდან კლიენტთა უმეტესობა ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფები – მცირე მეწარმეები, დაბალშემოსავლიანი ოჯახები და სოციალურად დაუცველი პირები არიან. სწორედ ამიტომ, მომხმარებლის ინტერესების პრიორიტეტულობა არა მხოლოდ ეთიკური ვალდებულება, არამედ სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური აუცილებლობაცაა.²⁵⁷

მომხმარებლის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი გულისხმობს, რომ მისომ ყველა გადაწყვეტილება ისე უნდა მიიღოს, რომ პირველ რიგში კლიენტთა უფლებები, საჭიროებები და შესაძლებლობები გაითვალისწინოს. ეს როგორც სესხის პირობების გამჭვირვალე და სამართლიან მიწოდებას, ისე პასუხისმგებლიან დაკრედიტებას, ფინანსურ განათლებასა და დავალიანების მართვის ადეკვატურ პოლიტიკას გულისხმობს. მნიშვნელოვანია, რომ კლიენტს სესხთან დაკავშირებული ყველა პირობის შესახებ სრული ინფორმაცია ჰქონდეს. ამ ინფორმაციის მიწოდება მკაფიო, გასაგები უნდა იყოს და დამაბნეველ ან დამალულ პირობებს არ უნდა შეიცავდეს.

მომხმარებლის ინტერესების პრიორიტეტულობა ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობასა და სამართლიანობას გულისხმობს. მისომ სესხის გაცემისას არ უნდა დაუშვას დისკრიმინაცია, არ გამოიყენოს უსამართლო პირობები და მომხმარებლის დაუცველი მდგომარეობით არ

²⁵⁷ Rhyne E., The Role of Consumer Protection in Financial Inclusion, Center for Financial Inclusion, 2012, 21.

ისარგებლოს. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში არის აქტუალური, როდესაც მომხმარებელს სათანადო ფინანსური განათლება არ აქვს და, შესაბამისად, გრძელვადიან რისკებს ჯეროვნად ვერ აფასებს.²⁵⁸

განსაკუთრებულ ადგილს სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტი იკავებს. მისი ეკონომიკური აქტივობის ზრდასა და სიღარიბის შემცირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, ამიტომ მისი მოვალეობა არა მხოლოდ საკუთარი მოგების მაქსიმიზაცია, არამედ მომხმარებელთა ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესებაცაა. ამდენად, მომხმარებელთა ინტერესების პრიორიტეტულობა სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური მდგრადობის საწინდარია.

პრინციპის პრაქტიკული განხორციელება ზედამხედველობითი ორგანოების აქტიურ ჩართულობას მოითხოვს. სებ-ი მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით მისი გარკვეულ რეგულაციებს უწესებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკს აქვს უფლება, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ფინანსურ სტაბილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სამართლებრივი აქტით საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა და მისი ფორმირების წესი დაადგინოს.²⁵⁹

სესხის ზედმეტად მაღალ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთების დაწესებაზე შეზღუდვები არა მხოლოდ მომხმარებელთა დაცვას, არამედ სისტემური სტაბილურობის უზრუნველყოფას ემსახურება. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ სებ-ის სამართლებრივი აქტით განიმარტება. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი, მსესხებლის მიერ გათვალისწინებით.²⁶⁰

²⁵⁸ Rosenberg, Richard, Gonzalez, Adrian, & Narain, Sushma. Transparency and Consumer Protection in Microfinance. CGAP Focus Note No. 27. Washington, D.C.: CGAP, 2009, 43.

²⁵⁹ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის 6.4 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/24328?publication=24>>, [21.04.2025.]

²⁶⁰ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 17.02.2022 წ. ბრძანება №15/04 „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტების, სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის

მომხმარებლის ინტერესების პრიორიტეტულობა ნდობის ფორმირებასთან პირდაპირ კავშირშია. თუ კლიენტს ექნება განცდა, რომ ორგანიზაცია მის ინტერესებზე ზრუნავს და მის უფლებებს იცავს, ეს როგორც კონკრეტული ორგანიზაციის, ისე მთლიანად ფინანსური სექტორისადმი ნდობას გაზრდის. ნდობა კი ფინანსური სისტემის გრძელვადიანი მდგრადობისა და ეკონომიკური განვითარების საფუძველია.

გარდა ამისა, აღნიშნული პრინციპი ფინანსური განათლების გაძლიერებას უწყობს ხელს. ბევრი მისო დღეს სასწავლო პროგრამების შემოთავაზებას მომხმარებლის ინტერესების დაცვის ნაწილად განიხილავს, სადაც დავალიანების ეფექტიანი დაგეგმვისა და სესხების პასუხისმგებლიანად გამოყენების შესახებ კლიენტებს საკუთარი ფინანსების მართვის ცოდნას აძლევენ. ეს მიდგომა არა მხოლოდ მომხმარებლების ინტერესებს იცავს, არამედ მთლიანად ეკონომიკას აძლიერებს.²⁶¹ მომხმარებლის ინტერესების პრიორიტეტულობა მისოს საქმიანობის ძირითადი ფასეულობაა. მისი დაცვა სოციალური სამართლიანობის, ეკონომიკური სტაბილურობისა და ფინანსური ჩართულობის რეალურ განხორციელებას უზრუნველყოფს. სწორედ ამ პრინციპის წყალობით არის მიკროსაფინანსო სექტორის ისეთი განვითარება შესძლებელი, რომელიც არა მხოლოდ ორგანიზაციების კომერციულ მიზნებს, არამედ საზოგადოების ფართო ინტერესებსაც ემსახურება.²⁶²

3.4.4 ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის პრინციპი

ფინანსური სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირება ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის მკაფიო სისტემის გარეშე

გამოთვლის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გათვალისწინების წესის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №194/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, მუხ.2, „მ“

²⁶¹ Armend Aliu, The Role of Microfinance in Poverty Alleviation and Economic Development, Journal of Innovation and Entrepreneurship, 2021, 28.

²⁶² Carlo Milana & Arvind Ashta, Microfinance and financial inclusion: Challenges and opportunities, Strategic Change, 2024, 82.

შეუძლებელია. განსაკუთრებით მისო, რომელიც ეკონომიკურად მოწყვლად ჯგუფებსა და მცირე მეწარმეებს ემსახურება. აღნიშნული პრინციპი სტაბილურობის, გამჭვირვალობისა და მომხმარებლის ინტერესების დაცვის მყარ საფუძველს ქმნის.²⁶³ ანგარიშვალდებულების პრინციპი გულისხმობს, რომ მისო არა მხოლოდ საკუთარი აქციონერების, არამედ მომხმარებლის წინაშე საკუთარი ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და რისკების შესახებ ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის წარდგენაზე არის ვალდებული. აღნიშნული როგორც პერიოდული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, ისე ზედამხედველ ორგანოებისათვის სპეციალური ანგარიშების წარდგენას მოიცავს.

ზედამხედველობის პრინციპი სახელმწიფოსა და სპეციალური ორგანოების, მათ შორის სეზ-ის როლთან არის დაკავშირებული. ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები ადგენენ სტანდარტებს, აკონტროლებენ ამ სტანდარტების შესრულებასა და საჭიროების შემთხვევაში სანქციებს იღებენ. ზედამხედველობა მრავალმხრივ კონტროლს მოიცავს: კაპიტალის საკმარისობის, ლიკვიდურობის, სესხის პორტფელის ხარისხის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რისკების მართვის მიმართულებით. მისოს საქმიანობაზე ზედამხედველობის პრინციპი სეზ-ის მიზნებსა და ამოცანებში პირდაპირ არის განმტკიცებული. სეზ-ის მთავარი ამოცანა ფინანსური სექტორის მდგრადობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მომხმარებელთა და ინვესტორთა ინტერესების დაცვაა. ამისათვის იგი სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, სისტემური რისკების მართვასა და პოტენციური საფრთხეების შემცირებას უწყობს ხელს, რაც მთლიანად ეკონომიკურ უსაფრთხოებას აძლიერებს.²⁶⁴

²⁶³ Seth Garz et.al., Consumer Protection for Financial Inclusion in Low- and Middle-Income Countries: Bridging Regulator and Academic Perspectives, Annual Review of Financial Economics, 2021, 62.

²⁶⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მუხლი 47, <<https://matsne.gov.ge/document/view/101044?publication=63>>, [23.03.2025.]

მისოზე ზედამხედველობა რამდენიმე მიზეზის გამო არის მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, ის ხშირად მცირე კაპიტალით მუშაობს და ფინანსური შოკების მიმართ უფრო მეტადაა მიდრეკილი. შესაბამისად, მარეგულირებლის ჩარევა სისტემურ რისკებს უშლის ხელს და მომხმარებელს იცავს. მეორეც, ზედამხედველობა ბაზარზე ერთგვაროვან სტანდარტებს უზრუნველყოფს, რაც კონკურენციის სამართლიანობას ზრდის და არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის გავრცელებას უშლის ხელს. ამ მიზნით სებ-ი უფლებამოსილია საზედამხედველო ფუნქციების შესასრულებლად შესაბამისი დადგენილებები და ბრძანებები გამოსცეს, შესაბამისი ღონისძიებები განახორციელოს, გასცეს წერილობითი მითითებები, დააწესოს დამატებითი მოთხოვნები და შესაბამისი შეზღუდვები, საზედამხედველო ზომები ან/და სანქციები გამოიყენოს.²⁶⁵

ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის პრინციპები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ანგარიშვალდებულება ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელებისათვის ქმნის საფუძველს, ვინაიდან სებ-ს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ სანდო და დროული ინფორმაცია სჭირდება. ზედამხედველობა კი უზრუნველყოფს, რომ ანგარიშვალდებულება არა ფორმალურ ვალდებულებად დარჩეს, არამედ რეალურ პრაქტიკად იქცეს. ანგარიშვალდებულება არა მხოლოდ სებ-ის წინაშე, არამედ საზოგადოებისა და მომხმარებლის მიმართაც ვლინდება. მისომ მსესხებლებისათვის გასაგები ანგარიშგების ფორმები უნდა უზრუნველყოს, მაგ., წლიური ანგარიშების გამოქვეყნება, საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების საჯაროობის უზრუნველყოფა და სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების წარმოდგენა. ეს ზრდის ნდობას და ორგანიზაციის რეპუტაციას აძლიერებს.

ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელება მოითხოვს, რომ ორგანიზაციამ შიდა

²⁶⁵ საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მუხლი 48.3, <<https://matsne.gov.ge/document/view/101044?publication=63>>, [23.03.2025.]

კონტროლის მექანიზმები – აუდიტი, რისკების მართვის სისტემა, ეთიკური ქცევის კოდექსი და შიდა მონიტორინგის პროცედურები დანერგოს. ასეთი მიდგომა არა მხოლოდ ზედამხედველ ორგანოებს აძლევს საშუალებას, ეფექტიანად შეაფასონ ორგანიზაციის საქმიანობა, არამედ თვითონ ორგანიზაციას პრობლემების დროულად გამოვლენასა და გამოსწორებაში ეხმარება. ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის პრინციპს ფინანსური სისტემის მდგრადობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. თუ კლიენტებსა და საზოგადოებას ექნებათ განცდა, რომ მისოს საქმიანობა მკაცრად გაკონტროლებულია და ანგარიშვალდებულება ჯეროვნად გაცნობიერებულია, ეს მთლიანად სექტორის მიმართ ნდობას ზრდის. ნდობა კი ფინანსური ჩართულობის გაზრდისა და ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

3.4.5 სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი

მისოს საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპს ენიჭება. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ მისომ ყველა კლიენტი და პარტნიორი თანაბარ პირობებში განიხილოს, დაიცვას მიუკერძოებლობა, არ დაუშვას დისკრიმინაცია და ფინანსურ სერვისებზე სამართლიანი წვდომა უზრუნველყოს. სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი არა მხოლოდ ეთიკური, არამედ სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია. თუ მისო თანაბარ მოპყრობას ვერ უზრუნველყოფს, ეს მის რეპუტაციას აზიანებს, მომხმარებლის ნდობას აქვეითებს და საბოლოოდ ფინანსური ჩართულობის მიზნების მიღწევას ზღუდავს.

სამართლიანობის პრინციპი გულისხმობს, რომ ფინანსური სერვისი ყველა კლიენტს გამჭვირვალე პირობებით, მოულოდნელი გადასახადებისა და დამალული საფასურის გარეშე უნდა მიეწოდოს. სესხის პირობები – საპროცენტო განაკვეთები, ვადები, ჯარიმები – ნებისმიერი

მომხმარებლისათვის, მათ შორის დაბალი ფინანსური განათლების მქონეთათვის მკაფიოდ განსაზღვრული და გასაგები უნდა იყოს.

თანასწორობის პრინციპი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრას გულისხმობს. კლიენტების არჩევა ან მომსახურების პირობების განსაზღვრა გენდერს, ასაკს, ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ კუთვნილებას ან სხვ. სოციალურ მახასიათებლებს არ უნდა ეფუძნებოდეს. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს გადაწყვეტილებაზე, კლიენტის ფინანსური შესაძლებლობა და მისი საკრედიტო ისტორიაა.

სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი ხშირად ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. მაგალითად, თუ ორი მომხმარებელი ერთნაირი პირობებით სესხს იღებს, მაგრამ ერთი მომხმარებლისადმი დამოკიდებულება უფრო მკაცრია, ეს უკვე არღვევს როგორც სამართლიანობას, ისე თანასწორობას. პრინციპის განხორციელება კონკრეტულ პრაქტიკულ ნაბიჯებს მოითხოვს: სტანდარტიზებული საკრედიტო პოლიტიკის დანერგვა – ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ერთიანი წესები, რომლებიც ყველა კლიენტზე ერთნაირად გავრცელდება; მომხმარებლის ინფორმირება – სამართლიანობა მოითხოვს, რომ კლიენტს გადაწყვეტილების მიღებამდე სრული ინფორმაცია ჰქონდეს; სოციალური პასუხისმგებლობა – თანასწორობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია, რომ მისომ განსაკუთრებული ყურადღება სოფლის მოსახლეობასა და სხვა მოწყვლად ჯგუფებს დაუთმოს, რომელთაც ხშირად სერვისებზე წვდომა უჭირთ; სადავო საკითხების სამართლიანი გადაწყვეტა – მისოში უნდა არსებობდეს მექანიზმები, რომლებიც მომხმარებლის საჩივრების ობიექტურ განხილვას უზრუნველყოფს. სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი ფინანსური განათლების გაძლიერებას უწყობს ხელს. როდესაც მომხმარებელი მკაფიოდ და სამართლიან პირობებს იღებს, მათ უჩნდებათ

მოტივაცია ფინანსურ პროდუქტებს უკეთ გაეცნონ, საკუთარი უნარები განავითარონ და უფრო პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებები მიიღონ.²⁶⁶

პრინციპის დარღვევა სერიოზულ რისკებს ქმნის. არათანაბარი საპროცენტო განაკვეთები, არათანაბარი მოპყრობა ან დისკრიმინაცია არა მხოლოდ ინდივიდუალურ კლიენტებს აზიანებს, არამედ მთლიანად საფინანსო სექტორისადმი ნდობას აქვეითებს. შედეგად, შეიძლება ფინანსური ჩართულობა შემცირდეს და ეკონომიკური განვითარება შეიზღუდოს.

3.4.6 თანამშრომელთა პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპი

მისოს საქმიანობის ეფექტიანობა და რეპუტაცია დიდწილად თანამშრომელთა პროფესიულ პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. მისოს სექტორი განსაკუთრებით მგრძნობიარეა. ამიტომაც, ორგანიზაციის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია, როგორც კლიენტების, ისე მთელი სისტემის მიმართ მაღალი პროფესიონალიზმით, ეთიკური სტანდარტების დაცვითა და პასუხისმგებლობით იმოქმედოს. პროფესიული პასუხისმგებლობა თანამშრომლის უნარსა და ვალდებულებას გულისხმობს, საკუთარი ფუნქციები სათანადო ცოდნის, გამოცდილებისა და ეთიკის შესაბამისად შეასრულოს. ეს არა მხოლოდ პროფესიულ კომპეტენციას, არამედ იმაზე ზრუნვასაც მოიცავს, რომ ყველა მოქმედება კანონის მოთხოვნებს, ორგანიზაციის შიდა წესებსა და მომხმარებლის ინტერესებს შეესაბამებოდეს. თანამშრომლის პასუხისმგებლობა მრავალმხრივია და როგორც სამართლებრივ, ისე მორალურ და ეთიკურ ვალდებულებებს მოიცავს. მთავარი ამოცანა მისოს თანამშრომლებისათვის მომხმარებლის ინტერესების დაცვაა. ეს ნიშნავს, რომ კლიენტს სესხის პირობების შესახებ, მათ შორის საპროცენტო განაკვეთების, ჯარიმებისა და შესაძლო რისკების შესახებ სრული და სანდო ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. თანამშრომელმა

²⁶⁶ ფინანსური განათლების გაძლიერება, <https://www.consumerfinance.gov/about-us/blog/effective-financial-education-five-principles-and-how-use-them/?utm_source=chatgpt.com>, [12.04.2025.]

უნდა უზრუნველყოს, რომ გადაწყვეტილებები სამართლიანობისა და თანასწორობის საფუძველზე, დისკრიმინაციის გარეშე იყოს მიღებული. პროფესიული პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ თანამშრომელმა მომხმარებლის ფინანსური უცოდინრობა პირადი სარგებლისთვის არ გამოიყენოს.

თანამშრომელი ორგანიზაციის შიდა რეგულაციებისა და მენეჯმენტის მითითებების დაიცვაზე არის ვალდებული. ეს უკანასკნელი დისციპლინის, სამსახურებრივი საიდუმლოსა და მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვას მოიცავს. თანამშრომლის ყოველი ქმედება მისოს რეპუტაციაზე აისახება, ამიტომ პროფესიული პასუხისმგებლობა მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევას, ხარვეზებისა და შეცდომების თავიდან აცილებას და საჭიროების შემთხვევაში, მათი დროულად გამოსწორებას გულისხმობს. პროფესიული პასუხისმგებლობა მხოლოდ იურიდიული ვალდებულებებით არ შემოიფარგლება. თანამშრომლის ეთიკური ქცევა ისეთივე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის მომხმარებლის ნდობასა და ბაზრის სტაბილურობას ქმნის. ეთიკა პატიოსნებას, ობიექტურობას, კეთილსინდისიერებასა და კლიენტებისადმი პატივისცემას გულისხმობს. მაგალითად, თანამშრომელმა არ უნდა შესთავაზოს კლიენტს ისეთი პროდუქტი, რომელიც მის ფინანსურ შესაძლებლობებს აშკარად არ შეესაბამება. სეზ-ის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, შესაბამისად, საბანკო პროფესიის წარმომადგენლები ვალდებულები არიან იმოქმედონ პატიოსნად, კომპეტენტურად, ეთიკურად, მომხმარებლებისა და საზოგადოების მიმართ, პროფესიული და მომხმარებელთა ინტერესები პირად ინტერესებზე მაღლა დააყენონ, გამოიყენონ გონივრული სიფრთხილე, მხარი დაუჭირონ საფინანსო სექტორის მდგრადობას და მუდმივად გაუმჯობესონ

პროფესიული კომპეტენცია.²⁶⁷ თანამშრომლის პროფესიული პასუხისმგებლობა საკუთარი ცოდნისა და უნარების მუდმივ განვითარებას მოიცავს. მისოს სფერო სწრაფად იცვლება – იქმნება ახალი პროდუქტები, იცვლება კანონმდებლობა, ტექნოლოგიური ინოვაციების როლი იზრდება. თანამშრომელი ვალდებულია ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით მუდმივად გადიოდეს ტრენინგებს, ფინანსურ და იურიდიულ ცოდნას აუმჯობესებდეს. თანამშრომლის პროფესიული პასუხისმგებლობა უშუალოდ ანგარიშვალდებულებას უკავშირდება. თითოეულ გადაწყვეტილებაზე და ქმედებაზე თანამშრომელი პასუხს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე საჭიროების შემთხვევაში – ზედამხედველი ორგანოების წინაშე აგებს. ანგარიშვალდებულება მოითხოვს, რომ ყველა ოპერაცია გამჭვირვალე, დოკუმენტურად დაფიქსირებული და ადვილად შესამოწმებელი იყოს. პროფესიული პასუხისმგებლობის დარღვევა სერიოზულ შედეგებს იწვევს. მომხმარებლის ინტერესების უზრუნველყოფა ან ეთიკური სტანდარტების დარღვევა როგორც კლიენტებს, ისე ორგანიზაციის რეპუტაციას აზიანებს. ასეთ შემთხვევებში თანამშრომელი შეიძლება დისციპლინურ სანქციებს დაექვემდებაროს, მათ შორის სამუშაოდან გათავისუფლებასაც კი. თანამშრომელთა პროფესიული პასუხისმგებლობა მისოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენია. ის მომსახურების ხარისხს, მომხმარებლის ინტერესების დაცვასა და ბაზრის სტაბილურობას უზრუნველყოფს. პროფესიული პასუხისმგებლობა მაღალი დონის კომპეტენციას, ეთიკურ ქცევას, სამართლიანობასა და ანგარიშვალდებულებას მოითხოვს. მხოლოდ ასეთ საფუძველზე ეკონომიკური განვითარების პროცესში მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შესაძლებელია საზოგადოების ნდობა და თავისი როლი შეინარჩუნოს.

²⁶⁷ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 9 ივლისის N154/04 ბრძანებით დამტკიცებული ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, მუხლი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4252583?publication=0>, [23.04.2025.]

თავი IV. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო და სხვა ფინანსური მომსახურების სამართლებრივი რეგულირება

4.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, როგორც სესხის ხელშეკრულების მხარე

4.1.1 სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბაზა

სესხის ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებაა. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.²⁶⁸ პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია ფულის სესხების ურთიერთობები. მსესხებელი არ არის ვალდებული, გამსესხებელს დაუბრუნოს გადაცემული კონკრეტული კუპიურები და მონეტები, მან გამსესხებელს უნდა დაუბრუნოს იმავე ოდენობის თანხა.²⁶⁹ სამართლებრივი თვალსაზრისით, სესხის ხელშეკრულება ძირითადად სსკ-ით, ასევე სეზ-ის მიერ გაცემული ნორმატიული აქტებით რეგულირდება. აღნიშნული აქტები სესხის გაცემის, პროცენტის დარიცხვისა და სხვა ფინანსური პირობების წესებს განსაზღვრავენ. სესხად შეიძლება გაიცეს მხოლოდ შეცვლადი ნივთი, რადგან იგულისხმება, რომ მსესხებელმა იგი უნდა მოიხმაროს.²⁷⁰ სესხის საგნის საკუთრების უფლების გადაცემა ხელშეკრულებას განსაკუთრებულს ხდის: გადასაცემი ნივთი უნდა იყოს საკუთრების უფლების მქონე, ხოლო მისი გადაცემა ნებისმიერ ფორმალობას გარეშე საკმარისია, მხოლოდ ფაქტობრივი გადაცემა წარმოშობს საკუთრების უფლებას, რაც სესხის პროცესს მნიშვნელოვნად აადვილებს.²⁷¹

²⁶⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი,

<https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=134>, [11.04.2025.]

²⁶⁹ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგ., დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ, თბილისი 2014, § 488, ველი 3.

²⁷⁰ შენგელია რ., თხოვნისა და სესხის სამართლებრივი ბუნება, 1999, 27.

²⁷¹ Брагинский/Витрянский, Договорное право, книга пятая, том 1, 2011, 113.

სსკ ასახელებს ხელშეკრულების ფორმალურ მხარეებს: იგი ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით იდება, რაც თანამედროვე ფინანსურ სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სადაც მისი ხშირად ონლაინ პლატფორმებს იყენებს. ზეპირი შეთანხმება ნდობის ფაქტორზეა დამოკიდებული. თუ სესხი იდება წერილობით, მხარეთა გადასაწყვეტია, ხელშეკრულებას დადებენ მარტივი წერილობითი ფორმით თუ დაამოწმებენ სანოტარო წესით. იურიდიული ძალის მიხედვით მათ თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ.²⁷² ფორმის არჩევა მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს.²⁷³ სსკ ადგენს მტკიცების ტვირთს და მტკიცებულებათა დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.²⁷⁴ სესხის გაცემის მტკიცების ტვირთი აწევს გამსესხებელს, რომელმაც, გარდა თავისი განმარტებისა, სხვა მტკიცებულებებით დამაჯერებლად უნდა დაადასტუროს სესხის ხელშეკრულების დადება.²⁷⁵ კანონი დაუშვებელ მტკიცებულებათა რიგს, გარდა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებისა, მიაკუთვნებს ასევე ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც, მიუხედავად მათი შინაარსისა, არ არის ვარგისი ამა თუ იმ გარემოების დასამტკიცებლად, ვინაიდან, ამ გარემოების დამამტკიცებელი დოკუმენტის სახე თვითონ კანონმა - კონკრეტულმა ნორმამ განსაზღვრა, ანუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც კანონი ითვალისწინებს გარემოების გარკვეული მტკიცებულებით დამტკიცებას.²⁷⁶

²⁷² ზამბახიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ბოლო დამუშავება: ნოემბერი, 2022, 624,2, <<https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/2382779f-820d-47fa-bd4e-d455267ee354/content>>, [12.03.2025].

²⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის №ას-361-343-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 26 იანვრის №ას-11272021 განჩინება.

²⁷⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=174>>, [14.03.2025].

²⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის №ას-839-890-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 27 ოქტომბრის №ას-560-2019 განჩინება.

²⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის № ას-839-890-2011 გადაწყვეტილება.

მართალია, კანონი არ ადგენს სესხისათვის წერილობითი ფორმის სავალდებულობას, ზეპირთან შედარებით წერილობითი ფორმისათვის კანონმდებლის მიერ განსაზღვრული უპირატესობის მინიჭება იმაში ვლინდება, რომ სესხის ხელშეკრულების სადავოობისას მხარეთა ინტერესების დაცვა უფრო მეტადაა გარანტირებული.²⁷⁷ სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი პროცენტებისა და საკომისიოს განსაზღვრაა. ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი ნორმები მაქსიმალურ განაკვეთს განსაზღვრავს, რომლის გადააჭარბება კანონით დაუშვებელია. ეს ღონისძიება უზრუნველყოფს მომხმარებლის ფინანსურ დაცვის პრინციპის დაცვასა და სესხის ხელშეკრულების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. ამასთან, კანონმდებლობა სესხის ლიმიტებს ითვალისწინებს, რომლებიც მსესხებლის ფინანსური გადატვირთვის პრევენციას ისახავს მიზნად, რაც ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობას უწყობს ხელს.

მისოს მიერ სესხების გაცემისას მომხმარებლის ფინანსური შესაძლებლობების შეფასება არის აუცილებელი. სამართლებრივი ბაზა განსაზღვრავს, რომ მსესხებელს სესხის დროულად და სრულად დაბრუნების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, ხოლო მისო ვალდებულია შეაფასოს ეს შესაძლებლობა და უზრუნველყოფილი იყოს, რომ სესხის აღება ფინანსური სირთულის წყარო არ გახდება. ეს რეგულაცია მისოს სექტორში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ვინაიდან როგორც მომხმარებლის უფლებების დაცვას, ისე მისოს საქმიანობის სტაბილურობას უწყობს ხელს. სესხის ხელშეკრულება მსესხებლის საკუთრებაში ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის გადაცემას გულისხმობს, რაც წარმოშობს ვალდებულებას, რომ ის ნივთი უკან დააბრუნოს. სესხი ვერ ჩაითვლება ვალიდურად, თუ მსესხებელმა ის ნივთი არ მიიღო, რადგან ვალდებულება არსებულ მიღებაზეა დამოკიდებული. სესხის შემთხვევაში, როდესაც მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას

²⁷⁷ ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, 355.

დაუბრუნოს მხოლოდ ის, რაც არ მიუღია, ხელშეკრულება ფაქტობრივად არარა ხდება და არ სამართლებრივ გარიგებას არ წარმოადგენს. შესაბამისად, სესხის არსი და ვალიდურობა პირდაპირ ნივთის გადაცემასა და მიღებასთან არის დაკავშირებული, რაც გარიგების რეალობასა და შესრულებადობას უზრუნველყოფს.²⁷⁸

სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ჩარჩო ინფორმირების ვალდებულებას ითვალისწინებს. მსესხებელმა სესხის პირობებზე, პროცენტებზე, საკომისიოზე, ვადებზე და შესაძლო რისკებზე სრული ინფორმაცია უნდა მიიღოს. იგი ხელშეკრულების გამჭვირვალობას მნიშვნელოვნად ზრდის და მომხმარებელს ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილების შეასაძლებლობას აძლევს. სესხის ხელშეკრულების მთავარი პირობაა შეთანხმება სესხის საგანზე, ფულზე ან გვაროვნულ ნივთზე. პროცენტი და ვადის შეთანხმება მხარეების მიერ დამატებით შეიძლება, მაგრამ მათი არარსებობა ხელშეკრულების ნამდვილობას არ ცვლის, ვინაიდან ძირითადი ვალდებულება ნივთის დაბრუნებას უკავშირდება.²⁷⁹ თუ სესხის საგანი არ გადაცემულა, მოთხოვნა ვერ წარმოიშობა. შესაბამისად, სესხის ხელშეკრულების არსებობის აუცილებელი პირობაა თანხის ან გვაროვნული ნივთის ფაქტობრივი გადაცემა მსესხებლის საკუთრებაში და მისი ვალდებულება, აღნიშნული უკან დაუბრუნოს. მხოლოდ ამ პირობების დაკმაყოფილებით იღებს სესხი სამართლებრივ ძალას.²⁸⁰

სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირება მონიტორინგსა და ზედამხედველობასაც მოიცავს. სებ-ი, როგორც ზედამხედველი, კანონმდებლობის სრული დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მისოს საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს. აღნიშნული ზედამხედველობა სესხის პირობების კონტროლს, პროცენტებისა და

²⁷⁸ ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010, 348.

²⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის № ას-888-846-2013 განჩინება.

²⁸⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 ოქტომბრის N 28-833-11

გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 დეკემბრის №ას-895-2021 განჩინება.

საკომისიოს დარიცხვის წესების ზედამხედველობას, შიდა კონტროლის სისტემების შემოწმებასა და საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი ზომების გამოყენებას მოიცავს. სსკ-ის თანახმად, სესხი რეალური ხელშეკრულებაა: ის დადებულია ითვლება და მხარეთა უფლებამოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთების საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან.²⁸¹ სესხი რეალურ ხელშეკრულებად მიიჩნევა, რადგან მისი ძალა გამომდინარეობს საკუთრების გადაცემიდან, რომელიც ხელშეკრულების არსებობის წინაპირობაა და არა გამსესხებლის ვალდებულება. შესაბამისად, გამსესხებელს თავისუფლება აქვს, გასცეს თუ არა სესხი, რაც განსაზღვრავს ხელშეკრულების რეალურ ხასიათს.²⁸²

სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბაზა მრავალსაფეხურიანი ჩარჩოა. იგი უზრუნველყოფს, რომ როგორც მისოს, ისე მსესხებლისათვის სესხის გაცემისა და გამოყენების პროცესი იყოს გამჭვირვალე, სამართლებრივად დაცული და ფინანსურად მდგრადი იყოს.

4.1.2 სესხის ხელშეკრულების განსაკუთრებული ტიპები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში

მისო, თავისი ფუნქციის სპეციფიკის გამო, სესხების გაცემის პროცესში სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებებს იყენებს. სამართლებრივად, თითოეული ასეთი ხელშეკრულება რეგულირების დეტალებით, ვალდებულებებითა და რისკების შეფასებით განსხვავებულია, რაც როგორც სესხის ოდენობით, ისე მიზნობრივი ჯგუფით არის განპირობებული. ძირითადი სესხის ტიპები მოიცავს მიკროსესხებს მცირე ბიზნესისათვის, ინდივიდუალურ სესხებს პირადი მოხმარებისათვის და სპეციალიზირებულ

²⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 დეკემბრის №ას-895-2021 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 04 მარტის №ას-12882019 გადაწყვეტილება.

²⁸² ზამბახიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ბოლო დამუშავება: ნოემბერი, 2022, 623,20, <<https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/2382779f-820d-47fa-bd4e-d455267ee354/content>>, [09.04.2025.]

სესხებს, რომლებიც მიმართულია განათლების, ჯანმრთელობის ან განვითარების პროექტების დასაფინანსებლად არის მიმართული.

მიკროსაფინანსო სექტორში მიკროსესხი ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულია. სამართლებრივი ჩარჩო ამ ტიპის სესხებისათვის როგორც მსესხებლის ბიზნესგეგმის შეფასებას, ისე ფინანსური რისკების კონტროლის პროცედურებს მოიცავს. მისი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მსესხებელი შემდეგს სესხის დაბრუნებას და საპროცენტო რეგულაციის მოთხოვნებსაც დაიცავს. ხელშეკრულებაში სესხის მიზანი, ვადა, საპროცენტო განაკვეთი, დამატებითი საკომისიოები და დაფარვის გეგმა დეტალურად არის განსაზღვრული.

ინდივიდუალური სესხი პირადი მოხმარებისათვის გამოიყენება, ძირითადად, ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც სესხს საოჯახო ან პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იღებენ. მომხმარებლის დაცვის კუთხით სამართლებრივი რეგულირება აქ უფრო მკაცრია.

სპეციალიზებული სესხები კონკრეტული მიზნების მხარდაჭერისათვის არის მიმართული, როგორცაა განათლება, ჯანმრთელობა ან მცირე განვითარების პროექტები. სამართლებრივი კუთხით, ამ ტიპის სესხები როგორც სესხის მტკიცებულებებს, ისე სესხის გამოყენების მიზნობრიობის თვალსაზრისით სპეციფიკურ კონტროლს მოიცავს. მაგალითად, განათლების დაფინანსების სესხის გაცემისას მისი უზრუნველყოფს, რომ თანხა მხოლოდ სწავლის ხარჯებისათვის იქნას გამოყენებული. აღნიშნული პროცედურა სესხის გამჭვირვალობას და რეგულაციების სრულ დაცვას უზრუნველყოფს, რაც ზედამხედველობასა და კონტროლს ამარტივებს.

სესხის ხელშეკრულების განსაკუთრებული ტიპების სამართლებრივი რეგულირება მონიტორინგისა და ზედამხედველობის მექანიზმებს მოიცავს. მისი ვალდებულია სესხის მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლი, პერიოდული ანგარიშგება და საფინანსო რისკების შეფასება უზრუნველყოს. კანონი ყურადღებას იმ სესხზე, რომელიც პირს განზრახ

მიეცა თამაშის ან სანაძლეოსათვის. ასეთი სესხი უნდა ჩაითვალოს ბათილად, თორემ თვით თამაშის პროცესში გადახდილი თანხა კანონიერად ითვლება და არ შეიძლება იმ თანხის უკან გამოთხოვა, რომელიც წაგებულმა გადაიხადა.²⁸³

4.1.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა

მისო მნიშვნელოვან როლს ფინანსურ სექტორში, განსაკუთრებით მცირე სესხების გაცემისა და სხვა ფინანსური მომსახურების სფეროში ასრულებს. მისი საქმიანობა როგორც მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფასთან, ისე ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის დაცვასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით, მისოს პასუხისმგებლობა მრავალსაფეხურიანი კონცეფციაა, რომელიც როგორც სამოქალაქო ასევე ადმინისტრაციულ და პასუხისმგებლობასაც მოიცავს.^{284 , 285}

მისოს პასუხისმგებლობა ასევე ფინანსური რისკების მართვას მოიცავს. მისო ვალდებულია შეისწავლოს მსესხებლის კრედიტორული

²⁸³ ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010, 353.

²⁸⁴ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მომხმარებლისათვის ან მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს, რომ პირი ვალდებულია დარღვევით დაზარალებული მხარის უფლებები აღადგინოს. კონკრეტულად, იგი მოიცავს: დაზიანების ან ზიანის ანაზღაურებას – თუ ვალდებულების დარღვევით დაზარალდა მეორე მხარე (მაგ., სესხის დაგვიანებით დაბრუნება, ხელშეკრულების შეუსრულებლობა); ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგებს – მაგალითად, ვალდებულების იძულებით შესრულება, დარიცხული პენალტები, ხელშეკრულების გაუქმება; უფლებრივი მდგომარეობის აღდგენას – იმ მდგომარეობაში დაბრუნება, რაც არსებობდა დარღვევამდე.

²⁸⁵ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მისოს შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს: ფინანსურ ჯარიმას – კანონით ან სებ-ის რეგულაციებით დადგენილი წესების დარღვევისთვის (მაგ., მომხმარებლის უფლებების უგულებელყოფა, არასათანადო ინფორმაციის მიწოდება); ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება – თუ ორგანიზაცია სისტემატურად არღვევს კანონმდებლობას ან საფინანსო სტაბილურობას უქმნის საფრთხეს; სავალდებულო მითითებების შესრულება – ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნით (მაგ., კონკრეტული ხელშეკრულების პირობების შეცვლა, გაუმჭვირვალე პრაქტიკის აღმოფხვრა); პერსონალური პასუხისმგებლობა მენეჯმენტისათვის – სამეთვალყურეო ორგანომ ან სებ-მა შეიძლება სანქციებს დაუწესოს კომპანიის ხელმძღვანელ პირებს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სახელმწიფო კონტროლსა და საჯარო ინტერესის დაცვას, ხოლო სამოქალაქო პასუხისმგებლობა – მხარეთა შორის ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს.

სანდოობა, განსაზღვროს სესხის ლიმიტი, შეაფასოს ვადების შესაბამისობა და უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები. სესხის ხელშეკრულების ვადა, თუ მხარეები მასზე შეთანხმდნენ, ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და, სადავობის შემთხვევაში, მისი ნამდვილობა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით არ შეიძლება დადასტურდეს.²⁸⁶

გარდა ამისა, მისოს ინფორმირებისა და გამჭვირვალობის ვალდებულება ეკისრება. სამართლებრივი რეგულაციები განსაზღვრავს, რომ მსესხებელი სესხის პირობების, პროცენტის, საკომისიოსა და ვადების შესახებ სრულად ინფორმირებული უნდა იყოს. მისოს პასუხისმგებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესრულებაა. IMF-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული პრაქტიკა ცხადყოფს მოთხოვნას, რომ მისო სესხის გამჭვირვალობას, რისკების მართვასა და მომხმარებლის დაცვას უზრუნველყოფს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო ორგანიზაციის სანდოობას ზრდის და ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობას უწყობს ხელს.²⁸⁷

4.1.4 მიკროსესხები მცირე ბიზნესისათვის

მიკროსესხები მცირე ბიზნესისათვის მისოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტია. იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, დასაქმების და მცირე საწარმოთა განვითარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ ტიპის სესხები მცირე ბიზნესს საქმიანობის გაფართოებისათვის, ახალ ინვესტიციებში ჩასადებად ან მიმდინარე ოპერაციების უზრუნველყოფისათვის ფინანსური რესურსის მიღების საშუალებას აძლევს. სამართლებრივი თვალსაზრისით, მიკროსესხები მცირე

²⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 მაისის N ას-858-807-2010 გადაწყვეტილება.

²⁸⁷ IMF, Central Bank Transparency Code/Guidance, July, 2021, 26.

www.imf.org/external/datamapper/CBT/IMF%20CENTRAL%20BANK%20TRANSPARENCY%20CODE.pdf?utm_source=chatgpt.com, [23.03.2025.]

ბიზნესისათვის როგორც სსკ-ის ნორმებით, ასევე სეზ-ის მიერ გამოცემული მარეგულირებელი აქტებით წესრიგდება.

მიკროსესხების სამართლებრივი ჩარჩო სესხის ხელშეკრულების ფორმულირებას, გარანტიების მექანიზმებსა და პირობების კონტროლს მოიცავს. ხელშეკრულება სესხის ოდენობას, ვადას, პროცენტს, საკომისიოს და დაფარვის წესებს დეტალურად განსაზღვრავს. განსაკუთრებული ყურადღება სესხის მიზნობრიობას ეთმობა: მისი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ სესხი კონკრეტული ბიზნეს-გეგმის განხორციელებისათვის და არა სხვა მიზნებისთვის იქნეს გამოყენებული. აღნიშნული რეგულაცია ფინანსური რისკების შემცირებას უწყობს ხელს და უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, რაც განსაკუთრებით მცირე ბიზნესის ფინანსური სიძლიერისა და სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანია.

მიკროსესხების გაცემისას კრედიტორული შესაძლებლობების შეფასება მნიშვნელოვანია. მისი ვალდებულია სესხის დაბრუნების შესაძლებლობის შეფასების მიზნით მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, შემოსავლები, ხარჯები და მიმდინარე ვალდებულებები შეისწავლოს. სამართლებრივი რეგულაცია ადგენს, რომ მსესხებლის ფინანსური გადატვირთვის პრევენცია უნდა იყოს უზრუნველყოფილი. რეგულაციის დარღვევა როგორც ორგანიზაციისათვის, ისე მსესხებლისათვის შესაბამის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. მიკროსესხები მცირე ბიზნესისათვის მოკლევადიანი ან გრძელვადიანი შეიძლება იყოს, რაც დამოკიდებულია სესხის მიზანზე და პროექტის ხანგრძლივობაზე არის დამოკიდებული. მოკლევადიანი სესხები, ძირითადად, საოპერაციო ხარჯების დასაფარად, მარაგების შესაძენად ან დროებითი სესხების საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება. გრძელვადიანი სესხები საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის არის მიმართული, როგორცაა საწარმოს გაფართოება, ახალი ტექნოლოგიების შექმნა ან სამომავლო განვითარების გეგმები. სამართლებრივი ჩარჩო თითოეული

ტიპის სესხისათვის განსაზღვრავს ვადას, პროცენტს და გარანტიებს, რაც უსაფრთხო და ეფექტიანი სესხის გამოყენებას უზრუნველყოფს.

სესხის უსაფრთხოებას მისოს მიერ განხორციელებული გარანტიების მექანიზმები უზრუნველყოფს. აღნიშნული რეგულაციები როგორც მსესხებლის, ისე გამსესხებლის ინტერესების დაცვას უწყობს ხელს, ამცირებს რისკებს და ფინანსური გარანტიის ხარისხს ზრდის. მიკროსესხების გაცემა სესხის მიზნობრივი გამოყენების დასადასტურებლად აუცილებელ მონიტორინგის მექანიზმებს მოიცავს.

მისო ვალდებულია პერიოდულად მოითხოვოს ანგარიშგება სესხის გამოყენების შესახებ, შეაფასოს ფინანსური მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში სებ-ის ჩარევა ითხოვოს. სებ-ი რეგულაციების დაცვის, სესხების გამჭვირვალობისა და მომხმარებლის უფლებების დასაცავად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას აქტიურად აკონტროლებს.

4.2 სესხის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები და საკანონმდებლო შეზღუდვები

4.2.1 სესხის ხელშეკრულების მხარეების უფლება-მოვალეობები

4.2.1.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის უფლებები

მისოს ძირითადი უფლება სესხის გაცემის უფლებას მოიცავს. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს უფლება ენიჭება ორგანიზაციას მხოლოდ მაშინ, როდესაც ის კაპიტალის სტრუქტურისა და სებ-ის მიერ განსაზღვრულ სხვა კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. სესხის გაცემის უფლება გულისხმობს, რომ მისოს შეუძლია რეგულაციების ფარგლებში სესხის ოდენობა, საპროცენტო განაკვეთი, ვადა და დაფარვის პირობები განსაზღვროს. ამ უფლების სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ სესხის გაცემის პროცესი გამჭვირვალე, კანონიერ და ეფექტიანი იყოს, ხოლო მსესხებელი არაკეთილსინდისიერი პრაქტიკისაგან იყოს დაცული.

მისოს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასების უფლება აქვს. ეს მსესხებლის შემოსავლების, ვალდებულებებისა და ფინანსური

შესაძლებლობების შესწავლას გულისხმობს. მისო ვალდებულია აღნიშნული შეფასება პროფესიონალურად და ეთიკის ნორმების დაცვით შეასრულოს, რათა მსესხებლის ინტერესები არ დაზარალებს და ჭარბი ვალდებულებების შესრულება არ დაეკისროს.

მისოს სესხის მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების უფლება აქვს. ეს უფლება სესხის გამოყენების წესების ზედამხედველობას, ანგარიშგების მოთხოვნას და აუცილებლობის შემთხვევაში სებ-თან თანამშრომლობას მოიცავს.

საპროცენტო განაკვეთის, საკომისიო გასამრჯელოსა და მომსახურების გადასახდელის ოდენობას მისო დამოუკიდებლად განსაზღვრავს, მოქმედი კანონმდებლობის, ეროვნული ბანკის რეგულაციებისა და მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით.²⁸⁸ მისოს აქვს უფლება სებ-ის სამართლებრივი დაცვით ისარგებლოს. სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ მისომ საკუთარი უფლებების დაცვა და ოპერაციების სამართლებრივი მხარდაჭერა შეძლოს, რაც ფინანსური ოპერაციების სტაბილურობას კიდევ უფრო მეტად ზრდის. მისოს დამატებითი ფინანსური მომსახურების განხორციელების უფლებაც აქვს. ასეთია, მაგ., საინვესტიციო სერვისები, გადახდისა და გადარიცხვის სერვისები, დაზღვევა. სამართლებრივი რეგულაცია ამ მომსახურების ტიპებს, პროცედურებს და სებ-ის ზედამხედველობას განსაზღვრავს, სერვისების კანონიერ, უსაფრთხო და გამჭვირვალე მიწოდებას უზრუნველყოფს.

მისოს უფლებები ინფორმაციის მიღების და ნებართვის გამოყენების შესაძლებლობას მოიცავს. ეს უფლება მისოს საშუალებას აძლევს მსესხებლის ფინანსური მონაცემები მოიპოვოს, შესწავლოს საკრედიტო ისტორია და სესხის შესაძლო რისკებში დარწმუნდეს. სამართლებრივი ჩარჩო სესხის

²⁸⁸ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის 9.3 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/document/view/24328>>, [21.04.2025.]

უსაფრთხოებისა და ფინანსური რისკების მინიმიზაციისათვის უფლებას ინსტრუმენტად აქცევს.

4.2.1.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვალდებულებები

მისოს საქმიანობა ფინანსურ სექტორში მნიშვნელოვან პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. მათი მოვალეობები არა მხოლოდ სესხების გაცემის პროცესის ეფექტიანობას, არამედ მომხმარებლის უფლებების დაცვას, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებასა და რეგულაციების შესრულებას განსაზღვრავს. სამართლებრივი თვალსაზრისით მისოს საქმიანობა სამოქალაქო სამართლის ნორმებს, სებ-ის რეგულაციებსა და საერთაშორისო სტანდარტებს ეფუძნება, რომლებიც ერთად მომხმარებელთა ინტერესების დაცვითა და ბაზრის სტაბილურობის მხარდაჭერით გამჭვირვალე, სამართლიან და უსაფრთხო საოპერაციო გარემოს ქმნიან. მნიშვნელოვანი მოვალეობაა მსესხებლის ინფორმირება. მისო ვალდებულია მსესხებელს სესხის პირობებზე, ვადებზე, პროცენტებზე, საკომისიოზე და სხვა საფასურებზე მიაწოდოს სრული ინფორმაცია. პროცენტი არის პერიოდული საზღაური კაპიტალით სარგებლობისათვის.²⁸⁹ პროცენტის მეშვეობით კრედიტორი ახდენს იმ შემოსავლის კომპენსირებას, რასაც თანხის სხვაგვარად გამოყენების შემთხვევაში მიიღებდა,²⁹⁰ ანუ ეს არის კომპენსაცია ფულადი საშუალებების დროებითი „დაკავებისათვის“.²⁹¹

ამავდროულად, მისომ უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებელმა ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება შეძლოს, რაც სესხის ეფექტიანი მართვისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ინფორმირების ვალდებულება მოიცავს სათანადო რისკების განმარტებას, რათა მსესხებელმა ფინანსური ვალდებულებების სირთულე გააცნობიეროს და ჯეროვანი

²⁸⁹ ძლიერიშვილი ზ., წიგნში: ძლიერიშვილი / ცერცვაძე / რობაქიძე / სვანაძე / ცერცვაძე / ჯანაშია, სახელმწიფო სამართალი, 2014, 254.

²⁹⁰ შოთაძე თ., იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, 2012, გვ. 138.

²⁹¹ შოთაძე თ., სესხის ხელშეკრულების მოდერნიზაციის აუცილებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, 2012, გვ. 364.

შესრულებისათვის ღონისძიებები დასახოს. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.²⁹² ამდენად, ვალდებულების დათქმულ დროს შესრულება კანონისმიერი პირობაა.²⁹³ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულების შესრულების დრო განისაზღვრება კანონით, მხარეთა შეთანხმებით, ანდა გამონაკლის შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენით, შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა გარემოებათაგანაც.²⁹⁴

მისოს მნიშვნელოვანი მოვალეობაა მსესხებლის ფინანსური შესაძლებლობების შეფასება. მისო ვალდებულია მსესხებლის შემოსავლები, არსებული ვალდებულებები და ზოგადად ფინანსური მდგომარეობა შეისწავლოს. მსესხებლის შეფასების პროცესი არა მხოლოდ მომხმარებლის დაცვის, არამედ ორგანიზაციის ფინანსური რისკების შემცირების ინსტრუმენტია. მისო-ების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობა სესხის მონიტორინგი და კონტროლია. იგი სესხის მიზნობრივი გამოყენების შემოწმებას, მსესხებლისაგან პერიოდული ანგარიშგების მიღებას და საჭიროების შემთხვევაში სებ-თან თანამშრომლობას მოიცავს. მონიტორინგის პროცესი უზრუნველყოფს, რომ სესხი მხოლოდ შეთანხმებული მიზნებისათვის იქნება გამოყენებული, სესხის ეფექტიანობასა და უსაფრთხოებას ზრდის.

მისო ვალდებულია დაკმაყოფილოს სებ-ის მოთხოვნები. სებ-ის მიერ დადგენილი რეგულაციების დაცვა სესხების გაცემისა და ფინანსური პროდუქტების მიწოდების პროცესში აუცილებელია. მისოს მოვალეობები მომხმარებლის უფლებების დაცვას მოიცავს. ეს სესხის ხელშეკრულების გამჭვირვალობას, პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობას, სესხის პირობების შეთანხმებულ ფორმატში წარმოდგენასა და ნებაყოფლობით შესრულებას გულისხმობს. მისოს ფინანსური რისკების მართვის მოვალეობა

²⁹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361.2 მუხლი,

<<https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=134>>, [11.04.2025.]

²⁹³ მესხიშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 361, 29.

²⁹⁴ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 365, 286.

ეკისრება. სამართლებრივი რეგულაცია მოითხოვს, რომ სესხის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მისომ რისკების შეფასება განახორციელოს, განსაზღვროს გარანტიები, დაზღვევა ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენოს.

4.2.1.3 მსესხებლის უფლებები

მსესხებელი მისო-სთან ურთიერთობის ცენტრალური ფიგურაა. მისი უფლებები ფინანსური რეგულაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. სამართლებრივი თვალსაზრისით, მსესხებლის უფლებები სსკ-ით, სეზ-ის რეგულაციებითა და საერთაშორისო რეკომენდაციებით არის განსაზღვრული. ეს კი ფინანსური სერვისების უსაფრთხო, გამჭვირვალე და სამართლიან მიწოდებას უზრუნველყოფს. მსესხებელს აქვს უფლება სესხის პირობებთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია მიიღოს. მისო ვალდებულია მსესხებელს სესხის ოდენობის, ვადის, საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოსა და დამატებითი საფასურების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს. ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად მსესხებელი ასევე შესაძლო რისკების შესახებ უნდა იყოს ინფორმირებული. აღნიშნული ინფორმაცია გამჭვირვალედ, მარტივი ენით და ხელმისაწვდომ ფორმატში უნდა იყოს მიწოდებული, რაც სესხის ეფექტიანი მართვისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მნიშვნელოვანი უფლებაა სესხის პირობების მართვის შესაძლებლობა. მსესხებელს შეუძლია ხელშეკრულების პირობების შეთანხმება მისო-სთან, რაც ვადას, პროცენტს, დაფარვის გეგმასა და სხვა ფინანსურ პირობებს მოიცავს. სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ შესაბამისი კონტროლის განხორციელება საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე მსესხებელსაც შეეძლოს. ეს უფლება მსესხებელს არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის თავიდან აცილებაში და ფინანსური გადაწყვეტილებების სტაბილურობის უზრუნველყოფაში ეხმარება.

მსესხებელს უფლება აქვს სეზ-ის ან სასამართლოს დაცვის მექანიზმებს შეუერთდეს. სეზ-ი ახორციელებს რა მისოს ზედამხედველობას, საჭიროების შემთხვევაში, მსესხებელს დარღვევების ან სესხის არასათანადო პრაქტიკის გასასაჩივრებლად შეუძლია სეზ-ს მიმართოს. ეს სამართლებრივი მექანიზმი ზრდის ფინანსური სერვისების დაცულობას ზრდის და მომხმარებლის უფლებების რეალურ აღსრულებას უზრუნველყოფს.

მსესხებელს პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე აქვს უფლება. მისო ვალდებულია სესხის პროცესში მიღებული ყველა ფინანსური და პირადი ინფორმაცია, კონფიდენციალურად შეინახოს და სესხის ადმინისტრირების გარდა არავითარ შემთხვევაში სხვა მიზნებისათვის არ გამოიყენოს. ეს ნორმა მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და ფინანსური ოპერაციების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. მსესხებელს სესხის გამოყენების პროცესში საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვის უფლება ენიჭება.

აღნიშნული არასათანადო პირობების, ზედმეტი საკომისიოს ან რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში პროტესტის გამოხატვის უფლებას მოიცავს. სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ სამართლებრივი დაცვის გამოყენება მსესხებელმაც შეძლოს, რაც სესხის უსაფრთხოებას ზრდის და მისოსა და მსესხებლის უფლებებს შორის ბალანსს ამყარებს. გარდა ამისა, მსესხებელს მონიტორინგისა და ანგარიშგებაში მონაწილეობის უფლება აქვს. მოცემული უფლება უზრუნველყოფს, რომ მსესხებლის მხრიდან სესხის მართვაში აქტიური მონაწილეობა იყოს შესაძლებელი, რაც ოპერაციების გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას გაზრდის.

4.2.1.4 მსესხებლის ვალდებულებები

მსესხებელი, როგორც მისოსთან ფინანსური ურთიერთობის ცენტრალური ფიგურა, სსკ-ის ნორმებით, სეზ-ის რეგულაციებითა და მისოს წესდებით განსაზღვრულ სხვადასხვა მოვალეობების შესრულებაზეა ვალდებული. მსესხებლის ვალდებულებები როგორც სესხის დროულ

დაბრუნებას, ისე ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ფინანსური ოპერაციების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

მსესხებლის ძირითადი ვალდებულებაა იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის გვაროვნული ნივთების დაბრუნება. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სესხის დაუბრუნებლობა (ასევე - ვადის გადაცილებით დაბრუნება) წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.²⁹⁵ მსესხებლის ძირითადი ვალდებულება სესხის ხელშეკრულების პირობების ჯეროვანი დაცვაა. მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს სახელშეკრულებო პირობები განსაზღვრულ ვადაში, შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის გადახდით, საკომისიო და სხვა ფინანსური პირობების შესაბამისად. ფულადი ვალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე, მისი შესრულება მსესხებელმა უნდა დაამტკიცოს ისეთი სახის მტკიცებულებებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს თანხის გადახდის ფაქტზე, მაგალითად, ხელწერილით, თანხის გადარიცხვის დოკუმენტით და სხვ.²⁹⁶

პროცენტი, რომელიც ზღვრულ ოდენობას აღემატება. ნორმის მოქმედების ფარგლებში შეთანხმებული პროცენტი კი, რომელიც არ აღემატება ზღვარს, ეკისრება მსესხებელს. ასე მაგალითად, სარგებლის ნაწილში საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი სარგებლის ოდენობა შეესაბამებოდა სსკ-ის 625-ე მუხლით განსაზღვრულ დანაწესს.²⁹⁷ არსებობს განმარტებაც, როცა სასამართლომ გაიზიარა კონკრეტულ პერიოდში კანონით დადგენილ პროცენტთან შესაბამისობაში მყოფი, მაგრამ იმ დროს

²⁹⁵ Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., §488, Rn. 26.

²⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის № ას-41-38-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის № ას-3462021 განჩინება.

²⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 29 ივნისის №ას-500-2022 განჩინება, 3.20-22, 68.

მოქმედი სესხის ხელშეკრულებების პროცენტზე შეუსაბამოდ მაღალი პროცენტის შემცირების მართებულობა.²⁹⁸

სესხის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მსესხებლის მიერ ვალის დაბრუნებას ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ. გამსესხებლის რისკია ის, რომ სესხის მოქმედების განმავლობაში გასესხებული თანხა და დასაბრუნებელი პროცენტი შეიძლება გაუფასურდეს.²⁹⁹ დარღვევის შემთხვევაში, მისოს უფლება აქვს სამართლებრივ ან მარეგულირებელ მექანიზმებს მიმართოს, რაც შეიძლება მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, ჯარიმებს ან სხვა სანქციებს მოიცავდეს. მნიშვნელოვანი მოვალეობაა სესხის მიზნობრივი გამოყენება. მსესხებელი ვალდებულია თანხა მხოლოდ ხელშეკრულებაში განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს. მაგალითად, მიკროსესხები მცირე ბიზნესისათვის კონკრეტული ბიზნეს-გეგმის შესრულებისათვის, ხოლო პირადი სესხები – განსაზღვრული საოჯახო ან განათლების ხარჯების დასაფარად უნდა იქნეს გამოყენებული. ამ ვალდებულების დარღვევა შესაძლოა სამართლებრივი შედეგებით, მათ შორის სესხის ადრე დაბრუნების მოთხოვნით ან დამატებითი სანქციებით დასრულდეს.

მსესხებელი ვალდებულია სწორად და დროულად მიაწოდოს ფინანსური ინფორმაცია მისოს. ეს სესხის გამოყენების შესახებ პერიოდულ ანგარიშგებებს, შემოსავლებისა და ხარჯების დოკუმენტაციას და საჭიროების შემთხვევაში სხვა ფინანსური მტკიცებულებების მიწოდებას მოიცავს. მოკლევადიან ან გრძელვადიან სესხებში, მსესხებელს ფინანსური სტაბილურობისა და რისკების მართვის ნორმების დაცვის მოვალეობა ეკისრება. ფინანსური სერვისის მიწოდებისას, მისო მსესხებლის ფინანსური შესაძლებლობების შეფასებას ახდენს. მსესხებლის ვალდებულებას მიეკუთვნება მისოსთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა. ეს რეგულაციების დაცვას, საჭირო დოკუმენტაციის მიწოდებას, დამატებითი

²⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №ას-470-2020 განჩინება, პ.6.10, 16.

²⁹⁹ Freitag/Mülbert, in Staudinger, BGB - Neubearbeitung 2011, BGB § 488, Rn 29.

მოთხოვნების შესრულებასა და ორგანიზაციასთან ღია კომუნიკაციის შენარჩუნებას გულისხმობს. სამართლებრივი ჩარჩო თანამშრომლობას აუცილებელ ინსტრუმენტად აქცევს, რომელიც სესხის უსაფრთხოებას, სამართლებრივ დაცვასა და ფინანსური ოპერაციების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, მსესხებელს ფინანსური რესურსების გონივრულად გამოყენებაზე ეკისრება მოვალეობა. სამართლებრივი რეგულაცია ითვალისწინებს, რომ მსესხებელმა თაღლითური ქმედებით ორგანიზაციას ფინანსური ზიანი არ მიაყენოს. ამ ვალდებულების დაცვა ფინანსური სერვისების უსაფრთხოებას განამტკიცებს და სესხის გამჭვირვალობას ზრდას უზრუნველყოფს. მსესხებლის ვალდებულებები სამართლებრივად აღიარებული ინსტრუმენტთა კომპლექსია. აღნიშნული მოვალეობები სესხის ხელშეკრულების პირობების შესრულებას, სესხის მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფას, ფინანსური ინფორმაციის მიწოდებას, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას, თანამშრომლობის უზრუნველყოფასა და ფინანსური რესურსების გონივრულ გამოყენებას მოიცავს.

4.2.2 საკანონმდებლო შეზღუდვები

მისოს საქმიანობა საქართველოში მკაცრად რეგულირდება, რაც მნიშვნელოვანია როგორც ფინანსური სტაბილურობის, ისე მომხმარებლის დაცვის უზრუნველსაყოფად. საკანონმდებლო შეზღუდვები სესხის ოდენობას, საპროცენტო განაკვეთს, ვადებს, გარანტიებსა და ანგარიშების წესებს განსაზღვრავენ, რაც ოპერაციების გამჭვირვალობას და მიკროსაფინანსო სექტორის ნდობას უზრუნველყოფს. აღნიშნული შეზღუდვები სსკ-ის, სეზ-ის რეგულაციებისა და სხვა იურიდიულ აქტების საფუძველზე არის შემუშავებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო შეზღუდვა სესხის მაქსიმალურ ოდენობას ეხება. სესხის ოდენობა მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით არის განსაზღვრული, რათა ფინანსური გადატვირთვა იქნეს თავიდან

აცილებული. ამ რეგულაციის მთავარ მიზნად მსესხებლის გადახდის შეუძლებლობისაგან დაცვა და ორგანიზაციის ფინანსური რისკების მინიმუმამდე დაყვანა განიხილება.

სესხის ლიმიტი როგორც მცირე ბიზნესისათვის, ისე ფიზიკური პირებისათვის განსაზღვრულია, რითაც ყველა მსესხებლის სამართლიან და თანაბარ პირობებში ოპერირება არის უზრუნველყოფილი. სხვა საკანონმდებლო შეზღუდვა სესხის მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთია. კანონმდებლობა ადგენს საპროცენტო ზღვარს, რომელიც შეუძლია მისომ სესხის ხელშეკრულებით გამოიყენოს, რათა არ დაზარალდეს მსესხებელი და სესხის დაფარვის ფინანსური რისკის წინაშე არ აღმოჩნდეს. საპროცენტო განაკვეთის რეგულირება უზრუნველყოფს როგორც სესხის გონივრულ ფასს, ასევე მსესხებლის ფინანსურ დაცულობას ზრდის.

მისო აწესრიგებს სესხის ვადებსა და მისი დაფარვის წესებს არეგულირებს. კანონმდებლობით სესხის მინიმალური და მაქსიმალური ვადები არის განსაზღვრული, რაც არასამართლიან და საფრთხისშემცველ პრაქტიკას გამორიცხავს. ვადების შეზღუდვა სესხის დროულ დაფარვას, მართვადი რისკების შენარჩუნებასა და ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობას უზრუნველყოფს.

მისოს საქმიანობას ექვემდებარება რეგულარული ანგარიშგებისა და მონიტორინგის მოთხოვნები. სებ-ის მიერ დადგენილი რეგულაციები სესხის მოცულობის, პროცენტების, საკომისიოსა და სხვა ფინანსური მაჩვენებლების რეგულარულ ანგარიშგებას განსაზღვრავს. სამართლებრივი ჩარჩო ითვალისწინებს, რომ ორგანიზაციამ სებ-თან ინფორმაციის სიზუსტე, დროული მოწოდება და გამჭვირვალე კომუნიკაცია უზრუნველყოს. საკანონმდებლო შეზღუდვები ასევე მოიცავს მომხმარებლის უფლებების დაცვას, რაც ინფორმირებულობის ვალდებულებას, კონფიდენციალურობის დაცვას, არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აკრძალვასა და სესხის ხელშეკრულების პირობების შეთანხმებულ ფორმატში წარმოდგენას გულისხმობს. ეს შეზღუდვები მომხმარებლის ნდობას ზრდის, ფინანსური

უსაფრთხოების დაცვას უწყობს ხელს და სესხის გამჭვირვალე გარემოს განამტკიცებს.

მისოს მოსალოდნელი რისკების მართვის ვალდებულება ეკისრება. საკანონმდებლო შეზღუდვები მისოს საქმიანობაში სესხის მაქსიმალურ ოდენობას, საპროცენტო განაკვეთს, ვადებს, გარანტიებს, ანგარიშგებისა და მონიტორინგის ვალდებულებებს, მსესხებლის უფლებების დაცვასა და რისკების მართვას მოიცავს.

4.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სხვა ფინანსური პროდუქტების რეგულირება

4.3.1 საინვესტიციო პროდუქტების სამართლებრივი ჩარჩო

საინვესტიციო პროდუქტები მისოს საქმიანობაში მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი ორგანიზაციებსა და მათ მომხმარებლებს შემოსავლიან და ფინანსურად სტაბილურ ოპერაციებში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. საინვესტიციო პროდუქტების სამართლებრივი ჩარჩო ნორმებს, წესებსა და შეზღუდვებს განსაზღვრავს, რომლებიც სერვისების უსაფრთხო, გამჭვირვალე და სამართლებრივად დაცულ მიწოდებას უზრუნველყოფენ. აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩო საინვესტიციო საქმიანობისათვის აქტუალურ სსკ-სს, სებ-ის რეგულაციებსა და საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება. პირველი ასპექტი, რომელსაც სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს, არის საინვესტიციო პროდუქტების ტიპებისა და ფორმების რეგულირება. იგი ფასიანი ქაღალდების, სადაზღვევო პროდუქტების, კერძო ინვესტიციებისა და სავალუტო სარეზერვო პროდუქტების სამართლებრივ სტატუსს აერთიანებს. ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი სახეა სასესხო ფასიანი ქაღალდები. სასესხოა ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს უფლებას განსაზღვრული ძირითადი თანხის პროცენტით ან უპროცენტოდ მიღებაზე.³⁰⁰

³⁰⁰ საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, მუხლი 2, პუნქტები 32, 35. <https://matsne.gov.ge/document/view/18196?publication=48>, [21.03.2025]

თითოეულ პროდუქტს თავისი განსაზღვრული სამართლებრივი ნორმები აქვს, რომლებიც მომსახურების პირობებს, სარგებლის დარიცხვას, რისკების განაწილებასა და გარანტიების გამოყენებას აკონტროლებს. სამართლებრივი რეგულაცია უზრუნველყოფს, რომ ინვესტიციები უსაფრთხო, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი იყოს. მეორე ასპექტი მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულებაა. მისოს საინვესტიციო პროდუქტების რისკებზე, შესაძლო სარგებელზე, ვადებზე და დამატებით საფასურებზე დეტალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება აქვს. სამართლებრივი ჩარჩო მოითხოვს, რომ ინფორმაცია იყოს მარტივი, ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე იყოს, რათა მომხმარებელს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება შეეძლოს. მესამე ასპექტი რეგულაციების დაცვა და ზედამხედველობაა. საინვესტიციო პროდუქტების მიწოდება სებ-ის რეგულაციებს ექვემდებარება. აღნიშნული რეგულაციები ინვესტიციების მაქსიმალურ ლიმიტებს, სარგებლის დარიცხვის წესებს, ანგარიშგების ვალდებულებებსა და გარანტიების უზრუნველყოფას განსაზღვრავენ. სებ-ის ზედამხედველობა უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციები კანონიერად და ეთიკურად ოპერირებდნენ, ხოლო ინვესტორები ფინანსური რისკებისგან დაცულები იყვნენ. ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რომლის საჭიროებაც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში განსაკუთრებით მაღალია, რამდენადაც ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების განხორციელებით ასევე გაიზრდება ექსპორტი და დაიკლებს უმუშევრობის დონე. ასევე გაიზრდება ექსპორტის კონტრიბუცია ეკონომიკურ ზრდაში და შემცირდება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.³⁰¹

მნიშვნელოვანია რისკების მართვის სამართლებრივი ნორმები აღნიშვნა. ისინი განსაზღვრავენ, როგორ უნდა განაწილდეს საინვესტიციო რისკები ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის. სამართლებრივი ჩარჩო

³⁰¹ ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია, 126, www.gov.ge/files/428_85680_321942_khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf [28.03.2025].

მოითხოვს, რომ მისომ რისკების შეფასებისა და მართვის რისკები შეიმუშაოს, ასევე საჭირო გარანტიები და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება უზრუნველყოს. აღნიშნული ვალდებულება ინვესტორთა ნდობის ასამაღლებლად და ფინანსური ბაზრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ანგარიშგებისა და მონიტორინგის ვალდებულება, რომელიც საინვესტიციო პროდუქტების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. მისო ვალდებულია რეგულარულად წარუდგინოს ანგარიშები ინვესტორებსა და სებ-ს, რათა ფინანსური ოპერაციების სიზუსტე, სარგებელის დარიცხვის კონტროლი და რისკების შეფასება უზრუნველყოს. სამართლებრივი ნორმები ანგარიშგების სტანდარტიზაციას განამტკიცებს, რაც ბაზრის სტაბილურობასა და ინვესტორთა ნდობას ზრდის.

სამართლებრივი ჩარჩო საინვესტიციო პროდუქტების გამოყენების დროს მომხმარებლის უფლებების დაცვას განსაზღვრავს. ეს ინფორმირებულობის, გამჭვირვალობის, პროტესტის გამოხატვის, თანხის დროული დაბრუნებისა და შესაძლო ზიანის ანაზღაურების უფლებას მოიცავს.

4.3.2 გადახდისა და გადარიცხვის სერვისები

გადახდისა და გადარიცხვის სერვისები მისოს საქმიანობისა და ფინანსური ინტეგრაციისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის, ასევე ინდივიდუალური მომხმარებლების ყოველდღიური ფინანსური ოპერაციების უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სამართლებრივი თვალსაზრისით, აღნიშნული სერვისები როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე სებ-ის მიერ დადგენილი რეგულაციების და საერთაშორისო სტანდარტებისა შესაბამისად რეგულირდება.

პირველ რიგში, მისოს ენიჭება უფლება უზრუნველყოს გადახდისა და გადარიცხვის სერვისები, რაც მოიცავს ფულის ანგარიშიდან ანგარიშზე

გადარიცხვას, ობლიგაციების დაფარვას, თანხის გადახდას პარტნიორ ორგანიზაციებთან ან მესამე პირებთან. სამართლებრივი ჩარჩო ადგენს, რომ აღნიშნული ოპერაციები მხოლოდ ლიცენზირებული და რეგულირებული ორგანიზაციების მიერ უნდა ხორციელდებოდეს, რაც ფინანსური ოპერაციების უსაფრთხოებას, კანონიერებასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი გადახდის პროცესში მომხმარებლის უფლებების დაცვაა. კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი გადახდისა ან გადარიცხვის სერვისი სწორად დოკუმენტირებული და გამჭვირვალე უნდა იყოს, რათა ფინანსური უზუსტობა, შეცდომა ან მსესხებლის უფლებების დარღვევა თავიდან იქნას აცილებული.

გადახდისა და გადარიცხვის სერვისებში განსაკუთრებული მნიშვნელობა რეგულირების და ზედამხედველობის ვალდებულებას აქვს. სებ-ი აკონტროლებს მისოს მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებს, რაც სერვისის მოცულობას, ტრანზაქციის სისწორეს, ანგარიშგების წესების დაცვას და გარანტიების არსებობას მოიცავს. სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ ფინანსური ოპერაციები კანონიერად, ეთიკურად და მომხმარებლის ინტერესების დაცვის შესაბამისად ხორციელდებოდეს.

მისოს უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტების დაცვა ეკისრება. მონაცემთა უსაფრთხოების, კონფიდენციალურობის დაცვისა და ტრანზაქციების თაღლითობის, ქურდობისა თუ კიბერშეტევებისაგან დაცვის მიზნით გადახდისა და გადარიცხვის სერვისები ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას საჭიროებს. სერვისის მიწოდება სებ-ის მიმართ სწორი და დროული ანგარიშგების ვალდებულებას მოიცავს. აღნიშნული ვალდებულება ფინანსური ოპერაციების გამჭვირვალობისათვის, რისკების კონტროლისათვის და მისოს პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი. სამართლებრივი ჩარჩო ანგარიშგების ფორმატს, ვადასა და შინაარსობრივ მოთხოვნებს განსაზღვრავს, რაც ოპერაციების კონტროლირებადობასა და ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

გადახდისა და გადარიცხვის სერვისების სამართლებრივი ჩარჩო ასევე ფინანსური ზიანის ანაზღაურების წესებს მოიცავს. თუ ტრანზაქცია არასრულად, შეცდომით ან თაღლითური მეთოდით განხორციელდა, სერვისის მიმწოდებელი თანხის დაბრუნებაზე არის ვალდებული. აღნიშნული რეგულაცია მომხმარებლის ნდობის შენარჩუნებას, ფინანსური ბაზრის სტაბილურობასა და მისოს სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრას უწყობს ხელს.

4.3.3 დაზღვევა და სხვა ფინანსური პროდუქტები

დაზღვევა ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია პოტენციური რისკების დადგომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება ან მისი შემცირება.³⁰²

დაზღვევა და სხვა ფინანსური პროდუქტები მისოს საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. დაზღვევა როგორც ორგანიზაციებს, ისე მათ მომხმარებლებს ფინანსური დაცულობის გაზრდის, რისკების მართვისა და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის საშუალებას აძლევს. სამართლებრივი თვალსაზრისით, აღნიშნული პროდუქტები სსკ-ით, სეზ-ის რეგულაციებით, კომერციული და არასაბანკო ფინანსური სერვისების შესახებ კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების საფუძველზე რეგულირდება.

პირველი ასპექტი, რომელსაც სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს, დაზღვევის პროდუქტის სამართლებრივი რეგულირებაა. მისოს აქვს უფლება მომხმარებლებს სხვადასხვა ტიპის, როგორცაა – ჯანმრთელობის, ქონების, ავტომობილის ან ბიზნესსაპირისპირო რისკების დაზღვევა შესთავაზოს. სამართლებრივი ჩარჩო ადგენს, რომ დაზღვევის პირობები მკაფიო, დოკუმენტირებული და მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. კანონმდებლობა უზრუნველყოფს, რომ დაზღვევა

³⁰² ფინანსური განათლება მარტივად, საქართველოს ეროვნული ბანკი, დეკემბერი, 2019, 10. <https://nbg.gov.ge/fm> [23.04.2025.]

იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე იყოს, რაც დაზღვეულ პირებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ანაზღაურება ან სარგებელი ზარალის შემთხვევაში. მეორე ასპექტი მომხმარებლის ინფორმირებულობის ვალდებულებაა. მისი ვალდებულია დაზღვევის პირობებზე, საფასურებზე, ვადებზე, სარგებელზე, გამონაკლისებსა და შესაძლო რისკებზე მომხმარებელს სრული ინფორმაცია მიაწოდოს. სამართლებრივი რეგულაცია უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია გამჭვირვალე, მარტივი და ადვილად აღსაქმელი იყოს, რათა მომხმარებელმა შეძლოს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება შეძლოს და ამასთან ერთად არასასურველი ფინანსური შედეგები აიცილოს თავიდან.

გარდა დაზღვევისა, მისოს მომსახურების სხვა ფინანსური პროდუქტების მიწოდების, როგორცაა სარეზერვო ანგარიშები, საინვესტიციო პროდუქტები, გადახდის სერვისები, საბანკო პროდუქტები და სესხის კომპლექტური შეთავაზების შესაძლებლობა აქვს. სამართლებრივი ნორმები განსაზღვრავს, რომ მისომ ფინანსური პროდუქტების უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს, რისკების შეფასებისა და კონტროლის სტანდარტები შეიმუშაოს, ასევე უზრუნველყოს გარანტიები ან დაზღვევა მომხმარებლის ინტერესების დაცვის მიზნით. აღნიშნული ვალდებულებები ზრდის ნდობას, უზრუნველყოფს ფინანსური ოპერაციების უსაფრთხოებას და მიკროსაფინანსო ბაზრის სტაბილურობას განამტკიცებს.

მნიშვნელოვანია ანგარიშგებისა და მონიტორინგის ვალდებულება, რომელიც ყველა ფინანსურ ოპერაციას, დაზღვევის შემთხვევებს, სარგებლის დარიცხვასა და პროდუქტების შესრულების კონტროლს მოიცავს. სებ-ის რეგულაციები ანგარიშგების ვადებს, ფორმატს, შინაარსსა და სავალდებულო პროცედურებს განსაზღვრავს, რაც ოპერაციების გამჭვირვალობასა და სებ-ის კონტროლის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

მომხმარებლის უფლებების დაცვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. იგი გამჭვირვალე სახელშეკრულებო ვალდებულებას, პროტესტის

გამოხატვის უფლებას, თანხის ანაზღაურების ან სარგებლის მიღების გარანტიას, კონფიდენციალურობასა და არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აკრძალვას მოიცავს. სამართლებრივი რეგულაცია უზრუნველყოფს, რომ მომხმარებელი ფინანსური რისკებისაგან დაცული იყოს და პროდუქტი უსაფრთხო და სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად შესრულდეს.

4.3.4 ზედამხედველობა და კონტროლი სხვა ფინანსურ პროდუქტებზე

მისოს საქმიანობაში სხვა ფინანსური პროდუქტები, როგორცაა საინვესტიციო სერვისი, დაზღვევა, გადახდისა და გადარიცხვის სერვისი, განსაკუთრებულ სამართლებრივ ზედამხედველობასა და კონტროლს საჭიროებს. სამართლებრივი ჩარჩო ინსტრუმენტებს, ვალდებულებებს და წესებს განსაზღვრავს, რომლებიც ფინანსური ოპერაციების გამჭვირვალობას, მომხმარებლის უფლებების დაცვას და ბაზრის სტაბილურობას განსაზღვრავს. აღნიშნული კონტროლი როგორც სებ-ის რეგულაციებს, ისე საქართველოს სამოქალაქო და საფინანსო კანონმდებლობას ექვემდებარება.

პირველი ასპექტი, რომელიც ზედამხედველობას საჭიროებს, პროდუქტების რეგულარული შეფასება და დოკუმენტირებაა. მისომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ფინანსური პროდუქტი – იქნება ეს ინვესტიცია, დაზღვევა თუ გადახდის სერვისი – სამართლებრივ მოთხოვნებს სრულად შესაბამისობდეს. ეს პროდუქტის პირობების, სარგებლის, რისკების, ვადებისა და საპროცენტო განაკვეთის დეტალურ აღწერას მოიცავს. სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია დეტალური, ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე იყოს, რაც მომხმარებლის ნდობას გაზრდის და სამართლებრივი დავების შესაძლებლობას თავიდან აგვაცილებს. მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი სებ-თან ანგარიშებისა და ინფორმირების ვალდებულებაა. სებ-ის მიერ დადგენილი წესები მოითხოვს, რომ მისომ ანგარიშები ინვესტიციების, სესხების, გადახდების, გადარიცხვებისა და დაზღვევის პროდუქტების მდგომარეობაზე რეგულარულად წარმოადგინოს. ანგარიშების პროცესი ფინანსური

მაჩვენებლების, რისკების, გარანტიებისა და სარგებლის დარიცხვის კონტროლს მოიცავს. სამართლებრივი ნორმები ოპერაციების გამჭვირვალობას, სებ-ის მიერ კონტროლის შესაძლებლობასა და ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, ზედამხედველობა რეგულაციების, შიდა ნორმებისა და ეთიკის სტანდარტებთან პროდუქტების შესაბამისობის შემოწმებას მოიცავს. მისოს ვალდებულებაა, შეამოწმოს, რომ თითოეული პროდუქტი მომხმარებლის უფლებებს არ არღვევს, არაკეთილსინდისიერ პრაქტიკას არ იწვევს და ორგანიზაციის რისკებს არ ზრდის. სამართლებრივი ჩარჩო შესაბამისობის შემოწმებას განსაზღვრავს როგორც მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც აძლიერებს ბაზრის სანდოობას და ფინანსური ოპერაციების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ზედამხედველობის ფარგლებში შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების არსებობა მნიშვნელოვანია. მისომ რისკების შეფასებისა და კონტროლის შენარჩუნებისათვის პროცედურები უნდა დანერგოს.

დასკვნა

მისო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ფინანსურ სისტემაში, ვინაიდან ის ქმნის ალტერნატიულ შესაძლებლობებს იმ ადამიანებისა და მცირე მეწარმეებისათვის, რომელთაც ტრადიციულ საბანკო სერვისებზე ნაკლები წვდომა აქვთ. მისოს საქმიანობა განსაკუთრებით რეგიონებში არის მნიშვნელოვანი, სადაც საბანკო ინფრასტრუქტურა ან შედარებით სუსტია და ან მოსახლეობას ფინანსურ რესურსებზე წვდომა შეზღუდული აქვს. მისოს მეშვეობით მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების შესაძლებლობა იზრდება, რაც, თავის მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკური აქტივობის ზრდას უწყობს ხელს. მისო სოციალური ჩართულობის ხელშეწყობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი სესხს აძლევს სოციალურად დაუცველ ჯგუფებს, მათ შორის ქალებს, ახალგაზრდებსა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის მქონე რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას. ამ გზით, მიკროსაფინანსო სექტორი არა მხოლოდ ფინანსურ ფუნქციას ასრულებს, არამედ სოციალური სტაბილურობისა და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების შესაძლებლობას ქმნის. გარდა ამისა, მისო ფინანსური წიგნიერების გაზრდას უწყობს ხელს, ვინაიდან სესხის მიღების პროცესი მსესხებლის მხრიდან ხშირად საბაზისო ფინანსური ცოდნის შექმნას მოითხოვს. შედეგად, მისო არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ საგანმანათლებლო და სოციალური მისიის მატარებელი ინსტიტუტაცაა.

მისოს სამართლებრივი სტატუსი საქართველოში ჯერ კიდევ არასრულყოფილად არის რეგულირებული. მართალია, მოქმედი ნორმები საბაზისო ზედამხედველობას, რეგისტრაციისა და ლიცენზირების წესების განსაზღვრას, ასევე ფინანსური მაჩვენებლების მონიტორინგს უზრუნველყოფს, თუმცა აღნიშნული ნორმები ნაკლებადაა აქცენტირებული ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა მომხმარებლის უფლებების დაცვა, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დაცვა. ამჟამინდელი რეგულაციები უფრო

მეტად არის ფოკუსირებული მისოს ფინანსურ სტაბილურობაზე და სოციალურ პასუხისმგებლობასა და ეთიკურ ვალდებულებებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მომხმარებლის ინტერესების პრიორიტეტულობა ხშირ შემთხვევაში ფორმალურად არის დეკლარირებული, ამასთან, პრაქტიკაში მნიშვნელოვანი მექანიზმები, როგორცაა სესხის პირობების მკაფიო და ადვილად გასაგები კომუნიკაცია ან მსესხებლის გადახდისუნარიანობის საფუძვლიანი შეფასება – არასაკმარისად არის რეგულირებული.

არსებულ ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას ენიჭება, განსაკუთრებით იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებშია ჩამოყალიბებული. საქართველოსთვის აუცილებელია რეგულაციების ისე დახვეწა, რომ ისინი როგორც ფინანსურ მდგრადობას, ისე მომხმარებელთა ინტერესების სრულფასოვან დაცვას მოიცავდეს, რაც მისოს სექტორისადმი ნდობის გაზრდას და ფინანსური სისტემის განვითარებას შეუწყობდა ხელს. მისოს რისკების მართვის პრაქტიკა საქართველოში ხშირად არასიმეტრიული ხასიათისაა. საკრედიტო და ფინანსურ რისკებზე კონტროლი მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულია: არსებობს რეგულაციები, რომლებიც სესხის პორტფელის ხარისხის, გადახდისუნარიანობის შეფასებისა და საკრედიტო კონცენტრაციის ზედამხედველობას განსაზღვრავს. ამან ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებასა და სისტემური რისკების შემცირებას გარკვეულწილად შეუწყო ხელი.

